

3. მოსიაშვილი ფ. ლომიკე ფ. ქოქოსაძე

# საბანკო საქმე

(ღმეჭვიმის კურსი)

თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს მიერ რეკომენდირებულია დამხმარე  
სახელმძღვანელოდ (ოქმი №6. 06. 07. 2009წ.)

თბილისი  
2009

UDC (უაკ):336.71(075.8)

მ-866

მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსძა ფ. – საბანკო საქმე.  
თბილისი 2009. 295 გვ.

წინამდებარე ლექციების კურსში ლოგიკური თანამიმდევრობითაა განხილული ეკონომიკის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: თანამედროვე საკრედიტო სისტემა, განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემები, კრედიტის ფუნქციები და ფორმები, საბანკო საქმის წარმოშობა და განვითარება, ცენტრალური ბანკები, კომერციული ბანკები, საბანკო მარკეტინგი, საბანკო მენეჯმენტი, საბანკო სისტემის სახელმწიფო რეგულირება, საერთაშორისო ანგარიშსწორება, საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობები, ფინანსური გლობალიზაცია და ოფშორული საბანკო ცენტრები, კომერციული ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება, საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება კომერციულ ბანკებში.

შინაარსის ადვილად აღქმის მიზნით თითოეული თემა დაყოფილია საკითხებად, თითოეული თემის ბოლოს მოტანილია კითხვები თვითკონტროლისათვის და ტესტები შექმნილი ცოდნის შესაფასებლად. წიგნი განკუთვნილია ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის კურსის მსმენელთათვის, პროფესორ-მასწავლებლებისათვის. იგი აგრეთვე დიდ დახმარებას გაუწევს ეკონომიკის აღნიშნული საკითხების შესწავლით დაინტერესებულ სხვა პირებსაც.

რედაქტორი: მ. ვანიშვილი  
ასოც. პროფესორი

რეცენზენტი: ნ. თევდორაშვილი  
ასოც. პროფესორი

ISBN 978-9941-0-1953-1



ბანკის არსის, ფუნქციონირების, დაკრედიტების პრინციპების საკრედიტო ურთიერთობების განვითარების და მათზე მოქმედი ფაქტორების კვლევა ეკონომიკური მეცნიერების ინტერესის ცენტრშია. აღნიშნულ საკითხებს მიეძღვნა მრავალი მეცნიერული ნაშრომი, სადაც მეტ-ნაკლები სიზუსტითაა გაშუქებული მოცემული პრობლემის ცალკეული ასპექტები. ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში აღნიშნული საკითხების მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც ქვეყანამ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და დაადგა საბაზრო ეკონომიკის გზას.

ფაქტია, რომ საბანკო და საკრედიტო სისტემა თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნების ერთ-ერთ ურთულეს და საინტერესო სფეროს წარმოადგენს, რომელიც ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში განვითარების რიგი თავისებურებებით ხასიათდება და მის გამართულ მუშაობაზე დიდადაა დამოკიდებული მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობა. საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება და პერსპექტივაში განვითარება წარმოუდგენელია კომერციული საბანკო სისტემის წარმატებული ფუნქციონირების გარეშე, რადგან იგი უშუალო ზემოქმედებას ახდენს საბაზრო ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროზე, განსაზღვრავს მისი განვითარების ვექტორს.

“საბანკო საქმის” ლექციების კურსის შესწავლის შემდეგ სტუდენტები შეძლებენ:

– დაახასიათონ საკრედიტო სისტემის არსი და სტრუქტურა, როგორც ზოგადად ასევე ჩვენი ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე;

– გაეცნონ განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემებს;

– დაეუფლონ კრედიტის ფუნქციების, ფორმების, დაკრედიტების პრინციპების საკითხებს;

– გაეცნონ ცენტრალური ბანკის წარმოშობის წინაპირობებს და მის მიერ განხორციელებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას;

– შეისწავლონ კომერციული ბანკების საქმიანობა, ოპერაციათა სახეები, ლიკვიდობის მაჩვენებლები და რისკების მინიმიზაციის პრობლემები;

– დაეუფლონ საბანკო მარკეტინგის თანამედროვე მეთოდებს;

– დასახონ საბანკო მენეჯმენტის პრიორიტეტები;

– შეისწავლონ საბანკო სისტემის სახელმწიფო რეგულირების უახლესი მეთოდები;

– გაეცნონ საერთაშორისო ანგარიშსწორების ძირითად ფორმებს;

– გაერკენენ საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობათა ფორმებში, ექსპორტ-იმპორტის დაფინანსების საკითხებში;

– დაახასიათონ ფინანსური გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და ჩამოაყალიბონ ოფშორული საბანკო ცენტრების განვითარების ეტაპები;

– შეისწავლონ კომერციული ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება;

– განახორციელონ საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება კომერციულ ბანკებში.

კურსის შინაარსის ადვილად აღქმის მიზნით თითოეული თემის ბოლოს მოტანილია კითხვები თვითკონტროლისათვის და ტესტები შექმნილი ცოდნის შესაფასებლად. “საბანკო საქმის” ლექციების კურსი ძირითადად და უფრო მეტად მნიშვნელოვანი თემების მოკლედ გადმოცემას ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, მასალა რომელიც წარმოდგენილია კურსის თემების შინაარსის მთლიან კომპლექსს ვერ ამოწურავს და არც აქვს პრეტენზია, რომ წარმოდგენილი საკითხები განხილულია ამომწურავად და სრულყოფილად. ცალკეული თემების უფრო სიღრმისეულად შესწავლის მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ თანდართულ რეკომენდირებული ლიტერატურის სიას.

ავტორთა აზრით ლექციების კურსში განხილული ბევრი საკითხი დისკუსიას გამოიწვევს, დაზღვეული არ იქნება შენიშვნების, ნაკლოვანებებისა და სასარგებლო რჩევარეკომენდაციებისაგან. ყოველი შენიშვნა თუ სურვილი ნაშრომის სრულყოფა-გაუმჯობესებისაკენ მიმართული მთლიანად იქნება გათვალისწინებული.

# თემა 1. საბანკო საქმის წარმოშობა და ბანკითარება

*ისტორია ცივილიზაციის რვა სიბერით  
გამოითქმის: რაც უფრო მეტი იცნო, მით  
უფრო მეტი შევიძლია*

*ელგონაძე*

## 1.1 საბანკო საქმის განვითარების რეტროსპექტივა

საბანკო საქმის წარმოშობა—განვითარება დაკავშირებულია პროცენტის (მოგების) მომტან კაპიტალთან, რომელსაც ისტორიულად წინ უსწრებდა სავაზო კაპიტალი, რომელიც უკვე არსებობდა პირველყოფილი წყობის პერიოდში. პროცენტის მომტანი კაპიტალის მთავარ ფორმად სასესხო კაპიტალი ითვლება. როგორც კი კერძო საკუთრება წარმოიქმნა, საქონელგაცვლიდან განვითარდა საქონლური ფულადი ურთიერთობანი, რამაც გააძლიერა საზოგადოების ქონებრივი ურთიერთობანი. სათავეში მდგომმა მდიდარმა ფენამ შესაძლებლობა მიიღო ფული სესხად მიეცათ მათთვის ვისაც იგი სჭირდებოდა. ასეთი სესხები, როგორც წესი, დაკავშირებული იყო მიწის საწინდართან. თუ მოვალე ვერ შეძლებდა სესხის დაბრუნებას, მაშინ საწინდარი მიწა სესხის მიმცემის საკუთრებაში გადადიოდა. თუ მსესხებელს მიწა არ ჰქონდა, მაშინ იგი თვითონ ხდებოდა დამოკიდებული. სავაზო კაპიტალის წარმოქმნასა და განვითარებასთან მჭიდროდა დაკავშირებული საბანკო საქმის წარმოშობა.

ბანკების საწყისი და ძირითადი ფუნქცია გადასახადებში შუამავლობა იყო. ასეთი შუამავლობის შედეგად ბანკებმა თავისუფალი ფულადი კაპიტალი პროცენტის (შემოსავლის) მომტანად აქცია. ისინი ფულად საშუალებებს ყველა შესაძლო წაყაროდან აგროვებდნენ და კრედიტით აძლევდნენ მოთხოვნის შესაბამისად, პირველ ყოვლისა გაბატონებულ კლასს.

ბანკების მსგავსი ინსტიტუტები, ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში არსებობდა. ეგვიპტეში საბანკო ოპერაციები ხორციელდებოდა ძვ. წთ. აღ. 2700 წ. ბაბილონსა და ასურეთის მრავალრიცხოვანი დოკუმენტები (მაგ; ხამურაბის კანონების კრებული, ძვ. წთ. აღ. 1704-1662 წწ.) მოწმობენ რომ მაშინაც იყო ვექსილი და ჩეკი, ხოლო სახსრების

შენახვისა და სასესიო ოპერაციების ფორმები კანონით რეგულირდებოდა. მაგ., სახსრების შენახვისათვის კანონით ვალისწინებდა გადასახადს. იმ დროს სესხები გაიცემოდა არა მხოლოდ ფულადი ფორმით, არამედ ცალკეული საქონლის სახით (მაგ: ხორბლით, ფინიკით, შალით, ზეთით და ა. შ.), აქაც აგრეთვე ადგილი ჰქონდა პროცენტის დარიცხვას. ამასთან, საქონლის შესანახად გამოიყენებოდა საკულტორელიგიური შენობები, რადგან იქ უზრუნველი იყო უმაღლესი უსაფრთხოება.

მონათმფლობელურ საბერძნეთში მონასტრები, როგორც ფულის შენახვის ადგილები, წამყვან როლს ასრულებდნენ და კულტის მსახურებიც არსებითად თავისებურ ბანკირებად ითვლებოდნენ. ერნსტ კურტიუსი წიგნში „საბერძნეთის ისტორია“, წერს: ყველა წამყვან მონასტერთან დაკავშირებული იყო ფინანსების მართვა. ქურუმები ესწრაფოდნენ მონასტრის წლიური შემოსავლის გაზრდას მათი უნარიანი მართვით, მიწის არენდით, სესხის მომგებიანი გაცემის საშუალებით, განძის წარმოქმნას, რომელიც საკმარისი იქნებოდა არამარტო წესჩვეულებების შესასრულებლად, არამედ მონასტრის ძლიერების განმტკიცებისათვის. სწორედ ამ დროს მიეკუთვნება ცნობილი ძარცვა. ჰეროსტრატემ ძვ. წთ. აღ. 356 წ. არტემიდა ეფესელის ტაძარი დაწვა არა იმისთვის, როგორც ეს მიღებული იყო, „ისტორიაში შესულიყო“, არამედ იმისათვის, რომ დაწვის გზით დაეფარა გაძარცვის კვალი. მეხუთე ასწლეულში ძვ. წთ. აღ. რომში გაიცემოდა პროცენტის სესხები გირავნობით ან მის გარეშე, ხოლო 100 წლის შემდეგ გამოჩნდნენ „ბანკირები“. მეორე პუნიკური ომის დროს (დაახლოებით 200 წ. ძვ. წთ. აღ.) რომი ხმელთაშუა ზღვის წამყვან საფინანსო ცენტრად ითვლებოდა.

სავაჭრო კაპიტალმა თავის სრულ განვითარებას მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებაში მიაღწია. იგი ორი ძირითადი ფორმით არსებობდა: ფულადი სესხის სახით გაბატონებული კლასებისათვის (მონათმფლობელებისა და ფეოდალებისათვის) და ნატურალური ფორმით საქონლის მარტივი მწარმოებლებისათვის. ამ დროისათვის მევახშეებად უმთავრესად ვაჭრები, ფეოდალი-მიწათმოქმედნი, აგრეთვე მონასტრები გამოდიოდნენ. საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მაღალი იყო. იგი 40-დან 100%-მდე მერყეობდა, ცალკეულ

შემთხვევაში შეიძლება მეტიც ყოფილიყო, მაღალი საპროცენტო განაკვეთი ეწინააღმდეგებოდა საწარმოო ძალების განვითარებას. ძირს უთხრიდა მონათმფლობელური და ფეოდალური წარმოების წესს.

ფეოდალიზმის დროს მეფეები, ომისა და კრიზისის დროს, მიმართავდნენ მიმოქცევაში არსებული ლითონური ფულის გაფუჭებას. ამის შემდეგ გაჩნდა ხარაფების პროფესია, რომლებიც ამოწმებდნენ მონეტების ხარისხს და გაცვეთილის შეცვლის აუცილებლობისას, ახდნენ ახლის გაჭედვას. ფულის ასეთმა გაცვლამ ბოლოს და ბოლოს გამოიწვია დეპოზიტური ოპერაციების განვითარება თანამედროვე გაგებით. პირველად ფული საბანკო დაწესებულებებში თავსდებოდა დეპოზიტების სახით იმ პირობით, რომ შემდგომ პატრონებს იგივე მონეტები დაუბრუნდებოდათ. შემდეგ დაიწყო დეპოზიტების გამოყენება სესხისათვის, რამდენადაც მევახშეს უნდა დაებრუნებინა იგივე თანხა და არა იივე ფული, როგორც ასეთი, ამიტომ ე.წ. შენახვის დეპოზიტები თანდათან გარდაიქმნა ბანკის დეპოზიტებად. კლიენტს შეჰქონდა ბანკში ფულადი თანხა იმისათვის, რომ გარკვეული დროის შემდეგ გადაეტანა იგი თავისი საეკონომიკური პარტნიორის ანგარიშზე. იმავედროულად მის საბანკო ანგარიშზე შედიოდა გადასახადები კლიენტებისაგან. ანგარიშებში დებეტური და კრედიტული ჩაწერების საშუალებით ხორციელდებოდა ფულის ბრუნვა. წარმოიქმნა სპეციალური ინსტიტუტები – ყირობანკები („ყირო“ ბერძნული სიტყვაა და წრეს ნიშნავს), რომლებიც ამ ოპერაციებს ახორციელებდნენ.

პირველი ბანკი თანამედროვე გაგებით იტალიაში, ქ. გენუაში წარმოიქმნა 1407 წ. ამ დროისათვის, პირველ ყოვლისა იტალიაში გამოჩნდა საბანკო საქმიანობის ახალი ინსტიტუტები. წარმოიქმნა და განვითარდა ბუღალტრული აღრიცხვის ორმაგი სისტემა, რომელმაც თავისი მნიშვნელობა აქამდე შეინარჩუნა. XII საუკუნეში იტალიაში პირველი ვექსილი გაჩნდა. XIV ს-ში ჩვეულებრივი გახდა ვექსილის წარმოდგენა არამარტო მეანაბრის, არამედ მესამე პირის სასარგებლოდ. XVII ს-ის ბოლოს შემოდებულ იქნა გადაცემითი მინაწერი (ინდოსამენტი) ვექსილებზე, რაც აბსტრაქტულ საგადასახადო ვალდებულებად იქცა. იტალიაშივე დეპოზიტების ბაზარზე გაჩნდა ბანკნოტები ეს

განპირობებული იყო ეკონომიკური აუცილებლობით, საწარმოო ძალებისა და ვაჭრობის სწრაფი განვითარებით. ოქრო ფულის სახით არ კმაროდა და წარმოიქმნა მოთხოვნილება „სავაჭრო ფულზე“.

საწყის ეტაპზე ეს ბანკოტები სრულყოფილად უზრუნველყოფილი იყო დეპოზიტებით. როგორც კი ზარაფებმა შეამჩნიეს, რომ ყოველდღიურად ყველა ანაბარი არ გამოიყენებოდა თავისი მფლობელების მიერ და რომ ყოველდღიური მოთხოვნილება ყველა დეპოზიტის მხოლოდ განსაზღვრულ პროცენტს შეადგენდა, მათ დაიწყეს საგირაო ბილეთების მიცემა ვაჭრებზე დეპოზიტური დაფარვის გარეშე და ამით თვითონ აძლევდნენ მათ კრედიტებს. ასეთი ბანკოტები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თანამედროვე ბანკოტის წინამორბედი. XVII ს-ში, ინგლისში, კაპიტალიზმის განვითარების ადრეულ სტადიაზე, ბანკოტებმა ფართო გავრცელება პოვა მას შემდეგ, რაც ინგლისის ბანკმა დაიწყო მათი მიმოქცევაში გაშვება.

მევახშეების მონოპოლური პოზიციები დაირღვა სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალისტების მიერ, რომელთაც შემოიღეს ერთმანეთისათვის კრედიტების მიცემა ზომიერი პროცენტებით. მათ ბრძოლას მევახშეების წინააღმდეგ მრავალ ქვეყანაში მხარს უჭერდა სახელმწიფო. 1624 წ. ინგლისში მიღებული იქნა კანონი, რომლითაც შეიზღუდა განაკვეთი რვა პროცენტით. 1651 წ. პროცენტის ზედა ზღვარი განისაზღვრა ექვსით, 1714 წ. – ხუთით. არსებობდა სპეციალური წესები იმ მევახშეთა დაჯარიმებისათვის, რომლებიც ეცდებოდნენ ასეთი შეზღუდვების გვერდის აგლას.

თანამედროვე საბანკო საქმის სათავეები უნდა ვეძებოთ, პირველ ყოვლისა, იტალიის, უფრო ზუსტად, ჩრდილოეთ იტალიის შუა საუკუნეების ზარაფების საქმიანობაში. ცნება „ბანკ“, მომდინარეობს იტალიური სიტყვისაგან „BANKO“ (ზარაფების სკამი, ფულის მაგიდა). ყველაზე გავლენიანი იყო კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ბანკები – კურიები. საყოველთაოდ ცნობილია მედიჩის სახელოვანი კლასიკური ლიტერატურის ბანკი ფლორენციაში. ფლორენციაში არსებულ ბანკის მთავარ კანტორას 16 ფილიალი ჰქონდა ისეთ ქალაქებსი, როგორიცაა პარიზი, ლონდონი ბრიუგე, ლიონი, ვენეცია, გენუა,

რომი, ნეაპოლი. მთავარი კანტორა იძლეოდა ფულად გზავნილებს, რომლებსაც ყველა ფილიალი ანაზღაურებდა და აღნიშნავდნენ, რომ მედიჩის საეაჭრო სახხლი ანაზღაურებს თანხას ნდედამიწის ნებისმიერ კუთხეში ნამდვიი გზავნილების წარდგენისას... ოქროს გულდენებში". გერმანიაში აუგსბერგის და საბანკო სახლის ფიუგერებმა 1508 წ. შეძლეს მთელი თავისი რომის აგენტურის გაერთიანება პაპ იოანე მეორის ბანკში. მაგრამ ფიუგერები ახორციელებდნენ ოპერაციებს არა მარტო პაპთან, არამედ ევროპის მეფეებთან და კაიზერებთანაც.

შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მთელ მსოფლიოში ბანკების როლი წარმოებისა და მიმოქცევისა მოცულობების განვითარების შესაბამისად იზრდებოდა. გაჩნდა თავისუფალი ფულადი რესურსები, რომელთა აკუმულირება ხორციელდებოდა და სესხის სახით მრეწველ და მოვაჭრე კაპიტალისტებისაკენ მიიმართებოდა. მეურნეობის ყველა დარგში სდასაქონლო-ფულადი მიმოქცევის განვითარებამ საბნკო კაპიტალის განვითარებაც განაპირობა.

ბანკების საწყის ფუნქციებს – ფულით ვაჭრობას, ახალი ფუნქცია – კაპიტალის მართვის ფუნქციაც დაემატა, რომელსაც პროცენტული შემოსავლები მოჰქონდა. ბანკებმა, როგორც კაპიტალის შემგროვებლებმა, წარმოების მთლიანი პროცესების მომსახურება დააწესეს და მასზე უშუალო ზემოქმედების შესაძლებლობა მიიღეს. კაპიტალისტური საკრედიტო სისტემა აღმოცენდა და განვითარდა, როგორც რეაქცია მეეახშეობის წინააღმდეგ.

სარგებლის მომტანი კაპიტალი, რომელიც მანამდე მხოლოდ წერილ მეწარმეებზე და დიდგვაროვნებზე მხოლოდ ფუფუნებით ცხოვრებისათვის გაიცემოდა, კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებს და მოთხოვნებს დაექვემდებარა. კაპიტალისტი მსესხებელი გახდა, რომელიც ცრედიტს არა ფუფუნებით ცხოვრებისათვის, არამედ მწარმოებლური განვითარების მიზნებით იღებდა. კრედიტებზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ ბანკები აიძულა საკრედიტო რესურსების გაზრდისათვის ეზრუნა. ბანკები არამერტო თავისუფალი ფულადი კაპიტალის ცენტრალიზაციას ახდენდნენ და მის გამოყენებას სარგებლის მიღების მიზნით ახორციელებდნენ, არამედ მოსახლეობის წერილ დანაზოგებსაც კაპიტალად აქცევდნენ.

## 12 საბანკო საქმიანობის წარმოშობა და განვითარება საქართველოში

როგორც მსოფლიოს უმეტეს ძველ ცივილიზებულ ქვეყანაში, საქართველოშიც ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს, სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებების, მ. შ. ბანკების არსებობას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქვეყნებს – იბერიასა და კოლხეთს, სხვადასხვა სახის საკრედიტო დაწესებულებები – ზარაფებისა და მევახშეობის ინსტიტუტების სახით გააჩნდათ, რომლებიც დღევანდელი საბანკო სისტემის წინამორბედებს წარმოადგენდნენ. მსგავსი ტიპის სტრუქტურული ერთეულები საქართველოში ჯერ კიდევ კოლხეთისა და იბერიის სამეფოში ძვ.წთ.აღ-ით VI ს-ში გამოჩნდნენ. შემდგომ პერიოდში ეს პროცესი პერმანენტულად გრძელდებოდა და ჩქარდებოდა, VIII ს-ის საქართველოში უკვე არსებობდნენ ფართო საკრედიტო ორგანიზაციები – დღევანდელი გაგებით ბანკები, რომელთაც ორტალი ეწოდებოდა, რომელნიც კრედიტებს სხვადასხვა ქონების გირავნობის ქვეშ ან მის გარეშე იძლეოდნენ. ე.წ. „ოქროს ხანის“ საქართველოში (XII-ს) ნიშანდობლივი თავისებურება მისი ფულად სისტემა იყო. კერძოდ ის ფაქტი, რომ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოს ტერიტორიაზე ვრცხლისა და სპილენძის ფულს ერთი და იგივე მსყიდველობითი უნარი გააჩნდათ – უპრეცედენტო მოვლენა იყო, რომ დროს მსოფლიოში, რადგან შუა საუკუნეების სახელმწიფოებში თვით სპილენძის ფულს, ნომინალის მიუხედავად, ლითონის ღირებულება ჰქონდა.

როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, დავით აღმაშენებელს ფრიად ორიგინალური გადაწყვეტილება მიუღია: საქართველოს მიწაწყალზე რეალს „თეთრი“ ვერცხლად მიიღებოდა (რვალი-სპილენძისა და თუთიის შენარევი ლითონი, რომლისგანაც იბეჭდებოდა ფული). თანამედროვე ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, დავით აღმაშენებელმა სავალუტო რეფორმა – ეროვნული ვალუტის დევალვაცია მოახდინა და მკაცრი სავალუტო კონტროლის დამყარებით ქვეყანაში უცხოელების მიერ ქართული დიზაინის მქონე სპილენძის ყალბი მონეტების შემოტანა აღკვეთა. ამ სავალუტო რეფორმამ, როგორც შემდგომმა



მოვლენებმა აჩვენა – საქართველოს ეკონომიკის განვითარებას შეეწყო ხელი. XI – XIII სს. საქართველო ჩაბმული იყო მსოფლიო ვაჭრობაში, რის შედეგადაც ვითარდებოდა საკრედიტო დაწესებულებებიც, თუმცა XIII ს-ის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც საქართველო განუწყვეტელი ბრძოლების არენად იქცა, რაიმე სახის საკრედიტო დაწესებულებების არსებობის შესახებ მასალები ისტორიულ წყაროებში აღარ მოიპოვება. მოგვიანებით XVII–XVIII სს. საქართველოში უკვე საზარაფო დაწესებულებები არსებობდა (განსაკუთრებით ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის დროს), რომლებიც საკრედიტო – საანგარიშსწორებო ოპერაციაბს ასრულებდნენ და ჭრიდნენ ფულს არამართო საქართველოში, არამედ მეზობელ სახელმწიფოებშიც.

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო (1801 წ.), საქართველოში მოქმედი ეროვნული საკრედიტო სტრუქტურები გაუქმდა და მათ ადგილზე დაიწყო რუსეთის სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებათა დაარსება. საქართველოში, პირველი ასეთი საკრედიტო დაწესებულება დაარსდა 1810 წელს თბილისში „საქართველოს საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგისოს“ სახელწოდებით, რომელიც იღებდა ანაბრებს და იძლეოდა კრედიტებს. თბილისში 1866 წლიდან ფუნქციონირებდა რუსეთის ბანკის (შეიქმნა 1860 წ.) თბილისის სამმართველო. 1871 წლიდან თბილისის კომერციულმა ბანკმა დაიწყო მუშაობა ფილიალებით ბაქოში, ბათუმში და ერევანში. ამავე წლიდან საქართველოსი შეიქმნა „შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა“, ანუ „სასოფლო ბანკი“ (დაფუძნდა დუშეთის მაზრაში). XIX ს-ის 80-იან წლებში საქართველოში სულ 85 საკრედიტო დაწესებულება ფუნქციონირებდა, მ.შ. 15 თბილისში. 1875 წლის 28 ივნისს თბილისში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაფუძნდა თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი, ხოლო ქუთაისში – 1876 წელს ნიკო ღოღობერიძის თაოსნობით.

1917 წელს თბილისში ფუნქციონირებდა „ცენტრობანკი“, ფილიალებით ლანჩხუთში, ბორჯომში, ქუთაისში და ზესტაფონში. საქართველოს საფინანსო საქმიანობას რუსეთის ბანკების კანტორებიც ეწეოდნენ: ვოლგა-კამსკის კომერციული ბანკი, სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო

ბანკი, სახალხო ბანკი, საერთაშორისო ნდობის საზოგადოების სტატუსით ა. პრიდანოვის ბანკი.

1917 წლის ცნობილი რევოლუციების შემდეგ, კარდინალურად შეიცვალა, როგორც ბანკის საქმიანობის მიმართულებები, ასევე საბანკო სისტემა მთლიანობაში. 1919 წელს მრეწველობის დაკრედიტება შეწყდა, საწარმოების ყველა შემოსავალი, ფულადი ურთიერთობების შენარჩუნებით, ხაზინას გადაეცა. ბიუჯეტი კი დგებოდა, მაგრამ მას თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა. რუსეთის ხელისუფლება ისეთ ღონისძიებებს ატარებდა, რომელიც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ლიკვიდაციისაკენ იყო მიმართული, რადგან, კომუნისტური იდეოლოგიის შესაბამისად, სოციალისტური საზოგადოება ფულის გამოყების გარეშე უნდა განვითარებულიყო, მიღებული იქნა გადაწყვეტილება საბანკო სისტემის ლიკვიდაციის შესახებ. 1920 წლის 19 ივნისს სახალხო კომისარიატის საბჭოს დეკრეტით სახალხო ბანკი გაუქმდა და მისი აქტივები და პასივები ფინანსების სახალხო კომისარიატს გადაეცა, რომელმაც ემისიის უფლებაც შეინარჩუნა. ამ პერიოდისათვის კვეყანაში არცერთი საკრედიტო დაწესებულება არ ფუნქციონირებდა. საბანკო საქმიანობამ, როგორც სოციალურმა ფენომენმა არსებობა შეწყვიტა, რამაც მაშინვე იმოქმედა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

„სამხედრო კომუნისმის“ პოლიტიკის ჩაფარდნის შემდეგ ქვეყნის მთავრობა იძულებული გახდა ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე (ნეპი) გადასულიყო, რასაც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები უნდა აედორძინებინა. 1921 წლის 3 მაისს დაფუძნდა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ბანკის (იგი 1921 წლის დასაწყისიდან შეიქმნა) საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ბანკი, რომელიც 1924 წლის დასაწყისიდან სსრკ-ს სახელმწიფო ბანკის (იგი 1923 წლის ივლისიდან ფუნქციონირებდა) საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ ბანკად გარდაიქმნა.

რუსეთში და შესაბამისად საქართველოშიც სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა 1922 წლისათვის. თავისუფალი მეწარმეობა და ქვეყნის დინამიური განვითარება ახალი საკრედიტო დაწესებულებების შექმნას მოითხოვდა. 1922-1925 წწ. კვეყანაში

ცალკეული მეურნეობების მომსახურე ბანკების ფართო ქსელი შეიქმნა, როგორებიცაა: „მრეწვბანკი“, „ელექტროკრედიტი“, „ცეკავშირის ბანკი“, „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“, „კოპერატიული ბანკი“ და სხვ. 1923 წელს თბილისში დაარსდა „საქართველოს კომერციული ბანკი“ განყოფილებებით აჭარაში, აფხაზეთში, ქუთაისსა და ფოთში. 1923 წლის ოქტომბერში ფუნქციონირება დაიწყო თბილისის ოლქის „შემნახველმა სალარომ“, რომელსაც ფილიალები ოთხ რაიონში ჰქონდა გახსნილი, ხოლო 1929 წლისათვის შემნახველი სალაროების რიცხვმა საქართველოში 270-ს მიაღწია.

1927 წელს ქვეყნის ხელისუფლებამ „საკრედიტო სისტემის აღორძინების პრინციპების შესახებ“ მიიღო დადგენილება, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ბანკის მუშაობაში (განსაკუთრებით სპეციალიზირებული ბანკების) პარალელურად შეინიშნებოდა და ისინი უნივერსალური ბანკებად ყალიბდებოდნენ. დაკრედიტების განმხორციელებელმა ბანკების სიმრავლემ მათ შორის კონკურენცია წარმოშვა. ბანკების ფუნქციები მკაცრად დაკონკრეტდა და სახბანკოს, როგორც მოკლევადიანი დაკრედიტების ორგანოსი და დარგობრივი ბანკების, როგორც გრძელვადიანი დაკრედიტების ორგანოს როლები შესაბამისად გაძლიერდა. ბანკები დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობისაკენ მიისწრაფვოდნენ, მთავრობა კი მათი ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის ინსტრუმენტად გარდაქმნას ცდილობდა.

1930 წლის ბოლოსათვის „ნეპი“ იქნა ლიკვიდირებული, ხოლო საბანკო სისტემამ 1930-1932 წ.წ. საკრედიტო რეფორმის განხორციელებისას ღრმა ცვლილებები განიცადა, რის შედეგად სპეციალიზირებული სახელმწიფო ბანკის ქსელი შეიქმნა, რომლებიც მათზე „მიმაგრებული“ სახალხო მეურნეობის დარგების დაფინანსებაზე იყვნენ ორიენტირებულები. დაიწყო ნახევარსაუკუნოვანზე მეტი პერიოდი, რომელიც იმით ხასიათდებოდა, რომ ბანკების არსებობის მიუხედავად ფაქტობრივად საბანკო საქმიანობა არ არსებობდა, რადგანაც ბანკები საშემნახველო სალაროებად გადაიქცნენ იმის გამო, რომ სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ღირეპტიულად

სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებზე იქნა განპირობებული.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, საბანკო სისტემის რეფორმის დაწყების პროცესში სახელმწიფო ბანკების სამმართველოები და განყოფილებები თვითანაზღაურებაზე გადაიყვანეს ბანკების მართვის ცენტრალიზებული სისტემის შენარჩუნებით. მაგრამ აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელი გახდა უპირველეს ყოვლისა იმ რესურსების მკაფიო გამოყოფის შეუძლებლობის გამო, რომელთა განკარგვის შესაძლებლობა ექნებოდათ მათ. სპეციალიზებული ბანკების სისტემის ბანკების საქმიანობა წინააღმდეგობაში მოვიდა საბაზრო ურთიერთობებთან.

ეკონომიკის ტრანსფორმაციას თან ცენტრალიზებული მატერიალური მარაგის სიტემის ლიკვიდაცია მოჰყვა. ამან საშუამავლო და სავაჭრო ორგანიზაციების ფართო ქსელი წარმოშვა და საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნილება მკვეთრად გაზარდა. ქვეყნის ეკონომიკას ეფექტიანი და საკრედიტო საანგარიშსწორებო მოსახურების საჭიროება გაუჩნდა. სახელმწიფო სპეციალიზირებული ბანკების ცენტრალიზებულმა სისტემამ, კონსერვატიულობისა და ინერტიულობის გამო, ამ ამოცანის გადაწყვეტა ვერ შეძლო. საბანკო დაწესებულებებმა საკუთარი კაპიტალი ვერ მიიღეს. ისინი ცენტრალიზებული ინსტრუქციებით აგრძელებდნენ მუშაობას და ქვეყნის რეგიონებში საბაზრო ეკონომიკის ყოველდღიურად წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად თავიანთი საქმიანობის ადაპტაცია ვერ მოახერხეს.

სპეციალიზებული ბანკების დაწესებულებათა უმეტესობამ ერთპიროვნულად დაიწყო კომერციულ ბანკებად გარდაქმნა. კლიენტურის სახელმწიფო სპეციალიზირებული ბანკებიდან კომერციულ ბანკებში მასობრივი გადასვლა დაიწყო. 1994 წლის ბოლოსათვის, ქვეყანაში უკვე 200-ზე მეტი კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა და საბანკო სფეროში სახელმწიფო მონოპოლია იქნა ლიკვიდირებული.

რაც შეეხება ცენტრალური ბანკის ტიპის საბანკო დაწესებულებათა ფუნქციონირებას საქართველოში, იგი რიგი თავისებურებებით ხასსიათდებოდა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არ გააჩნა საკრედიტო სისტემის მართვისა და რეგულირების საკუთარი სათაო რგოლი – საქართველოს ეროვნული ბანკი. მის მოვალეობას

ასრულებდა რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება, რომესაც 1917 წლის ნოემბრიდან არავითარი კავშირი არ ჰქონდა საიმპერიო ბანკთან. რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილებამ 1917 წლის ნოემბრიდან ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატის ფინანსთა კომისრის ქრიტეფრე კარჩიკიანის უშუალო დაქვემდებარებაში, ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის გიორგი ჟურულის და კონსტანტინე კანდელაკის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

აღნიშნული ბანკის თბილისის განყოფილების ფინკცია ზარაფხანიდან შეტანილი ფულადი ნიშნების ფინანსთა მინისტრის დირექტივებისამებრ განკარგვა იყო. მის მუშაობას აკონტროლებდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დანიშნული საგანგებო კომისარი. დამოუკიდებელი სახელმწიფო საკრედიტო აპარატის არარსებობა, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა ფულის მიმოქცევის და სხვა სასიცოცხლო ეკონომიკური მნიშვნელობის საქმეთა რეგულირების პრეროგატივას, ერთობ უარყოფით როლს თამაშობდა და შეუძლებელი იყო, დიდხანს გაგრძელებიყო.

1919 წლის 13 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა „კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“, რითაც ქვეყანაში საბანკო სისტემის მარეგულირებელი და ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს კანონიერ ფუნქციონირებას ჩაეყარა საფუძველი. კანონს თან ერთვოდა წესდება, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ბანკის დანიშნულება, წყობის სტრუქტურა, საწესდებო კაპიტალი და უფლებამოვალეობანი იყო განმარტებული.

საქართველოს სახელმწიფო ბანკმა ფუნქციონირება 1920 წლის ივლისიდან დაიწყო. კანონის თანახმად, აღნიშნული სტრუქტურის დაარსების პირველივე დღიდან „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო ფულის მიმოქცევისა და რესპუბლიკის ფულადი ნიშნების სტაბილურობა, აგრეთვე ვაჭრობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მოკლევადიანი სესხის გაცემა. საქართველოს

სახელმწიფო ბანკის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი ქართველი ფინანსისტი იასონ ლორთქიფანიძე.

მიუხედავად თავისი არსებობის მცირე ხნისა, ბანკმა საქართველოსთვის ბევრი სასარგებლო და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება მოასწორო: განახორციელა ფულის რეფორმა, შეიქმნა მნიშვნელოვანი უცხოური სავალუტო რეზერვები, მიმოქცევიდან ამოიღო ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები. მ უკანასკნელის თავისუფალი მიმოქცევა აშკარად ზღუდავდა სუვერენული საქართველოს ფულად-საკრედიტო სფეროს და ამდენად, ხანგრძლივად ვერ გაგრძელდებოდა. შედეგად, საქართველოს ეროვნულ საბჭოში ქართული ფულის, თუნდაც ბონების სახით გამოშვების მომხრეთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა.

1918 წლის ივნისში დაარსდა „ქართული ფულის ფონდი“, რომელიც მომავალი ქართული ვალუტის სტაბილური კუსისი ერთ-ერთი მყარი გარანტი უნდა გამხდარიყო. 918 წლის ივლისში გამოცხადდა კონკურსი ქართული ფულის ნიშნების კონკრეტული მხატვრული სახის შესარჩევად და დასადგენად. ღონისძიებას ხელმძღვანელობდა მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია, რომელმაც ერთხმად მოიწონა მხატვარ იოსებ შარლემანის მიერ შესრულებული ესკიზი. სწორედ ეს ესკიზი დაედო საფუძვლად ქართული ბონების გარეგნულ სახეს. ამ პერიოდისთვის ქართული ბონების გამოსაშვებად უკვე მომზადებული იყო ნიადაგი – საშინაო და საგარეო მდგომარეობა შედარებით სტაბილური იყო და ყველა ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ უკვე იყო დრო, ერთხელ და სამუდამოდ, წერტილი დასმოდა საქართველოს ფინანსურ დამოკიდებულებას სომხეთსა და აზერბაიჯანში.

1921 წლის 21 თებერვალის შემდეგ, როდესაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა წყობილება, ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და „საქართველოს სახელმწიფო ბანკს“ სახელმწიფოებრივი საფუძველი გამოაცალა და მან არსებობა შეწყვიტა. ამ პერიოდიდან გენერალური ბანკის ფუნქციებს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბანკი ასრულებდა“

საბანკო სისტემის განვითარების ისტორიაში საქართველოსთვის ახალი ეტაპი 1991 წლიდან იწყება. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში

ფეხს იკიდებს საბანკო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკა. ქვეყნის წინაშე მდგარ უამრავ პრობლემათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი და უმნიშვნელოვანესია მძლავრი, კონკურენტუნარიანი, მოქნილი და საიმედო საბანკო სისტემის შექმნა, რამდენადაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საბანკო სისტემის მდგრადობასა და სტაბილურობაზე. საბანკო სფერო მოითხოვს სერიოზულ ყურადღებასა და მხარდაჭერას, რომ მან არ შეაფერხოს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პროცესი და ეროვნული მეურნეობის დინამიური განვითარება.

1991 წლის აგვისტოსში ოპერატიულმა კანონმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას და განსაზღვრა, თუ ვის და როგორ უნდა გენეხორციელებინა ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირება და რა როლი უნდა ეთამაშა ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნულ ბანკს. ქვეყნის ცენტრალურ ბანკს შექმნის პირველივე დღეებიდან ეწოდა „საქართველოს ეროვნული ბანკი“, რომელიც მძლავრ სახელმწიფოებრივ-ეკონომიკურ ინსტიტუტს წარმოადგენს.

## კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რა ფაქტორებმა განაპირობა საბანკო საქმის წარმოშობა?
2. რომელი ინსტიტუტები ითვლება თანამედროვე ბანკების წინამორბედად?
3. სად წარმოიშვა პირველი ბანკი თანამედროვე გაგებით?
4. რა ძირითად ფუნქციებს ასრულებდნენ ბანკები საწყის ეტაპზე?
5. რომელი ინსტიტუტები მოიაზრება ბანკების წინამორბედად საქართველოში?

6. რა თავისებურებებით ხასიათდება საქართველოში საკრედიტო სტრუქტურის განვითარება რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ?
7. რა ფაქტორებმა განაპირობა „საქართველოს სახელმწიფო ბანკის“ დაარსება და რა ძირითად ფუნქციებს ასრულებდა იგი?
8. რა თავისებურებებით ხასიათდება საქართველოს საბანკო სისტემა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე?

## ტესტები

1. მონეტების ხარისხს ამოწმებდნენ და გაცვეთილის შეცვლის აუცილებლობისას, ახლის გაჭედვას ახდენდნენ:
 

ა) მევახშეები;	ბ) ბანკირები;
გ) ზარაფები;	დ) ვაჭრები.
2. პირველი ვექსილი იტალიაში გამოჩნდა:
 

ა) X საუკუნეში;	ბ) XII საუკუნეში;
გ) XIV საუკუნეში;	დ) XVI საუკუნეში;
3. გადაცემითი მინაწერი (ინდოსამენტი) ვექსილებზე, რომელიც აბსტრაქტულ საგადასახადო ვალდებულებად იქცა შემოდებული იქნა:
 

ა) XV ს-ის საუკუნის დასაწყისში;	ბ) XVI ს-ის ბოლოს;
გ) VIII ს-ის ბოლოს;	დ) XVIII ს-ის დასაწყისში.
4. ტერმინი „ბანკ“ მომდინარეობს იტალიური სიტყვისაგან „Banco“, რაც ნიშნავს:
 

ა) ფულიან კაცს;	ბ) საანგარიშო მაგიდას;
გ) კრედიტს;	დ) ფულის მაგიდას.
5. პირველი ბანკი თანამედროვე გაგებით, იტალიაში ქ. გენუაში წარმოიქმნა:
 

ა) 1407 წ;	ბ) 1470 წ;
გ) 1514 წ;	დ) 1527 წ.



6. მერვე საუკუნის საქართველოში უკვე არსებობდა და ფართო საკრედიტო ურთიერთობებს აწარმოებდნენ სპეციალური საკრედიტო ორგანიზაციები – დღევანდელი გაგებით ბანკები, რომელთაც ეწოდებოდა:

- ა) ზარაფი; ბ) ზარაფხანა;
- გ) ორტალი; დ) საჭურჭლე.

7. საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ, პირველი რუსული საკრედიტო დაწესებულება, თბილისში „საქართველოს საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგოს“ სახელწოდებით დაარსდა:

- ა) 1810 წელს; ბ) 1812 წელს;
- გ) 1815 წელს; დ) 1820 წელს.

8. თბილისში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი დაფუძნდა:

- ა) 1865 წელს; ბ) 1870 წელს;
- გ) 1875 წელს; დ) 1880 წელს.

9. საქართველოში ცენტრალური ბანკის ტიპის პირველი საბანკო დაწესებულება „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ შეიქმნა:

- ა) 1918 წელს; ბ) 1919 წელს;
- გ) 1920 წელს; დ) 1921 წელს.

10. „საქართველოს ეროვნული ბანკი“ ფუნქციონირებს:

- ა) 1990 წლიდან; ბ) 1991 წლიდან;
- გ) 1993 წლიდან; დ) 1995 წლიდან.

## თემა 2. თანამედროვე საკრედიტო სისტემა

*სხსხვა უნდა შეთქარვით, ზიანს რომ არაღის აქენებს, და არა ჰიანზველასავით, მთელს მარცვალს რომ იტაცებს*  
ა. შრანსი

### 2.1. საკრედიტო სისტემის არსი და სტრუქტურა

საკრედიტო სისტემა არის ფინანსურ საკრედიტო დაწესებულებათა კომპლექსი, რომელსაც სახელმწიფო იყენებს ეკონომიკის განვითარებისათვის. იგი მონაწილეობს საზოგადოებრივი კელაეწარმოების ყველა რგოლის ფუნქციონირებაში, რამდენადაც უზრუნველყოფს დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების მობილიზაციას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას მეურნეობრივ საქმიანობაში.

თანამედროვე საკრედიტო სისტემა შედგება სხვადასხვა რგოლისაგან, რომლებიც ასრულებენ თითოეულისათვის დამახასიათებელ, სპეციფიკურ ფუნქციებს ფულადი საშუალებების აკუმულაციისა და განაწილების პროცესში.

საკრედიტო სისტემის ცალკეულ რგოლებს შორის ფუნქციების განაწილება ობიექტურად განპირობებულია მათი საქმიანობისათვის მეთოდებისა და საშუალებების განსხვავებულობითა და კელაეწარმოების პროცესში კაპიტალის სხვადასხვა როლით.

თანამედროვე საკრედიტო სისტემა მოიცავს საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების სამ ძირითად ჯგუფს:

1. ცენტრალური (ეროვნული) ბანკი;
2. საბანკო სექტორი (კომერციული ბანკები);
3. სპეციალური არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

ცენტრალურ ბანკს გამორჩეული ადგილი უკავია საკრედიტო სისტემაში. იგი, როგორც წესი, სახელმწიფო საკუთრებაშია და გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკის მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. ცენტრალურ ბანკს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით მინიჭებულ აქვს საგანგებო ფუნქციების

შესრულება (უფრო დაწვრილებით ცენტრალური ბანკების შესახებ V თავში).

საბანკო სექტორში შედის:

კომერციული ბანკები, წარმოადგენენ საკრედიტო სისტემის ძირითად რგოლს. ისინი პრაქტიკულად ყველა სახის საბანკო ოპერაციებს ახორციელებენ. კომერციული ბანკების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფუნქციებს წარმოადგენენ: ანაბრების მიღება, სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციების დაკრედიტება, მათ შორის ანგარიშწორების განხორციელება და სხვ. (უფრო დაწვრილებით კომერციულ ბანკებზე VI თავში).

შემნახველი ბანკები (აშშ-ში ურთიერთშემნახველი ბანკები, გერმანიაში - საშემნახველო სალაროები), როგორც წესი, ადგილობრივი დანიშნულების საშუალო საკრედიტო დაწესებულებებია, რომლებიც ეროვნულ ასოციაციებში ერთიანდებიან და ჩვეულებრივად სახელმწიფოს მიერ კონტროლირდებიან, ხშირ შემთხვევაში მის საკუთრებას წარმოადგენენ. შემნახველი ბანკების პასიური ოპერაციები მოსახლეობიდან მიმდინარე და სხვა ანგარიშებზე ანაბრების მიღებას მოიცავს. აქტიური ოპერაციები წარმოადგენილია სამომხმარებლო და იპოთეკური კრედიტებით, საბანკო სესხებით, სახელმწიფო და კერძო ფასიანი ქაღალდების შექენით. შემნახველი ბანკები ასევე საკრედიტო ბარათების გამოშვებას ახორციელებენ;

საინვესტიციო ბანკები (დიდ ბრიტანეთში - საემისიო სახლები, საფრანგეთში - საქმიანი ბანკები), სპეციალიზირდებიან საემისიო-სადაამფუძენებლო ოპერაციაზე. იმ საწარმოების ან სახელმწიფოს დავალებით, რომელთაც გრძელვადიანი დაბანკები სჭირდებათ და აქციებისა და ობლიგაციების გამოშვებას ახორციელებენ. საინვესტიციო ბანკები დაბანდების მოცულობის, პირობის, ემისიის ვადის, ფასიანი ქაღალდების ტიპის შერჩევის განსაზღვრას, აგრეთვე მათი განთავსებისა და მეორადი მიმოქცევის ორგანიზაციის ვალდებულებებს იღებენ საკუთარ თავზე. ასეთი სახის დაწესებულებები, თავიანთ ხარჯზე შექენისა და გაყიდვის ან ამისათვის საბანკო სინდიკატების შექმნის ორგანიზებით, აქციებისა და ობლიგაციების მყიდველზე სესხის გაცემით გამოშვებული ფასიანი ქაღალდების შექენის გარანტორები არიან;

იპოთეკური ბანკები, ისეთი სახის დაწესებულებებს წარმოადგენენ, რომლებიც გრძელვადიანი კრედიტების გაცემას უძრავი ქონების (მიწა, შენობა, ნაგებობა) გირაოს ქვეშ ახორციელებენ. ამ ბანკების როლი პასიური ოპერაციების გამოყენებაში გამოიხატება;

საბანკო ჰოლდინგი, რომელიც წარმოადგენს სხვა კომპანიების აქციების პაკეტისა და სხვა სახეობის ფასიანი ქაღალდების მფლობელ და ამ ფასიან ქაღალდებთან ოპერაციების განმხორციელებელ კომპანიას. გარდა სუფთა ჰოლდინგებისა, რომლებიც მხოლოდ აღნიშნულ ოპერაციებს ახორციელებენ, ასევე შერეული ჰოლდინგებიც არსებობენ, რომლებიც ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში სამეურნეო საქმიანობასაც ახორციელებენ.

სამიწათმოქმედო ბანკები (ძირითადად სპეციალიზაციას ახდენენ აგრარულ სექტორში);

სპეციალური სავაჭრო ბანკები და სხვ.

თანამედროვე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფართო განვითარება ჰპოვა სპეციალურმა არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებმა, რომლებიც აკრედიტებენ მეურნეობრივი საქმიანობის განსაზღვრულ დარგებსა და სფეროებს. მათ საქმიანობაში დომინირებს ერთი ან ორი ძირითადი ოპერაცია, ამიტომ სპეციფიკური კლიენტურა ჰყავთ. თანამედროვე საკრედიტო სისტემის ამ მესამე ჯგუფს განეკუთვნება:

სადაზღვეო კომპანიები, რომელთა შემოსავალი იქმნება დაზღვევის პოლისების რეალიზაციის გზით. ეს კომპანიები თავიანთ სახსრებს სამრეწველო კომპანიების აქციებში, ობლიგაციებსა და ხელმწიფოს ფასიან ქაღალდებში ათავსებენ. დაზღვევის კომპანიები გრძელვადიან სესხებს აძლევენ საწარმოებსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. დაზღვევის ობიექტის მიხედვით ეს კომპანიები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: სიცოცხლის დაზღვევა და ქონების დაზღვევა. დაზღვევის კომპანიების შემოსავალი, როგორც წესი ბევრად აღემატება პოლისების მფლობელთათვის განკუთვნილ გადასახადებს;

საპენსიო ფონდები, რომელსაც ძირითადად ქმნიან კერძო კომპანიები და სახელმწიფო დაწესებულებები მუშებისა და მოსამსახურეების მოხუცებულობის დროს პენსიებით უზრუნველყოფის მიზნით. კერძო საპენსიო ფონდები იქმნება

მუშებისა და მოსამსახურეების, აგრეთვე მეწარმეთა ფულადი შენატანების საფუძველზე. საპენსიო ფონდები ერთმანეთისაგან განსხვავდება ორგანიზაციის, მართვისა და აქტივების სტრუქტურის მიხედვით. საპენსიო ფონდებში კაპიტალის დაგროვების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ფორმირება ძირითადად წარმოებს მეწარმეთა და მუშა-მოსამსახურეთა საწევრო შენატანებისაგან. იმის გამო, რომ საპენსიო ფონდები ძირითადად ფლობენ გრძელვადიან ფულად სახსრებს, ისინი ამ სახსრებს აბანდებენ სახელ-მწიფო და კერძო ფასიან ქაღალდებში;

ფინანსური კომპანიები, განსაკუთრებული ტიპის საკრედიტო დაწესებულებებია, რომლებიც ფუნქციონირებენ სამომხმარებლო კრედიტის სფეროში. მათ მიეკუთვნება ინსტიტუტები, რომლებიც საცალო საბითუმო ვაჭრობაში საქონლის გაყიდვას აკრედიტებენ. ამ კომპანიების ფართოდ გაშლილი ქსელი არსებობს აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, იაპონიაში. ფინანსური კომპანიები ორი სახისაა: საქონლის ნისიად გაყიდვის დაფინანსების და პირადი დაფინანსების სახის. ორივე შემთხვევაში კომპანია სესხებს გასცემს ერთიდან სამ წლამდე ვადით.

საქველმოქმედო ფონდები. მათი განვითარება დაკავშირებული იყო მთელ რიგ მიზეზებთან. ჯერ ერთი, ქველმოქმედება მეწარმეობის ორგანული ნაწილი გახდა; მეორე, საქველმოქმედო ფონდების შექმნას პრაქტიკული მიზეზები გააჩნდა – მოსახლეობის მდიდარი ფენა გაუზობოდა გადასახადების გადახდას და საკუთარი ფულადი სიმდიდრის ნაწილს გასცემდა საქველმოქმედო მიზნებისათვის. კერძო პირები და კორპორაციები საქველმოქმედო ფირმების შექმნით აფინანსებენ: უნივერსიტეტებს, სკოლებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ხელოვნების, კულტურის, საეკლესიო დაწესებულებებს და სხვ.

საკრედიტო კავშირები, იგივე კოოპერატივებია, რომელსაც აარსებენ მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფები პროფესიული ან რელიგიური პრინციპების მიხედვით. მათი კაპიტალი იქმნება საპაიო შენატანების საფუძველზე განსაკუთრებული სახის აქციების შექმნის ფორმით. მას იყენებენ მოკლევადიანი დაკრედიტებისათვის.

თანამედროვე საკრედიტო სისტემაში შემადგენელი რგოლების როლი სხვადასხვაა, მაგრამ საბანკო სექტორის

მნიშვნელობა ძალიან დიდია და იგი საკრედიტო რესურსების მობილიზაციის მიხედვით პირველ ადგილზეა. ამ სექტორში გადამწვევტია კომერციული ბანკები, რომლებიც უპირატესად აკრედიტებს მრეწველობასა და ვაჭრობას. განვითარებულ ქვეყნებში საკრედიტო სისტემის სრულყოფადიდად არის დამოკიდებული საბანკო სექტორის ფუნქციონირების მრავალფეროვნებაზე. მოკლედ განვიხილოთ მსოფლიო მაღალგანვითარებული ქვეყნების საბანკო სტრუქტურა.

სხვა ქვეყნების საბანკო სისტემებთან შედარებით აშშ-ში საბანკო სისტემას, რიგი თავისებურებები აქვს, რომელიც ვლინდება, როგორც ცენტრალური, ასევე კომერციული ბანკების საქმიანობაში. აშშ-ს საბანკო საქმე წარმოიშვა 1776 წ. ე.ი. დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტიდან. 1781 წელს აშშ-მა სცადა ცენტრალური ბანკის დაფუძნება – ჩრდილოეთ ამერიკის ბანკისა, რომელმაც სულ რამდენიმე წელიწადი იარსება. 1791 წელს შეიქმნა ახალი ბანკი – აშშ-ის პირველი ბანკი, ინგლისური ბანკის ნიმუშის მიხედვით, რომელმაც მიიღო კონგრესის უფლებამოსილება 20 წლით, მოქმედება შეწყვიტა 1811 წელს. 1816 წელს შეიქმნა აშშ-ის მეორე ბანკი 20 წლის კონცესიით. ხანგრძლივი სამუშაოების შემდეგ 1913 წ. გამოვიდა კანონი ცენტრალური ბანკის შექმნის შესახებ და შეიქმნა ფედერალური სარეზერვო სისტემა (ფრს). აშშ-ის კომერციული ბანკები სხვადასხვა ნიშნით იყოფა. ერთ-ერთი ნიშანია ნაციონალური და შტატების განცალკევება. ნაციონალური ბანკები ისეთი ბანკებია, რომელთაც აშშ-ის ხელისუფლების ლიცენზია მიიღეს, ხოლო შტატების ბანკი, რომლებმაც ამ შტატების ხელისუფლების ლიცენზია მიიღეს. საბანკო სისტემა ასევე მოიცავს კომერციულ ბანკებს, საინვესტიციო ბანკებს, შემნახველ ბანკებს, სასესხო-საშემნახველო ასოციაციებს და ა.შ.

იაპონიას აქვს ერთ-ერთი ახალგაზრდა საბანკო კანონმდებლობა, რომელიც აგებულია ამერიკული ნიმუშის მიხედვით. მნიშვნელოვანი განვითარება მან მიიღო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თანამედროვე ტიპის პირველი ბანკები გაჩნდა 1872 წ. კერძო „ნაციონალური ბანკების“ სახით. როგორც კომერციულ ბანკებს, მათ ჰქონდათ ფილიალები მთელ ქვეყანაში და ბანკოტების ემისიის უფლებას ფლობდნენ. იაპონიის ცენტრალური ბანკი შეიქმნა 1882 წ. 30

წლის ვადით. შემდეგ ეს დრო გაგრძელდა კიდევ 30 წლით. ბანკს აქვს ბანკნოტების იმისის მონოპოლიური უფლება. იაპონიის ბანკის ფუნქციები განსაზღვრულია 1942 წლის სპეციალური კანონით, რომელიც 1979 წ. მოდერნიზებულ იქნა. ბოლო მოვლო ცენტრალური ბანკის უფლებამოსილება-თა ვადების დანიშვნას და უკანასკნელმა უვადო სტატუსი მიიღო. იაპონიაში საბანკო საქმის კონცენტრაციამ, კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების შედეგად, განსაკუთრებით ბოლო ასწლეულში, მაღალ დონეს მიაღწია. 1901 წელს აქ იყო 1900 კომერციული ბანკი, 1936 წელს - 418, 1981 წელს - 76. იაპონიის საბანკო სისტემაში გამოიყოფა კომერციული ბანკები, რეგიონული ბანკები, გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკები, საშემნახველო ბანკები.

გერმანიის ცენტრალური ბანკი „დოიჩე ბუნდესბანკი“ შეიქმნა 1957 წელს, მისი წინამორბედი იყო გერმანული მიწების ბანკი. ცენტრალური ბანკი ითვლება სახელმწიფო იურიდიულ პირად, იგი არ ეკუთვნის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოებს. არ ემორჩილება არც კანცლერს, არც ფედერაციის მინისტრს, არამედ „მხოლოდ კანონს“. გერმანიაში უპირატესობა აქვს უნივერსალურ საბანკო სისტემას. ბუნდესბანკი გერმანიის ბანკების კვალიფიკაციას ახდენს შემდეგნაირად: ა) კომერციული ბანკები; ბ) შემნახველი საღაროები და საკრედიტო საზოგადოებები; გ) იპოთეკური ბანკები და შემნახველი საღაროები; დ) სამომხმარებლო კრედიტის ბანკები; ე) საინვესტიციო კომპანიები (საზოგადოებები); ე) განსაკუთრებული ამოცანების საკრედიტო ინსტიტუტები.

დიდ ბრიტანეთში კაპიტალიზმის განვითარებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული საბანკო საქმის განვითარება. 200 წელზე მეტია ინგლისური ბანკები წამყვან როლს თამაშობდნენ მსოფლიოში და ლონდონი დღესაც უმნიშვნელოვანესი და უმსხვილესი საფინანსო ცენტრია. ინგლისის ბანკი - მსოფლიოს ყველაზე ძველი ცენტრალური ბანკია, რომელიც 1634 წელს შეიქმნა. თავდაპირველად ინგლისის ბანკი არ იყო წმინდა საემისიო ბანკი. დიდი მოცულობით იგი ასრულებდა კომერციული ბანკის ფუნქციებს, რომელსაც მრავალრიცხოვანი კერძო კლიენტურა ჰყავდა, რომლის ვექსილებსაც თვითონ აღრიცხავდა. 1844 წელს ინგლისის ბანკმა, კანონის თანახმად, ბანკნოტების ემისიის მონო-

პოლია მიიღო. 1946 წელს ლეიბორისტულმა მთავრობამ მოახდინა ინგლისის ბანკის ნაციონალიზაცია. ბრიტანული კომერციული ბანკების სისტემა ძლიერ დიფერენცირებულია. მასში ბატონობს სპეციალური ბანკების პრინციპი. ბრიტანეთის ბანკების დაჯგუფება არც ისე ადვილია. ინგლისის ბანკი ბანკებს ყოფს სამ ჯგუფად: 1) დეპოზიტური ბანკები (კლირინგული ბანკები, ფინანსური სესხები, სავაჭრო ბანკები); 2) საადრიცხვო სახლები; 3) აქციუპტური სახლები, საზღვარგარეთული ბანკები, სხვა ბანკები.

საფრანგეთში პირველი ცენტრალური ბანკის სახესხვაობა იყო შოტლანდიელი ჯონ ლოს მიერ 1716 წელს დაარსებული „ბანკ-უენერალი“, რომელსაც 1718 წელს ეწოდა „სამეფო ბანკი“ და მოხდა მისი ნაციონალიზაცია. რამოდენიმე წლის შემდეგ სამეფო ბანკის აქციები გაუფასურდა და ბანკი აუქციონზე გაიყიდა. XIX საუკუნის დასაწყისში განხორციელდა საფრანგეთის ცენტრალური ბანკის შექმნის ახალი ცდა. ნაპოლეონ ბონაპარტის პირველი კონსულის გადაწყვეტილებით, 1800 წელს შეიქმნა ახალი „ბანკ დე ფრანს“, როგორც სააქციო და კერძო ბანკი. 1806 წელს ამ ბანკმა მიიღო განსაკუთრებული უფლება ბანკნოტების ემისიაზე. 1848 წელს დაიქვემდებარა რა ადრე დამოუკიდებელი პროვინციული ბანკები, იგი გახდა საფრანგეთის ერთადერთი საემისიო ბანკი. ფრანგული ბანკებისათვის ისტორიულად ჩამოყალიბდა საქმიანობის მკაფიო სპეციალიზაცია, რომელიც კანონმდებლობით დაფიქსირდა 1945 წელს. ფრანგულ ბანკებს შორის შეიძლება გამოიყოს 4 ჯგუფი: 1) კომერციული ბანკები; 2) კოოპერატიული ბანკები; 3) ე.წ. ფინანსური დაწესებულებები (სამომხმარებლო კრედიტის ბანკები, საიპოთეკო-საკრედიტო დაწესებულებები); 4) სახელმწიფო და შერეული ბანკები (საფოსტო-საჩეკო დაწესებულებები, შემნახველი საღაროები, საგარეო ვაჭრობის ბანკი).

შვეიცარიაში საბანკო საქმე საფრანგეთთან, ინგლისთან და იტალიასთან შედარებით მოგვიანებით განვითარდა. უძველესი შვეიცარიული ბანკი შეიქმნა 1755 წელს, როგორც სახელმწიფო ციურიხის ბანკი. შემდეგ მისგან, კერძო ინსტიტუტის სახით წარმოიქმნა „ბანკ ლოი იჩ აგ“, რომელიც დღემდე არსებობს. ესაა უნივერსალური ბანკი. ცენტრალური ბანკის სახით 1906 წელს შეიქმნა „შვეიცარიის



ნაციონალური ბანკი”, მან მიიღო ბანკოტების გამოშვების და მიღების განსაკუთრებული უფლება. შვეიცარიის ყოველ 1200 მცხოვრებზე, ერთი საბანკო საყრდენი წერტილი მოდის. შვეიცარიას ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს „საბანკო სიმჭიდროვის მიხედვით”, თუ არ ჩავთვლით საფინანსო ცენტრებსა და საგადასახადო ოაზისებს. შვეიცარიის საბანკო სისტემა განასხვავებს ბანკების 5 ჯგუფს:

- 1) კანტონალური ბანკები;
- 2) გროსბანკები (უმსხვილესი ბანკები);
- 3) რეგიონული ბანკები, შემნახველი სალაროები;
- 4) სასესხო კანკები და სასოფლო-სამეურნეო

საკრედიტო ამხანაგობები;

- 5) სხვა ბანკები.

იტალიის საბანკო საქმე ყველაზე ძველია მსოფლიოში. მრავალი ცნება და ტერმინი, რომელიც დგესაც იხმარება საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში, იტალიური წარმოშობისაა, მაგ.: „ბანკი”, „ლომბარდი”, „ინდოსამენტი” და სხვ. უკვე შუა საუკუნეების იტალიაში და პირველ ყოვლისა, ლომბარდიაში არსებობდა განვითარებული საბანკო საქმე. მსოფლიოს ოთხი უძველესი ბანკი იტალიაში წარმოიშვა. 1539 წელს შეიქმნა „ბანკო და ნაპოლი”, 1563 წელს „ინსტიტუტობანკარიო სან პაოლო დი ტურინო”, 1605 წელს - „ბანკო და სანტო სპირიტო” - რომში, რომის პაპის განკარგულებით, 1624 წელს - „მონტე დეი პაში და სიენა”. ცენტრალური ბანკის შექმნა ერთბაშად არ მომხდარა. იტალიის ცენტრალური ბანკი დაფუძნდა 1893 წელს, მაგრამ მას არ მიუღია ბანკოტების იმისიის მონოპოლიური უფლება, ეს მოხდა 1926 წელს. იტალიაში ბანკების სისტემის თანამედროვე სტრუქტურა ძლიერ დიფერენცირებულია და მისი კლასიფიკაციისათვის გამოყენება მრავალი სხვადასხვა კრიტერიუმი, რომელიც ასახვას პოულობს საბანკო სისტემაში. ინსტიტუტებს შორის, რომლებიც დასაქმებული არიან მოკლევადიანი დაკრედიტებით, გამოყოფენ შემდეგ 6 ჯგუფს:

- 1) სახელმწიფო საკრედიტო ინსტიტუტები;
- 2) ნაციონალური ინტერესების ბანკი;
- 3) არასახელმწიფო კომერციული ბანკები;
- 4) შემნახველი სალაროები;
- 5) სარეწაო და სასოფლო-სამეურნეო სალაროები;

6) სპეციალიზირებული კრედიტული ინსტიტუტები.

ავსტრიაში საკითხი ახალი ფულადი სისტემის შექმნის შესახებ დღის წესრიგში დადგა 1811 წელს ნაპოლეონთან ომის გამო სახელმწიფოს გაკოტრების შემდეგ. 1916 წელს დაარსდა პრივილეგირებული ავსტრიის ცენტრალური ბანკი, რომელიც ორმაგი მონარქიის – ავსტრიის და უნგრეთის დროს გახდა ავსტრია-უნგრეთის ცენტრალური ბანკი. ავსტრიის ნაციონალური ბანკის თანამედროვე სტატუსის სამართლებრივი საფუძველი დადგენილი იქნა 1969 წელს. ავსტრიის თანამედროვე საბანკო სისტემა მრავალფეროვანია. მასში ბატონობს უნივერსალიზაციის პრინციპი. უმსხვილესი ბანკები სახელმწიფოს ხელშია ან სახელმწიფოს აქვს მათში მონაწილეობის ყველაზე დიდი ნაწილი. სახელმწიფო გროსბანკები კონცენტრაციას უკეთებენ ავსტრიის საბანკო სისტემის ყველა ანაბრის უმეტეს ნაწილს. ავსტრიის საბანკო სისტემაში გამოიყოფა: შემნახველი საღაროები, სასოფლო-სამეურნეო ბანკები, სოფლის საკრედიტო კოოპერატივები.

## 2. 2. საქართველოს თანამედროვე საკრედიტო სისტემა

საქართველოში საკრედიტო-საბანკო სისტემის ფორმირება დაიწყო XVIII-XIX სს, როგორც რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა სახელმწიფოებში საქართველოშიც არსებობდა განშტოებული, მრავალსუბიექტიანი საკრედიტო-საბანკო სისტემა, რომელიც იურიდიული და ფიზიკური პირების საკრედიტო და სხვა სახის საბანკო მომსახურების ფართო სპექტრით უზრუნველყოფას ანხორციელებდა, მაგრამ ეს სისტემა ორიარუსიანი მაინც ვერ გახდა.

იუხედავად იმისა, რომ საკრედიტო-საბანკო აწესებულებების მართვის სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოები ჯერ კიდევ XIX ს-ის დასაწყისში აღმოცენდნენ (სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებების საბჭო და სხვ.), ისინი ყოველთვის მეორეხარისხოვან როლს ასრულებდნენ, რადგანაც ამ სისტემის მართვის გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა სახელმწიფო საბჭოს, სახელმწიფო კონტროლს, სხვადასხვა სამინისტროებს (ცალკეულ შემთხვევებში სამხედრო სამინისტროსაც). ამ პერიოდისათვის სახელმწიფო ბანკს ისეთი ფუნქციების შესრულება უწევდა, რომლებიც საესებით არ იყო ცენტრალური ბანკისათვის დამახასიათებელი: იგი კომერციული ბანკების მსგავსად უშუალოდ ახორციელებდა სამეურნეო დაკრედიტებას.

1917-1921 წ.წ. საქართველოში ჩაისახა დამოუკიდებელი საკრედიტო სისტემის კონტურები, რომელიც ვითარდებოდა საბაზრო ეკონომიკის კანონების შესაბამისად, მაგრამ ეკონომიკის კატასტროფული მდგომარეობის და მრავალრიცხოვანი საომარი და შიდაპოლიტიკური სიძნეელების გამო ვერ მოხერხდა თვითმყოფადი საკრედიტო სისტემის შექმნა.

გასაბჭოების შემდეგ, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (ნეპ) გატარების პერიოდში სახელმწიფო საკრედიტო სისტემის ფორმირების პროცესში განასხვავებენ სამ ეტაპს:

1) ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლის პერიოდი და საბანკო საქმის განვითარებისათვის საჭირო წინაპირობების შექმნა (1921-1923 წ.წ.):

2) ხასიათდება იმ ელემენტების შექმნით, რომლისგან შემდგომში ქვეყნის საკრედიტო სისტემის აშენება უნდა დაწყებულიყო (1923-1926 წ.წ.):

3) ქვეყნის საკრედიტო ქსელის რაციონალიზაციისა და მისი საკრედიტო სისტემად გარდაქმნის პერიოდი (1926-1930). ქვეყნის საბანკო ორგანიზაციების ერთობლიობაში, სხვადასხვა პერიოდებში არსებული ფორმები შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მრავალი საკრედიტო ორგანიზაცია არსებობს:

2. “სახბანკის” სახით ერთადერთი საბანკო ორგანიზაცია ფუნქციონირებს ფართო ქსელით:

3. ქვეყანაში ორსაფეხურიანი (იარუსიანი) საბანკო სისტემის ჩამოყალიბება.

ერთსაფეხურიანი საბანკო სისტემა ბანკებს შორის ჰორიზონტალურ კავშირებს, მათი ოპერაციებისა და ფუნქციების უნივერსალიზაციას ეფუძნება. ერთსაფეხურიანი საბანკო სისტემის ცარჩოებში ყველა საკრედიტო-საანგარიშსწორებო მომსახურების ანალოგიური ფუნქციების შესრულებისას ერთ იერარქიულ საფეხურზე იმყოფება. აგებულების ასეთი ტიპი ძირითადად დამახასიათებელია, როგორც სუსტად განვითარებული ეკონომიკური სტრუქტურების ქვეყნებისათვის, ასევე მართვის ტოტალიტარული, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური რეჟიმის ქვეყნებისათვისაც.

ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა ბანკებს შორის ურთიერთობების ორ სიბრტყეში აგებულებაზე არის აგებული: ვერტიკალურზე და ჰორიზონტალურზე. ვერტიკალური ურთიერთობები ცენტრალურ ბანკს, რომელიც “ბანკთა-ბანკის”, მმართველობის ცენტრსა და დაქვემდებარებულ რგოლებს შორის ურთიერთობას ითვალისწინებს. ჰორიზონტალური ურთიერთობები – კომერციულ ბანკებს შორის ურთიერთობებს ითვალისწინებს.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, დღის წესრიგში დადგა არსებულ ეკონომიკური სისტემის შეცვლა საბაზრო ეკონომიკით, რასაც მოჰყვა ამ სისტემისათვის დამახასიათებელი კომერციული საბანკო სისტემის ფორმირება. ეს პროცესი საქართველოში სტიქიურად დაიწყო. 1989 წ. 20 ბანკი ფუნქციონირებდა, 1990 წლის ბოლოსათვის 200 გადააჭარბა.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური რეფორმების კომპლექსურ პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობითი საკრედიტო ორგანიზაციას. მიღებულ იქნა კანონები ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ. მ კანონებით ქვეყნის ტერიტორიაზე ბანკებს მიეცა თანაბარ პირობებში ფუნქციონირების საშუალება.

საქართველოს საკრედიტო სისტემის სტრუქტურა XXI საუკუნის დასაწყისისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

- 1) საქართველოს ეროვნული ბანკი;
- 2) კომერციული ბანკები;
- 3) სპეციალიზებული საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

ქვეყანაში შექმნილი მაკროეკონომიკური არასტაბილურობის შედეგად, საკრედიტო სისტემის რაოდენობრივმა პარამეტრებმა უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ამაზე მეტყველებს ცხრილის მონაცემები /იხ. ცხრილი 21/

საქართველოს თანამედროვე საკრედიტო სისტემის ახალი სტრუქტურა შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო სისტემის ფორმირებას გააჩნდა და დღესაც გააჩნია რიგი ნაკლოვანებებისა. საწყის ეტაპზე იქმნებოდა საფინანსო ინსტიტუტები სუსტი ფინანსური ბაზით, რის გამოც კლიენტების ხარისხიან მომსახურებას ვერ უზრუნველყოფდნენ, ძირითადად იძლეოდნენ მოკლევადიან კრედიტებს, გრძელვადიანი საინვესტიციო რესურსები ქვეყნის კომერციულ ბანკებს ფაქტობრივად არ გააჩნდათ. თანდათან მიმდინარეობდა ბანკების შერწყმისა და განმსხვილების ტენდენცია. ამით იყო განპირობებული, რომ 228 კომერციული ბანკიდან 2009 წლისათვის ფუნქციონირებდა 20 ბანკი.

**რეგისტრირებული კომერციული ბანკების რაოდენობა / წლის ბოლოსათვის /**

ცხრილი 2.1

	1993 წ.	2001 წ.	2002 წ.	2003 წ.	2004 წ.	2009წ.
ბანკების რაოდენობა სულ	228	29	27	25	21	20
ბანკების ფილიალების რაოდენობა	—	206	199	201	162	159

## კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რას წარმოადგენს ქვეყნის საკრედიტო სისტემა;
2. რა ძირითად ჯგუფს მოიცავს თანამედროვე საკრედიტო სისტემა?
3. რა ძირითადი სახეობის ბანკებია გაერთიანებული საბანკო სექტორში?
4. რა ინსტიტუტები მიეკუთვნება სპეციალურ არასაბანკო საკრედიტო საფინანსო ინსტიტუტებს?
5. რა თავისებურებებით ხასიათდება აშშ-ის საბანკო სისტემა?
6. რომელი ქვეყნის საბანკო სისტემაა ყველაზე ძველი?
7. რა თავისებურებებით ხასიათდებოდა საქართველოს საკრედიტო და საბანკო სისტემა XXს-ის 90-იან წლებამდე?
8. როგორ წარმოგვიდგება საქართველოს თანამედროვე საკრედიტო და საბანკო სისტემა?

## ტესტები

- 1) ფინანსურ საკრედიტო დაწესებულებათა კომპლექსი, რომელსაც სახელმწიფო იყენებს ეკონომიკის განვითარებისთვის, არის:
  - ა) საბანკო სისტემა;
  - ბ) საფინანსო სისტემა;
  - გ) ფულადი სისტემა;
  - დ) საკრედიტო სისტემა.
- 2) ქვეყნების საკრედიტო სისტემის შემადგენელ ჯგუფს არ მიეკუთვნება:
  - ა) ცენტრალური (ეროვნული) ბანკი;
  - ბ) საფინანსო სექტორი;
  - გ) საბანკო სექტორი;
  - დ) სპეციალური არასაბანკო საკრედიტო საფინანსო ინსტიტუტები.
- 3) სხვა კომპანიების აქციების პაკეტისა და სხვა სახეობის ფასიანი ქაღალდების მფლობელ და ამ ფასიან ქაღალ-

დებთან ოპერაციების განმახორციელებელ კომპანიას ეწოდება;

ა) საბანკო სინდიკატი; ბ) საბაკო კოოპერატივი;

გ) საბანკო ჰოლდინგი; დ) საბანკო ტრესტი.

4) “ფედერალური სარეზერვო სისტემა” ცენტრალური ბანკის ფუნქციებს ასრულებს:

ა) აშშ-ში;

ბ) დიდ ბრიტანეთში;

გ) შვეიცარიაში;

დ) გერმანიაში.

5) მსოფლიოში ყველაზე ძველია:

ა) იტალიის საბანკო საქმე; ბ) გერმანიის საბანკო საქმე;

გ) აშშ-ს საბანკო საქმე; დ) შვეიცარიის საბანკო საქმე.

6) ტერმინები: “ინდოსამენტი”, “ლომბარდი”, “ბანკი”, არის:

ა) გარმანული წარმოშობის; ბ) ინგლისური წარმოშობის;

გ) ფრანგული წარმოშობის; დ) იტალიური წარმოშობის.

7) სპეციალურ არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებს არ მიეკუთვნება:

ა) საპენსიო ფონდი;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტი;

გ) სადაზღვეო კომპანიები; დ) საკრედიტო კავშირები.

8) ორსაფეხურიანი (ორიარუსიანი) საბანკო სისტემა დამახასიათებელია:

ა) მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვის;

ბ) ტოტალიტარული ქვეყნებისთვის;

გ) ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემისათვის;

დ) ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვის.

9) განვითარების საწყის ეტაპზე საბანკო სისტემა იყო:

ა) ერთსაფეხურიანი;

ბ) ორსაფეხურიანი;

გ) სამსაფეხურიანი;

დ) ოთხსაფეხურიანი.

10) საქართველოს თანამედროვე საბანკო სისტემა არის:

ა) ორსაფეხურიანი;

ბ) სამსაფეხურიანი;

გ) ოთხსაფეხურიანი;

დ) ხუთსაფეხურიანი.

### თემა 3. ბანკითარებული ძველები და საბანკო სისტემები

*ბევრს არაფერს ნიშნავს, რომ კარგი ჰქვია გქონდეს, მთავარი ის არის, რომ კარგად გამოიყენო*

*რ. დეკარტი*

#### 3.1. იტალიის საბანკო სისტემა

იტალიის საბანკო სისტემა ყველაზე ძველია მსოფლიოში. მრავალი ცნება და ტერმინი, რომელიც დღესაც ფართოდ გამოიყენება მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში, იტალიური წარმოშობისაა, მაგ, „ლომ-ბარდი“, „ინდოსამენტი“. შუა საუკუნეების იტალიაში არსებობდა განვითარებული საბანკო ურთიერთობები. გამომდინარე აქედან მსოფლიოს ოთხი უძველესი ბანკი იტალიაში წარმოიქმნა: „ბანკო და აპოლი“ (1539 წ.), „ინსტიტუტო ბანკარო სან პაოლო დი ტურინო“ (1563 წ.), „ბანკო დი სანტო სპირიტ“ (1605 წ.), „მონტე დეი პაში და სიენა“ (1624 წ.). იტალიის თანამედროვე საბანკო საქმე, კონცენტრაციის პროცესის შედეგად მრავალფეროვანია და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების საბანკო საქმესთან შედარებით, მრავალი განსაკუთრებულობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ იტალიის საბანკო საქმე უძველესია მსოფლიოში, პირველი ცენტრალური ბანკი 1893 წ. შეიქმნა, თუმცა მას არ მიუღია ბანკოტების ემისიის მონოპოლური უფლება. ეს მოხდა შედარებით გვიან 1926 წ. ამით პირველად შეიქმნა პირობები ცენტრალური ბანკის საქმიანობის აქტიური რეგულირებისათვის.

1947 წ. შემოღებული იქნა ცენტრალური ბანკის ფუნქციონირების ახალი პირობები. მისი ფუნქციები გაფართოვდა, მაგრამ სხვა ქვეყნების ცენტრალურ



ბანკებთან შედარებით ცენტრალური ბანკის საქმიანობა მეტად შეზღუდული აღმოჩნდა. იტალიის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის წარმართვდა არა ცენტრალური ბანკი, არამედ „სამინისტროთაშორისო კომიტეტი“ ხაზინის მინისტრის თავმჯდომარეობით. მასში შედიოდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის, საგარეო ვაჭრობის, მრეწველობის, შრომის მინისტრები, ასევე იტალიის ბანკის პრეზიდენტი. ამ კომიტეტის გადაწყვეტილებები სავალდებულოა ცენტრალური ბანკისათვის, თუმცა ეს უკანასკნელი ცალკეულ შემთხვევაში, შეიძლება თავისი შეხედულებებისამებრ იქცეოდეს.

1936 წლამდე იტალიის ცენტრალური ბანკი კერძო სააქციო საზოგადოება იყო. ნაციონალიზაციის შემდეგ სხვადასხვა საკრედიტო ინსტიტუტებისა და სადაზღვევო კომპანიების ხელში აღმოჩნდა ამ ბანკის აქციები. ბანკის სათავეში დგას მმართველთა ცენტრალური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის მმართველი და 12 წევრი. მმართველთა ცენტრალური საბჭო ცხოვრებაში ატარებს სამინისტროთაშორისო კომიტეტის გადაწყვეტილებებს. ცენტრალური ბანკის საქმიანობის კონტროლისათვის ხაზინის მინისტრთან შექმნილია სპეციალური კომისია, რომლის განკარგულებაშია სრუზერვო სამსახური.

ცენტრალური ბანკი ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების საკასო მომსახურებას. იგი ხაზინის მოთხოვნების შესაბამისად გასცემს კრედიტებს და შეიძენს სახელმწიფო სავალო ვალდებულებებს. ერთდროულად ხაზინას ავტომატურად ეძლევა კრედიტი დაფარვის გარეშე სახელმწიფო ხარჯების 14 %-ის მოცულობით. თუ კრედიტის ეს მოცულობა არასაკმარისია, ხაზინას შეუძლია ცენტრალურ ბანკს წარუდგინოს გადასახადის სახით სახაზინო ვექსილი, სახაზინო ვალდებულებები და ა. შ.

იტალიის ცენტრალური ბანკი ფლობს სახელმწიფო მონოპოლისტური რეგულირების იგივე ინსტრუმენტებს,

რომელსაც განვითარებაბული ეკონომიკური საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ცენტრალური ბანკები. ცენტრალურმა ბანკმა თავის თავზე აიღო სახელმწიფო სესხების ემისიის ნაწილი მათ საბოლოო რეალიზაციამდე და ამუშადა სახელმწიფო ქაღალდების მყარპროცენტთან კურსს ინარჩუნებს. თანამედროვე პირობებში იტალიის ცენტრალური ბანკის პოლიტიკა ცვლილებებს განიცდის ევროკავშირის ერთიანი ეკონომიკური ტენდენციების შესაბამისად.

რაც შეეხება კომერციულ ბანკებს, იტალიაში ფუნქციონირებს ბანკები, რომლებიც დაკავებულნი არიან მხოლოდ მოკლევადიანი ან მხოლოდ საშუალო და გრძელვადიანი კრედიტების გაცემით. განვითარებული ქვეყნების უმეტესობის მსგავსად, ამდაგვარი გამიჯვნა იტალიაში კანონმდებლობით იქნა შეტანილი 1929-1933 წ.წ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ. კრიზისამდე იტალიის მრავალი ბანკი, მოკლევადიანი ანაბრების საფუძველზე, საშუალო და გრძელვადიან კრედიტებს იძლეოდა, რამაც კრიზისის პერიოდში უმსხვილესი გაკოტრების ტალღა გამოიწვია და სიტუაცია არ დარეგულირდა სახელმწიფო ჩარევის გარეშე. თუმცა პრაქტიკაში მოკლევადიან, საშუალო და გრძელვადიან ოპერაციებს შორის გამიჯვნა არც ისე მკაცრია. იტალიის კომერციულ საბანკო სისტემაში ბოლო პერიოდში შეიმჩნევა უნივერსალიზაციის ტენდენცია.

კომერციული ბანკების სიტემის თანამედროვე სტრუქტურა ძლიერ დიფერენცირებულია და მისი კლასიფიკაციისათვის გამოიყენება მავალი სხვადასხვა კრიტერიუმი, რომელიც ასახვას პოულობს საბანკო სტატისტიკაში. ინსტიტუტებს შორის რომლებიც დასაქმებულნი არიან მოკლევადიანი კრედიტებით, გამოყოფენ შემდეგ 6 ძირითად ჯგუფს:

1. სახელმწიფო საკრედიტო ინსტიტუტები. ნაწილობრივ ეს ინსტიტუტები წარმოიქმნა ბანკებისაგან, რომელთაც 1926 წლამდე ცენტრალურ ბანკთან ერთად, ბანკოტების ემისიის უფლება ჰქონდათ და

ჩამოყალიბდნენ ან ფონდებისაგან, ან სახელმწიფო საწარმოებისაგან. ისინი ამჟამად ითვლებიან წმინდა სახელმწიფო კომერციულ ბანკებად, ესენია ექვსი „გროსბანკი“. „ბანკო ნაციონალე დელ ლაფორო“, „ბანკი დი ნაპოლი“, „ბანკო დი სიცილია“, „ინსტიტუტო ბანკაროო სან პაოლო დი ტურინო“, მონტე დეი პაში დი სიენა“, „ბანკო დი სარდინია“. პირველი სამი ბანკი გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, დასაველეთ ევროპის 40 უმსხვილესი ბანკების რიცხვში შედიოდა. გარდა ამ ექვსი ბანკისა, არსებობს აგრეთვე შედარებით უფრო მცირე ზომის სახელმწიფო ბანკებიც;

2. ეროვნული (ნაციონალური) ინტერესების ბანკი. ეს ჯგუფი მოიცავს უმსხვილესს სააქციო კომპანიებს, რომლებიც 30-ზე მეტ პროცენტს წარმოადგენს და რომელთაც თავიანთ განკარგულებაში აქვთ 800-ზე მეტი ფილიალი. ამ სააქციო ბანკებთან თანამშრომლობენ, ერთი მხრივ კერძო პირები და ინსტიტუტები, ხოლო მეორე მხრივ, საკონტროლო პაკეტის მფლობელი „ირი“. „ირი“ ითვლება სახელმწიფო კორპორაციად, რომლის აპიტალი სრულებით ეკუთვნის სახელმწიფოს. იგი შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და უნდა დაეფინანსებინა ეკონომიკის რეაბილიტაცია. რის მნიშვნელობა გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ;
3. არასახელმწიფო კომერციული ბანკები. გასული საუკუნის ბოლოს ასეთი ბანკების რაოდენობა დაახლოებით 150 იყო, რომელთაც 2600 განყოფილება და ფილიალი ჰქონდათ. ამ ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე 180 სახალხო ბანკი 2 000 განყოფილებით;
4. შემნახველი საღაროები. შემნახველი საღაროები წარმოადგენილი არიან 3200-ზე მეტი განყოფილებით, წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, რომლებიც იქმნებიან კოოპერატივების ან

- კორპორაციების მიერ. მათი საქმიანობა შეზღუდულია განსაზღვრული ტერიტორიებით;
5. სარეწაო და სასოფლო-სამეურნეო საღაროები. ის გამიზნულია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებისათვის;
  6. სპეციალიზებული საკრედიტო ინსტიტუტები. უმსხვილეს სახელმწიფო სპეციალიზებულ ინსტიტუტედ ითვლება „ინსტიტუტო მობილიარე იტალიანო“. იგი საინვესტიციო სესხებს უმეტესად სახელმწიფო საწარმოებს აძლევს. კერძო ინსტიტუტებს, რომლებიც საშუალო და გრძელვადიან კრედიტებს იძლევიან, სხვებთან ერთად ეკუთვნის „ეფიბანკა“, „მედიობანკა“, „ინტერბანკა“.

მრეწველობისა და სახელმწიფო დაწესებულებების ხანგრძლივი დაკრედიტების სპეციალიზებული ინსტიტუტები თავიანთი სახსრების 60%-ს ამ სახსრების ემისიის ხარჯზე პოულობენ და 15%-ს საშუალო ვადის დეპოზიტების ხარჯზე. იტალიის საბანკო საქმიანობისათვის დამახასიათებელია უზარმაზარი რიცხვი სპეციალური კრედიტებისა, მაგ: თევზჭერის, სამთოსამრეწველო, ტურისტული და ა. შ. კრედიტები. სგავს შემთხვევებში სახელმწიფო, ამ სპეციალური კრედიტების მიხედვით, პროცენტებზე სუფსიდიებს იძლევა სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების ფარგლებში. საქონლისა და მომსახურების ექსპორტი სტიმულირდება საშუალო და გრძელვადიანი კრედიტებით, რომელსაც სახელმწიფო გარანტია აქვს.

იტალიასთან, საფრანგეთთან და ინგლისთან შედარებით, საბანკო საქმე შვეიცარიაში შედარებით მოგვიანებით განვითარდა. XIX საუკუნის დასაწყისამდე საბანკო ოპერაციები ხორციელდებოდა კერძო პირების მიერ, რომელთა საქმიანობა ტრადიციულად დაკავშირებული იყო ვაჭრობასთან, მეწარმეობასთან, ტრანსპორტთან და როლებმაც მხოლოდ მოგვიანებით დაიწყეს საბანკო ოპერაციების დამხმარე სახის წარმოება. ამ პრაქტიკის ერთადერთი გამონაკლისი იყო უძველესი შვეიცარიული ბანკი – ე.წ. „საპროცენტო კომისია“, რომელიც 1755 წელს შეიქმნა, როგორც ციურიხის სახელმწიფო ბანკი. შემდეგ მისგან კერძო ინსტიტუტის სახით, წარმოიქმნა „ბანკ ლოი ი K ავ“, რომელიც ამჟამადც არსებობს უნივერსალური ბანკის სახით. ის ძირითად ყურადღებას უთმობს იპოთეკურ და სავაჭრო საბანკო ოპერაციებს. ცენტრალური ბანკის ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ე.წ. კანტონალური ბანკების ანუ შვეიცარიის ოლქების ბანკების დაფუძნება. პირველი ასეთი ბანკი ბერნში შეიქმნა 1834 წ. შემდგომ მისი მსგავსი ბანკების წარმოქმნა ყველგან დაიწყო.

შვეიცარიის ცენტრალური ბანკი, ცენტრალური ბანკის სახით შეიქმნა 1906 წელს. მან მიიღო ბანკნოტების გამოშვების და მიღების განსაკუთრებული უფლება და შეცვალა ადრე არსებული 36 კერძო და კანტონალური საემისიო ინსტიტუტი, რომლებიც აქამდე ავტონომიურად არეგულირებდა ქვეყნის ფულის მიმოქცევას. შვეიცარიის ნაციონალური ბანკი წარნოდგენს სააქციო საზოგადოებას, რომლის აქციები ბირჟაზე კოტირდება. მთავარ აქციონერებად ითვლებიან კანტონები, კანტონალური ბანკები და სხვა სახელმწიფო კორპორაციები. ამას გარდა აქციონერია კიდევ 4 ათასი კერძო პირი, რომელიც აუცილებლად

შვეიცარიის მოქალაქე უნდა იყოს. მათი ხმის უფლება შეზღუდულია 100 ხმით.

შვეიცარიის ნაციონალური ბანკის აქციონერთა რიცხვში არ შედის შვეიცარიის კონფედერაცია. ფედერალურ მთავრობას – ე.წ. ფედერალურ საბჭოს – არა აქვს ცენტრალური ბანკის კაპიტალში მონაწილეობა, მაგრამ ფართო საკანონმდებლო შესაძლებლობებს ფლობს, რაც საშუალებას აძლევს გაველენა იქონიოს ცენტრალურ ბანკზე. ფედერალურ საბჭოს უფლებაა დაასახელოს დირექტორის სამი წევრი და მათი მოადგილეები 6 წლის ვადით. ესაა უმაღლესი ოპერატიული ხელისუფლება. ფედერალური საბჭო ნიშნავს აგრეთვე განყოფილებების დირექციას. შვეიცარიის ნაციონალურ ბანკს ყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც აგრეთვე იწოდება საბანკო საბჭოდ. მისი 40 წევრიდან 25-ს ნიშნავს ფედერალური საბჭო, ხოლო დანარჩენ 15-ს აქციონერები ირჩევენ, თუმცა ფედერალური საბჭო ამტკიცებს შვეიცარიის ნაციონალური ბანკის წლიურ ფინანსურ ანგარიშს. ნაციონალური ბანკი, მის მიერ განხორციელებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში არ ემორჩილება ფედერალური საბჭოს გადაწყვეტილებებს. შვეიცარიის ნაციონალურ ბანკს აქვს ერთი განუმეორებელი თავისებურება: აქვს ორი სათაო კანტორა, ერთი დედაქალაქში – ბერნში, ხოლო მეორე – ფინანსურ მეტროპოლიაში – ციურიხში. ცურიხს ეკუთვნის მთავარი როლი, რადგან მასშია კონცენტრირებული ძირითადი განყოფილებები და ის ნიუ-იორკთან და ლონდონთან ერთად, ითვლება თანამედროვე მსოფლიოს ფინანსურ ცენტრად.

შვეიცარიას აქვს ყოველმხრივ მომზადებული კომერციული საბანკო აპარატი. მიმდინარე საუკუნის დასაწყისისათვის ადგილობრივ და უცხოურ ბანკებს შვეიცარიაში ქონდათ 6000-მდე ფილიალი, სააგენტო და ა, შ. სტატისტიკური მონაცემების თანახმად შვეიცარიის ყოველ 1200 მცხოვრებზე, ერთი საბანკო

საყრდენი წერტილი მოდის, შედეგად მსოფლიოში გამოირჩევა ყველაზე მაღალი საბანკო სიმჭიდროვით (საფინანსო ცენტრებისა და საგადასახადო ოაზისების გადა). ამ მხრივ ის შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო საფინანსო ცენტრად, რადგან შვეიცარიის ბანკების საბალანსო თანხა მეტად მნიშვნელოვანია (აღემატება 800 მლრდ შვეიცარულ ფრანკს) და დაახლოებით სამჯერ მეტია ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტზე. შვეიცარიის ბანკების საბალანსო თანხების ნახევარზე მეტი საზღვარგარეთულ ოპერაციებზე მოდის. მაღალი საბანკო სიმჭიდროვე ჩამოყალიბდა იმის საფუძველზე, რომ სახვა ქვეყნებთან შედარებით აქ ყოველთვის იყო ყველაზე რბილი ადმინისტრაციული შეზღუდვები კომერციული ბანკების გახსნაზე ქვეყნის ფარგლებში.

გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ფაქტორი, რომ შვეიცარიაში მხარს უჭერენ უნივერსალობის პრონციპს. იმ დროს, როცა მრავალ ქვეყანაში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის (1929-1932 წ.წ.) შედეგად, კანონმდებლოთ გამოიყო დეპოზიტური სასესხო ოპერაციები ინვესტიციურისაგან, შვეიცარიაში ცვლილებების გარეშე დარჩა საბანკო საქმიანობის უნივერსალურობის ტრადიციული პრინციპი, რომლის მსგავსი პრაქტიკულად მხოლოდ, გერმანიაში თუ გამოიყენება. ის საშუალებას იძლევა კლიენტებს წარუდგინოს შეუზღუდავი საბანკო მომსახურება, ხოლო ბანკებისათვის უზრუნველყოს შემოქმედების სივრცე, კრედიტების დიფერენციალური მიცემისა და საგადასახადო ბრუნვის ყოველსმომცველი მომსახურებისათვის, აგრეთვე ყველა საბანკო მოთხოვნის პრაქტიკული დაკმაყოფილებისათვის ფულადი სახსრების უზარმაზარი რეზერვის შექმნით.

შვეიცარიაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბანკო საიდუმლოებას. მისი შეუსრულებლობა ისჯება ფულადი ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთან კავშირში, შვეიცარიაში

ფართო გავრცელება ჰპოვა ნომერულმა ანგარიშმა. შვეიცარიელი საბანკო ექსპერტების აზრით ნომერული ანგარიშების ათეული წლის პრაქტიკის განმავლობაში, ანგარიშების მოცემული სახე ეხსნებოდათ მხოლოდ დადგენილი წარმოშობის პირებს და ცნობილ სახელებს, თუნდაც ისინი ბანკის მუშაკთა გარკვეული რიცხვისთვის ცნობილი ყოფილყვნენ. ნომერული ანგარიშების პრაქტიკული გამოყენება ხორციელდება ინკოგნიტოდ, ე.ი. რიცხვითი კომინაციის ან კოდის საშუალებით. მისი მიხედვით ხდება ფულის მოხსნა და დარიცხვა ანგარიშზე. შვეიცარული გაგებით, ნომერული ანგარიში არ ითვლება ანონიმურად, ეს მხოლოდ საიდუმლოების უმაღლესი ფორმაა.

რაც შეეხება საბანკო საიდუმლოებას, შვეიცარიის ბანკირები თვლიან, რომ ის არააბსოლიტურია. მაგ.: შვეიცარიაში, განსაზღვრულ შემთხვევებში, გათვალისწინებულია სამოქალაქო, საოჯახო, მემკვიდრეობითი და საკონკურსო (ე.ი. შეჯიბრებადობის ან იურიდიული პირების ხელმოკლეობის) უფლებების საბანკო საიდუმლოება. სისხლის სამართალში ე.წ. ვალდებულებას – მისცეს ჩვენებები – წინ უსწრებს საიდუმლოების ვალდებულება. შვეიცარიის ბანკების ხელისუფლება სავალუტო და საგადასახადო დარღვევების გამოვლენისას სხვა ორგანოებთან, ყველა სამართლებრივი შეთანხმების მიუხედავად, ძიებას არაავითარ იურიდიულ დახმარებას არ აძლევს (უნდა აღინინოს, რომ ბოლო პერიოდში შვეიცარიის ბანკებმა დაიწყეს ნაწილობრივი თანამშრომლობა ინტერნაციონალურ პოლიციასთან).

შვეიცარიის საბანკო სისტემა განასხვავებს კომერციულ ბანკების ხუთ ძირითად ჯგუფს:

1. კანტონალური ბანკები. ესაა შვეიცარიის საბანკო სისტემის საბანკო სპეციფიკურობა. კანტონალური ბანკები სამართლებრივი კუთხით სახელმწიფოდ ითვლება, მაგრამ იქმნება ფედერაციის ან კანტონების მიერ. ისინი თავიდანვე სახელმწიფოს საკუთრებაში იმყოფებიან და არასოდეს არ ყოფილან კერძო ბანკები.



ყველა შვეიცარული ბანკის საერთო საბალანსო თანხიდან კანტონალურ ბანკებზე მოდის დაახლოებით 18-20%. ამ მაჩვენებლით ისინი მეორე ადგილზე იმყოფებიან.

კანტონალური ბანკების საქმიანობა შეზღუდულია კანტონებით და მათ აკრძალული აქვთ საზღვარგარეთული ოპერაციები, საქმიანობის მთავარ სფეროდ ითვლება შემნახველი ოპერაციები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის და მცირე ბიზნესის დაკრედიტება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კანტონალურმა ბანკებმა შეძლეს თავიანთი ოპერაციების დიაპაზონის გაფართოება, მონაწილეობა დაიწყო ფასიანი ქაღალდების ვაჭრობაში და ამჟამად ეკუთვნიან უცხოური სესხების შვეიცარიელი ბანკების ემისიურ კარტელს.

2. გროსბანკები (უმსხვილესი ბანკები). გროსბანკებისათვის ტიპიურია მაღალი აქტივობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთაც. სწორედ მათი საშუალებით გადაიქცა შვეიცარია საერთაშორისო საფინანსო ცენტრად. ამჟამად წამყვან გროსბანკებს მიეკუთვნება: შვეიცარიურ ბანკგერაინ, შვეიცარიულ ბანკგეზელშაფტ, შვეიცარიულ ფოლკსბანკ, ლეუ ენდ K0 და სხვ.

3. რეგიონალური ბანკები. შემნახველი საღაროები. ამ ინსტიტუტების საქმიანობა შეზღუდულია განსაზღვრული ტერიტორიის ჩარჩოებით. ისინი აფინანსებენ, პირველ ყოვლისა, მცირე და საშუალო ინსტიტუტებს, იძლევიან იპოთეკურ კრედიტებს და საქმიანობენ შემნახველი ოპერაციებით.

4. სასესხო კავშირები და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები. ეს ინსტიტუტები აგროვებენ ქვეყნის სოფლის მოსახლეობის დანაზოგებს და კრედიტებს აძლევენ სასოფლო სამეურნეო საწარმოებს, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და კორპორაციებს. მათ სათაო განყოფილებად ითვლება

სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების შვეიცარიული კავშირის ცენტრალური ბანკი.

5. სხვა ბანკები. ეს არაერთგვაროვანი ჯგუფია, რომლის წილი შვეიცარიის ბანკების საერთო საბალანსო თანხაში ბოლო პერიოდში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამ მატების ძირითადი ნაწილი უზრუნველყო, პირველ ყოვლისა, სამომხმარებლო კრედიტის ბანკებმა.

შვეიცარიის ეკონომიკურმა სტრუქტურამ განაპირობა ამ ქვეყნის საგანგებო მტკიცე მდგომარეობა საგარეო ვაჭრობის სფეროში. ამ მიზეზით ექსპორტის დაფინანსება უკვე მრავალი წელია გადამწყვეტ როლს ასრულებს მსხვილი და საშუალო ბანკებისათვის, ბოლო ათწლეულში საზღვარგარეთული ინვესტირების ფარგლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა კრედიტის ვადა (10 და მეტი წლით), გაიზარდა აგრეთვე ამ კრედიტების წილი საგარეო ოპერაციებში (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაიზარდა ფინანსური რისკი).

ექსპორტის დაფინანსების განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ შვეიცარიის ბანკები, როგორც წესი, აკრედიტებენ არა ექსპორტიორებს, არამედ უცხოელ მყიდველებს. ასეთი კრედიტი გაცემული ავანსის ფორმით, მიზნობრივად ითვლება და შეიძლება გამოყენებული იქნეს უცხოელი კლიენტების მიერ მხოლოდ განსაზღვრული იმპორტის ასანაზღაურებლად.

განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემებთან შედარებით აშშ საბანკო სისტემა რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რომელიც ვლინდება, როგორც ცენტრალური ასევე კომერციული ბანკების საქმიანობაში. აშშ საბანკო საქმე წარმოიქმნა დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტიდან (1776 წ.). ამ დროიდან არსებობს საკუთრივ აშშ ვალუტა – დოლარი. 1781 წ. აშშ სცადა ცენტრალური ბანკის დაფუძნება – ჩრდილო-ამერიკის ბანკის, რომელმაც სულ რამოდენიმე წელი იარსება. 1791 წ. შეიქმნა ახალი ბანკი – აშშ პირველი ბანკი, ინგლისური ბანკის ნიმუშის მიხედვით, რომელმაც მიიღო კონგრესის უფლება-მოსილება 20 წლით. მისი ფუნქციონირების დასაწყისიდან დაიწყო გაცხარებული კამათი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთის სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენელთა და მიწათმოქმედებს და სამხრეთ შტატების წარჩინებულებს შორის. კონცესიის ვადის დასრულების შემდეგ 1811 წ. აშშ პირველმა ბანკმა მოქმედება შეწყვიტა. ამისათვის მრავალი მიზეზი არსებობდა. 1812-1814 წწ. ომმა შეაჩერა კაპიტალიზმის განვითარება და გააძლიერა ცენტრალური ბანკის დაფუძნების მომხრეთა პოზიციები. მთავრობის გადაწყვეტილებით 1816 წ. შეიქმნა აშშ მეორე ბანკი 20 წლის კონცესიით, პირველი ნაციონალური ბანკის ორგანიზაციის მსგავსად. მან ისეთივე ფუნქციები მიიღო: ფედერალური მთავრობის დაკრედიტება, სამთავრობო პოლიტიკის გატარება გადასახადების აკრეფისას, ობლიგაციების გაყიდვისას, თავისი კაპიტალის ფარგლებში ბანკნოტების ემისიისას და სხვა ბანკების მიერ ბანკნოტების გამოშვებისას, კონტროლი დეპოზიტურ ოპერაციებზე და მრეწველობისა და ვაჭრობის დაკრედიტება. ბანკი სრული გაგებით ცენტრალურ ბანკად არ ითვლებოდა, რადგან

კომერციული ბანკის რიგ ფუნქციებს ასრულებდა, რის შედეგადაც მკაცრი კრიტიკის ქვეშ მოექცა და 1836 წელს კონცესია არ გაგრძელდა.

ამის შემდეგ დადგა ე.წ. საბანკო ანარქიზმის პერიოდი, რომელიც სამოქალაქო ომის (1861-1865 წწ.) ბოლომდე გაგრძელდა. ამ პერიოდში მრავალი ბანკი გამოჩნდა, რომლებიც ბანკნოტების ემისიას ახორციელებდა. მიმოქცევაში დაგროვდა დაუბალანსებელი ფულის უზარმაზარი მასა. დიდი გაერცვლება მიიღო ფულადი ნიშნების გაყალბებამ. არსებული შეფასებით 1860 წ. მიმოქცევაში არსებული თანხების ნახევარზე მეტი ყალბი აღმოჩნდა. 1861 წ. მიმოქცევაში იყო დაახლოებით 7 ათასი სხვადასხვა ბანკნოტა. ცალკეულ შტატში საბანკო საქმე თავისებურად რეგულირდებოდა. სამოქალაქო ომის პირობებში, მოიპოვა რა პოლიტიკური ძალა, არსებობისათვის ბრძოლაში გაიმარჯვა სამრეწველო კაპიტალმა. 1863 წელს მიღებული იქნა უმნიშვნელობანკის კანონი – ნაციონალური საბანკო აქტი, რომელმაც ბოლო მოუღო საბანკო ანარქიას. 1865 წ. კანონით დადგინდა, რომ შტატების ბანკებს, ფულადი ემისიის წარმოების გამო უნდა გადაეხადათ 10%. ამის შედეგად მათ უარი თქვეს ემისიაზე, რამაც ერთიანი ამერიკული ვალუტის წარმოშობა გამოიწვია.

შემდგომ ათწლეულში საბანკო საქმეში საერთოდ ძალზედ გაიზარდა კონცენტრაციის ხარისხი და მომწიფდა აუცილებლობა საბანკო სტრუქტურის სწრაფად ცვლად სინამდვილესთან შესაგუებლად. განსაკუთრებით იგრძნობოდა ცენტრალური ბანკის უქონლობა, რომელსაც შეეძლო კომერციული ბანკების სისტემური რეფინანსირების უზრუნველყოფა და ფულადი მიმოქცევის რეგულირებაში მთავრობისადმი დახმარების აღმოჩენა მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოდ. უმსხვილესი კრიზისი 1907-1908 წწ. აშშ ცენტრალური ბანკის შექმნის ახალი ცდების სტიმულს იძლეოდა. ხანგრძლივი სამუშაოების

შემდეგ 1913 წ. გამოვიდა კანონი ცენტრალური ბანკის შექმნის შესახებ, რომელიც ცნობილია, როგორც ფედერალური სარეზერვო აქტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ფედერალურ სარეზერვო სისტემას (ფსს).

სხვა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებთან შედარებით დაგვიანებული ცენტრალური ბანკის თავისებური ორგანიზაციული სტრუქტურის დაწესებამ, განსაზღვრა აშშ ეკონომიკური და პოლიტიკური განსაკუთრებულობები.

ფსს ფედერალური სარეზერვო სისტემის შესახებ მრავალჯერად დაზუსტებული კანონისა და 1980 წ. მიღებული დეპოზიტური დაწესებულებებისა და მონეტარული კონტროლის (DIDMCA) დარეგულირების შესახებ კანონის ზემოქმედების ქვეშ ჩამოყალიბდა აშშ ფულადი დასაბანკო სისტემის ღერძს – ფსს მმართველთა საბჭო წარმოადგენს, საბჭოს შეიდი წევრი კონგრესის თანხმობით აშშ-ის პრეზიდენტის მიერ ინიშნება. მათი უფლებამოსილების ვადები 14 წლის ხანგრძლივობით უდგინდებათ, მაგრამ ამასთან, ყოველი ორი წლის შემდეგ საბჭოს ერთი წევრი იცვლება. ეს იმისათვის კეთდება, რომ საბჭოს თანმიმდევრული მოქმედების შესაძლებლობა მიეცა, კომპეტენტური წევრები ჰყავდეს, იყოს დამოუკიდებელი და ავტონომიურობით სარგებლობდეს. საბჭოს შემადგენლობის დანიშნას და არა არჩევას საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მმართველი პარტიის პოლიტიკისაგან გამოცალკევების მიზანი აქვს.

საბანკო პოლიტიკის საფუძვლების ფორმირებაში მმართველთა საბჭოს ორი მნიშვნელოვანი ორგანო ეხმარება: ღია ბაზრის კომიტეტი და ფედერალური საკონსულტაციო საბჭო.

ღია ბაზრის კომიტეტი 7 წევრისაგან და 5 პრეზიდენტისაგან შედგება. იგი ღია ბაზარზე სახელმწიფო ობლიგაციების შესყიდვებისა და გაყიდვების სფეროში ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკას განსაზღვრავს. აღნიშნული ოპერაციები თავისთავად

ფულად-საკრედიტო დაწესებულებების ხელმძღვანელების ფულის მიწოდებაზე ზემოქმედების მეტად მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს.

ფედერალური საკონსულტაციო საბჭო – კომერციული ბანკების 12 გამორჩეული ხელმძღვანელისაგან შედგება, რომელთაგან ყოველწლიურად 12 ფედერალური სარეზერვო ბანკიდან თითო აირჩევა. საბჭო პერიოდულად ახორციელებს მმართველთა საბჭოსთან შეხვედრებს და საბანკო პოლიტიკის შესახებ თავის მოსაზრებებს გამოთქვამს. მაგრამ საბჭო სუფთა საკონსულტაციო ორგანოა, მას პოლიტიკის ფორმირებისათვის უფლებამოსილებები არ გააჩნია.

ფედერალური სარეზერვო სისტემა – დამოუკიდებელი ორგანიზაციაა. მისი პრეზიდენტის სურვილით გაუქმება შეუძლებელია.. ასევე არც კონგრესს არ შეუძლია მისი როლი და ფუნქციები სხვაგვარად შეცვალოს, რაც სპეციალური საკანონმდებლო აქტით არის დადგენილი. საბჭოს წევრების უფლებამოსილებების ვადების ხანგრძლივობას მათი პოლიტიკური ზეწოლისაგან დაცვისა და იზოლირების მიზანი გააჩნია.

აშშ საბანკო სისტემის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია – თორმეტი ფედერალური სარეზერვო ბანკი, რომლებიც წარმოადგენენ:

- ა) ცენტრალურ ბანკებს;
- ბ) კვაზისაზოგადოებრივ ბანკებს;
- გ) ბანკების ბანკს.

ამრიგად აშშ-ში თორმეტი ცენტრალური ბანკია. აღნიშნული ამ ქვეყანაში გეოგრაფიულ მაშტაბებს, ეკონომიკურ მრავალფეროვნებას და კომერციული ბანკების დიდი რაოდენობის არსებობას განასახიერებს. სწორედ ცენტრალური ბანკების მეშვეობით ხორციელდება მმართველთა საბჭოს მიერ ძირითადი პოლიტიკური ღირექტივების განხორციელება. ყველაზე მნიშვნელოვანს მათ შორის ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკი წარმოადგენს.

თორმეტი ფედერალური სარეზერვო ბანკი კვაზისაზოგადოებრივს წარმოადგენს. ისინი ასახავენ კერძო საკუთრებისა და საზოგადოებრივი კონტროლის სიმბიოზს. მათი მესაკუთრებია – შესაბამისი შტატების კომერციული ბანკები. ფსს-ში შესვლისთანავე კომერციული ბანკები ვალდებული არიან თავიანთი რაიონების ფედერალური სარეზერვო სისტემის სააქციო კაპიტალში მონაწილეობის უფლება შეიძინონ. პოლიტიკის პრინციპები, რომელსაც ფედერალური სარეზერვო ბანკები ახორციელებენ – სახელმწიფო ორგანოს – მმართველთა საბჭოს მიერ დგინდება. ამერიკული ეკონომიკის ცენტრალური ბანკები კერძო საკუთრებაში იმყოფებიან, მაგრამ ისინი სახელმწიფოს მიერ იმართება. ისინი ხელმძღვანელობენ არა მოგების მიღებისაკენ მისწრაფებით, არამედ ისეთი პოლიტიკის განხორციელებით, რომელიც მმართველთა საბჭოს თვალსაზრისით მთლიანობაში ეკონომიკის მდგომარეობას გააუმჯობესებს.

ამასთან ფედერალურ სარეზერვო ბანკებს აქვთ ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელსაც არ ასრულებენ კომერციული ბანკები და საშემნახველო დაწესებულებები: ნაღდი ფულის გამოშვება. ონგრესმა მათ ფედერალური სარეზერვო ბანკის ბანკნოტების მიმოქცევაში გაშვების უფლებმოსილება მიანიჭა, რითაც ეკონომიკაში ქალაქის ფულის მიწოდებას ახორციელებენ.

აშშ-ის კომერციული ბანკები კლასიფიკაციის მიხედვით სხვადასხვანაირად იყოფა. ერთ ვარიანტად ითვლება ნაციონალური და შტატების ბანკების განცალკევება. ნაციონალური ბანკები – ეს არის ბანკები, რომლებმაც აშშ ხელისუფლების ლიცენზია მიიღეს, ხოლო შტატების ბანკები, რომლებმაც ამ შტატების ხელისუფლების ლიცენზია მიიღეს. ასეთ დაყოფას ისტორიული წინაპირობა აქვს. ის დაკავშირებულია იმასთან, რომ დასავლეთ ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, აშშ-ში პრაქტიკულად არ

არსებობს ფილიალური სისტემა. აშშ-სთვის ტიპიურია, რომ ბანკები შეზღუდულია შტატების ფარგლებით. აშშ-ში ფილიალების დაფუძნების შესაძლებლობები მთელ ტერიტორიაზე შეზღუდულია. ბანკებს შეუძლიათ გახსნან ფილიალები, მხოლოდ შტატების ფარგლებში, სადაც მათი სათაო ბანკი იმყოფება, თანაც თითოეულ შტატში ფილიალის დაფუძნების წესი თავისუფალია. ერთი შტატი ნებას რთავს ახალი საბანკო ფილიალების გახსნას მთელ ტერიტორიაზე – სხვები ადგენენ სხვადასხვა შეზღუდვებს, მესამე – ამას საერთოდ კრძალავს.

ცალკეული შტატის ბანკებს შესაძლებობა აქვს გაერთიანდნენ ძველი დასახელებისა და სამართლებრივი სტატუსის შენარჩუნებით. ამიტომ პრაქტიკულად შესაძლო ხდება მრავალ შტატში ფილიალების ქსელის არსებობა. აშშ საბანკო პრაქტიკაში გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან გამოჩნდა ე.წ. ერთი ქსელის ბანკები და საბანკო ჯგუფები. ასეთი წარმონაქმნების საფუძველად ითვლება ახალი ინსტიტუტის დაფუძნება რომელიც თვითონ არ ითვლება ბანკად, მაგრამ რომელსაც ეკონომიკურად ემორჩილება მრავალი ბანკი. თუ ინსტიტუტის როლში ცალკეული პირი ან პირთა ჯგუფი გამოდის, მაშინ ასეთი ინსტიტუტები ერთი ქსელის ბანკად იწოდება. ეს სახე ჭარბობს ცენტრალურ დასავლეთში. დიდი მნიშვნელობა აქვს საბანკო ჯგუფებს. მათ ქმნიან ინსტიტუტები, რომელთაც თავის ხელში მოაქციეს სხვადასხვა შტატების ცალკეული ბანკების აქციები. ისინი იწოდებიან საბანკო ჰოლდინგებად. ეს სააქციო საზოგადოება ფლობს ერთი ან რამდენიმე ბანკის აქციების მინიმუმ 25 %-ს და შეუძლია ამ უკანასკნელთა წარმართვა საჭირო მიმართულებით. ამჯერად საბანკო ჰოლდინგები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ამერიკულ საბანკო საქმეზე ისე, რომ ფორმალურად არც კი ხსნიან შტატებში ფილიალებს. ისინი აშშ-ში ჯერ კიდევ



გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან გამოჩნდნენ, მაგრამ გაელენა გაძლიერდა 60-იანი წლებიდან.

ამერიკული კომერციული საბანკო სისტემას კიდევ ერთი თავისბურება ახასიათებს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომელთათვისაც უმრავლეს შემთხვევაში ტიპურია უნივერსალიზაცია, აშშ-ში არსებობს ბანკების ზუსტი სპეციალიზაცია. ამერიკული ბანკების უმეტესობა კომერციულია. ისინი შეადგენენ ამერიკული საბანკო სისტემის ცენტრს. მათ მიეკუთვნება ბანკი - გიგანტები.

პერაციები ფასიან ქალაქებზე შეზღუდულია ფულადი ბაზრის ქალაქებით და სახელმწიფო სესხებით. კომერციული ბანკები ფართო მასშტაბით ახორციელებენ ფასიანი ქალაქების ემისიას, თუმცა მათი შემოწმება მკაცრად აკრძალულია.

ბანკების შემდგომ ჯგუფს შეადგენს საინვესტიციო ბანკები. ისინი საქმიანობენ საკუთარი და საკრედიტო ინსტიტუტების სახსრების დაბანდებაზე ფასიან ქალაქებში. ინვესტიციური ბანკების წარმოშობა დაკავშირებულია იმასთან, რომ 1929-1933 წწ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს უზარმაზარი რიცხვის გაბანკროტების შედეგად, 1933 წ. საბანკო აქტით დეპოზიტური სასესხო ოპერაციები გამოიყო ინვესტიციურისაგან. საინვესტიციო ბანკები უფრო შუალედურ კომპანიებს წარმოადგენენ მეწარმეებს შორის, რომლებიც ხანგრძლივი დაბანდებისათვის სახსრების უკმარისობას განიცდიან, და მეწარმეებს სორის ხანგრძლივი ვადით. ისინი მონაწილეობენ აგრეთვე საწარმოების დაფუძნებაში, შერწყმაში, გაფართოებაში, უშეგებენ ამ უკანასკნელთა აქციებს და სთავაზობენ მას მესამე მხარეს, ან თვითონ ყიდულობენ.

ბანკებისა და საბანკო ინსტიტუტების კიდევ ერთ ჯგუფად ითვლება საინვესტიციო ტრესტები, რომლებიც აშშ-ში გამოჩნდა გასული საუკუნის ბოლოს. ისინი იძლევიან სერთიფიკატებს, ყიდულობენ რა ამგვარად განსაზღვრული საწარმოების მიერ

აქციებით მიღებულ სახსრებს ან მყარპროცენტუიან ფასიან ფაღალღებს. საინვესტიციო ტრესტები აშშ-ში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ოპერაციებში ფასიან ქაღალღებზე.

საბანკო ჯგუფის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაწილად ითვლება შემნახველი ბანკები (შემნახველი საღაროები). ისინი ორი სახისაა:

1. სასესხო შემნახველი ასოციაციები, რომლებიც იქმნება სააქციო საზოგადოებების ფორმით და მუშაობენ მხოლოდ, როგორც კომერციული ბანკები (ღებულობენ ვადიან და უვადო ანაბრებს, მეანაბრებს აძღვევენ საჩუკო წიგნაკებს და იძღვევიან კრედიტებს);

2. ურთიერთშემნახველი ბანკები, ე.ი. ამხანაგური შემნახველი საღაროები, რომლებიც მუშაობენ საკუთარი გადაუხდელი კაპიტალის გარეშე. ისინი ფლობენ თავიანთი წევრების რეზერვებს და ღებულობენ მხოლოდ გრძელვადიან ანაბრებს.

### 3.4. იაპონიის საბანკო სისტემა

იაპონიას, განვითარებულ ქვეყნებს შორის აქვს ერთ-ერთი ახალგაზრდა საბანკო კანონმდებლობა, რომელიც აგებულია ამერიკული ნიმუშის მიხედვით. შედარებით მნიშვნელოვნად იგი განვითარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თანამედროვე ტიპის პირველი ბანკები იაპონიაში გაჩნდა 1872 . კერძო „ნაციონალური ბანკების“ სახით. როგორც კომერციულ ბანკებს, მათ ფილიალები ჰქონდათ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე და ბანკოტების ემისიის უფლებას ფლობდნენ. ამ პერიოდისათვის დაახლოებით 150 ასეთი ბანკი ითვლებოდა. „ნაციონალური ბანკები“ ინტენსიურად უშვებდნენ არაკონვერტირებულ ბანკოტებს და ამით ხელს უწყობდნენ ინფლაციის განვითარებას, რომელიც საწარმოო ძალების განვითარების მუხრუჭებად ითვლება. ამ პერიოდში აუცილებელი ხდებოდა იაპონიის ცენტრალური ბანკის შექმნა.

იაპონიის ცენტრალური ბანკი შეიქმნა 1882 წ. 30 წლის ვადით. შემდეგ ეს დრო გაგრძელდა კიდევ 30 წლით. ბანკს მიეცა ბანკოტების ემისიის მონოპოლური უფლება. ადრე არსებულ „ნაციონალურ ბანკებს“ უნდა შეეწყვიტათ ბანკოტების ემისია და თანდათან ამოეღოთ მიმოქცევაში არსებული ბანკოტები. იაპონიის ბანკების მიერ 1895 წ. გამოშვებული ბანკოტები ვერცხლის მონეტებზე იცვლებოდა. სხვა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მიბაძვით 1897 წ. იაპონიამ დაადგინა ოქროს სტანდარტი. ეს პირველ ყოვლისა ხელს უწყობდა იაპონიის საგარეო ვაჭრობის განვითარებას. 1917 წ., როცა აშშ-მა საბოლოოდ შეწყვიტა ბანკოტების ოქროთი უზრუნველყოფა, იაპონიამაც მსგავსი ღონისძიებები გაატარა. 1930-1931 წწ. ისევ გაჩნდა იაპონიის ბანკოტების ოქროზე გაცვლის შესაძლებლობა. მსოფლიო ეკონომ-

მიკური კრიზისის (1929-1932 წწ.) პიკის პერიოდში იაპონიამ საბოლოოდ გააუქმა ოქროს სტანდარტი.

იაპონიის ბანკის ფუნქციები განსაზღვრულია 1942 წ. სპეციალური კანონით, რომელიც 1979 წ. რამდენადმე მოდერნოზებული იქნა. ბოლო მოელო ცენტრალური ბანკის უფლებამოსილებათა ვადების დანიშვნას და ამ უკანასკნელმა უვადო სტატუსი მიიღო. ბანკის ძირითადი კაპიტალი განისაზღვრა 100 მლნ იენის სიდიდით, რომლის 55 % სახელმწიფოს და 45% კერძო აქციონერებს (კერძო პირებს, საფინანსო ინსტიტუტებს, სადაზღვევო კომპანიებს) ეკუთვნოდა. აქციონერებს გარანტირებული ჰქონდათ დივიდენდი 4% მოცულობით, რომელიც ბანკის მაღალი მოგების შემთხვევაში შესაძლოა გაზრდილიყო 5%-მდე. მოგების დანარჩენი ნაწილი შედიოდა სახელმწიფო ბიუჯეტში.

იაპონიის ბანკის სათავეში დგას პოლიტიკური საბჭო (საბანკო საბჭოს სახე), მასში შედის 7 წევრი: იაპონიის ბანკის მმართველი, მთავრობის მიერ უფლებამოსილი ფინანსთა მინისტრი, მთავრობის მიერ უფლებამოსილი - საგეგმო ეკონომიკური სამმართველოს წარმომადგენელი და 4 წარმომადგენელი უმსხვილესი ბანკების, სავაჭრო და სამრეწველო მონოპოლიების. ეს უკანასკნელები ინიშნებიან მთავრობის მიერ 4 წლით. პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე ითვლება ბანკის მმართველად. გადაწყვეტილებები მიიღება ხმების მარტივი უმრავლესობით. ამასთან მთავრობის ორივე უფლებამოსილს ხმის უფლება არა აქვს, ასე რომ იაპონიის ბანკის ყველა დადგენილებაზე ძირითადად გავლენას ახდენენ მსხვილი ბანკების წარმომადგენლები. კანონი ავალდებულებს პოლიტიკურ საბჭოს, მჭიდროდ ითანამშრომლოს ფინანსთა სამინისტროსთან და კონსულტაცია მიიღოს განსაზღვრულ საკითხებზე მინისტრათა საბჭოს შესაბამის კომისიასთან.

იაპონიის ბანკის ფუნქციები ძირითადად შეესაბამება სხვადასხვა ქვეყნების მსგავსი ბანკების ფუნ-

ქციებს, მაგრამ მათ ზოგიერთი განსაკუთრებულობა აქვთ. მაგ., იაპონიის ბანკს მონოპოლია აქვს ბანკნოტების ემისიაზე. ემისიის მოცულობა დგინდება ფინანსთა სამინისტროს მიერ მთავრობასთან შეთანხმებით. იაპონიის ბანკს უფლება აქვს (თუ იგი ამს საჭიროდ ჩათვლის) გამოუშვას ბანკნოტები დადგენილი ლიმიტის ზევით, რისთვისაც იგი ემისიურ პროცენს იხდის ამ აქციების შედეგად მიღებული წლიური მოგების 3%-ის ოდენობით.

ბანკნოტების ემისია ავალდებულებს იაპონიის ბანკს ჰქონდეს რეზერვები, რომლებიც პირველ ყოვლისა, შედგება კომერციული ვექსილდისაგან, ყველა სახის სახელმწიფო ქაღალდებისაგან, უცხოური ვალუტისაგან, აგრეთვე ოქროსა და ვერცხლის მარაგებისაგან. უცხოური ვალუტა, ოქროსა და ვერცხლის მარაგები სავალდებულო არ არის. ამიტომ რეზერვების ძირითად მარაგს შეადგენს კომერციული ვექსილები და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

იაპონიის საბანკო საქმის კონცენტრაციამ კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების შედეგად, განსაკუთრებით გასული საუკუნის მეორე ნახევარში მაღალ დონეს მიაღწია. ამას გარდა იაპონიაში არსებობდა მთელი რიგი საფინანსო ინსტიტუტებისა, რომლებიც კომერციული ბანკების ტიპურ ცალკეულ ოპერაციებს ახორციელებდნენ.

იაპონიის საბანკო სექტორში წამყვან როლს საქალაქო ბანკები ასრულებდნენ, რომელთა წილი საერთო ანაბრებში მუდმივად იზრდება. ეს მსხვილი ბანკები წამყვან როლს ასრულებენ დაკრედიტებაშიც, უპირატესად აკრედიტებენ სამრეწველო კონცერნებს, თანაც როგორც წესი, ყოველი ცალკეული კრედიტის სიდიდე 100 მლნ იენს აღემატება, რომელიც ზოგჯერ ბანკის საკუთარი კაპიტალის 20-30 % შეადგენს. საქალაქო ბანკებზე მიდის იაპონიის ბანკების საზღვარგარეთული ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი.

იაპონიის საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად ცალკეული კრედიტების მაქსიმალური სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკუთარი კაპიტალის 40 %-ს. იაპონიის საქალაქო ბანკები უნივერსალურად არ ითვლება.

რეგიონალურ ბანკებს საქალაქოსაგან განსხვავებით ოპერაციების მცირე მოცულობა აქვთ. ისინი შეზღუდულია პრეფექტურების ჩარჩოებით. რეგიონული ბანკები ახორციელებენ, პირველ ყოვლისა მცირე და საშუალო საწარმოების დაკრედიტებას და ნაწილობრივ ღეულობენ შემნახველ ანაბრებს. ისინი მონაწილეობენ საზღვარგარეთულ ოპერაციებშიც. აქვთ ფილიალები და წარმომადგენლობა საზღვარგარეშ.

ამჟამად იაპონიაში გრძელვადიანი დაკრედიტების სამი მსხვილი ბანკი ირიცხება „ინდუსტრიალ ბანკ ოფ ჯაპენ“, „დორგ-ტერმ კრედიტ ბენკ ოფ ჯაპენ“ და „ნიპონ კრედიტ ბენკ“. ისინი დაფუძნებული იქნა 1952 წლის სპეციალური კანონით. პირველმა ორმა ბანკმა თავის საქმიანობით თავი მოიყარა უმსხვილეს საწარმოებში. „ნიპონ კრედიტ ბენკ“ წარმოადგენს იპოთეკურ ბანკს, რომელიც სპეციალიზებულია მცირე და საშუალო საწარმოების ოპერაციებზე.

ზემოთ განხილული ბანკების ტიპებს გარდა იაპონიაში ფუნქციონირებს „სხვა საფინანსო ინსტიტუტები“, რომლებიც ნაწილობრივ საბანკო ფუნქციებს ახორციელებენ. საფინანსო ინსტიტუტები შეიძლება იყოს კერძო და სახელმწიფო, მრავალრიცხოვანი განყოფილებებითა და მათ გარეშე. ყველა ეს ბანკის მსგავსი ინსტიტუტებია, რომლებიც მცირე საწარმოებს, აგრეთვე მუშებსა და მოსამსახურეებს ლოკალურ კრედიტებს აძლევენ, ღებულობენ თავიანთი წევრების ანაბრებს და არაწევრების შემნახველ ანაბრებს.

იაპონიაში ასევე ფუნქციონირებს მრავალი საფინანსო სახელმწიფო ინსტიტუტი, სადაც სახელმწიფო წარმოდგენილია მაღალი წილობრივი მონაწილეობით (50 % და მეტი). ცნობილ სახელმწიფო ბანკებად

ითვლება იაპონიის განვითარების ბანკი და იაპონიის ექსპორტ-იმპორტის ბანკი. პირველი მათგანი შეიქმნა 1951 წ. იგი იძლევა ხანგრძლივ კრედიტებს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის განვითარებისათვის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიის მსხვილი კაპიტალის რეორგანიზაციისას ის წამყვან როლს თამაშობს. როგორც სახელმწიფო ბანკი, იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფო-მონოპოლისტურ რეგულირებაში. ექსპორტ-იმპორტის ბანკი შეიქმნა 1950 წ. მისი პირველადი ფუნქცია იყო მხოლოდ მზა სასაქონლო პროდუქციის დაფინანსება. ამჟამად იგი უფრომ მეტად აფინანსებს მოწყობილობების ექსპორტს და ტექნიკურ დახმარებას, აგრეთვე გარანტიას იძლევა საგარეო ვაჭრობაში სხვადასხვა ფინანსურ ვალდებულებებზე. ნაციონალური მეწარმეები კრედიტებს ღებულობენ საექსპორტო მოწოდებაზე, ტექნიკურ მიღწევებზე, უცხოური ინვესტიციებისათვის. საზღვარგარეთულ პარტნიორებს ეძლევათ იმპორტული ბანკთაშორისი და სახელმწიფო კრედიტები. სახელმწიფო საექსპორტო კრედიტები ნაწილობრივ გაიცემა საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, რომელიც იაპონიაში ჩვეულებრივ დადგენილ განაკვეთზე უფრო დაბალია.

იაპონიაში არ არის დიდი რაოდენობის საკანონმდებლო მითითებები ბანკებისათვის და ამაში მდგომარეობს საბანკო საქმის განსაკუთრებულობა. აქ კომერციული ბანკების სისტემა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ე.წ. მიმმართველი მითითებებით ე.ი. ფინანსთა სამინისტროს ზეპირი მითითებებით, თუმცა ამ მითითებებს კანონის ძალა არა აქვს.

## კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რომელი პერიოდიდან იღებს სათავეს იტალიის საბანკო სისტემა?
2. დაახასიათეთ იტალიის კომერციული ბანკების სისტემის თანამედროვე სტრუქტურა.
3. რა თავისებურებებით ხასიათდება შვეიცარიის ნაციონალური ბანკის საქმიანობა?
4. განმარტეთ რას წარმოადგენს ნომერული ანგარიში?
5. დაახასიათეთ შვეიცარიის საბანკო სისტემის ძირითადი ჯგუფები?
6. რომელი ძირითადი სახელმწიფო ბანკები ფუნქციონირებს იაპონიაში და რა ძირითად ფუნქციებს ასრულებენ ისინი?
7. რაში მდგომარეობს აშშ-ის საბანკო სისტემის განსაკუთრებულობა?
8. დაახასიათეთ აშშ-ის კომერციული საბანკო სისტემა?

## ტესტები

1. იტალიის ცენტრალური ბანკის ნაციონალიზაცია მოხდა
  - ა) 1932 წელს;
  - ბ) 1934 წელს;
  - გ) 1936 წელს;
  - დ) 1938 წელს.
2. იტალიის საბანკო სისტემაში, ინსტიტუტებს, რომლებიც დასაქმებული არიან მოკლევადიანი დაკრედიტებით, არ მიეკუთვნება



- ა) სახელმწიფო საკრედიტო ინსტიტუტები;
- ბ) მიკროსაფინანსო ბანკები;
- გ) ეროვნული (ნაციონალური) ინტერესების ბანკები;
- დ) არასახელმწიფო კომერციული ბანკები.

3. შვეიცარიის ცენტრალური ბანკი, რომელიც შეიქმნა 1906 წელს მოიხსენიება, როგორც

- ა) შვეიცარიის ეროვნული ბანკი;
- ბ) შვეიცარიის სახელმწიფო ბანკი;
- გ) შვეიცარიის მთავარი ბანკი;
- დ) შვეიცარიის ნაციონალური ბანკი.

4. თანამედროვე მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი საბანკო სიმჭიდროვით (საფინანსო ცენტრებისა და საგადასახადი ოაზისების გარდა) ხასიათდება

- ა) იტალია; ბ) აშშ;
- გ) შვედეთი; დ) შვეიცარია.

5. ანგარიში, რომლის პრაქტიკული გამოყენება ხორციელდება ინკოგნიტოდ, ე.ი. რიცხვითი კომბინაციის ან კოდის საშუალებით და მისი საშუალებით ხდება ფულის მოხსნა და დარიცხვა ანგარიშზე, მოიხსენიება, როგორც

- ა) ნომერული ანგარიში; ბ) ინკოგნიტო ანგარიში;
- გ) საიდუმლო ანგარიში; დ) ანონიმური ანგარიში.

6. შვეიცარიის საბანკო სისტემა განასხვავებს კომერციული ბანკების

- ა) 4 ჯგუფს; ბ) 5 ჯგუფს;
- გ) 6 ჯგუფს; დ) 7 ჯგუფს.

7. აშშ-ში ფედერალური სარეზერვო სისტემა (ფსს) ფუნქციონირებს

- ა) 1913 წლიდან; ბ) 1915 წლიდან;
- გ) 1917 წლიდან; დ) 1920 წლიდან.

8. აშშ-ს საბანკო სისტემის თავისებურებაა ის, რომ ფუნქციონირებს

- ა) 10 ცენტრალური ბანკი; ბ) 11 ცენტრალური ბანკი;
- გ) 12 ცენტრალური ბანკი; დ) 13 ცენტრალური ბანკი.

9. იაპონიის კომერციულ საბანკო სექტორში წამყვან როლს ასრულებენ

ა) ტრასტ-ბანკები;

ბ) რეგიონული ბანკები;

გ) გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკები;

დ) საქალაქო ბანკები.

10. იაპონიის საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად ცალკეული კრედიტის მაქსიმალური სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკუთარ კაპიტალს

ა) 30 %-ს;

ბ) 40 %-ს;

გ) 50 %-ს;

დ) 60 %-ს

## თემა 4. კრედიტის ფუნაქციები და ფორმები

*კრედიტი ორპირი მახვილია. ვინც კრედიტით მოკრებულ ფულს საქმის მოახმარებს და მით საქმეს შემოსავლისათვის ბაიბლიერებს, მისთვის კრედიტი მისწრაფებაა, და ვინც ბაზლანბავს და ჰეიში ქულის სოლოით ღზინს მოანდოვებს, მისთვის ყელის ბამოსაჭრელია და საზლავის მთხრელია*

*ი. ჰაგბამაძე*

### 4.1. კრედიტის არსი და საკრედიტო ურთიერთობათა განვითარების ძირითადი ეტაპები

კრედიტი ლათინური სიტყვაა და პირდაპირი გაგებით სესხს, ვალს ნიშნავს, რომელიც გაიცემა ფულადი ან ნატურალური ფორმით დაბრუნების, ვადიანობის და ფასიანობის (სარგებლის, პროცენტის) პირობით. კრედიტი გამოხატავს ეკონომიკურ ურთიერთობას კრედიტორსა და მსესხებელს შორის. ფულთან ერთად კრედიტის წარმოშობა კაცობრიობის უდიდეს აღმოჩენათა რიცხვს მიეკუთვნება.

კრედიტი წარმოიშვა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლისა და მონათმფლობელური წყობილების აღმოცენების პერიოდში, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი ქონებრივი დაყოფის ნიადაგზე. კრედიტს გასცემდნენ საზოგადოების ყველაზე მდიდარი ფენები წვრილ მწარმოებლებზე, თავდაპირველად ნატურალური ფორმით (მარცვალი, პირუტყვი და სხვ.), ხოლო შემდეგ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების კვალობაზე, ფულადი ფორმით.

კაპიტალიზმამდე ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში კრედიტი სავახშო ფორმით არსებობდა. სავახშო კრედიტი ეს არის სარგებლის მიღების მიზნით სესხად გაცემული ფულადი სახსრები. სავახშო კრედიტის წარმოშობის ისტორიული პირობებია: 1) შრომის საზოგადოებრივი დანაწილება; 2) წარმოების საშუალებებზე და პროდუქტებზე კერძო საკუთრების წარმოშობა; 3)

საქონელგაცვლის განვითარება; 4) ფულის წარმოშობა; 5) ქონებრივი დიფერენციაცია პირველყოფილ საზოგადოებაში.

კრედიტმა თავისი ისტორიული განვითარების პერიოდში განვლო რამოდენიმე თანმიმდევრული ეტაპი, რომელთაგან თითოეული ხასიათდება რადიკალური გარდაქმნებით როგორც მათი გავრცელების შესრულების ფუნქციებით, ასევე უშუალო მონაწილეობით, ესენია:

1. პირველადი ნაბიჯი. ამ ეტაპის ძირითადი დამახასიათებელი იყო სასესხო კაპიტალის ბაზარზე სპეციალიზებული შუამავლების სრული არ არსებობა. საკრედიტო ურთიერთობები მყარდებოდა პირდაპირ თავისუფალი ფულადი სახსრების მფლობელსა და მსესხებელს შორის. კრედიტის დამახასიათებელი თავისებურებები იყო:

- სასესხო ურთიერთობების სრული დეცენტრალიზაცია, რომელიც განისაზღვრება მხოლოდ კრედიტორსა და მსესხებელს შორის პირდაპირი მოლაპარაკებებით;

- გავრცელების შეზღუდვით (კრედიტი გამოიყენებოდა ძირითადად მიმოქცევისა და ნაწილობრივ არასამრეწველო მოხმარების სფეროში, შემდგომი კაპიტალიზაციის გარეშე);

სასესხო სახსრების გამოყენებისათვის საპროცენტო განაკვეთის (სარგებლის) ძალიან მაღალი ნორმა.

ამ ეტაპის დასრულება დაკავშირებული იყო წარმოების კაპიტალისტური ხერხის შემოღებასთან, რამაც განაპირობა სამეწარმეო საჭიროებისათვის სასესხო საფინანსო რესურსების მოთხოვნის მკვეთრი ზრდა (ანუ შემდგომი აუცილებელი კაპიტალიზაცია). მსესხებლების ინდივიდუალური კაპიტალი რეალურად არ იყო საქმარისი დაეკმაყოფილებინა აღნიშნული მოთხოვნები, რამაც ზოგიერთი მათგანი აიძულა თავის საქმიანობაში გამოეყენებინა სხვა მესაკუთრეებიდან მოზიდული ფულადი სახსრები (ანალოგიური ფუნქციების შესრულება დაიწყო ეგრეთწოდებულმა გადამცვლელებმა, სხვა საფინანსო ურთიერთობების ტრადიციულმა მონაწილეებმა, რომლების ადრე სპეციალიზდებოდნენ მხოლოდ ეროვნული ვალუტის გაცვლაში).

2. სტრუქტურული განვითარება. კრედიტის განვითარების აღნიშნული ეტაპი ხასიათდებოდა სასესხო კაპიტალის ბაზრის სპეციალიზებული შუამავლების გამოყენებით საკრედიტო საფინანსო ორგანიზაციების სახით. პირველი ბანკები, რომლებიც წარმოიქმნენ მსხვილი მსესხებლებისა

და გადამცველელი დაწესებულებების ბაზაზე, თვის თავზე აიღეს უმნიშვნელოვანესი ფუნქციები, რომელთა საქმიანობა მომავალში გახდება ტრადიციული უმრავლესი საკრედიტო ინსტიტუტისათვის:

- თავისუფალი საფინანსო რესურსების აკუმულირება მათი შემდგომი კაპიტალიზაციით და მსესხებლის საზღაურის გადახდის საფუძველზე გადაცემით;

- ზოგიერთი საგადასახადო საშუალებების ანგარიშსწორების მომსახურება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის (მომავალში - სახელმწიფოსათვის);

რიგი სოციალური საფინანსო ოპერაციების განხორციელება (მაგ. საექსილო მიმართვისათვის, უძრავი ქონების განკარგვის მექანიზმების მომსახურება).

სპეციალიზებული შუამავლების მომსახურებაზე გაზრდილმა მოთხოვნამ და სასესხო კაპიტალის ბაზარზე შესაბამისად მაღალმა მოგების ნორმამ განაპირობა საბანკო სისტემის მკვეთრი განვითარება სხვა სფეროებიდან მათთან კაპიტალის გადადინებით (ახლად შემნილი ორგანიზაციების დამფუძნებლად უკვე გამოდიოდნენ არა უბრალო გამსესხებლები, არამედ სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალისტები). სასესხო კაპიტალის ბაზარზე ურთიერთობებმა მიიღო მნიშვნელოვანი ხარისხამდე ფორმირებული ხასიათი და ადგენენ: დაკრედიტების ტიპურ პროცედურას, საშუალო რეგიონალურ და საშუალო ნაციონალურ სასესხო პროცენტის განაკვეთს, მხარეთა პასუხისმგებლობის მექანიზმს და ა.შ. მაგრამ მთლიანობაში, საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობა წარმართებოდა დეცენტრალიზებული წესით, რაც ობიექტურად ეწინააღმდეგებოდა სასესხო კაპიტალის ბაზრის განვითარებას.

3. თანამედროვე მდგომარეობა. ამ ეტაპის ძირითადი მახასიათებელია სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ცენტრალური (ეროვნული) ბანკის სახით საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირების ცენტრალიზაცია, პირველი სახელმწიფო საკრედიტო ინსტიტუტების შექმნამ, რომლებიც უფლებამოსილები არიან საკოორდინაციო და ნორმატიულ-მეთოდური უზრუნველყოფის მონოპოლიური უფლებით, საკრედიტო ფულად ურთიერთობებში დასაბამი მისცა ფულის მიმოქცევის უნაღლო ანგარიშსწორების სრულფასოვანი სისტემის ფორმირებას, აგრეთვე კო-

მერციული ბანკების მომსახურებისა და ოპერაციების მნიშვნელოვან გაფართოებას. შემდგომში ცენტრალური ბანკის საქმიანობა უპირველეს ყოვლისა ვითარდებოდა ფულად-საკრედიტო ბერკეტების გამოყენების მიმართულებით, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ეფექტურ რეგულატორს ეკონომიკაში.

## 4.2. კრედიტის ფუნქციები

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში გაერცელებულია აზრი, რომ კრედიტის როლი და ადგილი განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა მისი შესრულებული ფუნქციებით. კრედიტების თეორიაში, კრედიტის ფუნქციების რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ შეხედულებათა ერთიანობა არ არის. კრედიტის ფუნქცია ახასიათებს იმ საქმიანობას, რომელსაც კრედიტორი და მსესხებელი ასრულებს საკრედიტო ურთიერთობების პროცესში. გაერცელებულია მოსაზრება, რომ კრედიტი შემდეგ ექვს ძირითად ფუნქციას ასრულებს:

- 1) გამანაწილებელი ფუნქცია;
- 2) მიმოქცევის დანახარჯების ეკონომიის ფუნქცია;
- 3) კაპიტალის კონცენტრაციის დაჩქარების ფუნქცია;
- 4) საქონელბრუნვის მომსახურების ფუნქცია;
- 5) სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ფუნქცია;
- 6) მიმოქცევის საკრედიტო იარაღების შექმნის ფუნქცია.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

გამანაწილებელი ფუნქცია. თანამედროვე პირობებში სასესხო კაპიტალის ბაზარი ისეთ როლში გამოდის, როდესაც

სამეურნეო საქმიანობის ერთი სფეროდან (ან სფეროებიდან) დროებით თავისუფალი ფინანსური რესურსების სხვა სფეროში „გადადინება“ ხორციელდება, რითაც უფრო მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობა ჩნდება. ამ ფუნქციის შესრულებისას დარგობრივ ტერიტორიალურ და საწარმოთა დონეზე, როგორც საკრედიტო ურთიერთობების სუბიექტებს შორის ღირებულების გადანაწილება ხორციელდება. კრედიტი ამ შემთხვევაში დინამიურად განვითარებად ობიექტებში კაპიტალის დაბანდებით დამატებით ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უზრუნველყოფას ახორციელებს და ეკონომიკის სტიქიური მაკრორეგულატორის როლში გამოდის.

მიმოქცევის დანახარჯების ეკონომიის ფუნქცია. მოცემული ფუნქციის პრაქტიკული რეალიზაცია, უშუალოდ კრედიტის ეკონომიკური არსიდან გამომდინარეობს, რომლის ასევე სამრეწველო და სასაქონლო კაპიტალების წრებრუნვის პროცესში დროებით გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსებიც გამოდის. მეურნე სუბიექტების ფულადი სახსრების შემონატანებსა და ხარჯებს შორის დროებითი განსხვავება შეიძლება როგორც ფინანსური რესურსების სიჭარბით, ასევე ნაკლებობითაც გამოიხატოს. სწორედ ამიტომ მაკუთარი საბრუნაეი რესურსების დროებით უკმარისობის შესავსებად ფართო გამოყენებას ღებულობს ისეთი სახეობების სესხები, რასაც პრაქტიკულად ყველა კატეგორიის მსესხებლები იყენებენ და ამით კაპიტალის ბრუნვადობის არსებითი დაჩქარება, აქედან გამომდინარე კი – მიმოქცევის საერთო დანახარჯების ეკონომიაც მიიღწევა.

კაპიტალის კონცენტრაციის დაჩქარების ფუნქცია. კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი ეკონომიკის სტაბილური განვითარებისა და ნებისმიერი მეურნე სუბიექტის პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს. ამ ამოცანის გადაწყვეტაში რეალურ დახმარებას ნასესხები სახსრები ახორციელებენ, რაც წარმოების პროცესების (ან სხვა სამეურნეო ოპერაციების) მასშტაბების – არსებითად გაფართოებას და ამით მოგების დამატებითი მასის უზრუნველყოფას უწყობს ხელს.

საქონელბრუნვის მომსახურების ფუნქცია. აღნიშნული ფუნქციის რეალიზაციისას კრედიტი აქტიურად ზემოქმედებს არა მარტო სასაქონლო, არამედ ფულადი მიმოქ-

ცევის დაჩქარებაზე და ამით ფულადი მიმოქცევიდან ნაღდი ფულის გამოდევნას ახორციელებს. ფულად მიმოქცევაში ისეთი ინსტრუმენტების დამკვიდრებით, როგორებიცაა თამასუქები, ჩეკები, საკრედიტო ბარათები და ა.შ., იგი უზრუნველყოფს ნაღდი ფულით ანგარიშსწორების უნაღლო ოპერაციებით ჩანაცვლებას, რაც შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე ეკონომიკური ურთიერთობების მექანიზმს ამარტივებს და აჩქარებს. ამ ამოცანის გადაწყვეტაში აქტიურ როლს თამაშობს კომერციული კრედიტი, როგორც საქონელგაცვლის თანამედროვე ურთიერთობების აუცილებელი ელემენტი.

სამეცნიერო – ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ფუნქცია. ამ ფუნქციის შესრულებაში კრედიტის როლი ჩანს სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციის საქმიანობის დაფინანსების პროცესის მაგალითიდან, რომლის სპეციფიკურობას ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს კიდევაც კაპიტალის საწყის დაბანდებასა და მზა პროდუქციის რეალიზაციას შორის დროებით უფრო მეტი გარღვევა, ვიდრე სხვა ნებისმიერ დარგებში. ამიტომ სამეცნიერო ცენტრების უმეტესობის ნორმალური ფუნქციონირება საკრედიტო რესურსების გამოყენების გარეშე შეუძლებელია. კრედიტი ასევე აუცილებელია ნოვაციური პროცესების განსახორციელებლად, წარმოებაში სამეცნიერო სიახლეებისა და ტექნოლოგიების უშუალოდ დასანერგად.

მიმოქცევის საკრედიტო იარაღების შექმნის ფუნქცია. მისი განვითარება საბანკო სისტემის განვითარებასთან არის დაკავშირებული. ფულის საბანკო ანგარიშზე შენახვამ საქონელზე და მომსახურებაზე, სხვა სახის ფულადი ვალდებულებების უნაღლო ანგარიშსწორების განხორციელების შესაძლებლობა წარომშევა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ნაღდი-ფულადი ბრუნვა და აქედან გამომდინარე, მიმოქცევის დანახარჯებიც, რომელიც ნაღდი ფულის დაბეჭვდასთან, გადათვლასთან, ტრანსპორტირებასთან (ინკასაცია) და დაცვასთან არის დაკავშირებული.

კრედიტის ფუნქციების განსხვავებული კლასიფიკაცია მოცემულია ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში (რ. კაკულია. გ. ხელაია, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია, თბ. 2002), რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სახით:



- 1) ფულადი კაპიტალისა და მობილიზაციის;
- 2) ფულადი კაპიტალის გადანაწილების;
- 3) მიმოქცევის ხარჯების ეკონომიის;
- 4) კაპიტალის კონკურენციისა და ცენტრალიზაციის;
- 5) საბაზრო ეკონომიკის რეგულირების.

### 4.3. კრედიტის ფორმები

ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს კრედიტების ერთიანი კლასიფიკაცია. ეს დაკავშირებულია განსხვავებასთან სხვადასხვა ქვეყნებში ფულად ურთიერთობათა, საკრედიტო სისტემის, საბანკო სისტემის განვითარების დონეში, ასევე მათში ჩამოყალიბებული კრედიტების გაცემის მეთოდებში. გასესხებულ ღირებულებასთან დამოკიდებულებაში განასხვავებენ კრედიტის საქონლურ, ფულად და შერეულ (ფულად-საქონლური) ფორმებს.

კრედიტის საქონლური ფორმა წინ უსწრებდა ფულად ფორმას. ისტორიულად პირველი კრედიტორები, იყვნენ რომლებსაც ჭარბი სამომხმარებლო საქონელი გააჩნდათ და გასცემდნენ მას სესხის სახით. კრედიტის თანამედროვე საქონლურ ფორმას წარმოადგენს საქონლის ნისიად გაცემა. ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ კრედიტორი განიცდის ფულის საჭიროებას, ამიტომ იგი იძულებულია განეადებით გასცეს საქონელი და ვადის გასვლის შემდეგ ანაზღაურება მიიღოს ფულადი ფორმით.

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისათვის ტიპურია კრედიტის ფულადი ფორმა, რაც თავის მხრივ განპირობებულია იმით, რომ ფული წარმოადგენს საყოველთაო ექვივალენტს, მიმოქცევისა და გადახდის უნივერსალურ საშუალებას. კრედიტის ფულადი ფორ-

მის განვითარების გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე საბაზრო ურთიერთობები.

თანამედროვე ეკონომიკისათვის ასევე დამახასიათებელია კრედიტის შერეული (ფულად-საკრედიტო) ფორმა. კრედიტის ეს ფორმა ფართოდ გამოიყენება განვითარებადი ქვეყნების მეურნეობრივ ცხოვრებაში. მაგალითად, ქვეყნის შიდა ვაჭრობაში დომინირებს საქონლის ნისიად გაყიდვა და მისი ღირებულების კრედიტის ფულადი ფორმით დაბრუნება. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში საქონლის დაბრუნების ანაზღაურება წარმოებს კრედიტის ფულადი ფორმით.

იმის მიხედვით, საკრედიტო გარიგების დროს კრედიტორის როლში ვინ არის წარმოდგენილი, განასხვავებენ კომერციულ, საბანკო, სახელმწიფო და საერთაშორისო კრედიტებს.

კომერციული კრედიტი ისეთი ფორმის კრედიტია, რომელსაც მეწარმეები კვლავწარმოების პროცესში აძლევენ ერთმანეთს (საქონელი ნისიად). ამ ფორმის კრედიტს ხშირად სათამასუქო კრედიტს უწოდებენ. სამეურნეო პრაქტიკაში გამოიყენება უბრალო თამასუქი (სოლო) და გადასაყვანი თამასუქი (ტრატა). საბანკო კრედიტისაგან ძირითადი განსხვავებები იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორის როლში ნებისმიერი იურიდიული პირები შეიძლება გამოდიოდნენ (ფირმები, საწარმოები, კომპანიები), კომერციული კრედიტი მხოლოდ სასაქონლო ფორმით მიეწოდება; სასესხო კაპიტალი სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალთან არის ინტეგრირებული.

საბანკო კრედიტი არის ეკონომიკაში საკრედიტო ურთიერთობების ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმა, რომლის ობიექტს ფულადი სახსრების სესხად გაცემა წარმოადგენს. საბანკო სესხები შეიძლება ქვეყნის ცენტრალური (ეროვნული) ბანკის სპეციალური ლიცენზიის მქონე საკრედიტო-ფინანსური დაწესებულებების მეშვეობით გაიცეს. მისი კლასიფიკაცია ხორციელდება შემდეგი ნიშნების მიხედვით: დანიშნულების, გამოყენების სფერო, სარგებლობის ვადები, უზრუნველყოფა, გაცემის და დაფარვის მეთოდი, საპროცენტო განაკვეთის სახეობა.

დანიშნულების მიხედვით საბანკო კრედიტი შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო, საინვესტიციო, იპოთეკური.

სამრეწველო სესხები მიეცემათ საწარმოებსა და ორგანიზაციებს წარმოების განვითარებისათვის, მასალების შესაძენად, ხარჯების დასაფარავად და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო სესხები მიეცემათ ფერმერებს, გლეხურ მეურნეობებს მიწის დასამუშაველად, მოსავლის ასაღებად და ა.შ. მათი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.

სამომხმარებლო სესხები მიეცემათ ფიზიკურ პირებს გადაუღებელ საჭიროებათა დასაფარავად, ბინების, სახლების რემონტისათვის და ა.შ.

იპოთეკური სესხები გაიცემა უძრავი ქონების დაგირავებით – საცხოვრებლის მშენებლობის, შექმნის ან რეკონსტრუქციის მიზნით.

გამოყენების სფეროს მიხედვით საბანკო კრედიტები შეიძლება იყოს ორი სახეობის: სესხები ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. თავის მხრივ კრედიტები კაპიტალში იყოფა კრედიტებად საბრუნავ სფეროსა და ბრუნვის (მიმოქცევის) სფეროში.

სარგებლის ვადების მიხედვით საბანკო კრედიტები შეიძლება იყოს ონკოლური (მოთხოვნამდე) და ვადიანი. ონკოლური სესხები ექვემდებარება დაბრუნებას ფიქსირებულ ვადაში კრედიტორისაგან ოფიციალური შეტყობინების მიღების შემდეგ. ისინი მოითხოვენ სტაბილურ პირობებს სასესხო კაპიტალის ბაზარზე. ვადიანი კრედიტები მიღებულია დაიყოს მოკლევადიან (1 წლამდე ვადით), საშუალოვადიან (1-5 წლამდე) და გრძელვადიან (5 წელზე მეტი ვადით) კრედიტებად. თანამედროვე საბანკო საქმეში უპირატესად გამოიყენება მოკლევადიანი კრედიტები.

უზრუნველყოფის მიხედვით კრედიტები იყო არაუზრუნველყოფილად (საბლანკო) და უზრუნველყოფილად. საბლანკო კრედიტები მიეცათ პირველხარისხოვან მსესხებლებს კრედიტის დაბრუნებითობის უზრუნველყოფის რაიმე ფორმის გამოყენების გარეშე. სესხის უზრუნველყოფა წარმოადგენს თანამედროვე საბანკო კრედიტის ძირითად სახესხვაობას. უზრუნველყოფის სახეობაზე დამოკიდებულებით მიღებულია მათი დაყოფა საგირავნოებად, გარანტირებულად და დაზღვეულებად.

გაცემის ხერხის მიხედვით საბანკო კრედიტები შეიძლება დაიყოს კრედიტებად, რომლებიც ატარებენ კომპენსაციურ ან საგადასახდლო ხასიათს, კომპენსაციური კრედიტი გულისხმობს სასესხო სახსრების მიმართვას მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე მის მიერ ადრე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მიზნით. საგადასახდლო კრედიტების არსი ისაა, რომ მსესხებელი აუცილებლობისდა მიხედვით გადასცემს ბანკს მასთან შემოსულ საანგარიშო საგადასახდლო დოკუმენტებს და სასესხო სახსრები მიემართება უშუალოდ მოცემული დოკუმენტების გასანაღ-დებლად.

დაფარვის ხერხის მიხედვით საბანკო კრედიტები იყოფა სესხებად, რომლებიც იფარება ერთდროულად და სესხებად, რომლებიც იფარება ნაწილ-ნაწილ. სესხები, რომლებიც იფარება ერთდროული გადახდით, წარმოადგენს მოკლევადიანი კრედიტის დაბრუნების ტრადიციულ ფორმას, რამეთუ მოსახერხებელია იურიდიული გაფორმების პოზიციიდან. სესხები, რომლების იფარება ნაწილ-ნაწილ, გულისხმობს კრედიტის დაფარვას ორი ან მეტი გადასახდელით დაკრედიტების მთელი ვადის განმავლობაში.

საპროცენტო განაკვეთების სახეობის მიხედვით საბანკო კრედიტები შეიძლება დაიყოს კრედიტებად ფიქსირებული ან მცურავი საპროცენტო განაკვეთით. სესხები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით გულისხმობს დაკრედიტების მთელი პერიოდისათვის საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრული სიდიდის დაწესებას მისი გადასინჯვის უფლების გარეშე. მოცემულ შემთხვევაში მსესხებელი იღებს თავის თავზე ვალდებულებას, გადაიხადოს პროცენტი უცვლელი შეთანხმებული განაკვეთით იმისგან დამოუკიდებლად, თუ კაპიტალის ბაზარზე რა ცვლილებები მოხდება. დაკრედიტება მცურავი განაკვეთით გულისხმობს საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, რომლის მოცულობაც პერიოდულად გადაისინჯება. მოცემულ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი იქმნება ორი შემადგენელი ნაწილისაგან. ძირითადი განაკვეთი, რომელიც იცვლება ბაზრის კონიუნქტურაზე დამოკიდებულებით და დანამატისაგან, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ სიდიდეს.

სახელმწიფო კრედიტი კრედიტის ისეთი სახეა, როცა სახელმწიფო ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები

გამოდინან განსესხებლის ან მსესხებლის როლში. სხვადასხვა ობიექტური მიზეზებისა და გარემოებათა გამო სახელმწიფო მიმართავს სესხებს. სესხებს ღებულობს სახელმწიფო მოსახლეობიდან საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მეშვეობით ობლიგაციების გამოშვების გზით. სახელმწიფო კრედიტის ზრდის ან შემცირების კვალობაზე იზრდება ან მცირდება საპროცენტო განაკვეთის დონეც. სახელმწიფო კრედიტი არის სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი. სესხების განთავსების ადგილის მიხედვით განასხვავებენ შინაგან სახელმწიფო სესხს და საგარეო სახელმწიფო სესხს, რომელიც რეალიზებულია უცხოეთის ფულად ბაზარზე (კრედიტორი ქვეყნის, მსესხებელი ქვეყნისა და მესამე ქვეყნის ვალუტაში). შინაგანი სესხის ობლიგაციების შექმნა შეუძლია უცხოეთის მოქალაქესაც.

სესხები შეიძლება დაიყოს საობლიგაციო სესხად და არასაობლიგაციო სესხად. შიდა სახელმწიფო სესხი ჩვეულებრივ ფორმდება ობლიგაციური სესხის მთელი თანხით. არასაობლიგაციო სესხი – ეს არის მთავრობის სესხი შემნახველი საღაროებიდან ან სამთავრობოთა-შორისო სესხი.

საერთაშორისო კრედიტი ისეთი კრედიტია, რომელიც ერთი ქვეყნის მთავრობის, ბანკების, აგრეთვე სხვა იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გაიცემა მეორე ქვეყნის მთავრობაზე, ბანკებზე, აგრეთვე სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე ვადიანობის, დაბრუნებისა და სარგებლის გადახდის პირობით. საერთაშორისო კრედიტის განვითარებას საფუძვლად დაედო წარმოებისა და ფულად-საკრედიტო რესურსების ინტერნაციონალიზაცია, სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკაში, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაღრმავება, მზარდი საერთო პროდუქტის რეალიზაცია საერთაშორისო ბაზარზე, ეროვნული და სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკის განვითარება.

#### 4.4. დაკრედიტების პრინციპი

საკითხს დაკრედიტების პრინციპების შესახებ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ხოლო თეორიულად საკმაოდ რთულია. ეკონომისტების უმრავლესობა აღიარებს დაკრედიტების ისეთ პრინციპებს, როგორცაა: დაბრუნებითობა, ვადიანობა, მიზნობრიობა, უზრუნველყოფა, ანაზღაურებადობა.

დაბრუნებითობის პრინციპი ითვალისწინებს კრედიტორსა და მსესხებელს შორის დადებული საკრედიტო გარიგების შესაბამისად კრედიტის დაბრუნების აუცილებლობას იმ ვადაში, რაც კონტრაქტით არის გათვალისწინებული. იმის გამო, რომ კრედიტორი – გამსესხებელი გასესხებულ თანხაზე საკუთრების უფლებებს ინარჩუნებს, ხოლო მსესხებელს ეძლევა სესხის დროებით გამოყენების უფლება, არ შეიძლება კრედიტორსა და მსესხებელს გარიგება უვადო იყოს. გარიგების ხელშეკრულებაში სესხის სარგებლის ვადა რეგლამენტირებულია, რომლის გასვლის შემდეგ კრედიტის მთელი თანხა სარგებელთან ერთად უბრუნდება კრედიტორს.

ვადიანობის პრინციპი უზრუნველყოფს გასესხებული სახსრების თავისდროულად დაბრუნებას. ის მოწოდებულია განსაზღვროს, როგორც კრედიტის გამოყენების დროითი საზღვრები, ასევე მისი დაბრუნების კონკრეტული ვადები. ვადიანობის პრინციპი მიმართულია საგადასახდლო დისციპლინის განმტკიცებისაკენ.

მიზნობრიობის პრინციპი გულისხმობს კრედიტის გაცემას და გამოყენებას წინასწარ დადგენილი მიზნობრივი დანიშნულებით, კრედიტის გამოყენებისას მიზნობრიობის დარღვევა მაღალი საკრედიტო რისკის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

უზრუნველყოფის პრინციპი ასრულებს განსაკუთრებულ როლს საკრედიტო ურთიერთობათა სფეროში, რადგან ის არამარტო იმყოფება მჭიდრო ურთიერთკავშირში სხვა პრინციპებთან, არამედ თამაშობს მათ მიმართ განსაზღვრულ როლს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გაცემული კრედიტი როდია დაკავშირებული უშუალოდ მატერიალურ უზრუნველყოფასთან. ამ შემთხვევაში კრე-

დიტის დაბრუნებობითობის უზრუნველყოფის მთავარი პირობაა საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი კრედიტუნარიანობა.

ანაზღაურებადობის (ფასიანობის) პრინციპი გულისხმობს კრედიტის სარგებლობისათვის სათანადო საზღაურის, სესხის სარგებელს. სესხის სარგებელი (პროცენტი) მოგების ნაწილია, რომელსაც მსესხებელი უხდის კრედიტორს – სასესხო კაპიტალის მესაკუთრეს. სესხის სარგებლის სიდიდე დამოკიდებულია კრედიტის მოთხოვნასა და მიწოდების შორის თანაფარდობაზე. სწორედ ამის გამო სარგებლის ნორმა ცვალებადი სიდიდეა.

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ დაკრედიტების ძირითადი პრინციპები, ეკონომიკურ ლიტერატურაში ასევე ვხვდებით დაკრედიტების დამატებით პრინციპებსაც. კერძოდ როგორიცაა: დიფერენცირებულობა, ეფექტიანობა, საკრედიტო სახსრების დაცულობა და სხვა.

## კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რამდენი თანამიმდევრული ეტაპი განვლო კრედიტმა თავისი ისტორიული განვითარების პერიოდში?
2. რომელ ძირითად ფუნქციებს ასრულებს კრედიტი?
3. კრედიტის რომელ ფორმებს განასხვავებენ გასესხებულ ღირებულებასთან დამოკიდებულებაში?
4. რით განსხვავდება კომერციული კრედიტი საბანკო კრედიტისაგან?
5. რომელ ძირითად ჯგუფებად შეიძლება დაიყოს საბანკო კრედიტი დანიშნულების მიხედვით?
6. რა თავისებურებებით ხასიათდება სახელმწიფო კრედიტი?
7. დაახასიათეთ დაკრედიტების ძირითადი პრინციპები.
8. როგორი ფორმით არსებობდა კრედიტი კაპიტალიზმამდელ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში?

# ტესტები

1. ვალს, რომელიც გაიცემა ფულადი ან ნატურალური ფორმით, დაბრუნების, ვადიანობის და ფასიანობის (სარგებლის, პროცენტის) პირობით, ეწოდება.

- ა) თამასუქი;
- ბ) კრედიტი;
- გ) ვექსილი;
- დ) დებეტი.

2. კრედიტის ძირითად ფუნქციებში არ მოიაზრება:

- ა) გამანაწილებელი ფუნქცია;
- ბ) კაპიტალის კონცენტრაციის დაჩქარების ფუნქცია;
- გ) მიმოქცევის ხარჯების ეკონომიის ფუნქცია;
- დ) მოგების მიღების ფუნქცია.

3. კრედიტი, რომელიც მხოლოდ სასაქონლო ფორმით მიეწოდება და რომლის დროსაც კრედიტორის როლში ნებისმიერი იურიდიული პირი შეიძლება გამოდიოდეს, არის:

- ა) კომერციული კრედიტი;
- ბ) საბანკო კრედიტი;
- გ) სამომხმარებლო კრედიტი;
- დ) სახელმწიფო კრედიტი.

4. კრედიტს, როცა სახელმწიფო ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები გამოდიან გამსესხებლის ან მსესხებლის როლში, ეწოდება:

- ა) სახელმწიფო კრედიტი;
- ბ) სალომბარდო კრედიტი;
- გ) საბანკო კრედიტი;
- დ) ონკოლური კრედიტი.

5. ეკონომიკაში საკრედიტო ურთიერთობების ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმა, რომლის ობიექტს ფულადი სახსრების სესხად გაცემა წარმოადგენს, არის:

- ა) სალომბარდო კრედიტი;
- ბ) კომერციული კრედიტი;
- გ) სამომხმარებლო კრედიტი;
- დ) საბანკო კრედიტი.

6. ვადიანი კრედიტები მიღებულია დაიყოს შემდეგ სამ სახად:

- ა) მოკლევადიან, მიკროვადიან, გრძელვადიან კრედიტებად;
- ბ) მოკლევადიან, საშუალოვადიან, მოხერხებულვადიან კრედიტებად;
- გ) მოკლევადიან, საშუალოვადიან, გრძელვადიან კრედიტებად;
- დ) მოკლევადიან, საშუალოვადიან, მაკროვადიან კრედიტებად.

7. დაკრედიტების ძირითად პრინციპებს შორის არ მოიაზრება:

- ა) ეფექტიანობის პრინციპი;
- ბ) დაბრუნებითობის პრინციპი;
- გ) ვადიანობის პრინციპი;
- დ) მიზნობრიობის პრინციპი.

8. პრინციპს, რომელიც გულისხმობს კრედიტის გაცემას და გამოყენებას წინასწარ დადგენილი დანიშნულებით, ეწოდება:



- ა) ანაზღაურებადობის პრინციპი;
- ბ) დიფერენცირებულობის პრინციპი;
- გ) დაცულობის პრინციპი;
- დ) მიზნობრიობის პრინციპი.

9. კრედიტმა თავისი ისტორიული განვითარების პერიოდში გაიარა:

- ა) ორი ეტაპი; ბ) სამი ეტაპი;
- გ) ოთხი ეტაპი; დ) ხუთი ეტაპი.

10. მოცულობის მიხედვით საბანკო კრედიტების დაყოფა მიღებულია:

- ა) მცირე, საშუალო და მსხვილ სესხებად;
- ბ) მცირე, მსხვილ და გიგანტურ სესხებად;
- გ) მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან სესხებად;
- დ) მიკრო, მაკრო და მეგაკრედიტებად.

## თემა 5. ცენტრალური ბანკები

*ფედერალური სარეზერვო სისტემის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სასაზღვრო სფეროში იმ გომენტში ღამალოს, როცა საღამოს წვეულება გარკვეულია*

უ. მარტინი

### 5.1. ცენტრალური ბანკების წარმოშობის რეტროსპექტივა

კაპიტალიზმის განვითარების ადრეულ სტადიაზე ცენტრალურ და კომერციულ ბანკებს შორის ფუნქციონირებად დაწესება არ არსებობდა. მათ შორის ფაქტობრივად პორიზონტალური და არა ვერტიკალური დამოკიდებულება იყო. კომერციული ბანკები ბანკოტების გამოშვებას, როგორც კაპიტალის მობილიზაციის ერთ-ერთ წყაროს ფართოდ იყენებდნენ. საკრედიტო სისტემის განვითარების შესაბამისად ბანკოტების ემისიის ცენტრალიზაციის პროცესი რამდენიმე მსხვილ კომერციულ ბანკში დამკვიდრდა, რის შედეგად ბანკოტების გამოშვების მონოპოლიური უფლება საბოლოოდ ერთი ბანკის პრეროგატივა გახდა. თავდაპირველად ასეთ ბანკებს ემისიურ ბანკებს უწოდებდნენ, ხოლო შემდგომ მათი ფუნქციები ბევრად გაიზარდა, რის შემდეგაც თეორიასა და პრაქტიკაში დამკვიდრდა ცნება – ცენტრალური ბანკი.

მართალია პირველი ცენტრალური ბანკები საკმაოდ ადრეულ პერიოდში წარმოიშვა (ინგლისი – 1634 წ., შვედეთი – 1668 წ.), მაგრამ მათი საყოველთაო გავრცელება და თანამედროვე მნიშვნელობა მხოლოდ XX საუკუნეში შეიძინეს. თუ მეოცე საუკუნის დასაწყისამდე ემისიური ბანკები კერძო იყო, მეორე მსოფლიო ომის წინ დაიწყო მათი ნაციონალიზაციის პროცესი – ეს დაკავშირებული იყო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპთან და სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების გაფართოებასთან. 1938 წ. სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა კანადის ბანკი, 1939 წ. – გერმანიის რეიხს ბანკი, 1942 წ. – იაპონიის ბანკი, 1946 წ. – ინგლისის და საფრანგეთის ბანკები. აღნიშნული ბანკები ცენტრალურ ბანკებად ხანგრძლივი ისტორიული ევოლუციის შედეგად გახდნენ.

ხოლო ზოგიერთი ქვეყნის ბანკები თავიდანვე ემისიურ ცენტრებად იქნენ დაფუძნებული, მაგ. 1913 წ. აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემა, მრავალი ლათინოამერიკული სახელმწიფოს ცენტრალური ბანკი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტები შეიქმნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში – ბუნდესბანკი (1957 წ.) და ავსტრიაში (1960 წ.). თანამედროვე პირობებში უმეტეს ქვეყნებში ცენტრალური ბანკები თავისი არსით სახელმწიფო ბანკებს წარმოადგენენ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი ფორმალურად სახელმწიფოს არ მიეკუთვნება. მაგ. სახელმწიფოს კუთვნილებაა შვეიცარიის ცენტრალური ბანკის მხოლოდ ნაწილი, მთავარ აქციონერებად ითვლება კანტონების ხელისუფლება, კანტონალური ბანკები და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები, აგრეთვე 50-ზე მეტი კერძო აქციონერი, სახელმწიფოს საკუთრებაა, ბელგიისა და ავსტრიის ცენტრალური ბანკის კაპიტალის 50%, იაპონიის ბანკის კაპიტალის 55%.

ცენტრალური ბანკი დღეს ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს საფინანსო-საკრედიტო სისტემის ძირითად ელემენტს წარმოადგენს. იგი ოფიციალურად გამოდის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამტარებლის როლში. თავის მხრივ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საბიუჯეტოსთან ერთად, ეკონომიკის ერთიანი სახელმწიფო რეგულირების საფუძველს წარმოადგენს.

ბრიუსელის საერთაშორისო საფინანსო კონფერენციაზე (1920 წ.) აღინიშნა, რომ ქვეყნებში, სადაც ცენტრალური სამეცნიერო ბანკები არ არსებობენ, ისინი უნდა შეიქმნას. აქვე ხაზგასმული იყო, რომ ბანკები და განსაკუთრებით სამეცნიერო ბანკები უნდა განთავისუფლდნენ პოლიტიკური ზეწოლისაგან, ისინი გონივრული ფინანსური პრინციპებით უნდა იმართებოდნენ. ამრიგად ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის საკითხი მისი საქმიანობის ეფექტიანობის გარანტიისათვის არის საჭირო.

უმეტეს შემთხვევაში ცენტრალური ბანკის კაპიტალი მთლიანად სახელმწიფოს კუთვნილებაშია, მაგრამ აქციონერებად შეიძლება იყვნენ კომერციული ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები. ცენტრალურ ბანკს კომერციულ ბანკთან შედარებით მოკრძალებული

ოპერაციები და ბალანსი გააჩნია, მათი ფუნქციებისა და საბანკო სისტემაზე ზემოქმედების მეთოდების მოდიფიცირება ხორციელდება.

ყველაზე ხშირად ცენტრალური ბანკი უშუალოდ პარლამენტის ან ამ უკანასკნელის მიერ შექმნილი სპეციალური საბანკო კომისიის წინაშე ანგარიშვალდებულია. ცენტრალური ბანკის მმართველი მთავრობის შემადგენლობაში არ შედის, მისი დანიშვნა ახალი კაბინეტის ფორმირების ვადებს არ ემთხვევა. დანიშვნა შეიძლება განხორციელდეს მონარქის, პრეზიდენტის, პრემიერის, პარლამენტის მიერ, მაგრამ ამასთან, მთავრობას, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობას ეყრდნობა, ჩვეულებრივ შეუძლია საკუთარი კანდიდატურაც გაიყვანოს. ცენტრალური ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობა თანამდებობაზე ყოფნის ვადებით შეიძლება შეიზღუდოს ან ხანგრძლივი პერიოდით დაინიშნოს, მაგ; ირლანდიაში, ავსტრიაში, კანადასა და ჰოლანდიაში – 7 წელი, გერმანიაში – 8 წელი.

ის ფაქტი, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობაში ცენტრალური ბანკები სახელმწიფოებრივად ითვლება, არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო შეუზღუდავად მოქმედებს მათ პოლიტიკაზე. ამ გავლენის ხარისხი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ცენტრალური ბანკების მდგომარეობა ორგვარია. ერთი მხრივ, ეკონომიკისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს სფეროებში ისინი „მუშაობენ“ მთავრობასთან ერთად მეორე მხრივ, ტაქტიკის საკითხებში და ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეულ სფეროებში მათ შორის ხშირად, შეუსაბამობაა. ეს უთანხმოება ზოგჯერ პრინციპულ ხასიათს ატარებს.

ცენტრალური ბანკი მიუხედავად იმისა, სახელმწიფო საკუთრებაშია თუ არა, როგორც წესი იურიდიულად დამოუკიდებელია და სახელმწიფოს არ ემორჩილება. ცენტრალური ბანკის პოლიტიკა ყოველთვის იყო სახელმწიფოს, პროფკავშირების და მონოპოლიების დავის საგანი. მაგ.: ექსპორტზე ორიენტირებული მონოპოლიები გამოდიან მათი ქვეყნების ვალუტის კურსის შემცირების მოთხოვნით. სასესხო კაპიტალის წარმომადგენლები დაინტერესებულნი არიან ფულის მყიდველობითი უნარის სტაბილიზაციით, სამრეწველო სფეროს წარმომადგენლები მხარს უჭერენ

„იაფ ფულს“, რადგან იაფი კრედიტი სტიმულს აძლევს და აფართოებს მათ ინვესტიციებს. პროფკავშირები გამოდიან სრული დასაქმების ფულადი პოლიტიკის მხარდასაჭერად. სახელმწიფო ესწრაფვის პოლიტიკას, რომელიც დაეხმარება თავიდან იქნას აცილებული საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი. ყველა ეს და სხვა წარმოქმნილი წინააღმდეგობები, თავის მხრივ, აისახება ცენტრალური ბანკის პოლიტიკაზე.

პოლიტიკის გატარებისას პრიორიტეტი ეძლევა ამა თუ იმ მხარის ინტერესს, ძალების კონკრეტული განლაგებისაგან დამოკიდებულებით. ეკონომიკური პოლიტიკის ამ წინააღმდეგობრივმა მიზნებმა ეკონომიკურ ლიტერატურაში მიიღო სახელწოდება - „მაგიური ოთხკუთხედი“, რომლის „კუთხეებია“ - ეკონომიკური ზრდა, სრული დასაქმება, ფულის ღირებულების სტაბილურობა და საგადასახადელო ბალანსის დაბალანსება. როგორც პრაქტიკამ დაადასტურა, ამ მიზნების ერთდროულად მიღწევა საკმაოდ რთულია.

## 52. ცენტრალური ბანკის ფუნქციები

ქვეყნის ცენტრალური ბანკი (ბანკთა-ბანკი) არის ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი გამტარებელი, რომელიც მიმართულია ფულადი მიმოქცევის სტაბილიზაციაზე. მისი უპირველესი მოვალეობა ეკონომიკაში არის დაიცვას ფულის ღირებულება და მსყიდველობითუნარიანობა, შექმნას ნორმალური პირობები ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებისათვის. ცენტრალური ბანკის როლი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში მისი განვითარების კვალობაზე ძლიერდება, რადგან სწორედ ფულის, ფულად-საკრედიტო მექანიზმის საშუალებით მიმდინარეობს ზრდა-განვითარების რეგულირება.

თანამედროვე პირობებში ცენტრალური ბანკის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

ბანკნოტების ემისია;

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება;

ფულად-საკრედიტო ინსტიტუტების რეფინანსირება;

საეალუტო პოლიტიკის განხორციელება;

საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის რეგულირება;

მთავრობის ფინანსური აგენტის ფუნქცია;

საგადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების ორგანიზაცია.

ბანკნოტების (ფულადი ნიშნების) ემისია – ცენტრალური ბანკის უძველეს და მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს. ბანკნოტების ემისიის უფლება მას კანონმდებლობით აქვს მინიჭებული, ამის შედეგად ცენტრალურმა ბანკმა მუდმივლიკვიდობა მიიღო და კომერციული ბანკებისათვის უმაღლესი ინსტანციის ლიკვიდობის წყარო გახდა. ოქროს მონომეტალიზმის პირობებში ცენტრალური ბანკის ბანკნოტებს ოქროთი და კომერციული თამასუქებით ორმაგი უზრუნველყოფა გააჩნდა. ოქროს სტანდარტის სისტემაზე უარის თქმის შემდეგ ბანკნოტების ემისია უპირატესად სამთავრობო ობლიგაციების ქვეშ ხორციელდება, ამასთან დაკავშირებით ბანკნოტების უშუალო კავშირი საქონლის მიმოქცევასთან შესუსტდა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა – სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შეადგენელი ნაწილია, რომლის მთავარი მიზანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, უმუშევრობისა და ინფლაციის შემცირება და საგადასახდელო ბალანსის გამოთანაბრებაა. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა წარმოადგენს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია მიმოქცევაში ფულის მასის, კრედიტის მოცულობის, საპროცენტო განაკვეთის ღონის ოპტიმალური ცვლილებების უზარუნველსაყოფად.

ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მიმართულია ან ფულად-საკრედიტო ემისიის სტიმულირებისაკენ (საკრედიტო ექსპანსია – კონიუნქტურის გამოცოცხლება წარმოების დაცემის პირობებში) ან ფულად-საკრედიტო ემისიის შეზღუდვისაკენ (საკრედიტო რესტრუქცია-ეკონომიკური აღმავლობის პირობებში). ცენტრალური ბანკი

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას იყენებს ინსტრუმენტების კომპლექსს, რომელთაგან განასხვავებენ:

ზემოქმედების ფორმის მიხედვით – პირდაპირი და ირიბი;

ზემოქმედების უშუალო ობიექტის მიხედვით – ფულის მიწოდებასა და ფულზე მოთხოვნას;

- რეგულირების პროცესში დაწესებული პარამეტრების მიხედვით – რაოდენობრივს და ხარისხობრივს.

ქვეყნების უმეტესობაში საკრედიტო ოპერაციების მართვის და რეგულირების მიზნით, ცენტრალური ბანკი გამოიყენებს შემდეგი სახის ძირითად ინსტრუმენტებს:

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაწესება;

ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთის რეგულირება;

ოპერაციები ღია ბაზარზე.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების პრიორიტეტულობა მთლიანობაში იმ მიზნებზეა დამოკიდებული, რომელსაც ცენტრალური ბანკი ქვეყნის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე წყვეტს. მაგ., თანამედროვე პირობებში განვითარებულ ქვეყნებში სააღრიცხვო პოლიტიკა და ოპერაციები ღია ბაზარზე იძენენ უპირატესობას, ხოლო მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დადგენა – თანდათან მეორეხარისხოვანი ხდება. საპირისპირო მდგომარეობაა იმ ქვეყნებში, რომლებიც საბაზრო ურთიერთობათა გაფართოების გზას ადგას (უპირატესობა ენიჭება სარეზერვო მოთხოვნების დადგენას).

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაწესება. კომერციული ბანკების საკრედიტო საქმიანობის რეგულირების ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტად ითვლება მინიმალური რეზერვების პოლიტიკა. მინიმალური რეზერვები არის კომერციული ბანკების ანაბრები ცენტრალურ ბანკში, რომელთა მოცულობა დგინდება კანონმდებლობით საბანკო ვალდებულებებთან (კლიენტების ანაბრებთან) განსაზღვრული მიმართებით. ზოგიერთ ქვეყანაში მინიმალური რეზერვების სიდიდის განსაზღვრის ბაზად ითვლება გაცემული კრედიტები. მინიმალური რეზერვების საშუალებით ცენტრალური ბანკი ცდილობს კომერციული ბანკების კრედიტუნარიანობაზე გავლენას. მინიმალური რეზერვების პოლიტიკა პირველად აპრობირებული იქნა აშშ-ში - XX ს-ის 30-იან წლებში და მეორე მსოფლიო ომის

შემდეგ სწრაფად დაინერგა ფაქტობრივად ყველა წამყვანი ქვეყნის ცენტრალური ბანკების პრაქტიკაში. 1981 წ. დიდ ბრიტანეთში, რეფორმასთან დაკავშირებით მინიმალური რეზერვების პოლიტიკა, ადრე არსებული ფორმით, გაუქმებული იქნა.

ისტორიულად, სავალდებულო მინიმალური რეზერვები განვითარდა კომერციული ბანკების საერთო აუცილებლობიდან, ჰქონოდა ლიკვიდური რეზერვები ნაღდი ფულადი გადასახდელების შემთხვევისათვის. ამჟამად, მინიმალურ რეზერვებს აქვს ორმაგი დანიშნულება: ჯერ ერთი, მან უნდა უზრუნველყოს კომერციული ბანკის ლიკვიდობის მუდმივი დონე, მეორე, იგი (მინიმალური რეზერვი) ითვლება ცენტრალური ბანკის ინსტრუმენტად ფულადი მასისა და კომერციული ბანკების კრედიტუნარიანობის რეგულირებისათვის.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ინდივიდუალურად ადგენს მინიმალური რეზერვების შენარჩუნების წესს, მაგრამ ყველა ეს ერთ მიზანს ისახავს – აიძულოს კომერციული ბანკები შეინარჩუნონ მათი ვალდებულებების განსაზღვრული დიფერენციალური წილი ცენტრალური ბანკის უნაღდო და უპროცენტო ანგარიშებში; ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., აშშ-ში), მინიმალურ რეზერვებს შეუძლიათ გარკვეული სარგებლის (პროცენტის) მოტანა.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშება ხორციელდება თვიური ან კვარტალური ბალანსის მონაცემებით იმის გამო, რომ ერთობლივი ანაბრების სიდიდე მუდმივად იცვლება და მხოლოდ განსაზღვრული პერიოდის ბოლოს შეიძლება ზუსტად იქნეს გამოთვლილი ანაბრების საშუალო სიდიდე.

ოფიციალური საარღიცხვო განაკვეთის რეგულირება. საკრედიტო დაწესებულებებს, უპირატესად კომერციულ ბანკებს შესაძლებლობა აქვთ აუცილებლობის შემთხვევაში მიიღონ ცენტრალური ბანკის კრედიტი ფასიანი ქაღალდების გირაოთი ან თამასუქების აღრიცხვის გზით. სადისკონტო (განაღდების) და საგირავნო პოლიტიკის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კომერციული ბანკების რეფინანსირების პირობების შეცვლის მეთოდი გაველენას ახდენს ფულის და კაპიტალის ბაზრებზე არსებულ სიტუაციაზე.



სადისკონტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომლითაც კომერციულ ბანკები აღრიცხავენ თამასუქს ანუ პროცენტის განაკვეთი, რომლითაც ცენტრალური ბანკი აძლევს კომერციულ ბანკებს სესხს. სადისკონტო განაკვეთის გადიდება იქცევა ბანკებზე გაცემული სესხებისა და ამ ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებზე პროცენტების შესაბამისად გადიდებას.

ოფიციალური სააღრიცხვო (განადგების) განაკვეთი წარმოადგენს კრედიტზე საბაზრო განაკვეთის დასადგენად ორიენტირს. ამით ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს კომერციულ ბანკებში განთავსებული საკრედიტო რესურსების ღირებულებას. რაც უფრო მაღალია სადისკონტო განაკვეთის დონე, მით უფრო დიდია ცენტრალური ბანკის რეფინანსირების კრედიტების ღირებულება და პირიქით. ცენტრალური ბანკის სადისკონტო განაკვეთის ზრდა იწვევს ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების შეფარდებით შემცირებას. მისი შემცირება, პირიქით, იწვევს კრედიტებისა და დეპოზიტების გაიფებას, ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნისა და მისი საბაზრო ღირებულების გადიდებას. სადისკონტო განაკვეთის რეგულირება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არაპირდაპირ მეთოდს მიეკუთვნება. ცენტრალური ბანკის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგადასხდლო ბალანსის წონასწორობის დარღვევისა და სავალუტო კრიზისის გამწვავების პირობებში.

ოპერაციები ღია ბაზარზე. ოპერაციები ღია ბაზარზე წარმოადგენს ცენტრალური ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას ფულის ბაზარზე გავლენის მოხდენის მიზნით. აღნიშნული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნა-მიწოდების რეგულირებით გამოწვეული იქნეს კომერციული ბანკების შესაბამისი რეაქცია.

ტერმინი „ღია ბაზრის პოლიტიკა“, პირველად გაჩნდა აშშ-ში XX ს-ის 20-იან წლებში, როცა ამ პოლიტიკის გატარება დაიწყო აშშ-ში ცენტრალური ბანკის ოპერაციები ღია ბაზარზე, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო მასშტაბური იყო, რადგან ამ ქვეყანაში იყო ფასიანი ქაღალდების დიდი ბაზარი. დიდ ბრიტანეთში ღია ბაზრის პოლიტიკამ არსებითი როლი ითამაშა გასული საუკუნის 30-

იანი წლების დასაწყისიდან, ხოლო სააღრიცხვო პოლიტიკამ დაქვემდებარებული ხასიათი მიიღო. გერმანიის რეიხსბანკი შეუდგა ღია ბაზრის პოლიტიკის გატარებას 1933 წლიდან, ამ საკითხის გერმანიის დოქტორებთან დაკავშირებით დადგინდა უთმობს.

ოპერაციები ღია ბაზარზე განხილული უნდა იქნეს ცენტრალური ბანკის სხვა ინსტრუმენტებთან ერთობლიობაში, რომლის საშუალებით ეს უკანასკნელი ზემოქმედებს კელაქმარების პროცესის ციკლზე. თუ სააღრიცხვო პოლიტიკა გლობალურად და დროებითი შეზღუდვებით მოქმედებს, მაშინ ოპერაციები ღია ბაზარზე წარმოადგენს სწრაფი და მოქნილი ზემოქმედების იარაღს. ცენტრალური ბანკი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვისას, ადგენს რა მომგებიან განაკვეთებს, ცდილობს გავლენის მოხდენას ცენტრალური ბანკში, კომერციული ბანკების რეზერვების ზომებზე და ამით ზემოქმედებს კომერციული ბანკების კრედიტების სიდიდეებზე.

მაღალი ეკონომიკური აქტივობის პერიოდში, ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებს სთავაზობს ფასიანი ქაღალდების ყიდვას, რათა შეამციროს მათი საკრედიტო შესაძლებლობები ეკონომიკისა და მოსახლეობის მიმართ. კრიზისის პერიოდში ცენტრალური ბანკი რეფინანსირების შესაძლებლობას ქმნის კომერციული ბანკებისათვის და ისეთ პირობებს აყენებს, როცა მათთვის ხელსაყრელია თავისი ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ ბანკზე მიყიდვა. ამგვარად, კომერციული ბანკები ცენტრალური ბანკისაგან ფულს ღებულობენ ეკონომიკისა და მოსახლეობისადმი კრედიტის მისაცემად. ასეთი ეკონომიკური ინსტრუმენტის გამოყენებით შესაძლებელი ხდება, როგორც ლიკვიდობის, ასევე საპროცენტო განაკვეთების ცვლილება.

ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკას უპირატესად ანტიინფლაციური ხასიათი გააჩნია. პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში უპირველესი ამოცანაა ინფლაციის ტემპის შემცირება. განვითარებად ქვეყნებს საკრედიტო-საფინანსო რეფორმების საწყის ეტაპზე არ შეუძლიათ განახორციელონ ისეთი ფართო ლიბერალიზაცია, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. საერთაშორისო

სავალუტო ფონდს, რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შემოშავებული აქვთ ამ ქვეყნებში საკრედიტო-საფინანსო სისტემის დარეგულირების განხორციელების თანამიმდევრობა.

ფულად-საკრედიტო ინსტიტუტების რეფინანსირება, დაკავშირებულია სესხების ისეთი შემთხვევისას გაცემაზე, როდესაც ბანკები დროებითი ფინანსური სიძნელეების წინაშე აღმონდებიან. რეფინანსირების მიზანია ფულად-საკრედიტო სფეროს მდგომარეობაზე ზემოქმედება. რეფინანსირების ფუნქციის შესრულებით, ცენტრალური ბანკი ბოლო ინსტანციის კოორდინატორის ან ბანკების ბანკის როლში გამოდის. რეფინანსირების კრედიტები მხოლოდ მდგრად ბანკებზე გაიცემა, რომლებიც დროებით ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან და შემდეგი სახის ფაქტორებზე დამოკიდებულებით შეიძლება განვასხვაოთ:

- უზრუნველყოფის ფორმით (სააღრიცხვო და ლომბარდული კრედიტები);

მიწოდების მეთოდებით (პირდაპირი კრედიტები და კრედიტები, რომლებიც აუქციონების ჩატარების საფუძველზე გაიცემა);

- მიწოდების ვადებით (მოკლევადიანი და საშალოვადიანი);

მიზნობრივი ხასიათით (კორექტირებადი კრედიტები და გახანგრძლივებული სეზონური კრედიტები).

სავალუტო პოლიტიკის განხორციელება - გამომდინარეობს იქიდან, რომ ცენტრალური ბანკი სავალუტო პოლიტიკის გამტარებელ ინსტიტუტს წარმოადგენს და იგი თავის თავში ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოზიციების განმტკიცებაზე მიმართულ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას ითვალისწინებს. სავალუტო პოლიტიკის მიმართულებები ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციებით, მისი საგადასახდელო ბალანსისა და ფულადი მიმოქცევის მდგომარეობით, აგრეთვე საგარეო ვალდებულებებით განისაზღვრება, რომელიც ამ ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციებში მონაწილეობის შედეგად წარმოიშვა. სავალუტო პოლიტიკა მოიცავს:

სავალუტო კურსის რეგულირებას;

სავალუტო რეგულირებისა და სავალუტო კონტროლის განხორციელებას;

- ოფიციალური სავალუტო რეზერვების ფორმირებას და მათ მართვას;

- საერთაშორისო სავალუტო თანაშემრომლობის განხორციელებას და საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციებში მონაწილეობას.

საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის რეგულირება. ბანკების და ზოგადად საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობაზე კონტროლი თითოეული მათგანის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება და იგი ბანკის მიერ თავისი საქმიანობის მოქმედი კანონ-მდებლობისა და ინსტრუქციების შესაბამისად განხორციელებაზე მიზნობრივ და უწყვეტ ზედამხედველობას ითვალისწინებს. საბანკო ზედამხედველობა ისახავს ორ ძირითად მიზანს:

მეანაბრის შესაძლო დანაკარგებისაგან დაცვას;

საფინანსო ბაზარზე სისტემური რისკების თავიდან აცილების მეშვეობით სტიმულირების მხარდაჭერას.

ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქციების განხორციელებისას მის ამოცანაში შედის:

- ლიცენზიების გაცემა საბანკო საქმიანობაზე;

- ბანკების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების შემოწმება;

რევიზიები ადგილებზე;

კონტროლი საბანკო ოპერაციების ნორმების დაცვაზე.

მთავრობის ფინანსური აგენტის ფუნქცია. ცენტრალური ბანკი თავისი სტატუსით მთავრობის ფინანსურ აგენტს წარმოადგენს და იგი სახელმწიფო ვალის განთავსებისა და დაფარვის, ბიუჯეტის საკასო გამოყენების, მთავრობის მიმდინარე ანგარიშების მომსახურების, მიმოქცევიდან სახაზინო ბილეთებისა და მონეტების გამოშვებითა და მიმოქცევიდან მათი ამოღების, აგრეთვე მთავრობის მიერ სხვა ქვეყნებთან ანგარიშსწორების განხორციელებისას სავალუტო სახსრების გადარიცხვასთან დაკავშირებულ ოპერაციებს ახორციელებს. ცენტრალური ბანკის მნიშვნელოვანი როლი ისეთი პრობლემის გადაწყვეტაში,

როგორცაა სახელმწიფო ხარჯებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვაზე კრედიტების გაცემა, სახელმწიფოს კრედიტორის სახით მის როლს შეესაბამება.

საგადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების ორგანიზაცია. ცენტრალურმა ბანკმა კომერციულ ბაქებს შორის გადახდების ორგანიზაციაში მონაწილეობა გადახდების ტექნოლოგიებში ფუნდამენტური ცვლილებების – ქალაქის ფულის მიმოქცევაზე გადასვლის პერიოდში დაიწყო. შიდა ღირებულების არ მქონე ქალაქის ფულის გამოყენებამ, ნდობაზე დაფუძნებული საანგარიშსწორებო სისტემის შექმნა მოითხოვა. გადახდების განხროციელებაზე პასუხისმგებლობა ცენტრალურმა ბანკმა აიღო თავის თავზე, რომელსაც წუნდაუდებელი ფინანსური მდგომარეობა და დიდი ავტორიტეტი გააჩნია.

ქვეყნის საგადასახადო სისტემის ორგანიზაციაში ცენტრალური ბანკის სამ ძირითად ამოცანას წარმოადგენს:

1. ფინანსური სისტემის სტაბილურობის მხარდაჭერა;
2. საგადასახადო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
3. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება.

### 5.3. საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის მთავარი რგოლის – ეროვნული ბანკის შექმნა და ცივილიზებული მეთოდებით ამუშავება დაიწყო დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი დღიდან. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადაიდგა მაშინ, როცა საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე მანამადე არსებული ყოფილი საბჭოთა კავშირის საკრედიტო სისტემის შემადგენელი ყველა სტრუქტურა და რგოლი: სახელმწიფო ბანკი, შემნახველი ბანკი,

აგროსამრეწველო ბანკი, მრეწვემშენბანკი, ბინსოცბანკი, მათი ფილიალები და გამოთვლითი ცენტრები.

1991 წლის 2 აგვისტოს გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება: „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“ და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონების შემოღების წესის თაობაზე. ამ დადგენილების III და IV თავში საქართველოს საკუთრებად გამოცხადდა სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა და მის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ეროვნული ბანკი.

ქვეყნის დამოუკიდებლობის საწყისი პერიოდიდან მოყოლებული საქართველოს საბანკო სექტორის განვითარება რთული და არაერთგვაროვანი მოვლენებით აღსავსე პროცესია, რომელიც დღემდე გრძელდება. დამოუკიდებელი საბანკო სისტემის არსებობის მანძილზე საბანკო საქმიანობის განვითარების პროცესზე ეკონომიკურთან ერთად ისეთი ფაქტორებიც ახდენდნენ გავლენას, რომელთა შინაარსიც სცილდება ეკონომიკური მოვლენების ფარგლებს. პოლიტიკური დესტაბილიზაციის ფონზე მოიშალა ტრადიციული ეკონომიკური კავშირებიც, ყოველივე ამან წარმოების მკვეთრი დაცემა განაპირობა და ქვეყანა ფინანსური კრიზისის პირდაპირ აღმოჩნდა. საქართველო ობიექტური მიზეზების გამო, მოექცა ჯერ სამანეთო, შემდეგ კი რუბლის ზონაში, რის შედეგად შეუძლებელი გახდა ავტონომიური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება.

ეროვნულმა ბანკმა ვერ უზრუნველყო შექმნილ მდგომარეობასთან მისადაგებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება. აღნიშნული გამოიხატებოდა ე.წ. „ჭაერიდან“ აღებული ურესურსო კრედიტების იაფად გაცემაში, რითაც ისარგებლეს ხელისუფლების სხვადასხვა დონის წარმომადგენლებმა, ბანკებთან დაახლოებულმა პირებმა, კრიმინალურმა ჯგუფებმა. მათ მიერ გატანილი სესხები ეკონომიკას კი არ ემსახურებოდა, არამედ ყიდვა-გაყიდვის ობიექტად იქცა, რითითაც კიდევ უფრო გამწვავდა ინფლაციური პროცესი. ფულად-საკრედიტო სისტემაში ქაოსის გამო პროცესებმა უმართავი ხასიათი მიიღეს. მდგომარეობას ისიც ამწვავებდა, რომ

საბანკო-საკრედიტო სფეროში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მოექცნენ არაპროფესიონალები, რომელთაც საბაზრო პირობებში მართვის, კერძოდ კი საბანკო მეწეჯმენტის არანაირი გამოცდილება არ გააჩნდათ.

იმისათვის, რომ ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა (ჩვენს შემთხვევაში ეროვნულმა ბანკმა) სრულფასოვნად განახორციელოს თავისი ფუნქციები, აუცილებლად უნდა აქონდეს შემდეგი მინიმალური რესურსები:

1. ფულის საკუთარი (ეროვნული) ნიშანი;
2. ოქროსა და უცხოური ვალუტის რეზერვები;
3. საკრედიტო რესურსები.

სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ეროვნული ბანკის დაარსების პირველ წლებში, არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილთაგანი ქვეყნის ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკს არ გააჩნდა. 1993 წლამდე საქართველო ჯერ კიდევ სამანეთო (რუბლის) ზონაში იმყოფებოდა და ფულის ნიშნებითაც სწორედ რუსეთიდან მარაგდებოდა.

საკუთარი სავალუტო-საკრედიტო პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთმა შეწყვიტა საქართველოსათვის ფულადი ნიშნების მიწოდება. ქვეყანაში წარმოიშვა ხელფასების, პენსიების და სხვა გადასახდელების დაფარვის პრობლემა. შექმნილმა მდგომარეობამ აიძულა ქვეყნის ხელმძღვანელობა მოეძებნა გამოსავალი საბანკო სისტემის სტრუქტურული პრობლემების გადაწყვეტაში, შესაბამისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავების გზით. 1993 წლის გაზაფხულისათვის ხელისუფლება იძულებული გახდა მიემართა საგანგებო ღონისძიებებისათვის. 1993 წლის 1 აპრილიდან მიმოქცევაში შემოიღეს გარდამავალი ფულის ნიშანი – კუპონი. საკუთარი ფულადი ერთეულის შემოღებამ ქვეყანას ფორმულურად დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების საშუალება მისცა, მაგრამ ეს შესაძლებლობა არასწორად იქნა გამოყენებული. კერძოდ, იმის ფონზე, რომ კუპონის შემოღებას არანაირი რეალური ეკონომიკური სამზადისი არ უძღოდა კურსის შემდგომი სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად (ეროვნულ ბანკს არ გააჩნდა საერთაშორისო რეზერვები), ემისიის განხორციელება ხდებოდა ეკონომიკური სიტუაციის გაუთვალისწინებლად, მშპ-ის კლების პირობებში.

შედგებად, 1990 წელს ფულის მასა 30-ჯერ გაიზარდა. შედეგად თუ აგვისტოში 1 აშშ დოლარი 5690 კუპონი ღირდა, 1994 წლის იანვარში მისი კურსი უკვე 102300 კუპონს აღწევდა, ხოლო სექტემბერში - 2,4 მლნ კუპონს. ქვეყანაში ინფლაციის წლიური მაჩვენებელი 8000 % დაფიქსირდა, რომელიც სარეკორდო იყო როგორც ყოფილ საბჭოთა ქვეყნების, ასევე მსოფლიოს მასშტაბითაც.

საბანკო სისტემა მკვეთრად იცვლება 1994 წლიდან, როცა საქართველოში ეკონომიკური რეფორმების მეთოდოლოგიური და მეთოდური საკითხების მოწესრიგებაში აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო სავალუტო ფონდი. 1995 წლის 28 ივნისს საქართველომ მიაღწია შეთანხმებას საერთაშორისო სავალუტო ფონდთან სისტემური ტრანსფორმაციის ტრანშით ეკონომიკური რეფორმის პროგრამის დაფინანსებას. ეს დაფინანსება ე.წ. „სტენდ-ბაის“ პროგრამით ხორციელდება. ამ პროგრამით სავალუტო ფონდის მიერ გამოგზავნილმა მისიამ საქართველოს მთავრობის მონაწილეობით საქართველოს ეროვნულ ბანკთან (სებ) ერთად შეიმუშავა მეთოდოლოგიურ და მეთოდურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის თანახმად ახლებურად ჩამოყალიბდა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ამოცანები. წინა პლანზე წამოიწია ინფლაციის ერთნიშნა ციფრამდე დაყვანის, ეროვნული ბანკის უცხოური რეზერვების გაჯანსაღების, წარმოების დაცემის შეჩერების ამოცანამ.

1995 წელს პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, შესაძლებელი გახდა სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება და საფინანსო-საბიუჯეტო სექტორის სტაბილიზაცია, რაც თავის მხრივ, საფუძვლად დაედო 1995 წლის სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებებს - „მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის ლარის გამოშვებისა და „ეროვნული ფულადი ერთეულის - ლარის - მიმოქცევაში დამკვიდრების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

ამავე პერიოდში იწყება ეროვნული ბანკის თანამედროვე ტიპის საბანკო ზედამხედველობის სტრუქტურის ჩამოყალიბება. ერთ-ერთი პირველი პრაქტიკული ნაბიჯი, რომელიც ეროვნულმა ბანკმა ამ მიმართულებით გადადგა 1995 წელს ეროვნული ბანკისა და სომხეთის ცენტრალური ბანკის ინიციატივით შექმნილი „ამიერკავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების საბანკო ზედამხედველობის რეგიონალური



ჯგუფი” იყო, რომლის ეგიდითაც ხდებოდა „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის” მიერ შემუშავებული საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება. იგი გამოიხატებოდა ახალი ეკონომიკური ლიმიტებისა და ნორმატივების შემოღებით. შედეგად, კუპონის კურსი 2 400 000-დან 1 300 000-ზე ჩამოვიდა და ამავე დონეზე სტაბილური გახდა ერთი წლის განმავლობაში, მოხდა ნაღდი და უნაღდო ვალუტის კურსებს შორის სხვაობის აღმოფხვრა.

სრულყოფილი გახდა საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზაც. 1995 წლის 23 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ კანონი”. 1996 წლის 23 თებერვალს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ”, რომლის საფუძველზეც დაჩქარდა სრულყოფილი ორდონიანი (ორიარუსიანი) საბანკო სისტემის ჩამოყალიბება. ფულად-საკრედიტო სფეროში წარმატებული რეფორმები დაგვირგვინდა 1995 წლის სექტემბრიდან ახალი ეროვნული ვალუტის – ლარის შემოღებით. აღსანიშნავია, რომ ლარის წარმატება ბევრად განაპირობა კუპონის ერთწლიანმა სტაბილურობამ. ლარის შემოღება განხორციელდა კუპონთან 1:1000 000 კურსით.

ლარის შემოღებით გაგრძელდა მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ახალი ეროვნული ვალუტის ემისია მკაცრად კონტროლდებოდა. ამასთან ეროვნული ბანკი უკვე ფლობდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებულ სავალუტო რეზერვების საჭირო ოდენობას, რაც საშუალებას აძლევდა ხელისუფლებას სავალუტო ინტერვენციები განეხორციელებინა ლარის მიმართ და ამით მისი გაცვლითი კურსის სტაბილურობა უზრუნველყო.

მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საბანკო რეგულირების მიმართულებითაც აისახა – საბანკო დაწესებულებებისათვის ამოქმედდა სავალდებულო რეზერვების დახვეწილი სისტემა, რაც გამორიცხავს მათი მხრიდან საკრედიტო ექსპანსიას და რისკების კრიტიკულ დონეს საბანკო სისტემაში.

კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში სებ თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ მის

საქმიანობაში გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქციებია:

ა) შეიმუშაოს, მიიღოს და განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა;

ბ) შეიმუშაოს, მიიღოს და განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის სავალუტო პოლიტიკა;

გ) განახორციელოს საბანკო საქმიანობისა და ბანკებთან არსებული ვალუტის გადამცვლელთა პუნქტების ლიცენზირება და ზედამხედველობა;

დ) ფლობდეს, ინახავდეს და განკარგავდეს ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს;

ე) იყოს საქართველოს რესპუბლიკის ბანკირი, მრჩეველი და ფინანსური აგენტი;

ვ) ხელს უწყობდეს საგადასახადო სისტემების ეფექტიან ფუნქციონირებას;

ზ) ხელს უწყობდეს საიმედო და მდგრადი საფინანსო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებას მენაბრეთა ინტერესების დაცვის მიზნით.

საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების, კომერციული ბანკების რეალური ფინანსური მდგომარეობის დადგენისა და მათი საქმიანობისათვის სათანადო ეკონომიკური პირობების შექმნის მიზნით, სებ-მა შემოიღო კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების, გამოყენების, აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა. ამ დებულების თანახმად სესხების გადაადგილების დღეთა ოდენობის, პროცენტის გადახდის, ვადის გაგრძელების, უზრუნველყოფისა და მსესხებლის კრედიტუნარიანობის გათვალისწინებით, განისაღვრება დანაკარგების რეზერვების დაუყოვნებლივ ფორმირების აუცილებლობა და ვადაგადაცილებული სესხების სრული ჩამოწერის საჭიროება.

1995 წლიდან სებ-ის ზედამხედველობის პოლიტიკა ეფუძნება მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნებისა და „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ მიერ დადგენილი ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ძირითად პრინციპებს, ხოლო საბანკო ზედამხედველობის მეთოდად

გამოიყენება CAMEL-ის სისტემა, რითაც ხდება ბანკების ადგილზე შემოწმება, ცალკეული კომპონენტების შეფასებით:

C ნიშნავს კაპიტალს;

A – აქტივებს;

M – მენეჯმენტს;

E – მოგებას;

L – აქტივ-პასივების ლიკვიდურობას.

კომერციული ბანკების მიერ სებ-ში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების შესაფასებლად გამოიყენება ასევე CAEL-ის სისტემა, რომელიც CAMEL სისტემის მოდიფიცირებული ვარიანტია. CAEL ეყრდნობა იმავე პრინციპებს, რასაც CAMEL იმ განსხვავებით, რომ მასში არ ფასდება მენეჯმენტი.

2000-2001 წწ. შემოღებულ იქნა საბანკო საქმიანობის რეგულირების ახალი წესები და პროცედურები, რომლებიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკების ზუსტად დადგენის მიზნით აქტივების კლასიფიკაციის ახალი სისტემის შემქნას, გარე და შიდა აუდიტორული საქმიანობაში ინტერესთა კონფლიქტის გამიჯვნას.

## კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რა ფაქტორებმა განაპირობა ცენტრალური ბანკების წარმოშობა?

2. რა პერიოდიდან იწყება ცენტრალური ბანკების ნაციონალიზაციის ტენდენცია?

3. თანამედროვე საკრედიტო სისტემაში რა ძირითად ფუნქციებს ასრულებს ცენტრალური ბანკი?

4. ფოლად-საკრედიტო პოლიტიკის რომელ ძირითად ინსტრუმენტებს გამოიყენებს ცენტრალური ბანკი?

5. რომელი ძირითადი საკითხების გადაწყვეტას მოიცავს ცენტრალური ბანკის მიერ სავალუტო პოლიტიკის განხორციელება?

6. რომელ ძირითად კანონმდებლობას ეყრდნობა სებ თავისი საქმიანობის განხორციელებისას?

7. ჩამოთვალეთ და განმარტეთ სებ-ის ძირითადი ფუნქციები.

8. კომერციული საბანკო სისტემის ზედამხედველობის რომელ ძირითად მეთოდებს გამოიყენებს სებ?

## ტესტები

1. თანამედროვე განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში ცენტრალური ბანკის კაპიტალი

- ა) სახელმწიფო საკუთრებაა;
- ბ) უცხოელი ინვესტორების საკუთრებაა;
- გ) სააქციო საკუთრებაა;
- დ) კერძო საკუთრებაა.

2. ბრიუსელის საერთაშორისო საფინანსო კონფერენცია, სადაც გადაწყდა ცენტრალური ბანკების შექმნის და მათი დამოუკიდებლობის აუცილებლობა, ჩატარდა:

- ა) 1910 წელს;
- ბ) 1915 წელს;
- გ) 1918 წელს;
- დ) 1920 წელს.

3. განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკები თავისი ფუნქციების შესრულებისას ექვემდებარება:

- ა) მთავრობას;
- ბ) იურიდიულად დამოუკიდებელია;
- გ) პრეზიდენტს;
- დ) მონარქს.

4. ცენტრალური ბანკის ძირითად ფუნქციებს არ მიეკუთვნება:

- ა) სავალუტო პოლიტიკის განხორციელება;
- ბ) ბანკოტების ემისია;
- გ) მთავრობის ფინანსური აგენტის ფუნქცია;
- დ) საგადასახადო პოლიტიკის გატარება.

5. ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტებს არ მიეკუთვნება:

- ა) ოფიციალური, სააღრიცხვო განაკვეთის რეგულირება;
- ბ) ოპერაციები ღია ბაზარზე;
- გ) ვალუტის კურსის რეგულირება;
- დ) მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაწესება.

6. კომერციული ბანკის ანაბრები ცენტრალურ ბანკში, რომელთა მოცულობა დგინდება კანონმდებლობით საბანკო ვალდებულებებთან (კლიენტების ანაბრებთან) განსაზღვრული მიმართებით არის:

- ა) ლიკვიდური რეზერვები; ბ) სადისკონტო განაკვეთი;
- გ) საზედამხედველო განაკვეთი; დ) მინიმალური რეზერვები.

7. განაკვეთი, რომლითაც კომერციული ბანკები აღრიცხავენ თამასუქს, ანუ პროცენტის განაკვეთი, რომლითაც ცენტრალური ბანკი აძლევს კომერციულ ბანკს სესხს, არის:

- ა) სადემოზიტო განაკვეთი; ბ) რენდინტის განაკვეთი;
- გ) სადისკონტო განაკვეთი; დ) დივიდენდის განაკვეთი.

8. “საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ კანონი” საქართველოს პარლამენტმა მიიღო:

- ა) 1992 წლის 2 აგვისტოს; ბ) 1995 წლის 23 ივნისს;
- გ) 1996 წლის 23 თებერვალს; დ) 1997 წლის 1 იანვარს.

9. “კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ” საქართველოს პარლამენტმა მიიღო:

- ა) 1994 წლის 1 იანვარს; ბ) 1995 წლის 1 იანვარს;
- გ) 1996 წლის 23 თებერვალს; დ) 1998 წლის 2 ოქტომბერს.

10. საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული საბანკო სისტემის ზედამხედველობის მეთოდებად იყენებს:

- ა) CAIL da CAAL სისტემას; ბ) CAMEL da CAEL სისტემას;
- გ) CALINC da CALIM სისტემას; დ) CAMEL da CAIL სისტემას.

## თემა 6. კომერციული ბანკები

*მეცნიერება აუცილებელია ხალხისათვის.  
ჰემსანა, რომელიც არ ცდილობს მის  
ბანკირებას, უზუველად იქცევა კოლონიად.  
ქოლიო-კიუოი*

### 6.1 კომერციული ბანკის ფუნქციები და ორგანიზაციული სტრუქტურა

კომერციული ბანკი ფულადი მიმოქცევის სფეროს ძირითადი სტრუქტურული ერთეულია, რომელიც გაცვლის სფეროში მოქმედებს. ბანკების საქმიანობა მრავლის მომცველია. იგი საქონლის გაცვლის ხელშეწყობის მიზნით „ყიდულობს“ რესურსებს და „ყიდის“ მათ. ბანკი, თავისი „საქონლის (კრედიტის) გაყიდვით“, გასესხებული თანხის მესაკუთრე გამოდის და მისი დაბრუნებისას იგი არა მარტო საწყის ღირებულებას, არამედ სასესხო პროცენტის სახით მასზე დანამატსაც ღებულობს.

საგადასახადო ბრუნვის ზრდის შესაბამისად, ბანკის როგორც საანგარიშსწორებო ცენტრის როლიც მაღლდება. ბანკები, როგორც მსხვილი, ასევე მცირე დანაზოგების მობილიზებით, ფულადი კაპიტალის დაგროვების ბაზას აფართოებენ და მიღებულ სახსრებს ინვესტიციებისა და კრედიტების სისტემის მეშვეობით ეკონომიკის განვითარებაში აბანდებენ. ბანკი ბირჟის აგენტის სახითაც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, სადაც იგი ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე თავის უფლების რეალიზებას ასორციელებს.

კომერციული ბანკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისაგან განმასხვავებელი მახასიათებელი ნიშანია საკრედიტო ფულის შექმნის და განადგურების უნარი. იგი ხორციელდება ქვეყნის ცენტრალურ ბანკთან ერთად საკრედიტო და საინვესტიციო ოპერაციების მეშვეობით. კომერციული ბანკის შესაძლებლობას - „შექმნას ფული“ - დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისთვის. ის რეალიზდება

მოქნილ საკრედიტო სისტემაში, რომელიც ეკონომიკის შედარებით მყარი ზრდის ტემპის აუცილებელი პირობაა.

ეკონომიკას სჭირდება აუცილებელი და არა ზომაზე მეტი ფულადი მასის მიწოდება. თუ ფულის რაოდენობა მიმოქცევაში გაიზარდა უფრო მაღალი ტემპით, ვიდრე საქონლის და მომსახურების წარმოება, მაშინ ადგილი ექნება ინფლაციას ეკონომიკური განვითარების ყველა მხარეზე თავისი უარყოფითი ზემოქმედებით და პირიქით, თუ ფულის რაოდენობა მიმოქცევაში ჩამორჩება წარმოებას, ეკონომიკა განიცდის დეფლაციას ასევე არასასურველი შედეგებით. ცენტრალური ბანკის პოლიტიკის მიზანია, უზრუნველყოს მიმოქცევაში ფულის რაოდენობის შესაბამისობა ფასების სტაბილიზაციის ეროვნულ ამოცანებთან, ხელი შეუწყოს ეკონომიკის ზრდის ნორმალურ ტემპებს და დასაქმების მაღალ დონეს. ამ პოლიტიკის რეალიზაციაში კომერციული ბანკები უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ: ისინი წარმოადგენენ მიმოქცევაში ფულის რაოდენობის, როგორც აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტის საშუალების, გადიდების ან შემცირების აუცილებელ არხს.

კომერციული ბანკის ფუნქციებს შორის ასევე მნიშვნელოვანია საგადასახდლო მექანიზმის უზრუნველყოფა, ანუ სახსრების გადარიცხვა. ამ ფუნქციის მნიშვნელობა მით უფრო სერიოზულია, რამდენადაც მეტია ჩეკებისადმი და საკრედიტო ბარათებისადმი ნდობა. მიუხედავად ფინანსური ოპერაციების ზრდისა, მთლიან შიდა პროდუქტთან შედარებით ფულადი ანაბრების თანდათანობით შემცირება მოწმობს საგადასახდლო სახსრების გამოყენების მაღალ ეფექტიანობას.

კომერციული ბანკები ახორციელებენ უაღრესად მნიშვნელოვან მომსახურებას ეკონომიკის ყველა სექტორისათვის იმით, რომ უზრუნველყოფენ დანაზოგთა აკუმულაციას და მათ შემდგომ გამოყენებას სხვადასხვაგვარი ეკონომიკური და სოციალური საჭიროებისათვის. ბანკში მოთავსებულ დანაზოგზე, რომელიც სრულ უსაფრთხოებაში და მაღალ ლიკვიდობაში იმყოფება, მეანაბრე იღებს გასამრჯელოს სარგებლის სახით. კონცენტრირებული დანაზოგები შეიძლება ისესხონ მეწარმეებმა საწარმოო სიმძლავრეთა გასაფართოებლად და

მომხმარებლებმა სახლების ან სამომხმარებლო საქონლის საყიდლად. საზოგადოებაში, სადაც შემოსავლის დონე საკმაოდ მაღალია მისი (შემოსვლის) მნიშვნელოვანი ნაწილი დაიზოგება. ამ ფულადი სახსრების დიდი ნაწილი კი თავმოყრილია კომერციულ ბანკებში.

კომერციულ ბანკების ძირითადი ფუნქციაა საიმედო მსესხებლებზე კრედიტის გაცემა. კრედიტის გაცემით ბანკები მნიშვნელოვან სამსახურს ეწევიან. კრედიტის მეშვეობით ფართოდება წარმოება, იზრდება კაპიტალი, მიიღწევა ცხოვრების მაღალი დონე. საბანკო სესხები უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკისათვის, ვინაიდან ისინი აგრარული სფეროს, ვაჭრობის, მრეწველობის და სხვა დარგების დაფინანსებას ახორციელებენ.

ჩვეულებრივ, კომერციული ბანკების ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები განიხილება საკრედიტო ოპერაციებისაგან განცალკევებით, თუმცა მათი ეკონომიკური ეფექტი და სოციალური შედეგები მაინც არსებითად ერთნაირია, იმის გამო, რომ სახელმწიფოს ხარჯები ყოველთვის ვერ იფარება შემოსავლებით, კომერციული ბანკებისაგან დროებით სესხის აღება არც თუ ისე იშვიათია. მაშასადამე, ბანკის სესხები აადვილებენ მთავრობის ფინანსურ საქმიანობას. მთლიანობაში მსხვილი სამთავრობო პროგრამების დაფინანსება ხორციელდება არა სახელმწიფოს შემოსავლების ხარჯზე, არამედ სესხის ობლიგაციების გამოშვების გზით. ბანკები, ყიდულობენ რა მუნიციპალური ორგანოების ფასიან ქაღალდებს, აძლევენ მათ აუცილებელ სახსრებს სკოლების და საავადმყოფოების ასაშენებლად, ახალი სახანძრო მანქანების შესაძენად და ა.შ. მსგავსი დანახარჯები ხელს უწყობენ ცხოვრების დონის ამაღლებას. სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების შესყიდვისას მიღებული სახსრები გამოიყენება ისეთი მიზნებისათვის, როგორცაა ავტოსტრადების და კაშხალების მშენებლობა, ეროვნული თავდაცვა და ა.შ.

საგარეო ვაჭრობა თავისი არსით არ განსხვავდება საშინაოსაგან, მაგრამ გარკვეული განსხვავებანი მოითხოვენ კომერციული ბანკებისაგან საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელებასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ საბანკო მომსახურებას. ეს განსხვავებანი



დაკავშირებულია ეროვნული ფულადი სისტემის არსებობასთან, სხვა ქვეყნებში მყიდველების და გამყიდველების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ცნობების უქონლობასთან და ზოგიერთ შემთხვევაში – ენობრივი ბარიერების არსებობასთან. ბევრ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს საზღვარგარეთ მოგზაურობისას ესაჭიროება კომერციული ბანკების განსაკუთრებული მომსახურება. გარდა იმისა, რომ ისინი მოისურვებენ, ლარების გარკვეული თანხა აქციონ უცხოურ ვალუტად, ტურისტები ალბათ შეიძენენ ფულად აკრედიტივებს ან ტურისტულ ჩეკებს. კომერციული ბანკის მიერ საგარეო ვაჭრობის და უცხოური ტურიზმის მომსახურება აადვილებს და აიაფებს ქვეყნებს შორის საქონელგაცვლას. საერთაშორისო ვაჭრობის ზრდასთან ერთად იზრდება კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული საერთაშორისო ანგარიშსწორებათა მოცულობაც.

შემოსავლების ზრდამ გამოიწვია დიდი მატერიალური ფასეულობების აკუმულაცია, რომლებიც თავის მხრივ გადაიქცნენ კომერციული ბანკების მინდობილობითი ოპერაციების ზრდის საფუძველად. ფიზიკურ პირებს, რომელთაც გააჩნიათ გარკვეული რაოდენობის ქონება, სურვილი აქვთ სიცოცხლეშივე განაგონ იგი. ისინი ადგენენ ანდერძს და ბანკის ტრასტ-განყოფილებებს აძლევენ ქონების მართვის უფლებას მონდერძის და მემკვიდრის ინტერესებიდან გამომდინარე. უფრო მეტიც, ზოგიერთი ანდერძის მიხედვით ტრასტ-განყოფილებები მინდობილობის პირობების შესაბამისად პასუხს აგებენ შემოსავლიან აქტივებში კაპიტალის ინვესტირებაზე, ფონდების მართვასა და შემოსავლის განაწილებაზე. ტრასტ-განყოფილებები მთელ რიგ მომსახურებას უწევენ კორპორაციებს. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს საპენსიო ფონდების სახსრების და მოგებაში მონაწილეობის პროგრამების მართვა, რომელთა მნიშვნელობა უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა.

ფასეულობების სეიფებში შენახვა, კომერციული ბანკების მიერ შემოთავაზებული ერთ-ერთი უძველესი მომსახურებაა. ბანკებს ყველაზე დახელოვნებული ქურდებისთვისაც კი ძნელად მისაღწევი სეიფები აქვთ და უძველესი დროიდან ფასეულობათა საიმედო შემნახველების რეპუტაციით სარგებლობენ. ფასეულობათა შენახვა

ბანკებში ორი ფორმით ხორციელდება: სეიფების გამოყოფა ფასეულობათა შესანახად და ფასეულობათა შენახვა ფოლადის საკანში. კლიენტებს ფასეულობათა შესანახად სეიფები გადაეცემათ იჯარით. ასეთი ხელშეკრულებით კლიენტს ნებისმიერ დროს შეუძლია შეამოწმოს თავისი ფასეულობა. ფოლადის საკანში შენახვა განსხვავდება სეიფის გამოყოფის მომსახურებისგან, რამდენადაც ამ შემთხვევაში ბანკი ღებულობს ფასეულობას შესანახად და გამოდის აგენტის როლში. თუმცა მომსახურება, ისევე, როგორც შესანახად მიღებული ნივთები, მეტად განსხვავებულია, ფოლადის საკანში შენახვის ძირითადი მიზანია ფასიანი ქაღალდების: აქციებისა და ობლიგაციების დაცვის უზრუნველყოფა. ტრასტ-განყოფილება შესანახად მიიღებს, მაგალითად, ბანკიდან აღებული სესხის უზრუნველსაყოფად გადაცემულ ფასიან ქაღალდებს. ფასიანი ქაღალდები, რომელთა მართვაც ხორციელდება ტრასტ-განყოფილების მინდობილობით, ასევე ინახება ფოლადის საკანში. ზოგჯერ ფასიანი ქაღალდების მფლობელს შეუძლია მიმართოს ბანკს თხოვნით, არა მარტო შეინახოს ისინი საკანში, არამედ მისი ხანგრძლივი არყოფნის დროს მოჭრას ობლიგაციების კუპონები და წარადგინოს ისინი სარგებლის გასაცემად, მიიღოს დივიდენდები და მიღებული ფული მის ანგარიშზე ჩარიცხოს.

ზემოაღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ კომერციული ბანკის ძირითადი ფუნქციებია:

- ა) საკრედიტო ფულის შექმნა;
- ბ) საგადასახდელო მექანიზმის უზრუნველყოფა;
- გ) დანაზოგების აკუმულაცია;
- დ) კრედიტის გაცემა;
- ე) საგარეო ვაჭრობის დაფინანსება;
- ვ) ოპერაციები მინდობილობით;
- ზ) ფასეულობათა შენახვა და სხვ.


საქართველოში კომერციული ბანკები საკუთრების ნებისმიერი ფორმით შეიძლება შეიქმნას: კერძო, კოლექტიური, სააქციო და შერეული. თუ საქართველოს ბანკებისათვის საწესდებო კაპიტალის ფორმირებისათვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა დასაშვებია, მაშინ იქმნება:

ერთობლივი ბანკები („საწესდებო კაპიტალი“-ს ფორმირება რეზიდენტებისა და არარეზიდენტების სახსრების ხარჯზე ხორციელდება);

არარეზიდენტი ბანკების ფილიალები.

საწესდებო კაპიტალის ფორმირების ხერხის მიხედვით ბანკი იყოფა: აქციონერულად (ღია ან დახურული ტიპის) და საპაიოებად. აქციონერულ ბანკებში კაპიტალის მესაკუთრედ თვითონ ბანკი გამოდის. ხოლო საპაიო ბანკები თავიანთი კაპიტალის მესაკუთრეებს არ წარმოადგენენ. აქციონერული ბანკები შეიძლება იყოს ღია და დახურული ტიპის. კომერციული ბანკის ორგანიზაციული მოწყობა სააქციო საზოგადოების მართვის მიღებულ სქემას შეესაბამება (იხ. ნახ. 6.1.).

კომერციული ბანკი თავისი საქმიანობიდან, გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და ფილიალების, განყოფილებების, წარმომადგენლობებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების სახეობებიდან დამოკიდებულებაში მას შეიძლება პირამიდული, გეოგრაფიული ან კომბინირებული სტრუქტურა ჰქონდეს.



ნახ. 6.1 კომერციული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა

## 6.2 კომერციული ბანკების ძირითადი ოპერაციები

ბანკის საქმიანობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მისი რესურსების უმეტესი ნაწილის ფორმირება არა საკუთარი სახსრების, არამედ ძირითადად მოზიდული სახსრების ხარჯზე ხორციელდება, ბანკის მიერ რეგულირდება და იგი ბანკის საკუთარი კაპიტალის სიდიდეზე და მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე არის დამოკიდებული. კომერციული ბანკის რესურსები, ჩვეულებრივად განისაზღვრება, როგორც ბანკის განკარგულებაში არსებული საკუთარი და მოზიდული სახსრების ერთობლიობა და მის მიერ მათი აქტიური ოპერაციების განხორციელებისათვის გამოყენების შესაძლებლობა.

საკუთარი სახსრები არის ბანკის საწესდებო ფონდისა და მისი სხვა ფონდების ერთობლიობა, რომელიც ფინანსური მდგომარეობის, კომერციული და სამეურნეო საქმიანობის უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე ბანკის მიერ მიმდინარე წელს და გასულ წლებში მიღებული მოგების ხარჯზე იქმნება.

საკუთარი სახსრების შემადგენლობაში შედის: საწესდებო, სარეზერვო, სპეციალური, ეკონომიკური სტიმულირების ფონდები; საკრედიტო რისკებისა და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების გადასაფარავე რეზერვები; საწარმოო და სპეციალური განვითარების სახსრები; მიმდინარე წლის მოგება და გასული წლების გაუნაწილებელი მოგება.

ბანკის მოზიდული რესურსები პასიური ოპერაციებით იქმნება. საქართველოს პრაქტიკაში კომერციული ბანკის პასიური ოპერაციებს მიეკუთვნება:

ანაბრების (დეპოზიტების) ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში მიღება;

- კლიენტების ანგარიშების, მათ შორის ბანკი – კორესპონდენტების ანგარიშების ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში გახსნა და მომსახურება;

- საკუთარი ფასიანი ქაღალდების (აქციების და ობლიგაციების) გამოშვება, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების როგორც ფინანსური ინსტრუმენტების (თამასუქების,

დეპოზიტური და საშემნახველო სერთიფიკატების) ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში გამოშვება;

- მიღებული ბანკთაშორისო კრედიტები, მათ შორის ცენტრალიზებული, აუქციონებზე შექენილები, ან საქართველოს ეროვნულ ბანკში შექენილები (გარდა ეროვნული ბანკიდან მიღებული სესხებისა).

ვადიანი ანაბრები ჩაირიცხება დეპოზიტურ ანგარიშებზე განსაზღვრული ვადით და მათზე პროცენტების გადახდა ხორციელდება. დეპოზიტის მფლობელი დეპოზიტურ სერთიფიკატს ღებულობს, რომელზეც ჩადებული თანხა, საპროცენტო განაკვეთი, დაფარვის ვადა და ხელშეკრულების სხვა პირობებია დაფიქსირებული. საპროცენტო განაკვეთი ანაბრის სიდიდეზე და ვადაზეა დამოკიდებული.

საშემნახველო დეპოზიტები არის პროცენტის მომტანი ფიზიკური პირების ანაბარი, რომელთა მიხედვით დივიდენდების მაშინათვე მიღებაც არის შესაძლებელი.

საბანკო რესურსების სხვა წყაროებს ემსახურება ფულადი ფონდები, რომელთაც ბანკი დამოუკიდებლად ლიკვიდობის უზრუნველყოფის მიზნით მოიზიდავს. მათ შორის შეიძლება დაეასახელოთ - სხვა ბანკებიდან მიღებული კრედიტები; უკუ გამოსყიდვის შეთანხმებით გაყიდული ფასიანი ქაღალდები. აღნიშნულმა რესურსებმა მართვადი პასივების სახელწოდება მიიღეს. ასეთი სახის პასივები ბანკების დეპოზიტური დანაკარგების შევსების, გაუთვალისწინებელი მდგომარეობისადმი მზადყოფნის მდგომარეობაში ყოფნის (მაგ., დეპოზიტების მოულოდნელი გადინებისადმი, კრედიტების მოთხოვნაზე მოულოდნელი განაცხადის შემოსავლისადმი) შესაძლებლობას იძლევა.

ეროვნული ცენტრალური სარეზერვო ბანკიდან სესხების მიღება - კომერციული ბანკებისათვის ტრადიციულ პასიურ ოპერაციას წარმოადგენს, რომელიც რეზერვების დროებითი უკმარისობის პირობებში მათთვის დახმარების გაწევის მნიშვნელოვან წყაროდ იქცევა.

შეთანხმება უკვე გამოსყიდვის შესახებ როგორც კომერციული ბანკების რესურსების ახალი წყაროები წარმოიშვა. ასეთი შეთანხმება ბანკსა და ფირმას (ან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დილერებს) შორის შეიძლება დაიდოს, მაშინ როდესაც რომელიღაც ფირმას

ნაღდი ფულის დიდი მოცულობის მეტად მცირე ვადით ჩადების სურვილი უჩნდება, იგი მათ უკვე გამოსყიდვის შეთანხმებით ჩადებს, რადგან იგი მაღალ ლიკვიდურობას ფლობს. ფირმას შეუძლია სახსრები შემდეგ დღეს დაუბრუნოს და მათზე პროცენტები ცოტათი ნაკლები მიიღოს, ვიდრე ეს დეპოზიტური სერთიფიკატიდან იქნებოდა შესაძლებელი. აღნიშნული შეთანხმება დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების განთავსებისათვის მნიშვნელოვან არხად გადაიქცევა.

რაც შეეხება კომერციული ბანკის აქტიურ ოპერაციებს, მის საფუძველს დაკრედიტების ოპერაციები წარმოადგენენ. საკრედიტო ურთიერთობების სუბიექტებს საბანკო კრედიტის სფეროში მეურნე სუბიექტები, მოსახლეობა, სახელმწიფო და თვით ბანკები წარმოადგენენ.

ბანკი დამოუკიდებელი საკრედიტო დაწესებულებაა და იგი თავის საკრედიტო პოლიტიკას პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების, საბანკო კანონმდებლობის დონის, ბანკთშორისო კონკურენციის საბანკო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხისა და სხვათა გათვალისწინებით ახორციელებს.

ბანკის სტრატეგია და ტაქტიკა კრედიტების მიღებისა და გაცემის სფეროში მისი საკრედიტო პოლიტიკის არსს შეადგენს.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკა თავის თავში შემდეგ ელემენტებს მოიცავს:

- მიზნების განსაზღვრას, რომელთაგან გამომდინარე ბანკის საკრედიტო პორტფელის ფორმირება ხორციელდება (სახეობები, ვადები, მოცულობა და უზრუნველყოფის ხარისხი);

ბანკის ქვედანაყოფების უფლებამოსილებების კრედიტების გაცემის, მომსახურებისა და დაფარვის პროცესში გამიჯვნას;

საჭირო საბუთების ჩამონათვალს;

კრედიტების უზრუნველყოფის მიღების, შეფასებისა და რეალიზაციის ძირითად წესებს;

- დაკრედიტებასთან დაკავშირებული ოპერაციების ლიმიტირებას;

- კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების დადგენის პოლიტიკას;

საკრედიტო განცხადების შეფასების მეთოდოლოგია;  
 - პრობლემური კრედიტების დიაგნოსტიკის, მათი ანალიზისა და შექმნილი სიტუაციებიდან გამოსვლის გზების დახასიათებას.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა – ბანკის კომპლექსურ ღონისძიებებს მოიცავს, რომელთა მიზანს – საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობის ამაღლება და საკრედიტო რისკის შემცირება წარმოადგენს. საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებისას ბანკმა რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები უნდა გაითვალისწინოს (ნახ. 6.2).

მაკროეკონომიკური ფაქტორები	<ul style="list-style-type: none"> <li>- ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობა;</li> <li>- ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა;</li> <li>- საქართველოს მთავრობის ფინანსური პოლიტიკა.</li> </ul>
რეგიონალური და დარგობრივი ფაქტორები	<ul style="list-style-type: none"> <li>- ეკონომიკის მდგომარეობა ბანკის მიერ მომსახურების რეგიონებში და დარგებში;</li> <li>- კლიენტების შემადგენლობა, მათი მოთხოვნილება კრედიტებში;</li> <li>- ბანკი – კონკურენტების არსებობა.</li> </ul>
შიდა საბანკო ფაქტორები	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბანკის საკუთარი სახსრების (კაპიტალის) სიდიდე;</li> <li>- პასივების სტრუქტურა;</li> <li>- პერსონალის შესაძლებლობები და გამოცდილება.</li> </ul>

ნახ. 6.2. ბანკის საკრედიტო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორები



დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ კომერციული ბანკის პასიური ოპერაციებით წარმოიქმნება ბანკის რესურსები, ხოლო აქტიური ოპერაციებით ბანკი ამ რესურსებს იყენებს მოგების მიღების მიზნით.

დაკრედიტების სუბიექტისაგან დამოკიდებულებაში კრედიტებს განასხვავებენ: სახელმწიფო და არასახელმწიფო საწარმოებზე და ორგანიზაციებზე, ინდივიდუალური შრომით დასაქმებულ მოქალაქეებზე, სხვა ბანკებზე, ხელისუფლების ორგანოების ჩათვლით დანარჩენ მეურნეებზე, ერთობლივ საწარმოებზე, საერთაშორისო გაერთიანებებზე და ორგანიზაციებზე.

დანიშნულების მიხედვით კრედიტებს განასხვავებენ: სამომხმარებლო, სამრეწველო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო, საინვესტიციო, საბიუჯეტო. გამოყენების სფეროს მიხედვით კრედიტები დაიყოფა: წარმოების სფეროში და მიმოქცევის სფეროში. გამოყენების ვადების მიხედვით კრედიტები შეიძლება დაიყოს: მოთხოვნებამდე და ვადიანებად, რომლებიც იყოფა მოკლევადიანებად, საშუალოვადიანებად და გრძელვადიანებად. მოცულობის მიხედვით კრედიტებს განასხვავებენ: მსხვილი, საშუალო და მცირე (მიკრო) მოცულობის სახით.

არსებობს კრედიტების შემდეგი სახეობებიც: კომერციული კრედიტი, ლომბარდული კრედიტი, სათამასუქო კრედიტი, კრედიტი ოვერდრაფტი, საერთაშორისო კრედიტი და სხვ.

ტერმინი ლიკვიდობა წარმოდგება ლათინური სიტყვა Liquidus-დან, რაც თხევადს, გამდინარეს ნიშნავს. საფინანსო-საბანკო ლექსიკონში ლიკვიდობა განისაზღვრება, როგორც „ბანკის უნარი, უზრუნველყოს თავისი ვალდებულებების დროული შესრულება“. ბანკის ბალანსის ლიკვიდობა ეკონომიკურ ლიტერატურაში შემდეგნაირად განისაზღვრება: ბალანსი ითვლება ლიკვიდურად, თუ მისი მდგომარეობა შესაძლებლობას იძლევა, აქტივის სახსრების სწრაფი რეალიზაციით დროულად და სრულად დაიფაროს პასივის ვალდებულებები.

ბანკის ლიკვიდობაზე მოქმედებს რიგი ფაქტორებისა. ზოგიერთი მათგანი აშკარაა, მათი ზემოქმედება უეჭველი, სხვები ახდენენ ზემოქმედებას ბანკის ლიკვიდობაზე ირიბად, ამიტომ მათი გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ანალიზის შემდგომ.

ვალდებულებათა თავისდროული შესრულებისათვის აუცილებელია მაქსიმალური შესაბამისობა ბანკის მოზიდული პასივებისა და დაბანდებების ვადების მიხედვით ისე, რომ აქტივების რეალიზაცია დროის ნებისმიერ მონაკვეთში საკმარისი იყოს იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს ბანკის მეანაბრეთა მოთხოვნილებები და ეუპასუხოთ იმ დანარჩენი ვალდებულებების მიხედვით, რომელთა ვადაც დადგა. ზემოაღნიშნული დაბალანსებულობის გარეშე ბანკის ნორმალურ მუშაობაზე საუბარი ზედმეტია, ამიტომ ის დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა საბანკო პოლიტიკის პირველსაფუძვლად. ბანკებს, რომლებსაც აქვთ თავისი პასივების ნაწილში გრძელვადიანი წყაროები, შეუძლიათ განახორციელონ საინვესტიციო ოპერაციები და გასცენ გრძელვადიანი სესხები, ხოლო იმ ბანკებს, რომელთა სარესურსო ბაზასაც მოკლევადიანი სახსრები შეადგენენ, შეუძლიათ განახორციელონ მხოლოდ მოკლევადიანი ოპერაციები.

ბანკის ლიკვიდობის შეფასებით დაინტერესებულნი არიან:

ცენტრალური ბანკი, რომელიც ახორციელებს ფულად-საკრედიტო რეგულირებას სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით;

- ბანკის აქციონერები, დაინტერესებულნი ბანკის საწესდებო კაპიტალში ჩადებული საკუთარი სახსრების შენარჩუნებითა და მომრავლებით;

- კრედიტორები და მენაბრეები, რომლებმაც ანდეს ბანკს დროებით თავისუფალი სახსრები;

- ბანკის ხელმძღვანელობა და პერსონალი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კრედიტირებისა და მენაბრეების წინაშე მათი სახსრების დაცულობაზე;

- პოტენციური პარტნიორები (მ.შ. უცხოელი), რომელთა წინაშეც დგას ბანკთან თანამშრომლობის მიზანშეწონილობის შეფასების პრობლემა.

რამდენადაც საბანკო ლიკვიდობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი; იმ მაჩვენებელთა სისტემამ, რომელიც აუცილებელია კომერციული ბანკის ლიკვიდობის შეფასებისათვის, მაჩვენებელთა შემდეგი ჯგუფები უნდა მოიცვას:

საკუთარი სახსრების საკამრისობის მაჩვენებლები;

აქტიური და პასიური ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და შინაარსის მიხედვით ურთიერთმიმართების მაჩვენებლები;

- აქტივების ხარისხის, ცალკეული აქტიური ოპერაციების რისკიანობის დონის მაჩვენებლები;

- მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მოზიდულ სახსრებს: დეპოზიტური ოპერაციების დივერსიფიკაციის დონე, მოზიდული რესურსების მოცულობა და ხარისხი;

- მომგებიანობის, რენტაბელობის მაჩვენებლები.

საქართველოს ეროვნული ბანკი დღეისათვის აკონტროლებს ლიკვიდობის სამი სავალდებულო ნორმატივის შესრულებას:

1) ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა საერთო ვალდებულებებთან;

2) მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან;

3) საშუალოთვიური ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა საშუალოთვიურ საერთო ვალდებულებებთან.

გარდა ამისა, იმ ბანკებში, სადაც აქციონერად ან კრედიტორად გვევლინება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ასევე სავალდებულოა ლიკვიდური აქტივების საერთო აქტივებთან თანაფარდობის ნორმატივის დაცვა.

ამას გარდა, ყოველ მაჩვენებელს, რომელსაც აქვს ნორმატიულად დადგენილი შეზღუდვები, უნდა ჰქონდეს კრიტერიალური დონე, დადგენილი ყოველი ბანკის მიერ დამოუკიდებლად, გამომდინარე იქიდან, თუ როგორია ფუნქციონირების კონკრეტული პირობები და სტრატეგიული მიზნები, დასახული საკუთარი ლიკვიდობის მართვის შიდასაბანკო ორგანოების მიერ.

## 6.4 საბანკო რისკები

ეკონომიკის საბაზრო მოდელი ითვალისწინებს, რომ ბანკის მუშაობის მნიშვნელოვან სტიმულს მომგებიანობა წარმოადგენს. მაგრამ საბაზრო ურთიერთობების განვითარება ყოველთვის სხვადასხვა ეკონომიკური პარტნიორების გარკვეული სახის არასტაბილურობასთან არის დაკავშირებული, რაც შესაბამისად საბანკო რისკების სერიას წარმოქმნის. ხშირად იცვლება მოთხოვნა და მიწოდება, გარიგების დადების ფინანსური პირობები, კლიენტების გადახდისუნარიანობა და ა.შ. ამიტომ კომერციული ბანკი გარკვეული გარიგების განხორციელებისას მის შედეგებში ბოლომდის დარწმუნებული ვერასოდეს ვერ იქნება, ანუ სხვა სიტყვებით, გარიგების ფინანსური შედეგების რისკის გაწევა უხდება.

ბანკები, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში მუშაობისას, თავისთავზე არამარტო შიდა რისკების ნაირსახეობის,

არამედ გარეშე რისკების (რეგიონალური, სოციალური, პოლიტიკური და სხვ.) ზემოქმედებასაც განიცდიან, რომელთა ზემოქმედება ყველგან ერთნაირი არ არის. კომერციული ბანკების საქმიანობაში სხვადასხვა რისკების ძალიან დიდი რაოდენობა არსებობს, მათ შორის:

ემიტენტის ლიკვიდურობის რისკი - დარწმუნებულობა ან დაურწმუნებლობა იმაში, რომ ბანკის აქტივები შეიძლება საბაზრო ან მასთან დაახლოებულ ფასებში იქნეს გაყიდული;

- სისტემატური რისკი - რისკი, რომელიც ბანკის მუშაობაში ცვალებადობის ან გადახრების შედეგად წარმოიქმნება მთლიანობაში საბანკო სისტემის საბოლოო საქმიანობასთან მიმართებაში;

- საპროცენტო რისკი - ფინანსური აქტივების შემოსაველებისა და ფასების ცვალებადობა, რომელიც პროცენტული განაკვეთების დონის ცვლილების შედეგად არის გამოწვეული, ანუ ეს არის რისკისი იმისა, რომ მოზიდული სახსრების საშუალო ღირებულებამ შეიძლება მუშა აქტივებზე შემოსაველს გადააჭარბოს;

- საბაზრო რისკები - წარმოიშობა მაშინ, როდესაც შიდა რესურსების (საკუთარი კაპიტალის) ღირებულება გარეშე ბაზარზე კაპიტალის ღირებულებაზე უფრო მაღალია;

- ეკონომიკური რისკი - გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი რისკი, რომლსაც კონკურენტუნარიანი ბანკის პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ან იდენტური გარე საბაზრო ფაქტორების ცვლილებების შედეგად განიცდის;

- პორტფელური რისკი - აქტივების პორტფელის კონცენტრაციის რისკები საქმიანობის ერთ მიმართულებაში;

- გადახდისუნარიანობის რისკი - წარმოიშობა მაშინ, როდესაც ბანკს საანგარიშსწორებო სახსრები არ გააჩნია და მიმდინარე ვალდებულებების შესასრულებლად ამ მიზნებისათვის საკუთარი სახსრები გამოიყენება;

- სტრატეგიის რისკი - წარმოიშობა ბანკის მიერ ბაზრის საკუთარი სექტორის არაადეკვატურად განსაზღვრისა და ბაზრის იმ სექტორის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, რომელზედაც მას მუშაობა სურს;

- საბაზრო კონიუქტურის რისკი - საბანკო მომსახურებების ბაზრის კონიუქტურის ცვლილებებზე არათავისდროული რეაქციის რისკი;

- მიმდინარე ოპერაციების ეფექტიანობის რისკი - მიმდინარე ოპერაციების არაეფექტურობის რისკი, რაც კორექტული ინფორმაციის და ბანკის საქმიანობის მომგებიანობის ოპერატიულად განსაზღვრის აუცილებლობას საჭიროებს.

უფრო მეტად გაერცელებულ ფინანსურ რისკებს წარმოადგენენ: მსესხებლის გადახდისუნარობის, საკრედიტო, პროცენტული, სავალუტო, დაუბალანსებელი ლიკვიდურობის, ტექნოლოგიური, საკანონმდებლო, ინფლაციური, ფინანსური ბერკეტების რისკები.

რისკებთან მიმართებაში მათზე მუდმივი ზედამხედველობის აუცილებლობა, მათი სიმრავლისაგან ისეთების გამოყოფის საჭიროება წარმოიქმნება, რომლებზეც შემცირების მიზნით მათზე ზემოქმედება არის შესაძლებელი. მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ყველაზე უფრო შემოსავლიანს სწორედ რისკიანი ოპერაციები წარმოადგენენ, ამიტომ ბანკის ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის დაცვა ოპერაციის რისკიანობასა და შემოსავლიანობას შორის ოპტიმალური თანაფარდობის შემუშავებას საჭიროებს.

## კითხვები თვითკონტროლისათვის

1. დაახასიათეთ საბანკო საქმიანობის წარმოშობის წინაპირობები.

2. განსაზღვრეთ კომერციული ბანკის ძირითადი ფუნქციები.

3. როგორ წარმოგიდგება კომერციული ბანკის ზოგადი საორგანიზაციო სტრუქტურა?

4. დაახასიათეთ კომერციული ბანკის ძირითადი ოპერაციები.

5. როგორ და რა გზით იქმნება კომერციული ბანკის რესურსები?

6. ლიკვიდობის რომელი ძირითადი სავალდებულო ნორმატივების შესრულებას აკონტროლებს საქართველოს ეროვნული ბანკი?

7. განსაზღვრეთ მაჩვენებელთა ჯგუფი, რომლებიც აუცილებელია კომერციული ბანკის ლიკვიდობის შეფასებისათვის.

8. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ საბანკო საქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკები.

## ტესტები

1. ჩამოთვლილთაგან კომერციული ბანკის ფუნქციებს არ მიეკუთვნება:

- ა) საკრედიტო ფულის შექმნა;
- ბ) საგარეო ვაჭრობის დაფინანსება;
- გ) დანაზოგების აკუმულაცია;
- დ) ფულადი ნიშნების ემისია.

2. ბანკის საწესდებო ფონდისა და მისი სხვა ფონდების ერთობლიობა, რომელიც ფინანსური მდგომარეობის, კომერციული და სამეურნეო საქმიანობის უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე ბანკის მიერ მიმდინარე წელს და გასულ წლებში მიღებული მოგების ხარჯზე იქმნება, არის:

- ა) საკუთარი სახსრები;
- ბ) მოზიდული სახსრები;
- გ) ნაჩუქარი სახსრები;
- დ) მობილიზებული სახსრები.

3. კომერციული ბანკის ოპერაციები იყოფა:

- ა) აქტიურ და საშუაშაველო ოპერაციებად;
- ბ) პასიურ და დივერსიულ ოპერაციებად;
- გ) დივერსიულ და ნდობით ოპერაციებად;
- დ) აქტიურ და პასიურ ოპერაციებად.

4. ოპერაციებს, რომელთა საშუალებითაც ბანკი რესურსებს იყენებს მოგების მიღების მიზნით, ეწოდება:

- ა) პასიური ოპერაციები; ბ) საემისიო ოპერაციები;  
 გ) აქტიური ოპერაციები; დ) ლიზინგური ოპერაციები.
5. ბანკის უნარს, უზრუნველყოს თავისი ვალდებულებების დროული შესრულება, ეწოდება:  
 ა) ბანკის გადახდისუნარიანობა; ბ) ბანკის საიმედობა;  
 გ) ბანკის ლიკვიდობა; დ) ბანკის მომგებიანობა.
6. რისკს, რომელიც ბანკის მუშაობაში ცვალებადობის ან გადახრების შედეგად წარმოიქმნება მთლიანობაში საბანკო სისტემის საბოლოო საქმიანობასთან მიმართებაში, ეწოდება:  
 ა) სისტემური რისკი ბ) სტრუქტურული რისკი;  
 გ) სავალუტო რისკი; დ) ინფლაციური რისკი.
7. გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი რისკი, რომელსაც კონკურენტუნარიანი ბანკის პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ან იდენტური გარე საბაზრო ფაქტორების ცვლილებების შედეგად განიცდის, არის:  
 ა) ფინანსური რისკი; ბ) რეგიონული რისკი;  
 გ) საპროცენტო რისკი; დ) ეკონომიკური რისკი.
8. დარწმუნებულობა ან დაურწმუნებლობა იმაში, რომ ბანკის აქტივები შეიძლება საბაზრო ან მასთან დაახლოებულ ფასებში იქნეს გაყიდული ეწოდება  
 ა) ემიტენტის საკრედიტო რისკი;  
 ბ) ემიტენტის საპროცენტო რისკი;  
 გ) ემიტენტის ლიკვიდურობის რისკი;  
 დ) ემიტენტის ფინანსური რისკი.
9. როდესაც ბანკს საანგარიშსწორებო სახსრები არ გააჩნია და მიმდინარე ვალდებულებების შესასრულებლად ამ მიზნებისათვის საკუთარი სახსრები გამოიყენება, მაშინ წარმოიშობა  
 ა) გადახდისუნარიანობის რისკი; ბ) სტრატეგიის რისკი;  
 გ) კონიუნქტურის რისკი; დ) პორტფელური რისკი.
10. ბანკის მიერ ბაზრის საკუთარი სექტორის არაადექვატურად განსაზღვრისა და ბაზრის იმ სექტორის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, რომელზედაც მას მუშაობა სურს, წარმოიშობა  
 ა) მარკეტინგული რისკი; ბ) საკრედიტო რისკი;  
 გ) სტრატეგიის რისკი; დ) საოპერაციო რისკი.



## თემა 7. საბანკო მარკეტინგი

*კლიური ბონება, რომელიც კოპირტი-  
კულ მიზნებს მისდევს, ყველაზე უკ-  
თესია დეკორატიული*

*ბრუნა*

### 7.1 საბანკო მარკეტინგის ცნება და შემადგენელი ნაწილები

მარკეტინგი ეს არის კომპანიების და ფირმების მართვის და ორგანიზაციის სისტემა, რომელიც ახდენს ბაზარზე მომხდარი პროცესების ყოველმხრივ გათვალისწინებას. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების საბანკო სისტემაში უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე მომხდარი ცვლილებები კომერციული ბანკების მიერ მარკეტინგის ხერხების და წესების ათვისების აუცილებლობით შეიძლება აიხსნას. ამ ცვლილებათა შორის აუცილებელია გამოყოფილ იქნეს საბანკო საქმიანობის უნივერსალიზაცია, მისი გასვლა ტრადიციული ოპერაციების საზღვრებს გარეთ, უცხოეთის ბანკების მხრიდან კონკურენციის გაძლიერება, ბანკების მიერ არასაბანკო დაწესებულებების სახით კონკურენტების შექმნა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების შედეგად ბანკებიდან ანაბრების გადინება.

საბანკო სფეროში სადაზღვევო, საბროკერო, საშემნახველო, სატრასტო კომპანიების, საპენსიო ფონდების, სავაჭრო-სამრეწველო კორპორაციების შეღწევას კომერციული ბანკების შემოსავლიანობის შემცირება და მისი ოპერაციების რისკის ზრდა მოჰყვა. კონკურენტულ ბრძოლაში თავის გადასარჩენად ბანკებმა მომსახურების ახალი სახეობების ათვისება დაიწყეს, რის გამოც პირველ ადგილას არა მარტო აქციონერების ინტერესებს, არამედ ცალკეული კლიენტებისათვის ბრძოლას აყენებენ. ზემოთ აღნიშნულის შედეგად უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტები მარკეტინგს განმარტავენ, როგორც კონკრეტული ტექნიკური ხერხების შეხამებას ბანკის მომსახურების ახლებურ აზროვნებასთან.

ბანკის მომსახურების ახლებური გაგება შემდეგ

ძირითად პრინციპს ეფუძნება:

- მოთმინება;
- მოსმენის უნარი;
- კლიენტისათვის მისაღები გადაწყვეტილებების და რეკომენდაციების სიმარტივე;
- ხელმისაწვდომობა;
- საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა;
- ბაზრის შესწავლის ერთიანი მეთოდოლოგიის ათვისება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპი კლიენტზეა ორიენტირებული. ბანკები ნებისმიერი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისას მათ ინტერესებს ითვალისწინებენ. სწორედ ძველი კლიენტების შენარჩუნების და ახალი კლიენტურის გაფართოების ამოცანა გასაზღვრავს დამატებითი განყოფილებების გახსნის მიზანშეწონილობას, ახალი მომსახურების სახეობების ათვისებას.

საბანკო მომსახურების სახეობები თავისი ხასიათის მიხედვით იყოფა:

- საკრედიტო;
- საოპერაციო;
- ინვესტიციურ და სხვა ოპერაციებად.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს, გარდა ტრადიციული საკრედიტო საანგარიშსწორებო, ფულადი და სხვა ოპერაციებისა, შესაბამისი საფასურით შეუძლიათ შეასრულონ ფაქტორინგული, ნდობითი, სალიზინგო საკონსულტაციო, საინფორმაციო და სხვა მომსახურებები. მეანაბრეების დავალებით საანგარიშსწორებო მომსახურებები საბანკო დაწესებულებებისათვის ტრადიციულია. ცენტრალიზებულ-გეგმიანი მეურნეობრიობის პერიოდში ხორციელდებოდა საანგარიშსწორებო ოპერაციების უფასო მომსახურება, რაც აიხსნებოდა საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე პროცენტების დაურიცხაობით. ამ ანგარიშებზე თანხების შენახვა სავალდებულო ხასიათს ატარებდა.

---

<sup>1</sup> В. Усоскин, Современный коммерческий Банк управление и операции, М., 2006. с. 304.

საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული, სახსრები ბანკის მიერ უფასო საკრედიტო რესურსების სახით გამოიყენება. რაც შეეხება სასესხო ოპერაციებზე დარიცხულ პროცენტებს ბანკისათვის მათ დიდი შემოსავალი მოაქვს, რომელიც უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს<sup>2</sup>.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ბანკების საქმიანობის კომერციალიზაცია აუცილებელს ხდის საანგარიშსწორებო და საგადასახდელო ოპერაციების ფასიან საფუძველზე გადაყვანას. ჩვენი პრაქტიკისაგან განსხვავებით ამერიკის მრავალი კომერციული ბანკი მოთხოვნამდე ანგარიშების წარმოებისათვის საკომისიოს იღებს.

საბანკო მარკეტინგის ძირითადი ხერხებია: კლიენტებთან ურთიერთობა, აქციონერებისათვის რენტაბელური საქმიანობის და დივიდენდების უზრუნველყოფა, კლიენტებისათვის უპირატესობის უზრუნველყოფა მოცემული ბანკის სხვადასხვა მომსახურების გამოყენებისას, სხვა საკრედიტო და არასაკრედიტო დაწესებულებების მომსახურებასთან შედარებით, მომსახურების გაყიდვისას ბანკის თანამშრომლების მატერიალურ დაინტერესება. იგი შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი სქემის სახით:

1. განვითარების დღეების და კონფერენციების ჩატარება, სადაც კლიენტები ბანკის მომსახურების ხარისხს და სტრუქტურას შეაფასებენ;
2. მოსახლეობის ფართო ფენების გამოკითხვა, მათ შორის ქუჩაში გამოკითხვის ორგანიზება;
3. ფოკუს-ჯგუფები, რომლებიც განსაზღვრული პრობლემების განსახილველად ბანკების მიერ ორგანიზებულ სადისკუსიო ჯგუფებს წარმოადგენენ;
4. პოტენციურ კლიენტთან პერსონალური ურთიერთობა, მისი მოთხოვნების შესწავლა (მაგალითად, საბანკო საქმიანობის პროცესში).

პასიური მარკეტინგი გულისხმობს ბანკის მდგომარეობის შესახებ პუბლიკაციებს პრესაში, მისი ცალკეული ოპერაციების მოგების, ლიკვიდობის, რისკების

---

<sup>2</sup> В. Заутер, В. Усошкин, Т. Шваб, Банковская система и рынки кредита, Перевод с немецкого, Фр., 2005. с.108.

მართვის შესახებ და ა.შ.

საბანკო მარკეტინგის ხერხებს მიეკუთვნება ბანკის მოსამსახურების მატერიალური დაინტერესება მომსახურების გაყიდვით. ამის მიღწევა შრომის ანაზღაურების სისტემის მეშვეობით შეიძლება. მაგალითად, ფრანგულ კომერციულ ბანკში Credit Lione შრომის ანაზღაურება სამი ელემენტისაგან შედგება<sup>3</sup>:

1. დამატებითი მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები;
2. ფიქსირებული ხელფასი;
3. პრემია კარგი მუშაობისათვის.

მოსამსახურის მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებელს, კლიენტურასთან დაკავშირებით, წარმოადგენს კლიენტების რიცხვი, ანაზღაურების მოცულობა და მათი მეშვეობით ბანკში მიღებული შემოსავალი. ამ შემოსავლის სიდიდე შემდეგი სახით განისაზღვრება: ყოველდღე კადრების განყოფილებაში შედის ინფორმაცია ბანკის თანამშრომლის მიერ შესრულებული ოპერაციების რაოდენობაზე, ყოველ ოპერაციაზე დამუშავებულია ტარიფები, რომელიც მის შემოსავლიანობას ასახავს. მოცემულ პერიოდში საერთო შემოსავალი განისაზღვრება ოპერაციების რაოდენობისა და ტარიფების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, აგრეთვე განისაზღვრება ქულათა რაოდენობა, რომელიც სპეციალურად დამუშავებული სკალის მიხედვით ენიჭება მოსამსახურეს. ამ ქულებით განისაზღვრება სამუშაოს ხარისხზე დამატებითი ანაზღაურება, რომელსაც, როგორც წესი, ყოველი მეოთხე მუშაკი იღებს. მაღალი ქულების დაგროვებისათვის გაიცემა პრემია ძალიან კარგი მუშაობისათვის. ბანკის თანამშრომელი, რომელსაც მოგება არ მოაქვს, შეიძლება სამუშაოდ ადმინისტრაციულ განყოფილებაში იქნეს გადაყვანილი.

საბანკო მარკეტინგის შემადგენელ ნაწილებად შეიძლება ჩაითვალოს:

1. ბაზრის გასაცნობად საჭირო ინფორმაცია;
2. საქონლის შესწავლა და მისი ფასის განსაზღვრა;

---

<sup>3</sup> საბანკო საქმე. პროფ. ო.ი. ლავრუშინის რედაქციით ქართული თარგმანის რედაქტორი პროფ. რ. კაკულია. თბილისი. 1996. გვ. 42

### 3. მომსახურების გასაღების ორგანიზაცია.

ინფორმაციის შეგროვების მიზანს მოცემული კომერციული ბანკის რეალურად ათვისებული და პოტენციური ბაზრის განსაზღვრა, ამ ბაზრის მოთხოვნილებების შესწავლა წარმოადგენს. ბაზრის დასახასიათებლად განისაზღვრება ბანკის კუთვნილი საერთო წილი, მათ შორის სესხებისა და დეპოზიტების ბაზრის საერთო წილში. ასევე მომსახურების ცალკეული სახეობების ბაზრის წილი, რომლითაც მოცემული კომერციული ბანკის და სხვა კონკურენტი, ერთგვაროვანი საკრედიტო დაწესებულებების შედარება ხდება. ბაზრის დეტალური შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის სეგმენტაციას.

საბანკო მომსახურების მყიდველთა გავლენის ანალიზისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბანკო ბაზრის სეგმენტაციას. იგი გულისხმობს საბანკო მომსახურების პოტენციურ მომხმარებელთა საერთო მასაში შედარებით განცალკევებული სეგმენტების – კლიენტთა მიზნობრივი ჯგუფების – გამოყოფას, რომლებზეც უნდა მოხდეს ბანკის სარეალიზაციო ძალისხმევის კონცენტრაცია.

სეგმენტი აღნიშნავს ბაზრის ნაწილს (რეგიონს, მომხმარებელ ჯგუფს, საქონლის ან მომსახურების ჯგუფს), რომელიც საერთო ნიშან-თვისებებით ხასიათდება. სეგმენტაციას საფუძვლად უდევს მეტად განსხვავებული თავისებურებები: სამართლებრივი, ეკონომიკური, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ქცევითი და სხვ.

საბანკო ბაზრის სეგმენტაციის საფუძველს წარმოადგენს საბანკო მომსახურების ხასიათი (საკრედიტო, საოპერაციო, საინვესტიციო და სხვა), კლიენტურული მაჩვენებლები (იურიდიული და სხვა ფიზიკური პირები, კორპორაციები, ბანკ-კორესპონდენტები, მთავრობა)<sup>4</sup>. ასევე გამოიყენება გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ფსიქოკულტურული და ქცევითი სეგმენტაციები. კორპორაციების, ფირმების ბაზრის სეგმენტაციისათვის ითვალისწინებენ ფირმების ზომას, საქმიანობის სფეროს, მოსამსახურეთა რიცხვს, ხელმძღვანელობის დონეს, მოთხოვნილების ხასიათს (პირველადია თუ მეორადია).

---

<sup>4</sup> В. Усоскин, Современный коммерческий Банк управление и операции, М., 2006. с 305.

## 7.2 საბანკო ბაზრის მარკეტინგული გამოკვლევა

საბანკო ბაზრის მარკეტინგული კვლევა შესაძლებლობას იძლევა ეფექტიანად იქნეს გამოყენებული მარკეტინგის ინსტრუმენტარები. მარკეტინგული კვლევა მოიცავს:

- ინფორმაციის შეგროვებას;
- ბაზრის ანალიზს;
- ბაზარზე დაკვირვებას;
- ბაზრის პროგნოზირებას.

ბანკის ხელმძღვანელი კონკურენტული სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად უამრავ ინფორმაციას უნდა ფლობდეს. მთელი მარკეტინგული ინფორმაცია იყოფა პირველად და მეორად ინფორმაციად.

პირველადია გარკვეული კონკრეტული მიზნით პირველად შეკრებილი ინფორმაცია. იგი ყველაზე უფრო ზუსტი და აქტუალურია. თუმცა მისი შეგროვება შესაძლოა ძალიან მაღალ დანახარჯებთან იყოს დაკავშირებული; მეორადია უკვე არსებული ინფორმაცია, რომელიც ადრე სხვა მიზნებით იყო შეგროვებული.

მარკეტინგული კვლევა, როგორც წესი, მეორადი ინფორმაციის შეგროვებით იწყება. მისი უპირატესობებია შედარებით სიიაფე და ხელმისაწვდომობა, ხარვეზები კი – შედარებით არააქტუალურობა და არასისრულე<sup>5</sup>.

საბანკო მარკეტინგისთვის საჭირო ინფორმაციის ძირითადი წყაროებია: სტატისტიკური მონაცემები, კლიენტების – კორპორაციების, ფირმების და კერძო პირების – მონაცემები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში განთავსებული მონაცემები, კონკურენტების საქმიანი ანგარიშგებებისა და სარეკლამო მასალების მონაცემები. ინფორმაციის შეგროვების ძირითადად შემდეგი სახის მიდგომები გამოიყენება:

- კონსალტინგური (მარკეტინგული) ფირმებისთვის მიცემული შეკვეთები;

<sup>5</sup> В. Заутер, В. Усоскин, Т. Шваб, Банковская система и рынки кредита, Перевод с немецкого, Фр., 2005. с 129.

- საკუთარი საინფორმაციო სამსახურის შექმნა;
- მასობრივ საინფორმაციო სისტემასთან მიერთება.

ამა თუ იმ დარგისათვის კონკურენტული სტრატეგიის შერჩევისას მ. პორტერის აზრით, უნდა ჩატარდეს წინასწარი ანალიზი ორი ასპექტის გათვალისწინებით:

- დარგის მიმზიდველობა რენტაბელობისა და განვითარების შესაძლებლობათა თვალსაზრისით, რომელსაც კონკურენციის ინტენსივობა განსაზღვრავს;
- მოცემული საწარმოს კონკურენტული პოზიცია დარგში.

მ. პორტერის კონცეფციაში ეს ორივე ფაქტორი წარმოდგენილია როგორც კონტროლირებადი, თუმცა დარგის მიმზიდველობის გაკონტროლებაზე საუბარი მხოლოდ პირობითი შეიძლება იყოს. ამ კონცეფციის ნაკლოვანებაა ისიც, რომ მხედველობაში არ იღებენ დარგის „ფარგლებს გარეთ“ არსებულ იმ ძალებს (სახელმწიფო, ბუნება), რომლებსაც არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ მასზე.

დარგის ანალიზისადმი კლასიკურ მიდგომად ითვლება კონკურენციის ხუთი ძალის პორტერისეული კონცეფცია. ეს ძალებია:

1. არსებულ კონკურენტებს შორის მეტოქეობა;
2. მყიდველთა გავლენა, ანუ მათი ვაჭრობის უნარი;
3. მიმწოდებელთა გავლენა, ანუ მათი ვაჭრობის უნარი;
4. ახალი კონკურენტების მხრიდან გამომდინარე საფრთხე;
5. სუბსტიტი – საქონლის მხრიდან გამომდინარე საფრთხე.

ყოველი მათგანის მნიშვნელობა დარგზეა დამოკიდებული და საბოლოოდ განსაზღვრავს დარგების მომგებიანობას. ეს განპირობებულია კონკურენციის მამოძრავებელი ძალების (ხუთი) მოქმედებით იმ ფასებზე, რომელთა დაწესებაც შეუძლიათ ფირმებს იმ დანახარჯებზე, რომლებსაც ისინი გასწევენ, და იმ კაპიტალდაბანდებათა სიდიდეებზე, რომლებიც აუცილებელია ამ დარგში

კონკურენციაში მონაწილეობისათვის.

მეტოქეობის ინტენსივობის მაღალი დონე ამცირებს ფასების დონეს (ირიბად – მიწოდების გადიდებით და უშუალოდაც – „ფასთა ომის“ გზით). კონკურენციისათვის გამოიყენება როგორც თავაზიანი, ჯენტლმენური ფორმები, ისე ყველაზე უფრო მწვავე მეთოდები. კონკურენციის ხასიათსა და ინტენსივობას შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავს: ერთნაირი პროდუქციის კონკურირებად გამყიდველთა მეტოქეობის ძალა, რომელზეც ისეთი ფაქტორები მოქმედებს, როგორცაა:

1. ბაზარზე მოქმედ ფირმათა რაოდენობა და მათი სიდიდის მსგავსება;
2. ბაზარზე მოთხოვნის ზრდის ტემპები;
3. ფასობრივი კონკურენციის შესაძლებლობები;
4. პროდუქტების ურთიერთჩანაცვლების ხარისხი;
5. აგრესიულობის ხარისხი;
6. ფირმის წარმატებული კონკურენტული სტრატეგიიდან უკუგების ხარისხი;
7. დარგიდან გამოსვლის სირთულე.

პრაქტიკაში კომპანიათა უმეტესობა აწარმოებს ერთდროულად რამდენიმე პროდუქტს, ზოგიერთი უფრო „ხანდაზმულია“, ზოგი კი – უფრო ახალგაზრდა, ამიტომ დაცემა ძველი პროდუქტის გასაღებაში შეიძლება კომპენსირებულ იქნეს ახალი პროდუქტის გაყიდვათა გაზრდით. ბოსტონის მატრიცა მოდელი, შემუშავებული ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის მიერ, სწორედ ასეთ სიტუაციას ასახავს. ქვემოთმოყვანილ მატრიცაში სტრიქონებზე ასახულია ბაზრის ზრდის ტემპები, ხოლო სვეტებზე – ბაზრის წილი.

ბაზრის ზრდის ტემპი	ბაზრის წილი	
	დიდი	მცირე
მაღალი	„ვარსკვლავი“	„რთული ბავშვი“
დაბალი	„მეწეული ძროხა“	„ძაღლი“



„რთული ბავშვი“ ეს არის პროდუქტი ბაზარზე დანერგვის ფაზაში, რომელიც მოიხმარს ფულს, მაგრამ არ მოაქვს მოგება ბაზრის მცირე ხვედრითი წონის გამო. „ვარსკვლავი“ - ეს არის პროდუქტი ზრდის ფაზაში, რომელიც მოიხმარს ფულს, მაგრამ უკვე მოაქვს მოგება ბაზრის საგრძნობი ხვედრითი წონის გამო. „მეწველი ძროხა“ - ეს არის პროდუქტი სიმწიფის ფაზაში, რომელსაც მოაქვს ბევრი მოგება ბაზრის მაღალი ხვედრითი წონის გამო. „ძალღი“ - ეს არის პროდუქტი დაცემის ფაზაში, ამონაგები რომლის გასაღებიდანაც მცირდება.

ბოსტონის მატრიცა იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ ნებისმიერ ფირმას (მათ შორის ბანკს) გრძელვადიანი განვითარებისათვის უნდა ჰქონდეს გამოშვებული პროდუქციის დაბალანსებული ასორტიმენტი და მიმართოს მოგება „მეწველი ძროხებიდან“ „რთული ბავშვების“ განვითარებაზე, არ იფიქრებს რა „ვარსკვლავებსა“ და „ძალღებს“. გადააქვს რა ზემოთაღნიშნული კონკურენციის სიბრტყეში, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ფირმას ესაჭიროება პროდუქტების ისეთი ნაკრები, რომელიც მას გრძელვადიან პერსპექტივაში კონკურენტულ უპირატესობას შეუნარჩუნებს.

საბანკო მარკეტინგის სისტემის მნიშვნელოვან, ელემენტს კონკურენტული სტრატეგიის ფორმირება წარმოადგენს.

ზოგადად, ბანკის სტრატეგია - ეს არის მისი საქმიანობის კონცეფტუალური საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს ბანკის პრიორიტეტულ მიზნებსა და ამოცანებს, მათი მიღწევის გზებს და განასხვავებს ბანკს მისი კონკურენტებისაგან მისი კლიენტებისა და მუშაკების თვალში. ბიზნეს-მოდელი, რომელიც ასახავს ორგანიზაციის ელემენტების სტრუქტურას, ურთიერთკავშირს და მათ დამაკავშირებელ მმართველობით, საინფორმაციო და ტექნოლოგიურ ნაკადებს, შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს უმოკლეს ვადებში მოხდეს რეაგირება მისი ფუნქციონირების საშინაო და საგარეო პირობების ცვლილებაზე და არჩეულ იქნეს საქმიანობის არაწინააღმდეგობრივი სტრატეგიები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა მოხდეს ნეგატიური ტენდენციების ნიველირება და აღმოცენებული კონკურენტული უპირატესობები ოპტიმალურად იქნეს გამოყენებული. ჩვეულებრივ ძალიან კარგ ბანკებშიც

ხშირად ყოველი ქვეგანაყოფი მუშაობს სტრატეგიაზე საკუთარ შეხედულებების შესაბამისად, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ ხორციელდება სამუშაო და არა იმაზე, თუ რა სრულდება.

### 73 ბანკის მარკეტინგული სტრატეგიის რეალიზება

ბაზრის შესახებ ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე კომერციული ბანკი ამუშავებს თავის მარკეტინგული სტრატეგიას. უკანასკნელი შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის:

1. ათვისებული მომსახურების ძველი კლიენტები-სათვის მიყიდვა;
2. შეღწევის ანუ ე.წ. შეჭრის სტრატეგია, ძველ ბაზარზე წინანდელი მომსახურების ახალი კლიენტებისათვის მიყიდვა;
3. განვითარების სტრატეგია (ძველი მომსახურების გაყიდვა ახალ ბაზარზე);
4. ახალი მომსახურების გასაღების სტრატეგია;
5. დივერსიფიკაციის სტრატეგია (ახალი მომსახურებების გაყიდვა ახალ ბაზარზე), სტრატეგიის უკანასკნელი ტიპი ბანკისათვის ყველაზე სარისკოა.

ბანკის მარკეტინგული სტრატეგიის რეალიზაცია ხორციელდება სასაქონლო პოლიტიკის (მარკეტინგული სტრატეგიის ელემენტია მარკეტინგ-მიქსი, - ყოველი ბაზრისა და სეგმენტისათვის სპეციალურად შემუშავებული ან მისადაგებული საბანკო მომსახურების კომბინაცია), მათი შემოსავლიანობის, გავრცელების და მომხმარებლისათვის შეთავაზების ხერხის გათვალისწინებით. მარკეტინგ-მიქსი ბანკის მარკეტინგულ

სტრატეგიაში პრინციპულ როლს ასრულებს, წარმოადგენს რა ყოველ ბაზარზე ან მის სეგმენტზე სტრატეგიული მიზნების მიღწევის საშუალებას.

ყოველი ბაზარი და ბაზრის ყოველი სეგმენტი შედგება მომხმარებლებისაგან, რომლებიც განსხვავდებიან ქცევის ტიპით. ბანკმა კლიენტებს უნდა შესთავაზოს სხვადასხვა მომსახურება, რაც ერთის მხრივ შეესაბამება კლიენტების მოთხოვნილებებსა და მოლოდინს, ხოლო მეორეს მხრივ, მოუტანოს ბანკს შემოსავალი სასაქონლო პოლიტიკის ხარისხის პოლიტიკის, პროდუქტების მოცულობის პოლიტიკის, ბანკის ფასების პოლიტიკის და ა.შ. მეშვეობით.

სასაქონლო პოლიტიკა. სასაქონლო პოლიტიკა (საბანკო პროდუქტის დაგეგმვა) გამოიხატება გასაწევი მომსახურების ხასიათისა და ასორტიმენტის (ასორტიმენტული პოლიტიკა), მისი ხარისხისა (ხარისხის პოლიტიკა) და მიწოდების მოცულობის (მოცულობის პოლიტიკა) განსაზღვრასა და შეცვლაში.

ასორტიმენტული პოლიტიკის ორი ძირითადი ამოცანაა საბაზო და მიმდინარე ასორტიმენტის ფორმირება.

საბაზო ასორტიმენტის სტრუქტურის შესახებ გადაწყვეტილებას ბანკი იღებს ჯერ კიდევ მისი შექმნის ეტაპზე. ასორტიმენტი შეიძლება იყოს ვიწრო (სპეციალიზებული საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი) ან ფართო (უნივერსალური ბანკი), რომელთაც თავანთი უპირატესობები და ნაკლოვანებები აქვთ. ვიწრო ასორტიმენტის უპირატესობია ვლინდება – მომსახურების განსაკუთრებული ხარისხისა და ხარჯებზე გაწეულ ეკონომიაში, მთავარი ნაკლოვანება კი – შედარებით ვიწრო საბაზრო სექტორში არსებულ კონიუქტურაზე დამოკიდებულება და, ამის გამო, მნიშვნელოვანი სამეწარმეო რისკი; ფართო ასორტიმენტის უპირატესობებია – მიმზიდველობა როგორც კლიენტის, ისე ბანკისათვის, ბანკის სიმძლავრეების თანაბარი დატვირთვა, გაწონასწორებული ფასწარმოქმნის შესაძლებლობა, სამეწარმეო რისკის გადანაწილება.

უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე ასორტიმენტის ცვლილება მარკეტინგ-მიქსის ერთ-ერთი წამყვანი ინსტრუმენტი გახდა და განვითარებული ქვეყნების ბანკები ამჟამად 300-ზე მეტი სახის მომსახურებას უწევენ თავიანთ კლიენტებს. ამასთან, მიმდინარე ასორტიმენტი იცვლება, რაც არ არღვევს მის საბაზო მიმართულებას. მიმდინარე ასორტიმენტის ამგვარ ცვლილებას მოქნილი ასორტიმენტის პოლიტიკა შეგვიძლია ეუწოდოთ.

ბანკების ასორტიმენტულ პოლიტიკას ბოლო ათწლეულებში შემდეგი თავისებურებები ახასიათებს:

ჯერ ერთი, პრაქტიკულად უკვე ამოწურულია მომსახურებათა ასორტიმენტი ყველა მიზნობრივი ჯგუფის მიხედვით, რის გამოც არსებით ასორტიმენტულ ინოვაციებს უახლოეს მომავლაში არ უნდა ველოდოთ. უფრო მეტიც, პერსპექტივაში ასორტიმენტი შესაძლოა შემცირდეს კიდევ.

მეორე, დანახარჯების ზრდამ გამოიწვია მიმდინარე ასორტიმენტის პოლიტიკის აშკარად გამოხატული ორიენტაცია რენტაბელობის ამალგებაზე, რაც ელინდება დანახარჯების შემცირებასა და ამონაგების გადიდებაში.

მესამე, ურთიერთშემავესებელ მომსახურებათა გაერთიანება „პაკეტებად“. ხშირია შემთხვევები, როდესაც მათზე პასუხს აგებს ე.წ. პერსონალური ბანკირი, რომელიც მოცემულ კლიენტს ემსახურება.

მეოთხე, ე.წ. გადაჯვარედინებული გაყიდვა, რომლის დროსაც შემთხვევითი კლიენტი მუდმივ კლიენტად შეიძლება იქცეს, თუკი მას მრავალი მომსახურების მიღების სურვილს აღუძრავენ.

ხარისხის პოლიტიკა. უცხოელ ეკონომისტთა კვლევების თანახმად, თავაზიანი და კვალიფიციური მომსახურება მომხმარებლების მიერ ბანკის შერჩევის მთავარი კრიტერიუმია. კერძოდ, გერმანიაში ჩატარებული გამოკითხვა ადასტურებს, რომ მომხმარებელთა 20%-მა მათი მომსახურე ბანკის შეცვლის მიზეზად მომსახურების არადამაკმაყოფილებელი ხარისხი დაასახელა. მიუხედავად ამისა, იმის თაობაზე, თუ რას უნდა

ევწოდოთ საბანკო მომსახურების ხარისხი, ერთიანი აზრი არაა ჩამოყალიბებული. მაგალითად, ამერიკის ეკონომიკურ ლიტერატურაში იგი დიდხანს იყო გაიგივებული თავაზიან მომსახურებასთან, შემდეგ კი განდა სხვა მოსაზრებებიც. კერძოდ, გამოყოფენ ხარისხის პრობლემის ორ ასპექტს, ამასთან დაკავშირებით კი – ხარისხის კრიტერიუმების ორ სისტემას: ბანკისა და მომხმარებლის პოზიციიდან. პირველი აერთიანებს შიდა სამუშაო პროცესების სისწრაფეს, შეცდომების გასწორების ხარჯებს, სამუშაო პროცესების ეფექტიანობას, მუშაკთა მოტივაციის დონეს, შრომის ნაყოფიერებას.

კლიენტის თვალსაზრისით, ხარისხის კრიტერიუმებია, მომსახურების სისწრაფე, ოპერაციების განხორციელების ვადიანობა, შეცდომებისა და უზუსტობების რაოდენობა, ბანკის მუშაობის საათები და ა.შ. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს მომხმარებლები ფასებს უდარებენ.

საბანკო კონკურენციის გაძლიერების პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა კლიენტების თვალსაზრისს ენიჭება. ბანკების მენეჯერებს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ იმაზე, თუ რას აქვს მნიშვნელობა კლიენტისთვის.

აღსანიშნავია, რომ საბანკო მომსახურების ხარისხის მართვის სისტემა სტანდარტიზაციისა და ხარისხის ორგანოების რეგულირების საგანია. ISO-ს (International Standard Organization) საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ყოველ მომსახურებას უნდა ჰქონდეს ისეთი მკაფიო მახასიათებლები (პარამეტრები), რომ შესაძლებელი იყოს მათზე დაკვირვება და შეფასება. ასეთი პარამეტრებია:

- საიმედოობა;
- სიზუსტე;
- ტექნოლოგიური ციკლის დრო;
- თავაზიანობა, კომპეტენტურობა;
- ნდობა, კომფორტი და სხვ.

პროდუქტების მოცულობის პოლიტიკა. კომერციული ბანკის პროდუქტების მოცულობის პოლიტიკის მიზანია ფასზე გავლენის მოხდენა საბანკო პროდუქტების მოცულობის მეშვეობით. მისი ღონისძიებების (მაგალითად, ხელოვნურად შექმნილი დეფიციტის) შედეგი შეიძლება გახდეს მოთხოვნის ხელოვნურად გადიდება და ფასების სასურველ დონემდე აწევა.

როგორც ვიცით, ბანკი აღმოცენდა ფულის, როგორც გადახდის საშუალების ფუნქციის განვითარების შედეგი. ფული ბანკისთვის წარმოადგენს, როგორც საბრუნავ კაპიტალს, ასევე რალაც ზომით, პროდუქტსაც. ბანკი დამოუკიდებელი საფინანსო ინსტიტუტია. თავისი საქმიანობისათვის, გაწეული მომსახურებისათვის მან უნდა მიიღოს შემოსავალი. ბანკის საქმიანობის აღიარება ნიშნავს, რომ მის მიერ წარმოებული პროდუქტის ღირებულება, როგორც მინიმუმი, არ უნდა იყოს უარყოფითი.

ბანკის ფასების პოლიტიკა. ბანკის ფასების პოლიტიკა გულისხმობს სხვადასხვა საბანკო პროდუქტზე ფასების დაწესებას და მათ შეცვლას საბაზრო ვითარების შეცვლის შესაბამისად. მისი ობიექტებია: საპროცენტო განაკვეთები, ტარიფები, საკომისიოები, პრემიები, შეღავათები, აგრეთვე ანაბრის მინიმალური ოდენობა. ტრადიციულად, მიაჩნიათ, რომ ფასი მომხმარებლის ქცევის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია. მას დღესაც არაფასისმიერი კონკურენციის როლის მატების ტენდენციის მიუხედავად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საკონკურენციო ბრძოლაში.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ საბანკო ფასწარმოქმნის სამ ძირითად მიდგომას:

- დანახარჯებზე ორიენტირებულს;
- ბაზარზე ორიენტირებულს;
- მიზნობრივს.

ფასების პოლიტიკის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზანი ნებისმიერი ბანკისათვის არის მოგების მაქსიმინაცია. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა დანახარჯების სიდიდისა და სტრუქტურის ცოდნა. დანახარჯების საფუძველზე ფასწარმოქმნა გულისხმობს,

რომ ბანკი ჯერ გაიანგარიშებს თავის ხარჯებს და არკვევს მათ დამოკიდებულებას გაწეული მომსახურების მოცულობაზე, შემდეგ კი მომსახურების გასაღების ფასს და მოცულობას იმგვარად ადგენს, რომ ამონაგები ფარავდეს ხარჯებს და უზრუნველყოფდეს საჭირო ოდენობით მოგებას.

ბანკის გასაღების პოლიტიკა. კომერციული ბანკის გასაღების პოლიტიკამ (საქონელმომძრაობამ) უნდა განაპირობოს საქონლის დაყვანა პოტენციურ მყიდველამდე. მასში ორი ასპექტი შეგვიძლია გამოვყოთ: სივრცობრივი (გასაღების ადგილისა და არსების შერჩევა) და დროითი (მუშაობის საათებისა და მომსახურების ვადების დაწესება). დღეისათვის, როცა მოთხოვნა საბანკო მომსახურების ხარისხისადმი გაიზარდა, ბანკებმა უნდა შეძლონ, დააკმაყოფილონ კლიენტების მოთხოვნილებები იქ და მაშინ, როდესაც ეს მათ ესაჭიროებათ.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ჩამოყალიბებულია საკრედიტო ინსტიტუტებისა და მათი ფილიალების საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მძლავრი ქსელი. მაგალითად, შვეიცარიაში ყოველ 600 მცხოვრებზე ბანკის ერთი განყოფილება მოდის. ევროპის საბანკო წრეებში პრობლემურ საკითხად არის ჩათვლილი საბანკო ქსელის ზედმეტი რიცხოვნობა. გასაღების ქსელის ორგანიზაცია არა მარტო მომხმარებელთა რაც შეიძლება ფართო წრეზე უნდა იყოს ორიენტირებული, არამედ ბანკების სიმძლავრეების რაციონალურად გამოყენებაზეც.

უცხოეთის კომერციული ბანკები გასაღების ქსელს რამდენიმე მიმართულებით ავითარებენ:

- საბანკო ავტომატები, რომლებიც მომხმარებელთან რაც შეიძლება ახლოსაა დადგმული. მოდემური კავშირის პირობებში შესაძლებელი, აგრეთვე რომ მომსახურების ადგილი არა ბანკის განყოფილება, არამედ კომპიუტერთან დადგმული სავარძელი იყოს.
- გადასატანი საბანკო განყოფილებები

უმარტივესი მომსახურების ჩასატარებლად (ანგარიშსწორება, ვალუტის გაცვლა, მცირე კრედიტები);

- სათავო განყოფილებები ქალაქის საქმიან ნაწილში, რომლებიც მომსახურების მთელ სპექტრს ახორციელებს.

რაც შეეხება გასაღების არხების შერჩევას, ბანკები ირჩევენ პირდაპირი გასაღების არხების, რომლის დროსაც საბანკო მომსახურების გამყიდველი (საკრედიტო ინსტიტუტი) და მყიდველი უშუალო კონტაქტს ამყარებენ ერთმანეთთან. თუმცა შუამავლების მეშვეობით გასაღება მთლიანად გამორიცხული არაა. ასეთი ურთიერთობები ხშირად ჩნდება ერთი საბანკო კავშირის წვერებს შორის. ბანკები ხშირად იყენებენ, აგრეთვე, დეცენტრალიზებულ გასაღებას თავისუფალი პროფესიების წარმომადგენელთა, დამოუკიდებელი შუამავლების და სხვათა მონაწილეობით.

საბანკო გასაღების დროითი პარამეტრები. როგორც წესი, საბანკო მომსახურებას დღის განმავლობაში ასრულებენ. ერთ-ერთი გამონაკლისია საკრედიტო ოპერაციები. მათი გაცემის სარისკოობის გამო კრედიტის გაცემას წინ უძღვის მსესხებლის კრედიტუნარიანობის შემოწმება, ზოგჯერ კი საკითხის შეთანხმება საბანკო იურარქიის სხვადასხვა საფეხურზე. ამ შემთხვევაში საკრედიტო განაცხადის წარდგენიდან კრედიტის გაცემამდე შესაძლოა რამდენიმე დღე გავიდეს.

საბანკო მომსახურების დროის ფარგლებს არსებითად აფართოებს საბანკო საქმის ავტომატიზაცია, რადგან ფულის ავტომატები და საბანკო ვერმინალები მთელი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობენ. თვითმომსახურების პრინციპით ზოგჯერ მთელი საბანკო განყოფილებებია ორგანიზებული და კლიენტებს ტელეფონით შეუძლიათ კონსულტაციების მიღება სათაო განყოფილების სპეციალისტებისგან.

ბანკის კომუნიკაციური პოლიტიკა. კომერციული ბანკის კომუნიკაციური პოლიტიკა (საქონლისთვის გზის გაკაფვა) არის პოტენციურ მომხმარებლებთან ბანკის



ურთიერთობის საშუალებათა სისტემა, რომელმაც საბანკო მომსახურების შექმნის სურვილი უნდა აღძვრას მათში. მისი ინსტრუმენტებია:

- პირდაპირი მარკეტინგი;
- რეკლამა;
- საზოგადოებასთან მუშაობა;
- გასაღების სტიმულირება.

### კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რა მეთოდების გამოყენებას გულისხმობს პასიური მარკეტინგი?
2. რა თავისებურებები ხასიათდება საბანკო ბაზრის სეგმენტაცია?
3. რა ძირითად ნაწილებს მოიცავს საბანკო ბაზრის მარკენტიგული კვლევა?
4. როგორი სახით წარმოგვიდგება ბოსტონის მატრიცა მოდელი?
5. რა სახის შეიძლება იყოს საბანკო ბაზრის მარკეტინგული სტრატეგია?
6. რას გულისხმობს მარკეტინგ-მიქსი?
7. რაში გამოიხატება საბანკო მარკეტინგის სასაქონლო პოლიტიკა?
8. რომელი ძირითადი მიმართულებით ავითარებენ უცხოური კომერციული ბანკები გასაღების ქსელს?



პოლიტიკა) განსაზღვრასა და შეცვლაში გამოიხატება

ა) სასაქონლო პოლიტიკა; ბ) გასაღების პოლიტიკა;

გ) კომუნეკაციური პოლიტიკა; დ) ფასების პოლიტიკა.

8. ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფილ საბანკო ფასწარმოქმნის ძირითად მიდგომას არ მიეკუთვნება

ა) მიზნობრივი; ბ) დანახარჯებზე ორიენტირებული;

გ) სტარტეგიული; დ) ბაზარზე ორიენტირებული;

9. ფასების პოლიტიკის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზანი ნებისმიერი ბანკისათვის არის

ა) ფასების სტაბილურობა; ბ) ფასების მაქსიმიზაცია;

გ) მოგების სტაბილურობა; დ) მოგების მაქსიმიზაცია.

10. ბანკის კომუნეკაციური პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტებია

ა) პირდაპირი მარკეტინგი, რეკლამა, საზოგადოებასთან მუშაობა, მოგების მაქსიმიზაცია;

ბ) პირდაპირი მარკეტინგი, ფასების მინიმიზაცია, საზოგადოებასთან მუშაობა, გასაღების სტიმულირება;

გ) მარკეტინგ-მიქსი, რეკლამა, საზოგადოებასთან მუშაობა, გასაღების სტიმულირება;

დ) პირდაპირი მარკეტინგი, რეკლამა, საზოგადოებასთან მუშაობა, გასაღების სტიმულირება.

## თემა 8. საბანკო მენეჯმენტი

*სიბრძნიდან შემდეგი სამი უნარი წარმოღობა: მიიღო მშვენიერი გადაწყვეტილებანი, უშეცდომოდ ილაპარაკო და გააქეთო ის, რაც ჯერ არს ღეგოკრიტი*

### 8.1 საბანკო მენეჯმენტის არსი და ელემენტები

როცა ვსაუბრობთ საბანკო საქმიანობის მართვაზე, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ მისი ორი მჭიდროდ დაკავშირებული ნაწილი:

1. მთლიანად საბანკო სისტემისა და მისი ცალკეული ელემენტების მართვა ცენტრალური ბანკისა და საბანკო სფეროს ცენტრალიზებული მართვის სხვა სპეციალიზებული ორგანოების მხრიდან;

2. კომერციული ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების მიერ თავისი საქმიანობის მართვა.

ცენტრალური ბანკისა და საბანკო სფეროს ცენტრალიზებული მართვის სხვა სპეციალიზებული ორგანოების მიერ საბანკო საქმიანობის მართვა მოიცავს: საკუთარი საქმიანობის, როგორც საბანკო სისტემის მთავარი ელემენტის, ყოველმხრივ მართვას; ქვეყნის მთელი საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიულ მართვას; ყველა კომერციული ბანკის და არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების მიმდინარე საქმიანობისა და განვითარების მართვას (ოპერატიულ საქმიანობაში ჩაურევლად), ფუნქციონირების ყველასათვის სავალდებულო კონკურენტული წესებისა და მთელი რიგი უმთავრესი პარამეტრების (რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეზღუდვების) ფორმულირების გზით; აგრეთვე მათთვის სათანადო მეთოდური დახმარების გაწევით, იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც კანონმდებლობით ცენტრალური ბანკის და შესაბამისი ორგანიზაციების ნორმატიული აქტებითაა გათვალისწინებული და არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას – ცალკეული საფინანსო-

საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის ოპერატიულ მართვას.

ცალკეულ ორგანოებს ხშირად ავალებენ საკრედიტო ორგანიზაციებზე ზედამხედველობას. ზოგ შემთხვევაში ეს ორგანოები თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ ცენტრალურ ბანკთან ერთად (გერმანიაში – საკრედიტო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ფედერალური უწყება; ბელგიაში – ფინანსთა სამინისტრო და საბანკო კომისია; საფრანგეთში – საბანკო კომისია; შვეიცარიაში – ფედერალური საბანკო კომისია; საბერძნეთში – სავალუტო კომიტეტი; იაპონიაში – ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საბანკო ბიურო). სხვა შემთხვევაში ისინი ცენტრალური ბანკისაგან დამოუკიდებელი დაწესებულებებია, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან პარლამენტის ან პრეზიდენტის წინაშე (დანიის – ფინანსური მეთვალყურეობის სამმართველო, კანადაში, ნორვეგიასა და შვედეთში – საფინანსო დაწესებულებებზე მეთვალყურეობის ბიურო).

მართვა, რომელსაც ახორციელებენ არა გარედან და არა ბანკის მიმართ გარე სუბიექტები, არამედ თვით საბანკო სისტემის ელემენტები, არის თვითმმართველობა – ბანკის მიერ თავისი თავის მართვა. ამ დროს ისინი ხელმძღვანელობენ საკუთარი მოსაზრებებით, შეფასებებით, ინტერესებით და იყენებენ მათთვის მისაღებსა და ხელმისაწვდომ მექანიზმებს. ამ დროს მართვა ორ დონეზე ხორციელდება – მთლიანად საბანკო სისტემის (ან მისი იმ მსხვილი ნაწილების, რომლებიც საკრედიტო ორგანიზაციების მასშტაბური ასოციაციებით ან კავშირებითაა წარმოდგენილი) ან ცალკე აღებული ბანკების დონეზე.

ბანკების მიერ თვითმმართველობა და გარედან ბანკების მართვა საბანკო სისტემის არცერთ დონეზე არ ხორციელდება ავტონომიურად და პარალელურად. პირიქით, ყოველ მათგანზე ხდება გარედან მართვისა და თვითმმართველობის ელემენტების ერთმანეთთან სერწყმა-შეხამება. გარედან მართვა და თვითმმართველობა საბანკო სფეროში ისეთი პროცესებია, რომლებიც მჭიდრო და განუყოფეს კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან, გადადის ერთმანეთში და ერთმანეთისაგან არის წარმოებული.

სთლიანად საბანკო თვითმმართველობა და ცალკე აღებული ბანკის დონეზე განხორციელებული თვითმმართველობა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მოქმედებათა გარკვეული დერეფნის ფარგლებში იმ მმართველურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესად, რომლის პარამეტრების განმსაზღვრელი ფაქტორები არ ექვემდებარება თვით ბანკებს (იშვიათი გამონაკლისის გარდა). ასეთი ფაქტორები უამრავია, მაგრამ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი: ეროვნული ეკონომიკის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები; სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა; ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხი; ეროვნული ვალუტის სტაბილურობა; საზოგადოებას, ეკონომიკასა და საბანკო სფეროში მარტლწესრიგის დონე; საბანკო მონოპოლიზაციის დონე; ცენტრალური ბანკის საკანონმდებლო აქტებისა და კომერციულ ბანკებთან მისი დამოკიდებულების ხარისხი და სხვ. თითოეული ამ ფაქტორთაგანი მუდმივად იცვლის თავის ინტენსივობას, მიმართულებასა და ნიშნებსაც კი, თანაც ეს იშვიათად ხდება შეთანხმებულად, შედეგად ხდება ე.წ. „თამაშის წესების“ მეტ-ნაკლებად სერიოზული განახლება.

საბანკო საქმიანობის მართვის სისტემაში მნიშვნელოვანია მისი ხარისხისა და დონის საკითხი. მართვის ხარისხი უნდა გვესმოდეს, როგორც იმ არსებითი თვისებების ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებს მართვის უნარს, დააკმაყოფილოს სამართავი ობიექტის მოთხოვნილებები, ამ კონკრეტულ შემთხვევაში – ბანკის საქმიანობის პროცესში გაჩენილი მოთხოვნილებები. საბანკო მართვას მის ნებისმიერ ასპექტში ყველაზე ზოგადად შეგვიძლია წაუყუყუნოთ შემდეგი ხარისხობრივი მოთხოვნა – იგი იმ მიზნებისა და ამოცანების ადექვატური უნდა იყოს, რომლებიც მართვის ობიექტის მოთხოვნილებებს უპასუხებს და მართვის ორგანოების წინაშე დგას.

მართვის ხარისხი საბოლოოდ შემდეგ მახასიათებლებში ვლინდება:

– სოციალურ-ეკონომიკური (რენტაბელობა, ეკონომიკაში ინტეგრირება, კლიენტებთან ურთიერთობის ხასიათი);

– ორგანიზაციული (საიმედობა, ორგანიზაციულობა, შემგუებლობა და სხვ.);

– ტექნოლოგიური (ფორმალიზაციის დონე, კადრების პროფესიონალიზმი, ინოვაციურობა, ავტომატიზაციის დონე);

– სოციალურ-ფსიქოლოგიური (კორპორატიულობა, კულტურის დონე, სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ხელმძღვანელობის სტილი, ხელმძღვანელთა ქცევის ეთიკურობა).

მას შემდეგ რაც განვიხილეთ საბანკო საქმიანობის მართვა და მართვის ხარისხი ზოგადად, დავახასიათოთ საბანკო მენეჯმენტი. საბანკო მენეჯმენტი შეიძლება განისაზღვროს, როგორც საკრედიტო რესურსების მოძრაობის უწყვეტობისა და თანადროულობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი საორგანიზაციო სტრუქტურების მიერ მიღებული მმართველობით ღონისძიებათა სისტემა, რომელთა მიზანს წარმოადგენს მიკრო და მაკრო-ეკონომიკური პრიორიტეტების მიღწევა.

მიკროეკონომიკურ პრიორიტეტებს მიეკუთვნება: საბანკო დაწესებულებების საიმედოობა სიმყარე, ბანკისა და მისი კლიენტების რესურსების დაცულობა და შემოსავლიანობა. მაკროეკონომიკური მპრიორიტეტები ძვეს ერთენული ფულადი ერთეულის სტაბილიზაციის, ეკონომიკაში მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენების მაქსიმალური აქტივიზაციის სფეროში.

ხარისხიან, ეფექტურ და ადეკვატურ საბანკო მენეჯმენტს ძალუძს არა მხოლოდ წინ აღუდგეს ნეგატიური მაკრო და მიკროეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებას, არა მხოლოდ გაანეიტრალოს ის, არამედ ხშირ შემთხვევაში გამოიყენოს ის თავისი მიზნებისათვის. ამიტომაც ბანკის მიერ ამგვარი მენეჯმენტის განხორციელება წარმოადგენს მისი სიმყარის, საიმედოობის და ეფექტური მუშაობის ძირითად პირობას და გარანტს.

მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც ფასდება საბანკო მენეჯმენტი, იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

– რაოდენობრივი და ხარისხობრივი (მ.შ. სოციალური);

– ობიექტური და სუბიექტური;

– ფორმალური და არაფორმალური.

საბანკო მენეჯმენტის რაოდენობრივი მაჩვენებლები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ბანკის სიდიდის, მის მიერ გატარებული პოლიტიკის (უპირატესობების) და სპეციალიზაციის შეფასებისას. მათ მიეკუთვნება:

- ბანკის კაპიტალის ოდენობა;
- დამფუძნებელთა რაოდენობა;
- აქტიური და პასიური ოპერაციების მოცულობა;
- კლიენტთა რაოდენობა;
- ეკონომიკის სფეროებისა და მუშაობის დარგების

რაოდენობა;

- მუშაობის გეოგრაფია;
- ფილიალთა ქსელის განშტოებანი;
- საკორესპონდენტო ურთიერთობანი;
- საბანკო პროდუქტების რაოდენობა პორტფელში და

ა.შ.

საბანკო მენეჯმენტის ხარისხობრივი მაჩვენებლები შეიძლება დაიყოს შემდეგ დამახასიათებელ ჯგუფებად:

- მდგომარეობისა და მუშაობის მაჩვენებლები (რომელთა მიხედვითაც აფასებენ ბანკის მენეჯმენტს საკრედიტო მეწარმეობის პროფესიული მოთხოვნების პოზიციიდან);

- პერსონალის მაჩვენებლები (რომელთა მეშვეობითაც ფასდება საბაზრო ეკონომიკის მიერ ნებისმიერი სამეწარმეო სტრუქტურებისათვის ნაკარნახევი ნორმატიული მოთხოვნებისადმი პერსონალის შესაბამისობა);

- სოციალური მაჩვენებლები (რომელთა გამოყენება დაკავშირებულია საკრედიტო მეწარმეობის განსაკუთრებულ სოციალურ, საზოგადოებრივ სტატუსთან)

იმ შემთხვევაში, როცა ბანკის მენეჯმენტი უხარისხოდ ხორციელდება, ის ხშირად ხდება საბანკო კრიზისის მთავარი მიზეზი, მისგან გამომდინარეობს ბანკებისა და მისი კლიენტების ზარალი და ბოლოს ეკონომიკური დისპროპორციები. ასეთი „ცუდი“ მენეჯმენტის აღსანიშნავად არსებობს ტერმინი „მისმენეჯმენტი“ – მენეჯმენტის სახე, რომლისთვისაც დამახასიათებელია, როგორც უნებლიე შეცდომები, ასევე ბანკის პერსონალის წინასწარგანზრახული კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები, საჭირო კონტროლის არარსებობა, ხელამხედველობის არაადეკვატური უფლებამოსილებანი და ა.შ. მაკროდონეუ



მთლიანად ეკონომიკური სისტემის გამანადგურებელი საერთო ფინანსური კრიზისის პირობებში მისმენეჯმენტს მიეყვართ ზარალის გადიდების, რესურსების არასწორად განლაგების, ოპერაციების გაუმართლებელი რისკის და საპროცენტო განაკვეთის გადიდების ხარჯზე ინფლაციის გაძლიერების გამო ბანკების კრიზისის გაღრმავებამდე.

მისმენეჯმენტს ყოფენ ბანკის კრიზისის ეტაპობრივი გაღრმავების მახასიათებელ ოთხ ჯგუფად (კატეგორიად):

- ტექნიკური მისმენეჯმენტი;
- კოსმეტიკური მისმენეჯმენტი;
- ავანტიურული მისმენეჯმენტი;
- თაღლითობა.

ტექნიკური მისმენეჯმენტისათვის დამახასიათებელია ბუნდოვანი მიზანდასახულობანი, მისთვის ნიშანდობლივია რეალური სიტუაციისათვის არაადექვატური ზომების მიღება, მაგრამ ტექნიკური მისმენეჯმენტის ყველაზე ნათელი გამოვლინებაა - არაადექვატური პოლიტიკა, შიდა კონტროლის ნაკლებობა და სუსტი დაგეგმარება, პერსონალის გაუმართლებელი ზრდა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურ მისმენეჯმენტს გააჩნია ნეგატიური შედეგები, ის მაიმც ხორციელდება კანონის, იურიდიული მოთხოვნების, ზედამხედველობის ნორმების შესაბამისად, ანუ მიუხედავად აგრესიულობისა და რისკიანობისა, ამგვარი მენეჯმენტის მიზანი და პოლიტიკა არაკრიმინალურია.

კოსმეტიკური მისმენეჯმენტისას ბანკი ფარავს წინა და ამჟამინდელ დანაკარგებს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს მისდამი ნდობა, მოიგოს დრო და იპოვოს გამოსავალი არაკეთილსამიჯლო სიტუაციიდან. კოსმეტიკური მისმენეჯმენტის მიზანია, შექმნას ბანკის ნორმალური ვითარების არსებობის შთაბეჭდილება საანგარიშგებო დოკუმენტაციაში მთელი რიგი საკვანძო მაჩვენებლების, მაგ., ბანკის აქციონერებისათვის დივიდენდების გაცემის უცვლელად დატოვების, ანგარიშის სხვა მაჩვენებლებთან მანიპულაციის ხარჯზე, რასაც არაფერი აქვს საერთო რეალურ მონაცემებთან. კოსმეტიკური მისმენეჯმენტი საშისროებას წარმოადგენს ბანკის კლიენტებისა და პარტნიორებისათვის, ქმნის პრობლემებს მათზე ზემოქმედების მხრივ, რადგან ძნელი ხდება შექმნილ სიტუაციაზე რეაგირება.

„ავანტურული“ მისმენეჯმენტი (კრიზისული მმართველობა) წარმოადგენს ოპერაციათა კომპლექსს, რომელსაც ბანკის მენეჯმენტი მიმართავს მაშინ, როცა კოსმეტიკურ მენეჯმენტს უკვე აღარ ძალუძს კაპიტალის დაკარგვისა და დივიდენდების შემცირებების დამალვა. ამ ოპერაციების მიზანია – შესაძლებლობა მისცეს ბანკს, თუნდაც მოკლე დროით კონცენტრაცია გაუკეთოს რესურსებს, მოიგოს დრო და ხელსაყრელ გარემოებათა წყალობით გამოასწოროს მდგომარეობა. ავანტურული მისმენეჯმენტი (კრიზისული მმართველობა), კლიენტებთან შეთანხმებით მოიცავს დეპოზიტების შესყიდვას ბაზართან შედარებით მაღალი განაკვეთებით, მსესხებლებისაგან სესხებზე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მაღალი პროცენტების მიღებას, მენაბრეთათვის თანხების დაბრუნების გადავადებას, სპეკულაციური ოპერაციების მკვეთრ გაფართოებას, არა მხოლოდ ვალუტასთან და ფასიან ქაღალდებთან, არამედ მიწასთან, უძრავ ქონებასთან მიმართებაში.

თაღლითობა წარმოადგენს საზოგადოებისათვის ყველაზე საშიშ მისმენეჯმენტის სახეს. თაღლითობას ვხვდებით საბანკო კრიზისის სხვადასხვა სტადიაზე, მაგრამ მეტწილად არა უკანასკნელ სტადიაზე. მთელი რიგი ხერხების მეშვეობით (ფიქტიური ფირმებისა და ყალბი პირების დაკრედიტებით, კორპორაციის შიგნით „მონათესავე“ ფირმებში სახსრების „გადაქაჩვით“ და ა.შ.), ხდება ბანკებიდან თანხების ამორება და კლიენტთა და მენაბრეთა სამართლიანი პრეტენზიების დაკმაყოფილების ნაცვლად მიდიანსაკუთარი ფინანსური მდგომარეობის თაღლითური გაუმჯობესების გზით.

## 8.2 გარემო და ინფორმაცია საბანკო მენეჯმენტში

საბანკო მენეჯმენტის „გარემო“ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც იმ მრავალფეროვან ფაქტორთა ერთობლიობა (მოვლენები, პროცესები, საორგანიზაციო სტრუქტურები, საზოგადოებები, პრიორიტეტები, გაბატონებული ფასეულობები და ა.შ.), რომელზედაც დამოკიდებულია ბანკი მენეჯმენტის მდგომარეობა და მიზანდასახულობათა რეალიზაცია.

ცნება „გარემოს“, როგორც ზოგად კატეგორიას გააჩნია რიგი მახასიათებლები, ამასთან მათი მნიშვნელობა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს მენეჯმენტისათვის სხვადასხვაა. გარემოს ძირითად მახასიათებლებს მიეკუთვნება:

– სირთულე, ანუ მენეჯმენტის ობიექტზე მორეაგირე მრავალრიცხოვან ფაქტორთა არსებობა, ამასთან წინასწარ უცნობია, მათგან რომელი ფაქტორია პოტენციური და რომელი გამოვლინდება რეალობაში;

– ურთიერთდაკავშირებულობა – კავშირურთიერთობათა ხასიათი, მათი ძალა და სისწრაფე, რომელთაც გარემოს ერთი ფაქტორის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა ფაქტორების გამოვლინებაზე, როგორც მათი მოქმედების გაძლიერებით, ასევე ნეიტრალიზებით;

– მოძრაობისუნარიანობა – სიჩქარე, რითაც გარემოში ცვლილებები ხდება (რაც უფრო ინტენსიურია ისინი, მით მეტი მოცულობის ინფორმაცია უნდა გააჩნდეს მენეჯმენტს და ახდენდეს მათ ოპერირებას). გარემოს მოძრაობისუნარიანობას გააჩნია დარგობრივი ორიენტაცია;

– განუსაზღვრელობა – გარემოსი ინფორმაციის ადეკვატურობის, საკმარისობის მიღწევის ალბათობა. თუ წარმოიშობა უფრო ფართო და მრავალფეროვანი საინფორმაციო ნაკრების შექმნის აუცილებლობა, ეს დამახასიათებელია გარემოს მაღალი განუსაზღვრელობისათვის და მიუთითებს ინფორმაციის დაბალ საიმედოობაზე;

– მმართველობა – სამართავ ობიექტზე გარემოს მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორების ზემოქმედების შეზღუდვის, ნეიტრალიზაციის ან შეცვლის შესაძლებლობა.

იმის შესაბამისად, თუ როგორ ზემოქმედების ძალით ყალიბდება გარემოს ხასიათი, მას შეიძლება გააჩნდეს

სხვადასხვაგვარი იერარქიული სტრუქტურა, მაგ., საბანკო მენეჯმენტში შეიძლება გამოიყოს შემდეგი იერარქიული დონეები:

– ზედა, ანუ მმართველი, რომელზედაც ხორციელდება ნორმატიული და სამართლებრივი რეგულირება. ზედა დონე „სისტემაში“ წარმოდგენილია ცენტრალური ბანკით და ფინანსთა სამინისტროს ცალკეული მიმართულებების მიხედვით, საგადასახადო ინსპექციით და პოლიციით, ხოლო „სისტემის გარეთ“ – პარლამენტის კომიტეტებით, პრეზიდენტის აპარატით, უშიშროების სამსახურით, სასამართლოებით და ა.შ.

– პარალელური, ამ დონეზე ყალიბდება რეკომენდაციები და შეზღუდვები საბანკო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულების მიხედვით, მუშავდება და ქვეყნდება ბანკის რეიტინგები. ხდება საინფორმაციო ნაკადების ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ეს დონე წარმომადგენლობითია „სისტემაში“ ბანკთა შორის გაერთიანებებითა და კავშირებით, ბანკი-კონკურენტებით, სპეციალური საინფორმაციო-ანალიტიკური კომპანიებით, სააგენტოებითა და ბიუროებით, საბანკო აუდიტის ფორმებით, „სისტემის გარეთ“ – საზოგადოებრივი ორგანიზაციებით, მასობრივი ინფორმაციის სამსახურებით, სარეკლამო სააგენტოებით;

– შიდა დონე განსაზღვრავს საბანკო პროდუქტების ხარისხობრივ მახასიათებლებს მათი სასიცოცხლო ციკლის პროცესში. აღნისნული დონე წარმოდგენილია ბანკის კლიენტებით – პასიური და აქტიური საბანკო პროდუქტების მომხმარებლებით, რომლებიც ამასთანავე, შეიმუშავენ და ახდენენ თავიანთი მიზნების, ამოცანებისა და პრიორიტეტების რეალიზაციას;

– ქვედა დონე გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე, მაგრამ ირიბად – ნაკლები ხარისხით. ის იმყოფება „სისტემის გარეთ“ და წარმოდგენილია ბანკის შესაძლო კლიენტებით, იურიდიული და ფიზიკური პირებით, რომლებიც საჭიროებენ ბანკების მომსახურებას და ჩვეულებისამებრ, იძულებით ორიენტირებულნი არიან მათ პირობებზე.

ზემოთ აღნიშნული იერარქიული პრინციპების შესაბამისად საბანკო მენეჯმენტის გარემოში შეიძლება გამოვყოთ ორი სფერო:

– შიდა (ენდოგენური „სისტემაში“), რომელიც მოიცავს საკრედიტო სისტემას დონეების მიხედვით, მ.შ. საბანკო ზადამხედველობის და რეგულირების ორგანოებს, საბანკო პროდუქტების მომხმარებლებს, ნაწილობრივ საფონდო ბაზრებს;

– გარე (ეგზოგენური „სისტემის გარეთ“), რომელიც მოიცავს სახელმწიფო ორგანოებს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სამეწარმეო გარემოს, სოციალურ გარემოს, ნაწილობრივ საფონდო ბაზარს.

ინფორმაციის აუცილებლობა და მისი მიღების პროცესის ორგანიზაცია ვარაუდობს ინფორმაციის წყაროები ან არხების არსებობას, შესწავლასა და აქტივიზაციას. საბანკო მენეჯმენტის სტრუქტურაში მოწოდებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, სირთულის, კომპლექსურობის, მზაობის და ხარისხის მიხედვით ყალიბდება და გამოიყენება შემდეგი არხები:

ა) ბანკის კლიენტებისაგან მიღებული ინფორმაცია, რომლის წარმოდგენა ხდება ბანკის ინიციატივით. ეს გახლავთ სხვადასხვაგვარი დამატებითი მონაცემები განსაკუთრებით რთულ, პრობლემურ სიტუაციაში საბანკო პროდუქტების რეალიზაციის მიმდინარეობის მართვისათვის ადექვატური საინფორმაციო ბაზის უზრუნველყოფი სხვადასხვა მიმართულების მიხედვით. ინფორმაციის მატარებლად გამოიყენება პასუხები სპეციალურ მოთხოვნებზე, სატელეფონო საუბრების ოქმები, ბანკის თანამშრომლების მიერ ფირმების, კლიენტების პირადად მონახულების შედეგები და ა.შ.

ბ) შიდასაბანკო ინფორმაცია, როგორც საბანკო პროდუქტის რეალიზაციის მიხედვით კლიენტებთან ურთიერთდამოკიდებულების ისტორია, განსაკუთრებით მონაცემები პრობლემებისა და დამუშავებული დარღვევების, მისის მიზეზებისა და გამოვლინებების სიხშირის შესახებ. ამ არხის წყაროებია:

- საარქივო ანალიტიკური საბანკო ინფორმაცია. კლიენტთა დოსიე;
- პროფესიონალური საკონსულტაციო სამსახურის დასკვნები;
- უშიშროების განყოფილებების მონაცემები;
- კლიენტთა მონიტორინგი.

ამ არხში ჩამოყალიბებული ინფორმაციის ხარისხი შესაძლოა იყოს საკმაოდ მაღალი და ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებს გადაწყვეტილების (საკრედიტო, საინვესტიციო) მიღების პროცესში, მაგრამ დამოკიდებულია რეტროსპექტივის სიღრმეზე; ამასთან ნეგატიური ინფორმაცია ასუსტებს ყურადღებას და აღუნებს მენეჯერის სიფხიზლეს, ნეგატიურ გავლენას ახდენს მის ორგანიზებულობასა და დოსიეს წარმოებაზე.

გ) ბანკის კლიენტის კონტრაგენტებისაგან მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს ბანკის პოტენციურ და რეალურ კლიენტებს და მათთან საქმიან კონტაქტში შესულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტების რიგს. ეს კონტაქტები შესაძლოა იყოს მრავალფეროვანი, შესაბამისად მონაცემებს მათშესახებ ბანკისათვის განსხვავებული მნიშვნელობა აქვს:

- მომწოდებლები შეიძლება იყოს კლიენტის საგადასახადო დისციპლინის, გადასახადების სიხშირის და პერიოდულობის, ასევე მათი დაგვიანების მიზეზების შესახებ ინფორმაციის წყარო;

- მყიდველებს შეუძლიათ საქონლის მიწოდების დისციპლინის, მომსახურების შესრულების, ხელშეკრულებათა, ფასთა და ანგარიშთა დისციპლინის დახასიათება;

- მევალები – მონაცემთა პოტენციური წყაროა იმის შესახებ, თუ რა პირობებით ჩამოყალიბდა მისი ვალი კლიენტებთან, მან კი როგორ წარმართა საქმიანობა მისი კონტროლისა და დაბრუნებისათვის;

- კრედიტორებს გააჩნიათ მონაცემები დავალიანების წარმოშობის მიზეზებზე, მისი დაფარვისას კლიენტის პუნქტუალობაზე;

- ბანკები და ფინანსური კომპანიები მათ მიერ საბანკო პროდუქტების მოხმარების მიმდინარეობისას

როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მომენტების ამსახველი მონაცემების კონცენტრაციას ახდენენ და ინახავენ თავიანთ მონაცემთა შიდა ბაზაში, კლიენტთა დოსიეში;

– სადაზღვევო კომპანიებს ასევე გააჩნიათ ბანკისათვის საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია კლიენტებში სადაზღვევო რისკების წარმოსობის მიზეზებსა და სიხშირეზე;

– გარანტებსა და თავდებებს ძალა შესწევთ მოგეაწოდონ ცნობები ვალდებულებათა შესრულების პროცესში მათი ჩაბმის პირობების შესახებ.

დ) მართვის, ზედამხედველობის და რეგულირების ოფიციალური ორგანიზაციები და სამსახურები შეიცავენ არა მხოლოდ მთელ რიგ ნორმატიულ მითითებებს, მოთხოვნებს, ნორმატივებს და შეზღუდვებს, რომლებითაც უნდა ხლმძღვანელობდეს ბანკი თავის საქმიანობაში, არამედ მონაცემებს ზედამხედველობის ამა თუ იმ მოთხოვნების დამრღვევი, ვალდებულების არშემსრულებელი, მომგებიანი მუშაობის ვერ უზრუნველყოფი ბანკების, ან საეჭვო რეპუტაციის ფირმების შესახებ, რომლებთანაც კონტრაქტები ბანკისათვის ზედმეტ რისკთანაა დაკავშირებული. ამგვარი სახის დოკუმენტებს, უპირველეს ყოვლისა მიეკუთვნება ცენტრალური ბანკის, პარლამენტის კომიტეტებისა და კომისიების, საგადასახადო ორგანოების, სასამართლოებისა და უშიშროების ორგანოების, არბიტრაჟის, სტატისტიკის სამსახურების პუბლიკაციები;

ე) სპეციალიზებული საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურები და ბიუროები. ისინი ახორციელებენ პროფესიულ კომერციულ საქმიანობას ძირითადი სამეწარმეო სტრუქტურების – რეალური, და რაც მთავარია, ბანკების პოტენციური კლიენტების შესახებ მონაცემთა საკმაოდ სრული კომპლექსის შეკრების, მუდმივი მონიტორინგის, დაჯგუფების, ანალიზის, რანჟირების სახით. მათი მუშაობის მიზანია დაინტერესებულ პირთათვის საინფორმაციო პროდუქტების სხვადასხვა სახის მომზადება და რეალიზაცია.

ეს დოკუმენტები, ჩვეულებრივ შეიცავს როგორც ზოგად მონაცემებს ფირმის შესახებ, ასევე მონაცემებს სპეციალიზაციასა და პროდუქტის რეალიზაციის მიმართულებების შესახებ.

ვ) საქართველოში მასობრივი ინფორმაციისა და რეკლამის თანამედროვე საშუალებები წარმოადგენს ერთ-ერთ ხელმისაწვდომ, არარეკლამენტირებულ, მაგრამ ძალზე დაბახარისხოვან ინფორმაციის არხს. შემოსული მონაცემები წინააღმდეგობრივი, სუბიექტური, კომერციალიზებული და საბანკო გადაწყვეტილებათა დასასაბუთებლად მიუღებელია, თუმცა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც გარემოს საერთო ფონი და დამატებითი მონაცემები შედარებითი ანალიზისათვის;

ზ) საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საზოგადოებები (მომხმარებელთა, მოტყუებულ მეანობრეთა და ა.შ.) – შედარებით „ახალგაზრდა“, მაგრამ საკმაოდ ძლიერად მომუშავე საინფორმაციო არხია. თავისი საქმიანობის საწყის ეტაპზე ის აგროვებდა და ფართოდ აერცვლებდა ინფორმაციას რეალურ, ხანდახან კი პოტენციურად „პრობლემურ“ ბანკებზე, ფირმებსა და კომპანიებზე, სადაც ჭარბობდა თაღლითური, პროფესიული თვალსაზრისით სუსტი ან ზედმეტად რისკიანი მენეჯმენტი. ამ საქმიანობის მიზანია, გააფრთხილოს პოტენციური კლიენტები „პრობლემურ“ სტრუქტურებთან კომტრაქტების საშიშროებით, ხოლო რეალური კლიენტები – მათგან ჩამოშორების აუცილებლობის შესახებ. შემდგომში ცალკეული საზოგადოებრივი ორგანიზაციები გადავიდნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ბანკებისა და ფირმების რეიტინგების დამუშავებაზე, შედგენასა და განთავსებაზე.



კომერციული ბანკის პასივები გარკვეულწილად წარმოადგენს მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფ ფინანსურ რესურსებს. არსებობს სხვადასხვაგვარი მიდგომა ბანკის პასივების კლასიფიკაციისადმი. მათგან განსაკუთრებული საბაზო ელემენტებია:

- საკუთარი, მოზიდული და ნასესხები რესურსები;
- კაპიტალი და ბანკის ვალდებულებები.

ზოგადად ბანკის კაპიტალის მართვა მიმართულია მისი საკმარისობის მიღწევისა და შენარჩუნებისაკენ, რაც ითვალისწინებს საკუთარი სახსრების გარკვეული სიდიდის შექმნას. კაპიტალის მართვა მოიცავს მეთოდებსა და ხერხებს, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს ბანკს, შეინარჩუნონ კაპიტალის საკმარე ედენობა და გაზარდონ იგი აქტივების და რისკების, ვალდებულებათა და სხვა ნორმატიული მოთხოვნის შესაბამისად. მათ რიცხვში შედის:

- აქციებზე მუშაობა (გამოშვება, შეთავაზება, განთავსება, გამოსყიდვა). ამ მეთოდს გააჩნია როგორც უდავო უპირატესობანი - მაგ., კაპიტალის კონცენტრაციის მოკლე ვადები, ასევე არსებითი ნაკლოვანებები. ის ქმნის სერიოზულ პოტენციურ პრობლემებს. აქციათა ახალი ემისია აქვეითებს წინა ემისიათა აქციათა პაკეტის წონას და აქციათა პაკეტი შეიძლება აღმოჩნდეს სხვა ინვესტორის ხელში;

- შემოსავლების მართვა და დივიდენდების პოლიტიკა. ეს შესაძლებელს ხდის კაპიტალიზაციას დაქვემდებარებული გაუნაწილებელი მოგების ადეკვატურ ზრდას, ამასთან, აქციების მფლობელთა პოზიციები სტაბილური რჩება, მტკიცდება რაოდენობრივად. ამასთანავე, კაპიტალიზაციით გადაჭარბებულმა გატაცებამ შეიძლება მიგვიყვანოს დივიდენდების შემცირებამდე, შესაბამისად კი, ბანკის აქციათა მიმზიდველობის დაქვეითებამდე, კოტირებათა დაწევამდე;

- ზარალისა და დამატებითი ხარჯების მინიმინიზაციისაკენ მიმართული აქტივების კონტროლი, ანუ არაშემოსავლიანი ან ზარალიანი აქტივების თვალის მიდევნება, ასევე აქტივების დროული გადაფასება.

პასივები, როგორც ბანკის ვალდებულებები, ზოგადი სახით იქმნება სხვადასხვაგვარი რეჟიმებისა და შეზღუდვების მქონე დეპოზიტების და შენატანების, ასევე ემიტირებული და გავრცელებული საეალო ფასიანი ქაღალდების სახით, ამასთან მათი თვისებრივი მახასიათებლები დამოკიდებულია უამრავი სხვადასხვაგვარი ფაქტორების ზემოქმედებაზე. პასივების – ვალდებულებების მართვა მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა ფაქტორთა ორი მნიშვნელოვანი ჯგუფის – ბანკის მიზნების (ამოცანების) და მისი კლიენტების (საბანკო პროდუქტების მომხმარებლების) ინტერესების ოპტიმალურად დაბალანსებული გავლენის მიღწევაში. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს გარედან ზემოქმედება – მას აუცილებლად უნდა თეაკლის მიდევნება და შეძლებისდაგვარად განეიტრალება.

ბანკის ამოცანები პასივების მართვისას მდგომარეობს შემდეგში:

1. არ იქნეს დაშვებული არაშემოსავლიანი რესურსების მოზიდვა;
2. მოძიება და უპირატესი მოზიდვა საკრედიტო რესურსებისა, რომლებიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად აუცილებელი და საკმარისია; ა) გატარებისა და განვითარებისათვის, ბ) ბანკის ვალდებულებების დაფარვის ალტერნატიული წყაროების შექმნა;
3. თვისებრივი მახასიათებლებით, მოზიდვისა და ამოღების პირობების მიხედვით „იაფი“ საკრედიტო რესურსების მოძიება;
4. მაქსიმალურად „მდგრადი“ საკრედიტო რესურსების, ანუ თვისებრივი მახასიათებლების ცვლილების მინიმალური ალბათობის მქონე რესურსების ძიება და მოზიდვა, რათა შემცირდეს ლიკვიდობის ან საპროცენტო რისკი;
5. წარმოების თვალსაზრისით „საეჭვო“ რესურსების წინასწარი სერიოზული ანალიზი და ბანკში მათი მოზიდვის თავიდან აცილება, რადგან მას შეუძლია ბანკის იმიჯის შელახვა, მისი ჩათრევა კრიმინალურ სფეროებში, განსახორციელებელ ოპერაციათა რისკის ამაღლება და კლიენტთა დაფრთხობა;

6. რესურსების მოზიდვის პროცესში საინფორმაციო და სტრატეგიული უზრუნველყოფის პრინციპის დაცვა, ანუ გამარტივებული მონიტორინგის მქონე ანგარიშებსა და დეპოზიტებზე ბანკის კრედიტების ხანგრძლივად მოსარგებლედ კლიენტთა სახსრების მოზიდვა (განსაკუთრებით მაღალი რისკის ზონაში მომუშავე მსხვილი კლიენტებისა).

პასივების მართვის საქმეში ბანკის მიზნები და ამოცანები, განსაკუთრებით საწყის და კრიტიკულ ეტაპზე, მუდმივად უნდა სეუფარდდეს ბანკის მომსახურების მომხმარებელთა – ბანკის კლიენტთა ინტერესებს და საერთო მოთხოვნებს, კერძოდ: ა) შემოსავლიანობას, ბ) დაცულობას, გ) შეუქცევადობას.

ეს სამი ზოგადი მოთხოვნა ითვლება საბაზო, კლასიკურ მოთხოვნად. მისი რეალიზება ხდება სხვა პირობებისა და მოთხოვნების თანაბრად, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს:

– ბანკის მიერ შემოთავაზებული პასივების პროდუქტების რეალიზაციის ვადების შესაბამისობა კლიენტის აქტივების მიმოქცევის პერიოდთან, დაგროვების მოთხოვნებთან, ფინანსური ბაზრის განაკვეთების დამახასიათებელი ცვალებადობის ციკლთან და ა.შ;

– ვადამდელი ამოღებისაგან ანაბრების დაცვის დარგში ადექვატური საბანკო პოლიტიკა;

– ორგანიზაციული ხასიათის ინტერესების დაცვა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, საბანკო შენატანი ან დეპოზიტი ფართოდ უხსნიდა გზას სხვა საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებებს;

– დეპოზიტთა თვისებრივ მახასიათებელთა (პირობათა) ადექვატურობა კლიენტთა დაბანდებების მიზნებთან;

– მეწარმეთა წრეში, როგორც ბანკის კლიენტებთან იმიჯის ამაღლება;

– პასივების პროდუქტების ტიპისა და მახასიათებლების კონვერსიის შესაძლებლობა კლიენტთა მოთხოვნების შესაბამისად.

აღწერილი პასივების მართვის საბაზო სფეროების გარდა, საჭიროა თვალყურის დევნება, აუცილებლობის შემ-

თხვევაში კი გარემოს მმართველი და პარალელური დონეების გავლენის განეიტრალება, მ.შ. ისეთი ფაქტორებისა, როგორებიცაა:

– ქვეყანაში ფულის მიმოქცევის მდგომარეობა, თავისუფალი ფულადი რესურსების დეფიციტი;

– საბანკო ზედამხედველობსა და რეგულირების ორგანოების მმართველობითი ზემოქმედება;

– ტერიტორიული და სოციალური პირობები და შეზღუდვები;

– ბანკთაშორისი კონკურენცია;

– ბანკის გავლენის სფერო და სხვ.

როგორც პასივების, აქტივების მართვაცხდება საბანკო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების, გარემოს მანევრ გავლენის შემზღუდავი საბანკო პროდუქტების მომხმარებელთა ინტერესების ბალანსირების აუცილებლობის გათვალისწინებით. აქტივების მართვის სფეროში საბანკო მენეჯმენტის ამოცანებს მიეკუთვნება:

– შემოსავლიანობის უზრუნველყოფა – სამეწარმეო სტრუქტურების მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელიც მოიცავს ბანკის საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროს;

– ლიკვიდობის მხარდაჭერა – დაბანდებული თანხების შექცევადობის უზრუნველყოფა ან ახალი რესურსების მოზიდვა ბანკის ვალდებულებათა დასაფარადად;

– აქტივების, მისი ღირებულების დაცულობა;

– ახალი ტერიტორიების, მეწარმეობის დარგების, სფეროების, სოციალური ფენების ათვისება და ა.შ;

– ბაზრის მოთხოვნების ადექვატური საბანკო მოთხოვნების დასრულებული კომპლექსის ჩამოყალიბება.

გარემომცველი სამყაროც აყალიბებს თავის უპირატესობებს და შეზღუდვებს, ქმნის შემაფერხებელ ზამოქმედებას, რომელსაც თვალის უნდა მივადევნოთ და გავითვალისწინოთ აქტივების მართვის პროცესში. ეს არის:

– ზედამხედველობის ორგანოების მიერ დადგენილი ნორმატივების და შეზღუდვები;

– მაკროეკონომიკური ფაქტორები, ბანკის მდგომარეობა საერთოდ და ფინანსური – კერძოდ;

– სოციალური გარემოს უპირატესობანი, ტრადიციები და პირობები;

– სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მიმართულებები;

– კონკურენტთა ძალისხმევა;

– ახალი საბანკო პროდუქტების, ტექნოლოგიებისა და ხერხების შემუშავება და დანერგვა;

– საინფორმაციო უზრუნველყოფის დონე.

აქტივების მართვა – არსებითად ეს არის აქტივების კონკრეტული პროდუქტის, ჯგუფის ან პორტფელის ხარისხის მართვა. საფუძველია – მთელი რიგი თვისებრივი მაჩასიათებლების შესაბამისად აქტივების დივერსიფიკაცია, ამ მაჩასიათებელთაგან ძირითადს შეიძლება მივაკუთვნოთ:

– მოცულობები;

– ვადები;

– მიზნები და პროექტები;

– მსესხებლები;

– მსესხებლის დარგები;

– ტერიტორიები;

– პროცენტების სიდიდე და სახეები, საკომისიოთა გადახდა;

– გაცემის წესი;

– დაცვა, სანქციები;

– დაფარვის წესი.

ჩამოთვლილი საბაზო პრინციპები გვაწვდის საბანკო აქტივების მართვისადმი მიდგომის ფორმებს. ბანკის აქტივების ყოველ სახეს თავისი სპეციფიკა გააჩნია.

## კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რას მოიცავს ცენტრალური ბანკისა და საბანკო სფეროს ცენტრალიზებული მართვის სხვა სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ საბანკო საქმიანობის მართვა?

2. რა განსხვავებაა ბანკის მართვასა და თვითმმართველობას შორის?

3. როგორ განისაზღვრება საბანკო მენეჯმენტი?

4. რას წარმოადგენს მენეჯმენტი და რომელ ოთხ ძირითად ჯგუფებად (კატეგორიად) იყოფა იგი?
5. განსაზღვრეთ საბანკო მენეჯმენტის გარემო და დაახასიათეთ მისი იერარქიული დონეები და სფეროები.
6. რომელი სახის ინფორმაციის არხები გამოიყენება საბანკო მენეჯმენტის სტრუქტურაში?
7. რაში მდგომარეობს ბანკის ამოცანები პასივების მართვის სფეროში?
8. რა ამოცანებს ისახავს მიზნად ბანკის აქტივების მართვა?

## ტესტები

1. ცენტრალურ ბანკთან ერთად კომერციული ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების მართვასა და ზედამხედველობას შვეიცარიაში ახორციელებს
  - ა) სავალუტო კომიტეტი;
  - ბ) საბანკო კომისია;
  - გ) ფინანსთა სამინისტრო;
  - დ) ფედერალური საბანკო კომისია.
2. მართვა, რომელსაც ახორციელებენ არა გარედან და არა ბანკის მიმართ გარე სუბიექტები, არამედ თვით საბანკო სისტემის ელემენტები, არის
  - ა) დირექტიული მართვა;
  - ბ) თვითმმართველობა;
  - გ) დემოკრატიული მართვა;
  - დ) თვითკონტროლი.
3. საბანკო თვითმმართველობის დროს მართვა ხორციელდება შემდეგ ორ დონეზე

- ა) კომერციული ბანკებისა და საკრედიტო კავშირების დონეზე;
- ბ) მთლიანი საბანკო სისტემისა და ცენტრალური ბანკის დონეზე;
- გ) ცენტრალური ბანკისა და კომერციული ბანკების დონეზე;
- დ) მთლიანი საბანკო სისტემისა და კომერციული ბანკების დონეზე.

4. საკრედიტო რესურსების მოძრაობის უწყვეტობისა და თანადროულობის უზრუნველსაყოფად შესაბამის საორგანიზაციო სტრუქტურების მიერ მიღებული მმართველობით ღონისძიებათა სისტემა, რომელთა მიზანს წარმოადგენს მიკრო და მაკროეკონომიკური პრიორიტეტების მიღწევა, არის

- ა) საბანკო რეგულირება;
- ბ) საბანკო მმართველობა;
- გ) საბანკო მენეჯმენტი;
- დ) საბანკო თვითმმართველობა.

5. მენეჯმენტის სახე, რომლისთვისაც დამახასიათებელია როგორც უნებლიე შეცდომები, ასევე ბანკის პერსონალის წინასწარგანზრახული კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები, საჭირო კონტროლის არარსებობა, ზედამხედველობის არაადეკვატური უფლებამოსილება-ნი და ა.შ. მოიხსენიება, როგორც

- ა) მისმენეჯმენტი;
- ბ) ფსევდომენეჯმენტი;
- გ) ტექნიკური მენეჯმენტი;
- დ) ავანტურული მენეჯმენტი.

6. მისმენეჯმენტს ყოფენ ბანკის კრიზისის ეტაპობრივი გაღრმავების მახასიათებელ

- ა) ორ ძირითად ჯგუფად;
- ბ) სამ ძირითად ჯგუფად;
- გ) ოთხ ძირითად ჯგუფად;
- დ) ხუთ ძირითად ჯგუფად.

7. მისმენეჯმენტის სახეს, რომლის დროსაც, ბანკი ფარავს წინა და მიმდინარე დანაკარგებს იმისათვის, რომ

შეინარჩუნოს მისდამი ნდობა, მოიგოს დრო და იპოვოს გამოსავალი არაკეთილსაიმედო სიტუაციიდან, უწოდებენ

- ა) ფარულ მისმენეჯმენტს;
- ბ) კოსმეტიკურ მისმენეჯმენტს;
- გ) ავანტურულ მისმენეჯმენტს;
- დ) ღია მისმენეჯმენტს.

8. საბანკო მენეჯმენტში გამოყოფილ გარემოს იერარქიულ დონეს არ მიეკუთვნება

- ა) ზედა (მმართველი) დონე;
- ბ) ვერტიკალური დონე;
- გ) პარალელური დონე;
- დ) შიდა დონე.

9. კატეგორიებს, რომლის მიხედვითაც ფასდება საბანკო მენეჯმენტი არ მიეკუთვნება

- ა) ოფიციალური და არაოფიციალური;
- ბ) ობიექტური და სუბიექტური;
- გ) რაოდენობრივი და ხარისხობრივი;
- დ) ფორმალური და არაფორმალური.

10. პასივების მართვის საქმეში მუდმივად უნდა შეუფარდდეს ბანკის მომსახურების მომხმარებელთა – ბანკის კლიენტთა ინტერესებსა და საერთო მოთხოვნებს, როგორებიცაა

- ა) მომგებიანობა, დაცულობა, საიმედობა;
- ბ) შემოსავლიანობა, ლიკვიდობა, დაცულობა;
- გ) შექცევადობა, დაცულობა, დაბრუნებადობა;
- დ) შემოსავლიანობა, დაცულობა, შეუქცევადობა.



## თემა 9. საბანკო სისტემის სახელმწიფო რეგულირება

*სახელმწიფოს შეუძლია ბაზრულ საზღვრებში მიუხედავად ეკონომიკას, ხოლო მისი შესაძლებლობები ზიანი მიაყენოს მას, განუსაზღვრელია*  
ჩ. მ. კვიციანი

### 9.1 კომერციული ბანკების რეგულირებისა და თვითრეგულირების არსი და მნიშვნელობა

“საბანკო რეგულირება” – ფართე მცნებაა და გულისხმობს უფლებამოსილი ორგანოების მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი კონკრეტული წესებისა და ინსტრუქციების შემუშავებას და გამოცემას, რომელიც განსაზღვრავს საბანკო საქმის განხორციელების სტრუქტურასა და საშუალებებს. ანუ, სწორედ ეს მარეგულირებელი ინსტრუქციები ქმნიან ბანკის საქმიანობის გარკვეულ ჩარჩოებს, რომლებიც ხელს უწყობენ საიმედო და ეფექტური საბანკო სისტემის შენარჩუნებას.

მსოფლიო გამოცდილებით გამოიკვეთა საბანკო რეგულირების წარმატებულად წარმართვისათვის აუცილებელი შემდეგი ძირითადი პრინციპები:

– პირველი და უმნიშვნელოვანესი: საბანკო რეგულირება უნდა ატარებდეს სისტემურ, საყოველთაო ხასიათს, რათა დროულად შეფასდეს კომერციული ბანკების რეალური ფინანსური მდგომარეობა; გამოვლინდეს გარემოებანი, რომლებიც საფრთხეს უქმნიან კრედიტორებისა და მენაბრეების ინტერესებს და შემოწმდეს ქვეყანაში მოქმედი საბანკო და სავალუტო კანონმდებლობის შესრულება.

– მეორე პრინციპის თანახმად ბანკი ეკონომიკურად სრულიად დამოუკიდებელი ერთეულია, რომელიც საკუთარ თავზე იღებს სრულ პასუხისმგებლობას მუშაობის შედეგებზე. ეკონომიკური დამოუკიდებლობა გამოიხატება შემდეგში: საკუთარი და მოზიდული სახსრების განკარგვის სრული თავისუფლება, კლიენტებისა და მენაბრეების

არჩევანის თავისუფლება, გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი მოგების განკარგვის თავისუფლება. შესაბამისად ბანკი საკუთარ თავზე იღებს სრულ პასუხისმგებლობას გატარებული ოპერაციების რისკებზეც;

– მესამე პრინციპით, ბანკსა და მის კლიენტებს შორის ურთიერთობები წარმოებს საბაზრო ურთიერთობების პრინციპების შესაბამისად, ანუ სესხების გაცემის დროს ბანკი პირველ რიგში ითვალისწინებს მოგების, რისკისა და ლიკვიდურობის საბაზრო კრიტერიუმებს, რადგან “საერთოსახელმწიფოებრივი ინტერესები” ეწინააღმდეგება მისი საქმიანობის კომერციულ ხასიათს;

– მეოთხე პრინციპის მიხედვით, კომერციული ბანკის საქმიანობის რეგულირება ექვემდებარება არა ადმინისტრაციულ, არამედ არაპირდაპირ ეკონომიკურ მეთოდებს, სახელმწიფო არ იძლევა ბრძანებებს, იგი მხოლოდ “თამაშის წესებს” განსაზღვრავს.

ამგვარად, საბანკო რეგულირების ფარგლებში, სახელმწიფო ცენტრალური ბანკის, ან მასზე დაქვემდებარებული სპეციალური ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოფს ბანკების სტაბილურ და უსაფრთხო ფუნქციონირებას და ებრძვის დესტაბილიზაციური პროცესების გაღრმავებას.

თეორიული თვალსაზრისით, საბანკო რეგულირება ითვალისწინებს უწყვეტ, ერთიან ზედამხედველობას ბანკებზე, მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებაზე, მოქმედი მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტრუქციების შესაბამისად, რაც მოიცავს: ლიცენზირების პროცესის, საბანკო ანგარიშგებების წარმოების და საზედამხედველო ინსტიტუტების მოთხოვნათა შესრულების კონტროლს ეტაპობრივად. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ლიცენზირება, როგორც ზედამხედველობის პროცესის პირველი ეტაპი, გულისხმობს უფლებამოსილი ორგანოების მიერ საბანკო საქმიანობაზე ნებართვის გაცემას. ამასთან, ლიცენზირების პროცესი უნდა ითვალისწინებდეს ბანკის კაპიტალის ბაზრის შესაბამისად მისი მომავალი ფინანსური მდგომარეობის შეფასებას. გარდა ამისა, ლიცენზიის გაცემაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას საზედამხედველო ორგანოები ითვალისწინებენ ინფორმაციას მომავალ დამფუძნებელთა, დირექტორთა, მთავარ

აქციონერთა საქმიანობის სტრატეგიის შესახებ. ახალი ბანკის ფილიალების ქსელის ჩამოყალიბების პერსპექტივებს და მათ შესაძლო გავლენას საფინანსო-საკრედიტო სექტორში კონკურენციის დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში მოქმედებს უცხოელ პირთა განცხადებების განხილვის განსაკუთრებული წესი ქვეყნის საბანკო ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია მისი ქვეყნის ტერიტორიაზე ამა თუ იმ პირთა მიერ საბანკო საქმიანობის განხორციელება და ლიცენზირების პროცესში საკუთარი მოთხოვნები წარმოადგინოს დირექტორებისა და დამფუძნებლების კვალიფიკაციის, ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის, ბიზნესგეგმისა და სხვა მოთხოვნათა შესახებ. პრაქტიკული მოსაზრებებით საბანკო ლიცენზია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მისი მოქმედების ვადების და საჭიროების შემთხვევაში გაუქმების შესახებაც. კერძოდ, თუ ახლად შექმნილი ბანკი ამჟღავნებს უუნარობას საბანკო საქმიანობის განხორციელებაში, არღვევს ლიცენზიით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კანონებს, ან კანონქვემდებარე აქტების იგნორირების გზით ზიანს აყენებს კრედიტორებისა და მენაბრეების ინტერესებს.

საზედამხედველო საქმიანობის მეორე ეტაპია ბანკების მიერ ზემდგომ ორგანოებში წარმოდგენილი ანგარიშგებების კონტროლი, რომელიც ფართო გაგებით თავის თავში მოიცავს როგორც ბანკებზე დოკუმენტურ – დისტანციურ ზედამხედველობას, ისე ინსპექტირებას ანუ ადგილზე შემოწმებას.

დოკუმენტური – დისტანციური ზედამხედველობა ბანკების მოსალოდნელი გაკოტრების, ან მათი ფინანსური პრობლემების წინასწარი გამოვლენის საშუალებას იძლევა. შემოწმების პროცესში ჩვეულებრივ გამოიყენება პერიოდული ჟურნალები და ყოველწლიური ანგარიშები. მათ შორის: წლიური ბალანსი, მოგებისა და ზარალის ანგარიშები, განმარტებითი ბარათები, ასევე ყოველკვარტალური ანგარიშები ბანკის მიერ სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივების შესრულების შესახებ, რომელიც საზედამხედველო ორგანოებს წარედგინებათ სააღრიცხვო პერიოდის მომდევნო თვისათვის. ამ ანგარიშის

წარდგენის ვადის დარღვევა მეტყველებს ბანკში გარკვეული სახის პრობლემების არსებობის შესახებ. დოკუმენტური ზედამხედველობის პროცესშივე ხორციელდება ბანკების წინასწარი სარეიტინგო შეფასება, რომელსაც გარდა ცენტრალური ბანკებისა, ხშირ შემთხვევაში სპეციალიზირებული სარეიტინგო სამსახურებიც ანხორციელებენ.

რაც შეეხება ინსპექტირებას, ანუ ადგილზე შემოწმებას, იგი ბევრად უფრო დეტალურია და შესაბამისად, უფრო ზუსტ სურათს იძლევა საბანკო ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ინსპექტირების, როგორც საზედამხედველო კონტროლის ყველაზე გავრცელებულ სახედ ითვლება რევიზია. ჩატარების შრომატევადობის გათვალისწინებით რევიზია არ ატარებს სისტემურ ხასიათს, ხოლო პერიოდულობის მიხედვით განასხვავებენ გეგმიურ, რეგულარულ და რიგგარეშე რევიზიებს, თუმცა გარდა ვადებისა იგი შეიძლება დაეაჯგუფოთ შემოწმების მიზნებისა და მასშტაბებიდან გამომდინარეც: სრული, შეზღუდული და სპეციალური.

რევიზიის ხასიათი და მისი ჩატარების სიხშირე დამოკიდებულია საზედამხედველო ორგანოების მხრიდან ბანკების მიმართ ნდობის ფაქტორზე. ჩვეულებრივ, რევიზია უფრო ხშირად უტარდებათ მსხვილ ბანკებს, ან იმ საბანკო დაწესებულებებს, რომლებიც სერიოზულ პრობლემებს განიცდიან. ამდენად, ცალკეულ ქვეყნებში ადგილზე ინსპექტირება უფრო ხშირ ხასიათს ატარებს, ვიდრე დოკუმენტური ზედამხედველობა, ან პირიქით იშვიათია.

ბანკებზე ზედამხედველობის დასკვნით ეტაპს წარმოადგენს ბანკების მიერ საზედამხედველო ორგანოების მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლი მკაცრად განსაზღვრულ ვადებში, აღმოჩენილ ნაკლოვანებათა საბოლოოდ აღმოსაფხვრელად. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ბანკებზე ზემოქმედების საშუალებათა ოფიციალური თუ არაოფიციალური გზების შემუშავება და ამოქმედება მარეგულირებელი ორგანოების პერეოგატივას განეკუთვნება. რთული საკითხია აგრეთვე მათი საქმიანობის სიმკაცრის ოპტიმალური ხარისხისა და დონის განსაზღვრა, რადგან გადაჭარბებული კონტროლი და ზედამხედველობა გარკვეულწილად ზღუდავს საბანკო სისტემას, ხოლო უმოქმედობის შემთხვევაში უკონტროლო ხდება რისკების

მართვის ფაქტორი, რომელიც თავის მხრივ საშიშროებას უქმნის ბანკის კაპიტალს და მის ქმედითუნარიანობას.

პრაქტიკული თვალსაზრისით, საბანკო რეგულირების მთავარი დანიშნულებაა ქვეყნის საბანკო სისტემის პოტენციალის განსაზღვრა და მისი სრულად გამოყენების ხელშეწყობა, საბანკო სისტემის განვითარებაზე მოქმედი გარეგანი და შიდა ფაქტორების შესწავლის გზით.

ამ მიმართულებით, ერთ-ერთი ყველაზე ნაცადი მეთოდია ეფექტიანი საბანკო რეგულირების მექანიზმის ამოქმედება, რომელიც გულისხმობს მკაცრად განსაზღვრული მიზნებისა და მოვალეობების შემუშავებას მექანიზმის შემადგენელი თითოეული რგოლისათვის, კანონით განსაზღვრული მოქმედების თავისუფლებისა და შესაბამისი მატერიალური ბაზის საფუძველზე. უფრო კონკრეტულად, საბანკო რეგულირების მექანიზმში ერთიანდება როგორც საბანკო ზედამხედველობის, მათ შორის დისტანციური ზედამხედველობისა და ადგილზე ინსპექტირების ფუნქციები, ისე ბანკის შიგნით არსებული თვითკონტროლის სისტემის, ანუ შიდა კონტროლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციები, საბანკო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ფუნქციებთან ერთად.

გარეგან ფაქტორებში, როგორც წესი იგულისხმება საერთო გარემო პირობები, ანუ პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ფაქტორების მთელი კომპლექსი, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს საბანკო პოტენციალის რეალიზაციისათვის სასურველი ატმოსფეროს შექმნა. რაც შეეხება შიდა ფაქტორებს, ეს არის უშუალოდ ბანკებში არსებული საკუთარი პოტენციალი, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში მყოფი ელემენტების საფუძველზე და დაეყოს ოთხ ძირითად რგოლად:

1. პირველი რგოლი აერთიანებს ბანკის ხელთ არსებულ რესურსებს, კერძოდ საბანკო კაპიტალს ფართე მცნებით, რომელიც მოიცავს, როგორც საკუთარ, ისე მოზიდულ კაპიტალს. ეს რგოლი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ასახავს ბანკის აგებულების ფინანსურ სიმყარეს, მის გადახდისუნარიანობას და მდგრადობას ისეთი ცვალებადი გარეფაქტორების მიმართ, როგორცაა:

ეკონომიკური ციკლის ფაზები, ინფლაცია, საბანკო და საგადასახადო პოლიტიკა, საბაზრო კონკურენცია და სხვ.

2. მეორე რგოლი მოიცავს საბანკო პროდუქტებს და შეიძლება ითქვას ყველაზე მოცულობითია, ანუ მოცემულ რგოლში ერთიანდება ბანკის მიერ საკუთარი კლიენტისადმი შემოთავაზებული ნებისმიერი “პროდუქტი”, ეს იქნება ოპერატიული მომსახურება, კრედიტი, ნაღდი ფული და სხვ. რაც უფრო მრავალფეროვანია საბანკო პროდუქტი, მით უფრო წარმატებულია ბანკის საქმიანობა, თუმცა არსებობენ სპეციალიზებული ბანკებიც და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ხარისხი და არა რაოდენობა.

3. მესამე რგოლში განხილულია ბანკის აპარატის შემადგენლობა, კერძოდ კონკრეტული პიროვნებები, ან პირთა ჯგუფები, ცოდნის და გამოცდილების მაღალი დონით, რომლებიც წარმართავენ საბანკო საქმიანობის პროცესს.

4. და ბოლოს მეოთხე რგოლი, ეს არის ბანკის ტექნიკური და საწარმოო საკუთრების ჩამონათვალი, როგორცაა შენობა-ნაგებობა, საბანკო ტექნიკა და მოწყობილობები, მათ შორის საკომუნიკაციო საშუალებები და სხვ.

საბანკო რეგულირების ეფექტიანობის თვალსაზრისით, თვითრეგულირების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს: კაპიტალიზაციის პრობლემას, ბანკების მიერ რისკების ადეკვატურად მართვისა და დივერსიფიკაციის საკითხებს, რაც გულისხმობს მოქმედებას ბანკში რეალურად მობილიზებული რესურსების ფარგლებში და რაოდენობრივი შესაბამისობის უზრუნველყოფას საკუთარ რესურსებსა და საკრედიტო დაბანდებებს შორის. აღნიშნული შესაბამისობა, როგორც წესი, გათვალისწინებულია საბანკო საქმიანობის რეგულირების ეკონომიკურ ნორმატივებშიც; ასევე მართვის პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ორგანოებისა და განყოფილებების ფორმირებას, რომლებიც ფლობენ სპეციალურ უფლებებსა და ვალდებულებებს და ბოლოს, შიდა საბანკო კონტროლის სისტემის გაძლიერებას.

შიდა კონტროლი განიხილება, როგორც ბანკის ხელმძღვანელობისა და სხვა განყოფილებების მიერ წარმოებული ყველა სახის კონტროლის ერთობლიობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დასახული მიზნების განხორციელება, მინიმალური რისკითა და დანახარჯებით.

საინტერესოა 1998 წლის ბაზელის საერთაშორისო კომიტეტის მოხსენება “საკრედიტო ორგანიზაციებში შიდა კონტროლის სისტემების ფუნქციონირების საერთო საფუძვლების” შესახებ. პირველი თავი ეთმობოდა შიდა კონტროლის აუცილებლობის დასაბუთებას, მომდევნო თავებში კი განსაზღვრულ იქნა შიდა კონტროლის მიზნები და დანიშნულების საფუძველი.

ზემოთდასახელებულ დოკუმენტში მოცემული განმარტებით შიდა კონტროლი არის არა ზოგადი პროცედურა, არამედ მუდმივმოქმედი პროცესი, რომლის მიზანია გადაამოწმოს საბანკო საბჭოს მიერ შემუშავებული პოლიტიკისა და სტრატეგიის შესაბამისობა ბანკის ფაქტიურ საქმიანობასთან და მოიცავს როგორც ბანკის ხელმძღვანელობას, ისე მის ყველა თანამშრომელს საბანკო საქმიანობის ნებისმიერ დონეზე.

ბაზელის კომიტეტის ინიციატივით, იმავე მოხსენების ფარგლებში განისაზღვრა შიდა საბანკო კონტროლის სისტემის შექმნის საფუძვლები და ძირითადი პრინციპები.

შიდა კონტროლის სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ბანკის შიდა აუდიტორულ სამსახურს, რომლის ამოცანაა ბანკის ხელმძღვანელობისა და მმართველობის წარმომადგენელთა მიერ შემუშავებული პოლიტიკის ფარგლებში დაეხმაროს ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულებს სამსახურეობრივი ფუნქციების განხორციელებაში.<sup>6</sup> კერძოდ:

– დაგეგმილი საოპერაციო და პროგრამული ამოცანების შესრულებაში;

– რესურსების ეკონომიურ და ეფექტიან მართვაში;

– არსებული ინფორმაციის საიმედოობისა და მიღებულ პოლიტიკასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში.

შიდა აუდიტის მთავარი მიზანია გამოააშკაროს და შეაფასოს ბანკში არსებული რისკები და შიდა კონტროლის სისტემების ადეკვატურობა, რაც ვფიქრობთ, სათანადო დაგეგმვით, ზუსტი ანალიზით და რეკომენდაციების სისტემატიური შესრულების სფუძველზე მიიღწევა.

<sup>6</sup> Банковский надзор и аудит, учебное пособие род. ред. И. Д. Мамоновой, - М. «ИНФРА» 1995. стр. 98.

განასხვავებენ ფინანსურ აუდიტს, კომპიუტერულ აუდიტს და თვითკონტროლს.

ფინანსური აუდიტი ამოწმებს და აფასებს ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებულ რისკებსა და მათ ადეკვატურობას. როდესაც მოწმდება კონტროლის სისტემები აუდიტორები მიმართავენ უშუალოდ ამ სისტემების აუდიტს. აქტივების ფიზიკურად შემოწმების პროცესში კი გამოიყენება ინვენტარიზაციის მეთოდი.

მნიშვნელოვანია ასევე იმის დადგენა, თუ რამდენად გამართულად ფუნქციონირებს ბანკის კომპიუტერული სისტემები და რამდენად დაცულნი არიან ისინი გარეშე ფაქტორებისაგან საოპერაციო აუდიტის ფარგლებში მოწმდება კეთდება თუ არა ინფორმაციის რეგულარული ასლები და იცვლება თუ არა პაროლები სისტემატიურად. კომპიუტერული სისტემები და მათი კონტროლის აუდიტი წარმოადგენს ფინანსური აუდიტორების უფლებამოსილებას. ისინი ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ ახალი კომპიუტერული სისტემების დანერგვის პროცესებში, რათა საწყისი სტადიიდანვე უზრუნველყონ მათზე სათანადო კონტროლი. აღნიშნულ პროცესს განვითარების კონტროლს უწოდებენ.

თვითკონტროლი წარმოადგენს შემოწმების ერთ-ერთ ფორმას, რომელსაც შიდა აუდიტორების დახმარებით საოპერაციო უბანზე ასრულებენ და მისი მიზანია მუდმივი კონტროლის უზრუნველყოფა. მართალია თვითკონტროლი ვერ ცვლის დამოუკიდებელი აუდიტორის ფუნქციას ორგანიზაციაში, მაგრამ ძალზე ეხმარება მას შემოწმების პროცესში<sup>7</sup>.

საბანკო სექტორში ბოლო დროს გამწვავებული კონკურენტული გარემოს პირობებში, საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა ეგრეთ წოდებული “კონტროლინგის” სისტემა, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს ინტეგრირებული დაგეგმვის, მართვისა და კონტროლის სისტემების ერთობლიობას და თავს უყრის საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას ბანკის რეალური შესაძლებლობების, მათ შორის სისუსტეებისა და რისკების

<sup>7</sup> Albrech. Evaluating the effectiveness of Audit Department. 1995, pg.11.



გავლენის სფეროების შესახებ. მართალია კონტროლინგის სისტემის ეფექტიანობისათვის სასურველია ბანკების ინდივიდუალური პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინება, არსებობს საერთო საფუძვლებიც, რომელიც განსაზღვრავს საგეგმო-საკონტროლო პარამეტრების ფორმირებისა და მართვის ქვესისტემას. შემუშავებული კონცეფციის თანახმად კონტროლინგი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- სიტუაციის ანალიზი;
- სტრატეგიული კონტროლინგი და
- ოპერატიული კონტროლინგი.

## 9.2 საბანკო სისტემის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მეთოდების ანალიზი

საბანკო რეგულირების მეთოდური საფუძვლების ანალიზის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეთოდები, რომლებიც საბანკო სფეროში არსებული და პოტენციური პრობლემების დროულად გამოვლენისა და მათ აღმოსაფხვრელად ადეკვატური ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას იძლევა.

აღნიშნული თვალსაზრისით, რეგულირებისა და კონტროლის მეთოდებში გამოეყოფით ე.წ. წინასწარი დიაგნოსტიკის მექანიზმს, რომელიც გულისხმობს მაკროეკონომიკური გარემოს გამოკვლევას სპეციფიურ ფულად-საკრედიტო მაჩვენებლებთან მიმართებაში.

მაკროეკონომიკური ანალიზის საფუძველზე იკვეთება საბანკო სექტორის წინასწარი დიაგნოსტიკის კონტურები, რაც მომავალში უფრო ღრმა გამოკვლევების ჩატარების საშუალებას იძლევა, ხოლო რაც შეეხება მაჩვენებლებს, რომლებიც ქმნიან გარკვეულ წარმოდგენას იმ გარემოზე,

რომელშიც ბანკებს უწევთ საქმიანობა, ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან ერთად, როგორცაა მშპ, ეროვნული შემოსავალი და მათი ზრდის ტემპები, ითვალისწინებენ შემდეგ სპეციფიურ ფულად-საკრედიტო მაჩვენებლებსაც: ინფლაციის ტემპები, ფულადი მასის აგრეგატები, საკრედიტო რესურსები, მათი სტრუქტურა და ა.შ.

წინასწარი დიაგნოსტიკა განზოგადებული მონაცემების საფუძველზე საბანკო სისტემის განვითარების მიმართულებებისა და პერსპექტივების პროგნოზირების საშუალებას იძლევა, რაც აადვილებს სიტუაციის კონტროლირებას და სრულყოფის ღონისძიებების დასახვას.

საბანკო სექტორის სტაბილურობა მნიშვნელოვანწილად უშუალოდ ბანკებზეა დამოკიდებული, მაგრამ სისტემური მიდგომით, რეგულირება გულისხმობს ბანკის საქმიანობის რეგლამენტირებას მისი რეგისტრაციის მომენტიდან ლიკვიდაციამდე. ეს პროცესი, როგორც წესი მასშტაბურია და განმაზოგადებელი მაჩვენებლების განხილვიდან დაიყვანება უფრო მცირე და კონკრეტული მაჩვენებლების ინდივიდუალურ ანალიზამდე.

ამ შემთხვევაში რეგულირების მთავარ მიზანს ბანკის შემოსავალსა და რისკის დონეს შორის ოპტიმალური თანაფარდობის შენარჩუნება, ანუ ბანკის ლიკვიდურობასა და მომგებიანობას შორის წონასწორობის დადგენა წარმოადგენს. თუმცა, ბანკის საქმიანობის წარმატებულობაზე მსჯელობისას არ არის საკმარისი მისი შემოსავლების წყაროების განსაზღვრა, რეგულირების ინტერესებიდან გამომდინარე, გაცილებით საინტერესოა მოგების მიღების შესაძლებლობების ანალიზი და ამ პროცესების შესაბამისი რეგულირება.

პირველ რიგში სასურველია მთლიანი შემოსავლების ფაქტიური მოცულობისა და სტრუქტურის დინამიკის შემოწმება რამდენიმე წლის მაგალითზე, მათ ცალკეულ სახეობებს შორის არსებული შესაბამისობისა და ცალკეული სახის შემოსავლების ხვედრითი წილის განსაზღვრა მთლიანი შემოსავლის საერთო თანხასა და შემოსავლების შესაბამის ქვეჯგუფებში; იმ ოპერაციების გამოყოფა, რომლებიც უზრუნველყოფენ ბანკის ძირითად შემოსავალს, მათ შორის ყველაზე სანდო კლიენტების გამოვლენა, რომლებიც მომავალშიც განაგრძობენ ბანკთან

თანამშრომლობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბანკის ნორმალური მუშაობის განმსაზღვრელ მტკიცებულებად უნდა ჩაითვალოს მისი ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ზრდის ტემპის სტაბილურობა და რიტმულობა, რაც მეტწილად განპირობებულია შემოსავლების სტაბილური და არა შემთხვევითი ან სპეკულაციური წყაროებით. ასევე სისტემატიურად უნდა ზუსტდებოდეს ბანკის საქმიანობის რა მიმართულებები ჩაითვლება საგეგმო პერიოდში პოზიტიურად მაქსიმალური მოგების მიღების თვალსაზღისით და რა ცვლილებების შეტანა აუცილებელი შემოსავლების მიღების მექანიზმში. რაც შეეხება ხარჯებს, ნებისმიერი ბანკი მიისწრაფვის მისი მინიმალური საკონსტრუქციისა, რაც პირველ რიგში აკუმულირებული სახსრების რაციონალურად განაწილებასა და შესაბამისი კონტროლის ორგანიზებაში გამოიხატება. ამ მიზნით წარმატებით გამოიყენება ე.წ. ბიუჯეტირების მეთოდი, როგორც ფინანსური დაგეგმვის მექანიზმი მთლიანად ბანკისათვის და მისი ცალკეული განყოფილებებისათვის, მაგალითად ფინანსური რესურსებისათვის, საოპერაციო დანახარჯებისათვის; კომერციული და ადმინისტრაციული დანახარჯებისათვის; კაპიტალური დაგეგმვისათვის და სხვ, სადაც ხარჯების მართვა ეფუძნება წინასწარ დაგეგმილი მონაცემებიდან გადახრის მიზეზების ანალიზს, გეგმის მცურავი კორექტირების საფუძველზე ყოველთვიურად.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს საბანკო საქმიანობის რეგულირების ის მეთოდები, რომლებიც დისტანციური ზედამხედველობის საფუძველად არის ჩადებული, ესენია:

— ანგარიშების სტრუქტურული ანალიზი (რომლებიც ხვედრითი წილის, შეფარდებითი მაჩვენებლების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა).

— აბსოლუტური მაჩვენებლების დაჯგუფების მეთოდი, რომელიც შედარებითი მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის ან ფინანსური კოეფიციენტების გამოსათვლელად გამოიყენება;

— ნორმატიული მეთოდი (ეკონომიკური ნორმატივების, კოეფიციენტების გაანგარიშება, მაგალითად ეროვნული ბანკის მეთოდის მიხედვით).

— მაჩვენებლების დონის შეფასების მეთოდი ეროვნული ბანკის ნორმატივებთან შედარებით, ბაზასთან

შედარებით (მაჩვენებლების დინამიური შედარება), შედარებადი მიხედვით ბანკების ჯგუფების დონისადმი მიმართებაში.

საბანკო რეგულირების ძირითადი მეთოდების ანალიზის პროცესში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რამდენიმე წარმატებით აპრობირებული მეთოდოლოგია, რომელიც უკვე დაინერგა და მოქმედებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ვფიქრობთ, მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია რეგულირებისა და მონიტორინგის ყველაზე აღიარებული სარეიტინგო სისტემა "CAMEL"-ი რომელიც ეფუძნება შემდეგი კომპონენტების შეფასებას:

C – კაპიტალის ადეკვატურობა,

A – აქტივების ხარისხი,

M – ბანკის მენეჯმენტი,

E – მოგება-შემოსავლიანობა,

L – ლიკვიდობა.

თითოეული ამ კომპონენტის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ბანკის მთლიანი ფინანსური მდგომარეობა და შესაძლებელი ხდება მისი საიმედოობისა და მდგრადობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

C – კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებისას მოწმდება ყველა ფაქტორი, რომელიც ახდენს გავლენას ბანკის კაპიტალის მდგომარეობაზე: კერძოდ, ბანკის მიმდინარე და წინა საბანკო საქმიანობის ტენდენციები; კაპიტალისა და აქტივების ზრდის ტემპები, როგორც დამოუკიდებლად, ისე ერთმანეთთან ურთიერთკავშირში; ასევე არსებული და მომავალი შემოსავლების გავლენა კაპიტალის მოცულობაზე; პრობლემური ბანკების გავლენა კაპიტალზე; სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ადეკვატურობა; დივიდენდების პოლიტიკის გავლენა; ბანკის მენეჯმენტის უნარი გამოძებნოს კაპიტალის დამატებითი წყაროები და სხვა.

A – აქტივების ხარისხის ანალიზი ემსახურება ბანკის აქტივების მდგომარეობის შემოწმებას, რაც პირველ რიგში გულისხმობს ბანკის საკრედიტო პოლიტიკის და პროცედურების ადეკვატურობის დადგენას, სესხების ადმინისტრირების ხარისხის განსაზღვრას, ასევე

მნიშვნელოვანია სესხების გაცემის სფეროში ბანკის ისტორიული გამოცდილების და გარეშე ეკონომიკური პირობების შეფასება, როგორც მიმდინარე პერიოდში, ისე ახლო მომავალში. აქტივების დახარისხების პროცედურის გასამარტივებლად მეთოდოლოგიის ფარგლებში შემუშავებულია კოეფიციენტების სისტემა, სადაც სიდიდეები იცვლება 1-დან 5-მდე, საუკეთესოდან – კრიტიკულისაკენ.

M – ბანკის მენეჯმენტის შეფასება წარმოადგენს ყველაზე ძნელ და ამავე დროს ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას. იგი შედგება შემდეგი კომპონენტების შეფასებისაგან: სამეთვალყურეო საბჭოს ადეკვატურობა; მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის მდგომარეობა; მენეჯმენტის ადეკვატურობა და რისკების მართვის სისტემის ადეკვატურობა. უფრო კონკრეტულად კი წარმოებს სამეთვალყურეო საბჭოს და მმართველი აპარატის, იგივე მენეჯმენტის წარმომადგენლების პროფესიონალური უნარისა და კეთილსინდისიერების გადამოწმება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბანკო საქმიანობაში; ასევე მათ მიერ განხორციელებული საკადრო პოლიტიკის ადეკვატურობის დადგენა, საბანკო რისკების მონიტორინგის უნარის შეფასება და სხვ.

E – მოგება-შემოსავლიანობის ანალიზის დროს ყურადღება უნდა დაეთმოს შემოსავლების წყაროს სტაბილურობას და განისაზღვროს ბანკის მოგებაზე მოქმედი ფაქტორები, როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური ტენდენციები. მოგების, როგორც ბანკის ფინანსური საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებლის შეფასებისას მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების დამუშავება, როგორიცაა: საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები, მათი სტრუქტურული შემადგენლობა, წარმოშობის ძირითადი წყაროები და ზრდა-შემცირების ტემპების თანმიმდევრულობა; წმინდა საპროცენტო მარჟა; აქტივებსა და კაპიტალზე უკუგების ROA და ROE კოეფიციენტები, მათი ტემპები და ტენდენციები; და ბოლოს, წმინდა მოგების განაწილების ანალიზი, მათ შორის:

1. წმინდა მოგების, როგორც მთლიანი საშუალო აქტივების პროცენტული წილი; და

2. წმინდა მოგების, როგორც აქციონერთა მთლიანი საშუალო კაპიტალის პროცენტული წილი და მათი ადეკვატურობა ბანკის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

L – ლიკვიდობის შეფასებისას მოწმდება ბანკის მოთხოვნილება ლიკვიდურ სახსრებზე, აქტივ-პასივების მართვის ეფექტურობა, გარესაბაღანსო ანგარიშების მოცულობა და შემადგენლობა. ამასთან, შეფასების პროცესში გასათვალისწინებელია აქტივებისა და პასივების მოცულობა და ვადები, დეპოზიტების შემადგენლობა და სტაბილურობა, სახსრების არამყარი წყაროების გამოყენების პრაქტიკა, ბანკის არსებული და მომავალი მოთხოვნილება სახსრებზე და სახსრების ალტერნატიული წყაროების არსებობა.

ზემოთგანხილული კომპონენტების შეფასების საფუძველზე მზადდება საბოლოო დასკვნა, სადაც აისახება ბანკის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა: კაპიტალის შემოსავლიანობის, აქტივების მდგომარეობის და ლიკვიდობის გათვალისწინებით, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე მისი თითოეული ცალკე აღებული ნაწილის მდგომარეობა.

“CAMEL”-ის მეთოდის ბაზაზე შეიქმნა კიდევ ერთი გავრცელებული მეთოდია, რომელიც გარესაბანკო ზედამხედველობის “CAEL” სისტემის სახელწოდებით არის ცნობილი და კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზნით მოიცავს ბანკის კაპიტალის, აქტივების მომგებიანობისა და აქტივ-პასივების მართვა-ლიკვიდურობის შეფასებას. “CAMEL”-ისგან განსხვავებით “CAEL” სისტემა არ ითვალისწინებს M კომპონენტის – მენეჯმენტის ადეკვატურობის ცალკე განყენებულ შეფასებას.

“CAEL” სისტემით შეფასების საბოლოო დასკვნაში ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ გათვალისწინებული უნდა იქნეს ბანკის ადგილზე შემოწმების მასალები, გასული პერიოდის ფინანსური მდგომარეობის შეფასება და ბანკის შესახებ ცენტრალურ ბანკში არსებული სხვა ინფორმაციები. მნიშვნელოვანია, რომ “CAEL” სისტემით გარესაბანკო ზედამხედველობის

დასკვნა თავისი შინაარსით იყოს არგუმენტირებული დოკუმენტი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ფინანსური მონაცემების ტენდენციების ანალიზს.

როგორც ცნობილია, “CAMEL” და “CAEL” სისტემები თავისი არსით სარეიტინგო სისტემებია, რომლებიც ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის პარალელურად მთლიანად ქვეყნის საბანკო სისტემის სარეიტინგო შეფასების საშუალებასაც იძლევა. ამასთან, სარეიტინგო სისტემა ისეა აგებული, რომ თავიდან რეიტინგის მინიჭება 1-დან 5-მდე შკალით წარმოებს მეთოდის შემადგენელ ცალკეულ კომპონენტებზე, ხოლო მათი საშუალო არითმეტიკულის გაანგარიშებით საბოლოოდ განისაზღვრება ბანკის ფინანსური მდგომარეობის მთლიანი კომპოზიტიური რეიტინგი.

განასხვავებენ სარეიტინგო შეფასების კომპონენტურ და სისტემურ მიდგომებს. საწყის ეტაპზე, გრაფიკულ გამოსახულებაზე აბსცისის ღერძზე დაიტანება ზემოთ-ჩამოთვლილი კომპონენტების შეფასების აღმნიშვნელი კონკრეტული მაჩვენებლები, ხოლო ორდინატა წარმოადგენს მთლიანად ქვეყნის საბანკო სექტორის საწესდებო კაპიტალის სიდიდეს, ადგილმდებარეობის, საფილიალო ქსელის ქონა-არქონისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით გაერთიანებული საბანკო ჯგუფების სახით. ამასთან, თითოეული ჯგუფისათვის ინდივიდუალურად დადგენილია აბსცისის ღერძის ელემენტების მაჩვენებელთა ზღვრული სიდიდეები. კონკრეტული ბანკის, ან ფინანსური კომპანიის საქმიანობის ძირითად მახასიათებელთა სარეიტინგო შეფასება “კომპონენტური მიდგომით” სწორედ ამ ზღვრულ სიდიდეებთან შედარების საფუძველზე წარმოებს, რაც შეეხება ბანკის ადგილის განსაზღვრას “სისტემური მიდგომით” იგი ამ მახასიათებლების ჯამურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით ხორციელდება.

როგორც “CAMEL”, ისე “CAEL” მეთოდების მეორე ეტაპი ასევე ითვალისწინებს სარეიტინგო ადგილების განაწილებას არა მხოლოდ შესაბამისი საბანკო ჯგუფების მიხედვით, არამედ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით ქულათა ჯამური რაოდენობის შესაბამისად, რაც საბოლოოდ სამამულო “ოქროს შუალედის” დადგენის შესაძლებლობას იძლევა. უნდა ითქვას, რომ მსგავსი რეიტინგის არსებობა

არსებითად აადვილებს საბანკო რეგულირების პროცესს, როგორც კომპეტენტური ორგანოებისთვის, ისე თავად ბანკის ხელმძღვანელობისათვის.

შემაჯამებელ რეიტინგში:

1 ქულა ნიშნავს, რომ ბანკი სრულიად “ჯანსაღი” ორგანიზაციაა და ფინანსური საქმიანობის სრულყოფის მიმართულებით საზედამხედველო ორგანოების ჩარევის აუცილებლობას არ საჭიროებს.

2 ქულა მცირედი დარღვევების შესახებ მეტყველებს, თუმცა საბოლოო ჯამში ბანკი მაინც სტაბილურ ორგანიზაციად ითვლება, რომელიც ადვილად გაუმკლავდება ქვეყანაში მოსალოდნელ ეკონომიკურ თუ ფინანსურ ცვლილებებს.

3 ქულით ფასდება ბანკები, რომლებშიც აღინიშნება როგორც ფინანსურ-ოპერაციული, ისე ტექნიკური პრობლემები და გარკვეულწილად არსებობს გარეშე ფაქტორების გავლენით გაკოტრების საშიშროებაც. ამდენად, აუცილებელია საზედამხედველო კონტროლის ორგანიზება.

4 ქულით შეფასებული ბანკები შეიძლება ითქვას, რომ აშკარა გაკოტრების საფრთხის წინაშე დგანან და მათი სიცოცხლისუნარიანობა დიდად არის დამოკიდებული ფინანსური მდგომარეობის მაკორექტირებელ ღონისძიებათა გატარებაზე. ამ შემთხვევაში ზემდგომი ორგანოების მხრიდან ზედამხედველობა და კონტროლი გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს.

5 ქულა რეიტინგში ყველაზე ცუდი მაჩვენებელია. ასეთი შეფასება მიუთითებს თითქმის გამოუსწორებელ, უიმედო მდგომარეობაზე და საზედამხედველო ორგანოების მითითებით შესაძლებელია ამ ბანკის მხოლოდ გაყიდვა, სხვა ბანკთან მიერთება ან უკიდურეს შემთხვევაში ლიკვიდაცია.

აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის გამოცდილებით სარეიტინგო შეფასების სისტემა ე.წ. “კომპონენტური მიდგომის” საფუძველზე შეიქმნა, ფინანსური კომპანიების საერთო მდგომარეობის წინასწარი შეფასების მიზნით. შემოკლებით ამ სისტემას “BORECS” სისტემა ეწოდება, სადაც:

B – ქალიშვილი კომპანიები, ანუ ფილიალებია;

O – შვილობილი არასაბანკო ორგანიზაციები;

R – სათაო ორგანიზაცია;



E – ერთიანი მოგება;

C – ერთიანი კაპიტალის ადეკვატურობა;

თითოეული ელემენტის შეფასება წარმოებს ცალ-ცალკე 1-დან 5 ქულამდე სისტემით, სადაც 1 ნიშნავს საუკეთესოს, ხოლო 5 არაადამაკმაყოფილებელს. “BOREC” სისტემის ფარგლებში ზემოთაღწერილი ინდივიდუალური ელემენტების შეფასებას დამატების სახით თან ერთვის ბანკის მმართველობისა და მენეჯმენტის საიმედოობის ანალიზი, მისი ღირსებებისა და ნაკლოვანებების შეფასებით, როგორც მთლიანად კომპანიაში, ისე მის ძირითად შემადგენელ ელემენტებში: სათაო ორგანიზაციაში, ქალიშვილ კომპანიებსა და შეილობილ არასაბანკო ორგანიზაციებში. შეფასების სისტემა შედგება შემდეგი მახასიათებლებისაგან: S – კარგი, F – მისაღები, და U – დაუშვებელი. საბოლოო ჯამში მოცემული სარეიტინგო სისტემის მოდელი წარმოადგენს ერთგვარ “წილადს”, სადაც მრიცხველში აისახება ფინანსური კომპანიის საერთო მდგომარეობის შეფასების ძირითადი ელემენტები, ხოლო მნიშვნელში – მმართველობისა და მენეჯმენტის ღონისძიებების ეფექტიანობის მახასიათებლები:

### BOREC

[S,F U,]

“BOREC” სისტემა თავისი არსით ძალიან გავს შეფასების “UIBRS” სისტემას, რაც იმით აიხსნება, რომ სარეიტინგო სისტემის საფუძვლები ძირითადად მთავარი ფინანსური მაჩვენებლების კონტურების მოხაზვას ეყრდნობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი სარეიტინგო სისტემა პირველ რიგში გათვლილია პრობლემური ბანკების გამოვლენაზე, თუმცა ხშირ შემთხვევაში სარეიტინგო შეფასების მონაცემებს საჯაროდ არ აქვეყნებენ, რათა ამით არ გამოიწვიონ ბანკებსა და მათ პოტენციურ კლიენტებს შორის არსებული ურთიერთობების უფრო მეტად დაძაბვა.

ხოლო პრაქტიკული თვალსაზრისით, საბანკო სისტემისადმი ნდობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით და გაკოტრების შემთხვევების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილი იქნებოდა ფინანსური ანალიზის მეთოდების სრულყოფა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნებისმიერი ბანკისათვის კომერციული საქმიანობის უმთავრეს სტიმულს მოგება წარმოადგენს, ხოლო მომგებიანობა ის ძირითადი ფინანსური მაჩვენებელია, რომელიც მეტყველებს მისი საქმიანობის შედეგიანობაზე. ზოგადად, მოგების სიდიდე განისაზღვრება შემდეგი ძირითადი კომპონენტების ურთიერთშესაბამისობით: შემოსავლები, ხარჯები და გადასახადები, ხოლო თავად მომგებიანობის დადგენა წარმოებს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ანალიზის საფუძველზე.

რაც შეეხება საბანკო სისტემის რეგულირებისა და მართვის ადმინისტრაციულ მეთოდებს, გამოვეყოფლით მათ შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს – კომერციული ბანკების ლიკვიდურობის მაჩვენებელს, რომელსაც სხვადასხვა ქვეყანაში გაანგარიშების სხვადასხვა მეთოდიკა და ნოტრმატიულობის განსხვავებული ხარისხი გააჩნია. საბანკო რეგულირების ფარგლებში, ზედამხედველობის ორგანოების ერთ-ერთი მოვალეობაა ლიკვიდურობის კოეფიციენტების განსაზღვრულ დონეზე შენარჩუნება, რადგან როგორც მიჩნეულია, ლიკვიდურობის მაჩვენებლის დინამიკა უფრო ზუსტად მეტყველებს კომერციული ბანკების ლიკვიდურობის დონეზე, ვიდრე აბსოლუტური სიდიდეები, ამასთან, თუ წლების მანძილზე ლიკვიდურობის კოეფიციენტის დინამიკა ხასიათდებოდა კლებადი ტენდენციით, საანალიზო ბანკის ბალანსის ლიკვიდურობის გაუარესების შესახებ სუბიექტური დასკვნის მიღებამდე საჭიროა გაანალიზდეს და შეუდარდეს იგი სხვა ბანკების ანალოგიურ მახასიათებლებს, რათა განისაზღვროს მოცემული პროცესი საერთოა თუ არა ქვეყნის საბანკო სისტემის ყველა რგოლისათვის.

## კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რომელი ძირითადი პრინციპი გამოიკვეთა მსოფლიო გამოცდილებით საბანკო რეგულირების წარმატებულად წარმართვისათვის?
2. რას მოიცავს საზედამხედველო საქმიანობის მეორე ეტაპი?
3. რაში მდგომარეობს საბანკო რეგულირების მთავარი დანიშნულება?
4. განსაზღვრეთ „კონტროლინგი“ და დაახასიათეთ მისი ძირითადი დანიშნულება;
5. დაახასიათეთ მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში აპრობირებული რეგულირებისა და მონიტორინგის ყველაზე აღიარებული სარეიტინგო სისტემა;
6. რა განსხვავებაა CAMEL და CAEL სისტემებს შორის?
7. დაახასიათეთ „BOREC“ სისტემა და განმარტეთ მისი კომპონენტები;
8. რომელი მახასიათებლებისაგან შედგება „BOREC“ შეფასების სისტემა?

## ტესტები

1. თანამედროვე პირობებში, მსოფლიო გამოცდილებით საბანკო რეგულირების წარმატებულად წარმართვისათვის გამოიკვეთა
  - ა) ორი ძირითადი პრინციპი;
  - ბ) ოთხი ძირითადი პრინციპი;
  - გ) ხუთი ძირითადი პრინციპი;
  - დ) ექვსი ძირითადი პრინციპი;

2. როგორც ზედამხედველობის პროცესის პირველი ეტაპი, უფლებამოსილი ორგანოების მიერ საბანკო საქმიანობაზე ნებართვის გაცემას გულისხმობს

- ა) აკრედიტაცია;
- ბ) ლიცენზირება;
- გ) რევიზია;
- დ) რეგისტრაცია.

3. ბანკების მოსალოდნელი გაკოტრების, ან მათი ფინანსური პრობლემების წინასწარი გამოვლენის საშუალებას იძლევა

- ა) ინსპექტირება – ადგილზე შემოწმება;
- ბ) სტრატეგიული კონტროლი;
- გ) ოპერატიული კონტროლი;
- დ) დოკუმენტური – დისტანციური ზედამხედველობა.

4. პერიოდულობის მიხედვით განასხვავებენ

- ა) გეგმიურ, რეგულარულ და რიგგარეშე რევიზიებს;
- ბ) გეგმიურ, რეგულარულ და ოპერატიულ რევიზიებს;
- გ) მიმდინარე, რეგულარულ და რიგგარეშე რევიზიებს;
- დ) გეგმიურ, დოკუმენტურ და რიგგარეშე რევიზიებს;

5. შემოწმების ერთ-ერთ ფორმას, რომელსაც შიდა აუდიტორების დახმარებით საოპერაციო უბანზე ასრულებენ და რომლის მიზანია მუდმივი კონტროლის უზრუნველყოფა, წარმოადგენს

- ა) საზედამხედველო კონტროლი;
- ბ) თვითკონტროლი;
- გ) თვითრეგულირება;
- დ) უწყებრივი კონტროლი;

6. “კონტროლინგის” სისტემა, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს ინტეგრირებული დაგეგმვის, მართვისა და კონტროლის სისტემების ერთობლიობას შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან

- ა) სიტუაციის ანალიზი, სტრატეგიული კონტროლინგი, ოპერატიული კონტროლინგი;
- ბ) სიტუაციის ანალიზი, სტრატეგიული კონტროლინგი, რიგგარეშე კონტროლინგი;
- გ) რეგულარული ანალიზი, სტრატეგიული კონტროლინგი, ოპერატიული კონტროლინგი;
- დ) სიტუაციის ანალიზი, საზედამხედველო კონტროლინგი, ოპერატიული კონტროლინგი.

7. “CAMEL”-ის მეთოდის ბაზაზე შეიქმნა მეთოდის ეტაპი, რომელიც გარესაბანკო ზედამხედველობის სისტემის სახელწოდებით არის ცნობილი და კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზნით მოიცავს

ბანკის კაპიტალის, აქტივების მომგებიანობისა და აქტივ-პასივების მართვა-ლიკვიდურობის შეფასებას, მას ეწოდება

ა) CAIL სისტემა;

ბ) CAMM სისტემა;

გ) CAEM სისტემა;

დ) CAEL სისტემა.

8. აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ ე.წ. "კომპონენტური მიდგომის" საფუძველზე, ფინანსური კომპანიების საერთო მდგომარეობის წინასწარი შეფასების მიზნით შეიმნა სარეიტინგო შეფასების სისტემა, რომელსაც შემოკლებით სისტემა ეწოდება

ა) „BOREK“ სისტემა;

ბ) „BOGEC“ სისტემა;

გ) „BORIC“ სისტემა;

დ) „BOREC“ სისტემა;

9. სარეიტინგო სისტემის საფუძველები ძირითადად მთავარი ფინანსური მაჩვენებლების კონტურების მოხაზვას ეყრდნობა

ა) „CAMEL“ სისტემაში;

ბ) „BOGEC“ სისტემაში;

გ) „UIBRS“ სისტემაში;

დ) „CAEL“ სისტემაში.

10. „BOREK“ სისტემაში თითოეული ელემენტის შეფასება წარმოებს

ყველა მაცნეობის ზეშეზღუდული  
და კანონიერი მიზანი ის არის,  
რომ კაცთა ცხოვრებამ შეიძინოს  
ახალი გამოგონებანი და სიმდიდრენი  
ფ. ბეკონი

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის შეუქცევადმა ტენდენციამ, საქონელწარმოების, საქონელ-მიმოქცევისა და მომსახურების ინტერნაციონალიზაციამ გამოიწვია საერთაშორისო ანგარიშსწორების აუცილებლობა. საერთაშორისო პრაქტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კონტრაგენტებს შორის ანგარიშსწორების ფორმების, ვადებისა და გარანტიების ზუსტად განსაზღვრა.

საერთაშორისო ანგარიშსწორება არის ფულად მოთხოვნილებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადასახადების მოწესრიგება, რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოებს, იურიდიულ და ფიზიკური პირებს, აგრეთვე საოჯახო მეურნეობებს შორის ჩამოყალიბებული ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების ბაზარზე.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში გარიგებათა სავალუტო-საგადასახადო ურთიერთობები და პირობები ითვალისწინებს შემდეგი ელემენტების გამოყენებას: გადახდის ფორმები, ფასების დასადგენად გამოყენებული ვალუტა, საგადასახდელო ვალუტა, ანგარიშსწორების ფორმები.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ერთ-ერთი მთავარია გადახდის ფორმები, რომელშიც ანსხვავებენ: ნაღდ გადასახდელებს, ანგარიშსწორებას სესხის გაცემით და ნაღდ გადახდებს კრედიტის არჩევის უფლებით.

ფასების დასადგენად გამოყენებული ვალუტის შერჩევა დამოკიდებულია კრედიტის მოცულობაზე, საპროცენტო განაკვეთსა და გარიგების სავალუტო ეფექტიანობაზე. ვალუტის შერჩევის დროს, რომელშიც ფიქსირებულია საქონლის (მომსახურების) ფასი, მთავარია

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევს ზემოაღნიშნულ პირობებს, რაც თავის მხრივ დიდ ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელებაზე.

ცნობილია საქონლის ფასების განსაზღვრის შემდეგი გზები:

1. ფასების უცვლელობის ფიქსაცია კონტრაქტის შესრულების პერიოდში, ე.ი. ფასის მტკიცე ფიქსაცია კონტრაქტის ხელმოწერის დროს. ამ ხერხს მაშინ მიმართავენ, როდესაც მსოფლიო ბაზარზე შეიმჩნევა ფასების შემცირება;
2. კონტრაქტზე ხელმოწერისას ფასების განსაზღვრის პრინციპების დაფიქსირება. რაც შეეხება თვით ფასების განსაზღვრას, იგი ხდება კონტრაქტის შესრულების პროცესში. ეს გზა გამოიყენება მაშინ, როდესაც მსოფლიო ბაზარზე შეიმჩნევა ფასების ზრდა;
3. ფასის მტკიცე ფიქსაცია კონტრაქტის ხელმოწერის დროს, მაგრამ დასაშვებია მისი ცვალებადობა საბაზრო ფასების ცვლილებებთან დაკავშირებით;
4. მცოცავი ფასის დაწესება ხარჯების ცვლილებებთან მიმართებაში;
5. ფასების ფიქსირების შერეული ფორმა (ფასების ნაწილი მტკიცედ ფიქსირებულია, ხოლო ნაწილი განისაზღვრება მცოცავი ფორმით).

საგადასახდელო ვალუტა არის ის ვალუტა, რომლითაც უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ანგარიშსწორება. ამ ვალუტით იფარება იმპორტიორის (მსესხებლის) გადახდის ვალდებულებები.

ფასების დასადგენად გამოყენებული ვალუტის არასტაბილურობის შემთხვევაში ფასებს აფიქსირებენ შედარებით უფრო მყარ ვალუტაში, ხოლო გადახდას ახდენენ იმპორტიორი ქვეყნის ვალუტით. თუ ფასების დასადგენად გამოყენებული ვალუტა და საგადასახდელო ვალუტა ერთმანეთს არ დაემთხვა, მაშინ კონტრაქტი ითვალისწინებს ურთიერთგადაყვანის კურსს და ვალუტათა ურთიერთგადაყვანათა პირობებს. ამ უკანასკნელში გაითვალისწინება: სატელეგრაფო გადახდა გზაწინააღმდეგობით,

საანგარიშსწორებო თამასუქით; კურსის დათქმა სავალუტი ბაზარზე კოტირების დროს.

საერთაშორისო - ეკონომიკურ ურთიერთობებში გამოიყენება გადასახდელების შემდეგი სახეები:

1. სააენსო გადასახდელები, რომლებიც ჩვეულებრივად გზავნილებათა საშუალებით წარმოებს;
2. გადასახდელები საქონლის მიწოდებისას, ან მას შემდეგ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე უპირატესად აკრედიტივებისა და ინკასოს საშუალებით;
3. გადასახდელები საქონლის შემოსვლისას, რომელიც გზავნილების საშუალებით წარმოებს;
4. გადასახდელები გადახდის ვადის დადგომისას, როდესაც მოითხოვნას უზრუნველყოფა არ გააჩნია.

გადასახდელების ზემოაღნიშნული სახეები ითვალისწინებს კრედიტის გაფორმებასაც.

საგადასახდელო ბრუნვის სტრუქტურა საერთაშორისო ანგარიშსწორებისას ბევრი ფაქტორით განისაზღვრება, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს ანგარიშსწორების მონაწილეთა გადახდისუნარიანობა. მიმწოდებლისათვის აუცილებელია, მიიღოს გადასახდელი საქონლისათვის (მომსახურებისათვის) სრული მოცულობითა და განსაზღვრულ ვადაში. გარკვეული ურთიერთობები, რომლებშიც შედიან იმპორტიორები და ექსპორტიორები, მათი ვალდებულებათა მოცულობა და პასუხისმგებლობათა მოცულობა ერთმანეთის წინაშე პირდაპირ იქნება დამოკიდებული საერთაშორისო ანგარიშსწორების კონკრეტული ფორმის არჩევაზე.

ანგარიშსწორების ფორმები - ეს არის საერთაშორისო პრაქტიკაში ისტორიულად ჩამოყალიბებული საგადასახდელო და საქონელგანკარგულებითი დოკუმენტების გაფორმების, გადაცემის, დამუშავებისა და გადახდათა განხორციელების ხერხები.

კონკრეტული ფორმის არჩევა, რომლითაც განხორციელდება ანგარიშსწორება საგარეო-სავაჭრო კონტრაქტის მიხედვით, განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.



საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ძირითადად გამოყენებულია შემდეგი ფორმები: საბანკო გზავნილები (გადარიცხვა), ჩეკი, ინკასო, აკრედიტივი, ღია ანგარიში, თამასუქი.

საერთაშორისო ანგარიშსწორება რეგულირდება ნაციონალური საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით, აგრეთვე საქმიანი ბრუნვის წესებითა და ჩვეულებებით. საერთაშორისო ანგარიშსწორების უნიფიკაციის აუცილებლობა განპირობებულია საბანკო ოპერაციების უნივერსალურობით. ამიტომ, საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ (პარიზი XX საუკუნის დასაწყისი) შემუშავებულია უნიფიცირებული წესები და ჩვეულებანი დოკუმენტალური აკრედიტივებისათვის და ინკასოს მიხედვით. მსოფლიო ბანკების უმეტესობა მიუერთდა ამ წესებს. საერთაშორისო ანგარიშსწორებაში სათამასუქო და საჩეკო მიმოქცევის უნიფიკაცია რეგლამენტირებულია წესებით (უენევის კონვენცია, 1930-31 წწ.). ყველაფერი ეს წარმოადგენს ბაზას ქვეყნების უმრავლესობის ნაციონალური კანონმდებლობისათვის.

საბანკო გზავნილები (გადარიცხვა) – წარმოადგენს ერთი ბანკის დავალებას მეორისადმი, გადაუხადოს გადარიცხვია მიმღებს განსაზღვრული თანხა. საბანკო გზავნილების ეკონომიკური დასაბუთებულობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გზით ხდება საქონლის (მომსახურების) გადახდა: მათ მიწოდებამდე (საავანსო გადასახდელები), თუ იმპორტიორის მიერ მათი მიღების შემდეგ (ღია ანგარიშის ფორმით ანგარიშსწორება).

ანგარიშსწორების მონაწილეებს წარმოადგენენ:

გადარიცხვის გამცემი (მოვალე);

გადარიცხვის გამცემის ბანკი, რომელმაც მიიღო დაავალება;

- ბანკი, რომელიც ახორციელებს გადარიცხვის თანხის ჩარიცხვას გადარიცხვის მიმღებისათვის;

გადარიცხვის მიმღები.

განვიხილოთ საბანკო გზავნილების სქემა:

1. კლიენტი – გადარიცხვის გამცემი აფორმებს განცხადებას გადარიცხვაზე სამ ეგზემპლარად (მხოლოდ პირველ ეგზემპლარს ეწერება ხელი უფლებამოსილი პირის მიერ);

2. განცხადებაში მითითებული მონაცემების შესაბამისად ბანკი ადგენს საგადასახდელო დავალებას საზღვარგარეთელი ბანკი-კორესპოდენტისადმი;

3. იმპორტიორის ბანკი აგზავნის თავისი სახელით საგადასახდელო დავალიანებას ექსპორტიორის ბანკში;

4. ექსპორტიორის ბანკი რიცხავს ფულად თანხას მიმწოდებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

ბანკი ახორციელებს კლიენტურ გადარიცხვებს გადარიცხვის გამცემის ხარჯზე უცხოელი მიმცემისათვის (ბენეფიციარისათვის), ბანკი – გადამხდელისათვის მის მიერ გადახდილი თანხის ანაზღაურების ხერხის მითითებით. გადარიცხვის მიმღების ბანკი ხელმძღვანელობს კონკრეტული მითითებებით, რომლებსაც მოიცავს საგადასახდელო დავალება. საგადასახდელო დავალებები გადაიცემა ბანკებს შორის საბანკო ინფორმაციის გადაცემის ტელესაკომუნიკაციო საშუალებების გზით (სვიფტი, სპრინტი, ტელექსი).

საიმპორტო ოპერაციებისას გადარიცხვაზე განცხადებაში მიეთითება შემდეგი მონაცემები:

- გადარიცხვაზე განცხადების ნომერი და თარიღი; უცხოური ვალუტის გადარიცხვის თანხა (ციფრებითა და სიტყვიერად) და გადახდის ვალუტა;
- შეტყობინების გადაცემის ხერხი (ფოსტა, ტელეგრაფი, ელექტრონული საშუალებები);
- გადარიცხვის მიმღების სრული დასახელება, მისი რეკვიზიტები; გადარიცხვის მიმღების ბანკის რეკვიზიტები; გადახდის დანიშნულება (კონტრაქტის ნომერი და თარიღი);

- გადახდის სასწრაფოობა (რაზე დამოკიდებულებითაც ბანკი იღებს საკომისიოს გადარიცხვისათვის).

საბანკო გზავნილების ჩატარებისას, საკომისიო, როგორც წესი, გადაიხდებიან იმპორტიორის ბანკის მიერ. ის დაკავდება გადარიცხვის გამცემიდან ამ უკანასკნელის მიერ ბანკში გადარიცხვებზე განცხადების წარდგენისას. კლიენტი-იმპორტიორისაგან განცხადების მიღების შემდეგ, ბანკი თავისი სახელით გადაგზავნის საგადასახდელო განცხადებას ექსპორტიორის ბანკში. შემდგომ

ექსპორტიორის ბანკი ჩარიცხავს ფულად სახსრებს  
ექსპორტიორის ანგარიშზე.

საბანკო გზავნილებით ანგარისშწორების შესახებ  
დასკენის გაკეთებისას, აუცილებელია აელნიშნოთ  
ანგარიშსწორების მოცემული ფორმის დადებითი და  
უარყოფითი მხარეები. დადებით მომენტს მიეკუთვნება  
ოპერაციათა განხორციელების სისწრაფე, სიმარტივე და  
სიიაფე, მაგრამ ამასთან გასათვალისწინებელია გადახდის  
გარანტიის არარსებობა და შესაბამისად, ანგარიშსწორების  
მოცემული ფორმის არასაიმედობა.

ჩეკი. საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ფართოდ  
გამოიყენება ჩეკები. იმ შემთხვევაში, როცა მყიდველი იხდის  
ჩეკის დახმარებით, მას შეუძლია გააკეთოს შემდეგი  
არჩევანი:

დამოუკიდებლად წამოაყენოს ჩეკი (კლიენტის ჩეკი);

დაავალოს ჩეკის გამოწერა ბანკს (საბანკო ჩეკი);

წარმოადგენს რა საბრუნავ დოკუმენტს, ჩეკი გადადის  
ხელიდან ხელში, ერთი მფლობელიდან მეორესთან და  
ასეთნაირად ყველაზე ხანმოკლე ვადაში იძლევა  
შესაძლებლობას, დაიფაროს რამდენიმე მფლობელის  
საგადასახდლო ვალდებულებები, ცვლის რა საბანკო  
გადარიცხვას და აგრეთვე ნაღდ ფულს.

საერთაშორისო დონეზე საჩეკო მიმოქცევაში  
გამოსაყენებლად ჩეკის რეკვიზიტები და საჩეკო ნომრები  
უნიფიცირებულია ერთგვაროვან საჩეკო კანონში, რომელიც  
1934 წ. იქნა დამტკიცებული ჟენევის კონვენციით.  
სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი სამართლებრივი ნორმებისა  
და საქმიანი ბრუნვის ჩვეულებებზე დამოკიდებულებებით  
საჩეკო კანონმდებლობის ცალკეული დებულებები  
შესაძლოა განსხვავდებოდეს.

საჩეკო ხელშეკრულების მონაწილეთა უფლებები და  
მოვალეობები:

ჩეკის გამცემი - ასრულებს საჩეკო წიგნაკის  
შენახვის წესებს, აწოდებს გადამხდელ ბანკს  
თავისდროულად, ანუ გადახდის მომენტისათვის, დაფარავს,  
თავისდროულად, აცნობებს ბანკს ჩეკების დაკარგვისა და  
გაყალბების მისთვის ცნობილი შემთხვევების შესახებ, რათა  
თავისდროულად შეეწინააღმდეგონ ასეთი ჩეკების  
განაღდებას და ა.შ.

ბანკი - გამყიდველი - ანაღლებს მასზე წაყენებულ ჩეკებს დაფარვის ხარჯზე ან კრედიტში (ოვერდრაფტი ჩეკის გამცემის ანგარიშის მიხედვით) ჩეკის სათანადო მფლობელისათვის. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ საბოლოო ანგარიშით ჩეკის განაღლებისათვის პასუხისმგებლობას ატარებს არა გადამხდელი ბანკი, არამედ - ჩეკის გამცემი.

ჩეკების სახეობები. წარმოადგენს რა გადახდის ინსტრუმენტს, ჩეკი უპირატესად უნდა იყო ქალაქი წარმომდგენზე. მაგრამ პრაქტიკა სხვა გზით მიდის: ჩეკების უმეტესობა გამოიწერება განსაზღვრულ პირზე, რაც ამცირებს ჩეკის მიხედვით სახსრების არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ მიღების რისკს.

სახსრების მიმღების მითითების ხერხის მიხედვით განასხვავებენ შემდეგ ჩეკებს:

- სახელობითი - გამოწერილი განსაზღვრულ პირზე (მაგალითად, „გადაუხადეთ მხოლოდ ხარაიშვილს“). ამ დათქმით იკრძალება ჩეკის შემდგომი გადაცემა ინდოსამენტიტ სხვა პირისათვის;

- ორდერული - გამოწერილი განსაზღვრულ პირზე, სხვისთვის გადაცემის უფლებით;

- წარმომდგენისა - ჩეკები, რომლებიც შეიცავენ ნიშანს „გადაუხადეთ ამ ჩეკის წარმომდგენელს,“ აგრეთვე გამოწერილი საერთოდ მიმღების მითითების გარეშე. მაგრამ უნდა ავლნიშნოთ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ჩეკი მიმღების მითითების გარეშე ბათილად ითვლება.

გადახდის ხერხის მიხედვით განასხვავებენ საანგარიშსწორებო და კროსირებულ ჩეკებს.

საანგარიშსწორებო ჩეკი. გადახდა ასეთი ჩეკის მიხედვით შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ჩეკის თანხის ჩარიცხვის გზით მიმღების ანგარიშზე ბანკში (ნებისმიერში ან იმაში, რომელიც მითითებულია ჩეკზე). ასეთ ჩეკს აქვს შეზღუდული ბრუნვალობა, რამეთუ ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ პირებთან ანგარიშსწორებისათვის, რომლებსაც აქვთ ანგარიში გადამხელ ბანკში, ანგარიშსწორებისათვის თავად გადამხდელთან.

კროსირებული ჩეკი. (ინგლ. Cross - გადახაზვა) - ჩეკი, რომლის პირის მხარე გადახაზულია ორი პარალელური ან

განივი ხაზით. კროსირების მიზანია – შემცირდეს რისკი, დაკავშირებული შეცდომით იმ პირისათვის გადახდის შესაძლებლობასთან ჩეკის მიხედვით, ვზღუდავთ რა ჩეკის შესაძლო მფლობელთა წრეს, რომელთაც უფლება აქვთ წარადგინონ ის გასანაღდებლად, მხოლოდ საბანკო დაწესებულებებით. ასეთნაირად, კროსირებულ ჩეკის მიხედვით ბანკი ვალდებულია განახორციელოს გადახდა მხოლოდ ბანკისათვის ან თავისი კლიენტის ანგარიშზე.

ინკასო. ოპერაცია ინკასო შეიძლება განესაზღვროთ, როგორც ექსპორტიორის (კრედიტორის) დაელება თავისი ბანკისადმი, მიიღოს იმპორტიორისაგან (გადამხდელისაგან, მოვალისაგან) უშუალოდ ან სხვა ბანკის საშუალებით გარკვეული თანხა ან იმის დასტური, რომ ეს თანხა გადახდილი იქნება დადგენილ ვადაში. ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ახდენს ოპერაციების მოცემული სახეობის რეგლამენტირებას, არის „ინკასოს უნიფიცირებული წესები,” შემუშავებული საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ (უკანასკნელი რედაქცია 1993 წ.), რომლის შესაბამისადაც, საინკასო ოპერაციები ხორციელდება ბანკების მიერ იმპორტიორისაგან მიღებული ინსტრუქციების საფუძველზე.

განასხვავებენ მარტივ (წმინდა) და დოკუმენტალურ ინკასოს. ინკასოს ცნებიდან გამომდინარეობს, რომ ორივე შემთხვევაში ეს არის გადასახდელის გადახდევინების ოპერაცია: წმინდა ინკასოს დროს – მხოლოდ ფინანსური დოკუმენტების მიხედვით, დოკუმენტალური ინკასოს დროს – ფინანსური დოკუმენტების ინკასო, რომელსაც ახლავს კომერციული დოკუმენტები, ან მხოლოდ კომერციული დოკუმენტების ინკასო. ამასთან, ბანკები არ ატარებენ რაიმე ვალდებულებას დოკუმენტების განაღდების მიხედვით, რამეთუ ისინი მოცემულ ოპერაციებში შუამავლის როლში გამოდიან. წარმოქმნილი უთანხმოება საქონლის რაოდენობასა და ხარისხთან მიმართებაში ან ანგარიშსწორების მოცემული ფორმისას წყდება უშუალოდ იმპორტიორსა და ექსპორტიორს შორის.

ინკასოს დროს გამოიყენება ტრატა. ტრატა ეს არის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კრედიტორის (ტრასანტის) უდავო ბრძანებას მსესხებელისადმი (ტრასანტისადმი), მითითებულ ვადაში ფულის განსაზღვრული თანხის

გადახდის შესახებ თამასუქში დასახელებული მესამე პირისათვის (რემიტენტისათვის) ან წარმომადგენლისათვის.

საინკასო დავალება, რომელსაც იძლევა ექსპორტიორი, უნდა მოიცავდეს სრულ და ზუსტ ინსტრუქციებს (ბანკები, რომლებიც მონაწილეობენ გარიგებაში, მოქმედებენ მხოლოდ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში). აუცილებელ ინფორმაციას, რომელიც უნდა იყოს საინკასო დავალებაში, მიეკუთვნება:

ინკასოს თარიღი და ნომერი;  
გადასახდელის და/ან აქცეპტის თანხა (გადახდის და/ან აქცეპტის ვალუტის მითითებით);

- გადახდის ვადა;  
ტრასანტი;  
ტრასანტის ბანკი;

- ინფორმაცია აუცილებელი დოკუმენტების შესავსებად;

საქონლის აღწერა;  
გადაზიდვის მეთოდი;  
გაგზავნის ადგილი  
გაგზავნის თარიღი;  
დანიშნულების ადგილი.

ანგარიშსწორების საინკასო ფორმის განხილვა საშუალებას გვაძლევს, ავლნიშნოთ, რომ ის გაცილებით უფრო საიმედოა, ვიდრე ანგარიშსწორება საბანკო გზავნილებით. მაგრამ ის საკმაოდ ძვირია (ბანკებში გამოიყენება ფიქსირებული ტარიფები მოცემული ოპერაციების მიხედვით; როგორც წესი ეს არის ფიქსირებული პროცენტი 8-10 %, კომერციული ბანკის სატარიფო პოლიტიკაზე დამოკიდებულებით) და საკმაოდ რთული საანგარიშგებო ფორმაა.

აკრედიტივი არის ბანკის ვალდებულება მყიდველი-იმპორტიორის მითითებით განახორციელოს მისი ანგარიშიდან მიწოდებული საქონლის ღირებულების ექსპორტიორზე გადახდა ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით.

საერთაშორისო ანგარიშსწორებისას ფულადი აკრედიტივის განაღდება წარმოებს მასში მითითებული ვალუტის მიხედვით, ან ქვეყნის ვალუტით, სადაც აკრედიტივი წარედგინება.

არსებობს სასაქონლო აკრედიტივიც. იგი უპირატესად გამოიყენება საგარეო ვაჭრობაში საქონლის გამყიდველ-მყიდველებს შორის ანგარიშსწორებისას. მყიდველი თავის ბანკს აძლევს დავალებას სასაქონლო აკრედიტივის გახსნის თაობაზე, სადაც მითითებული უნდა იყოს: მომწოდებლის დასახელება, მისამართი, თანხა, აკრედიტივის მოქმედების ვადა, გასანაღდებელი საქონლის (მომსახურების) სახე, მომწოდებლის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები და სხვა.

ანგარიშსწორების სააკრედიტივო ფორმას საფუძვლად უდევს იმისი აუცილებლობა, რომ მომწოდებელი მყიდველისაგან დროულად მიიღებს რეალიზებული საქონლის ღირებულებას. როგორც წესი, სავაჭრო ხელშეკრულების შესაბამისად, ანგარიშსწორების სააკრედიტივო ფორმის პირობებში მყიდველი მოვალეა საქონლის მიწოდებამდე გადაიტანოს განსაზღვრული თანხა ექსპორტიორის მიერ მითითებულ ბანკში. საქონლის დროულად გაგზავნის შემდეგ ექსპორტიორს შეუძლია მიიღოს გახსნილი აკრედიტივიდან კუთვნილი თანხები.

მსოფლიო პრაქტიკაში საერთაშორისო სააკრედიტივო ანგარიშების ორი ფორმა არსებობს; გამოთხოვილი და გამოთხოვის გარეშე.

გამოთხოვილ აკრედიტივთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ნებისმიერ დროს შეიძლება აკრედიტივის თანხისა და პირობების შეცვლა ან აკრედიტივის ანუღირება.

გამოთხოვის გარეშე აკრედიტივი არის ემიტენტის მტკიცე ვალდებულება იმის შესახებ, რომ აკრედიტივის თანხა არ უნდა შეიცვალოს და გაუქმება არ მოახდინოს დაინტერესებული მხარეების გარეშე. საერთაშორისო ანგარიშსწორების პრაქტიკაში აკრედიტივის ეს ფორმა ფართოდ არის გავრცელებული.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთერთობების პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული ანგარიშსწორება ღია ანგარიშით. ამ შემთხვევაში საქონლის ექსპორტიორი (გამყიდველი) იმპორტიორს (მყიდველს) სასაქონლო დოკუმენტებს აწვდის უშუალოდ, ბანკის გარეშე, ხოლო მყიდველი გამყიდველს ღია ანგარიშზე შესაბამისი თანხის ჩარიცხვას ახორციელებს შეთანხმების მიხედვით დადგენილ ვადებში საქონლის მიწოდების პერიოდულად.

ანგარიშსწორება ღია ანგარიშით საბანკო კრედიტის გამოყენების ფორმაა. ამ ფორმას ექსპორტიორები ნაკლებად ეტანებიან, იგი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ საექსპორტო ამონაგები დროულად იქნეს მიღებული. თანაც ექსპორტიორის კაპიტალის ბრუნვადობის შენელებას აქვს ადგილი, რის გამოც ეს უკანასკნელი იძულებულია გამოიყენოს ბანკის კრედიტი. ექსპორტიორებისათვის ანგარიშსწორება ღია ანგარიშით ყოველთვის როდია არახელსაყრელი. მაშინ, როდესაც კონტრაქტები მონაცვლეობით გამოდიან მყიდველ-გამყიდველის როლში, იმპორტიორის მიერ ვაღდებულებათა შეუსრულებლობა ექსპორტიორის მხრივ, სხვა თანაბარ პირობებში საქონლის მიწოდების შეჩერებას იწვევს.

აღნიშნული სახის ანგარიშსწორებისას საქონლის რეალიზაციის შემდეგ, ექსპორტიორი მისი ღირებულების თანხას დავალიანებაში გაატარებს, ხოლო იმპორტიორი აღებულ კრედიტს ექსპორტიორის ანგარიშზე გაატარებს, საქონლის გადახდის შემდეგ უნაღდო საბანკო გზაენილების ფორმით.

ანგარიშსწორების ღია ანგარიშით დავალიანების დაფარვის წესს განსაზღვრავს კონტრაგენტებს შორის შეთანხმება. ამ ანგარიშით დავალიანებათა საბოლოო მოწესრიგება წარმოებს ბანკების მეშვეობით ანგარიშთა სხვა ფორმების გამოყენებით (საბანკო გზაენილების, ჩეკებისა და თამასუქების წარდგენის გზით).

ღია ანგარიშით ანგარიშსწორება ფართოდ ვითარდება მაშინ, როდესაც მყიდველსა და გამყიდველს შორის ნდობის ატმოსფეროა. ეს უპირატესად ხორციელდება საქონლის რეგულარული მიწოდების პირობებში. ანგარიშსწორების ამ ფორმის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ აქ საქონლის მოძრაობა ფულის მოძრაობას წინ უსწრებს. ეს ფორმა ფაქტობრივად გამოიყენება იმპორტიორის დაკრედიტების მიზნით, რაც საბოლოო ჯამში, ექსპორტიორთან ნდობის გამომხატველია.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ფართოდ გამოიყენება თამასუქი.

თამასუქი არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იურიდიული ან ფიზიკური პირის წერილობით უპირობო ვაღდებულებას, გადაუხადოს თამასუქის მფლობელს ვადის



დადგომისას განსაზღვრული თანხა, რომელიც მითითებულია თამასუქში. საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელებისას იყენებენ გადასაგზავნ და კომერციულ თამასუქს.

გადასაგზავნი თამასუქი ისეთი თამასუქია, რომელიც წარმოდგენილია ექსპორტიორის მიერ იმპორტიორზე. თანამედროვე პირობებში მრავალი გარიგება ხორციელდება თამასუქების მეშვეობით. მსოფლიო პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ეკონომიკური კრიზისების დროს ფართო განვითარებას პოულობს კომერციული კრედიტი. მას ხელს უწყობს ის, რომ ასეთი კრედიტების ორმხრივი ვალდებულება არ ცხადდება და გარეშე პირთაგან დაფარულია.

თამასუქის გამოყენება ეკონომიკურ ცხოვრებაში ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. 1930 წ. სახელმწიფოთა შორის შეთანხმების საფუძველზე მიღებული იქნა ერთიანი, უნიფიცირებული კანონმდებლობა თამასუქის შესახებ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ცალკეულ ქვეყნებს არ გააჩნდეთ განსხვავებული საკანონმდებლო აქტები.

XX ს-ის პირველ ნახევარში ფართოდ იყო გავრცელებული კომერციული თამასუქი, შემდგომ პერიოდში მან დაკარგა თავისი მნიშვნელობა და გზა გაუხსნა საბანკო თამასუქს, რომელთაგან მნიშვნელოვანია საბანკო ტრატა. ტრატა ისეთი სახის თამასუქია, რომალსაც იურიდიული პირი გამოწერს ბანკის სახელზე და ეს უკანასკნელი აქცეპტს.

## კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რომელი ელემენტების გამოყენებას ითვალისწინებს საერთაშორისო ანგარიშსწორებაში გარიგებათა სავალუტო-საგადასახადო ურთიერთობები და პირობები?
2. დაასახელეთ საერთაშორისო ანგარიშსწორებისას საქონლის ფასების განსაზღვრის გზები.
3. გადასახდელების რომელი სახეები გამოიყენება საერთაშორისო-ეკონომიკურ ურთიერთობებში?
4. დაასახელეთ საერთაშორისო ანგარიშსწორებაში გამოყენებული ძირითადი ფორმები.
5. რა მონაცემები მიეთითება განცხადებაში საიმპორტო ოპერაციებისას გადარიცხვაზე?
6. რა აუცილებელი ინფორმაცია უნდა იყოს მითითებული საინკასო დავალებაში?
7. დაახასიათეთ მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებული საერთაშორისო სააკრედიტო ანგარიშსწორების ფორმები?
8. დაასახელეთ და დაახასიათეთ საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელებისას გამოყენებული თამასუქის სახეები.

## ტესტები

1) საერთაშორისო ანგარიშსწორებაში გარიგებათა სავალუტო-საგადასახადო ურთიერთობები და პირობები ითვალისწინებს:

- ა) ორი ელემენტის გამოყენებას;
- ბ) სამი ელემენტის გამოყენებას;
- გ) ოთხი ელემენტის გამოყენებას;
- დ) ხუთი ელემენტის გამოყენებას.

2) ვალუტას, რომლითაც უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ანგარიშსწორება და რომლითაც იფარება იმპორტიორის (მსესხებლის) გადახდის ვალდებულებები, ეწოდება:

- ა) სარეზერვო ვალუტა; ბ) ნეიტრალური ვალუტა;
  - გ) საერთაშორისო ვალუტა; დ) საგადასახადო ვალუტა.
- 3) საერთაშორისო პრაქტიკაში ისტორიულად ჩამოყალიბებულ საგადასახადო და საქონელგანკარგულებითი დოკუმენტების გაფორმების, გადაცემის, დამუშავებისა და გადახდათა განხორციელების წესებს ეწოდება:

- ა) ანგარიშსწორების ფორმები;
- ბ) ანგარიშსწორების მეთოდები;
- გ) ანგარიშსწორების წესები;
- დ) ანგარიშსწორების კანონები.

4) საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ძირითადად გამოიყენება:

- ა) ოთხი ფორმა; ბ) ექვსი ფორმა;
- გ) რვა ფორმა; დ) ათი ფორმა;

5) ერთი ბანკის დავალებას მეორისადმი, გადაუხადოს გადარიცხვის მიმღებს განსაზღვრული თანხა, ეწოდება:

- ა) საბანკო გზაენილები (გადარიცხვა); ბ) ჩეკი;
- გ) ინკასო; დ) თამასუქი.

6) საერთაშორისო დონეზე მიმოქცევაში გამოსაყენებელი ჩეკების რეკვიზიტების და საჩეკო ნორმების უნიფიცირებული ერთგვაროვანი საჩეკო კანონი ჟენევის კონვენციით დამტკიცებულ იქნა:

- ა) 1922 წელს; ბ) 1930 წელს;
- გ) 1931 წელს; დ) 1932 წელს.

7) გადახდის ხერხის მიხედვით განასხვავებენ:

- ა) საგადასახადო და არასაგადასახადო ჩეკებს;
- ბ) გადამხდელის და მიმღების ჩეკებს;
- გ) საანგარიშსწორებო და კორსირებულ ჩეკებს;
- დ) საგადასახადო კორსირებულ ჩეკებს.

8) ბანკის ვალდებულებას მყიდველი-იმპორტიორის მითითებით განახორციელოს მისი ანგარიშიდან მიწოდებული საქონლის ღირებულების ექსპორტიორზე გადახდა ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიღედვით, ეწოდება:

- ა) ჩეკი;
- ბ) აკრედიტივი;
- გ) თამასუქი;
- დ) ინკასო.

9) საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელებისას გამოიყენება:

- ა) გასაგზავნი და გადასაგზავნი თამასუქი;
- ბ) ღია და დახურული თამასუქი;
- გ) საბანკო და კომერციული თამასუქი;
- დ) გადასაგზავნი და კომერციული თამასუქი.

10) სახელმწიფოთა შორის შეთანხმების საფუძველზე ერთიანი, უნიფიცირებული კანონმდებლობა თამასუქის შესახებ მიღებული იქნა:

- ა) 1930 წელს;
- ბ) 1932 წელს;
- გ) 1934 წელს;
- დ) 1936 წელს.

## თემა 11. საერთაშორისო საკრედიტო შრტიმეტრობები

*უცხოური ძვეხნებისათვის დახმარება  
ის ფულთა, რომელსაც მდიდარი ძვეხ-  
ნის ლარბები იხდიან და ლარბი ძვეხ-  
ნის მდიდრები იღებენ*

*2. ეზარი*

### 11.1 საერთაშორისო კრედიტის არსი და ფორმები

საერთაშორისო კრედიტი არის სასესხო კაპიტალის მოძრაობა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში, რომელიც დაკავშირებულია სავალუტო და სასაქონლო რესურსების გაცემასთან დაბრუნებადობის, ვადიანობის უზრუნველყოფისა და პროცენტის გადახდის პირობებში. კრედიტორებისა და მსესხებლების როლში გამოდიან ბანკები, სახელმწიფო და საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებები.

საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობების არსის გარკვევა შეუძლებელია სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზრის გარეშე. იგი შეიძლება განხილულ იქნეს უფრო ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზარი სხვა არაფერია, თუ არა ბაზარი, სადაც მიმდინარეობს საერთაშორისო საკრედიტო ოპერაციები. იგი მოიცავს: უცხოური კრედიტებისა და სესხების ბაზარს (აქ გაერთიანებულია ის ეროვნული ბაზრები, სადაც საერთაშორისო ოპერაციები მიმდინარეობს) და ევროვალუტის ბაზარს.

ფართო გაგებით სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზარი წარმოადგენს სასესხო კაპიტალის აკუმულაციისა და გადანაწილების ეკონომიკურ მექანიზმს მსოფლიო მასშტაბით, ე.ი. სასესხო კაპიტალის ეროვნული ბაზრებისა და ევროვალუტის ბაზრის ერთობლიობას. ამ ბაზარზე წარმოებს სასესხო კაპიტალზე მოთხოვნა-მოწოდების კონცენტრაცია მსოფლიო მეურნეობის ჩარჩოებში. სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზრის ევოლუცია თავის გამოხატულებას მეურნეობრივი ცხოვრების ინტერნაციონალზაციის პროცესში პოულობს.

სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზრის სტრუქტურა ორგვარია: ინსტიტუციონალური და ოპერაციული.

სასესხო კაპიტალის მოძრაობის ვადების მიხედვით მსოფლიო ბაზარი სამ სეგმენტად იყოფა:

- 1) მსოფლიო ფულადი ბაზარი;
- 2) მოკლევადიანი და გრძელვადიანი უცხოური კრედიტებისა და ევროკრედიტების ბაზარი;
- 3) ფინანსური ბაზარი.

მსოფლიო ფულადი ბაზარი წარმოადგენს ერთ წლამდე ვადით გაცემული უცხოური სესხებისა და ევროკრედიტების ბაზარს. აქ დომინირებული პიზიცია უკავია ბანკთაშორის სესხებს და ბანკთაშორის დეპოზიტებს, დეპოზიტურ სერთიფიკატებს, თამასუქებს, საბანკო აქცეპტებს.

მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან ფართო განვითარება ჰპოვა გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტების ბაზარმა, რომლის შემდგომი განვითარება მიმდინარეობდა მსოფლიო ფინანსური ბაზრის, ე.ი. ობლიგაციური სესხების ბაზრის ფორმირება-განვითარების პარალელურად.

საერთაშორისო კრედიტის ფუნქციები:

ა) სესხსო კაპიტალის ქვეყნებს შორის გადაწვლილება გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად;

ბ) საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროში მიმოქცევის ხარჯების ეკონომია საკრედიტო რესურსების გამოყენებისა და უნაღდო ანგარიშსწორების განვითარების გზით;

გ) კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის დაჩქარება უცხოური კრედიტის გამოყენების გზით;

დ) ეკონომიკის რეგულირება.

საერთაშორისო კრედიტების ფორმების კლასიფიკაცია წარმოებს:

1. დანიშნულების მიხედვით:

ა) კომერციული კრედიტები, გამოყენებულია საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ვაჭრობაში;

ბ) საფინანსო კრედიტები – ფასიანი ქაღალდების შესაძენად, საგარეო ვალის დასაფარავად, ცენტრალური ბანკების ინვესტიციების განსახორციელებლად;

გ) შუალედური კრედიტები - შერეული ფორმების მომსახურებისათვის;

2. სახეების მიხედვით: სასაქონლო და სავალუტო;

3. გაცემის ტექნიკის მიხედვით: ნაღდი, სააქცეპტო, დეპოზიტური სერთიფიკატების, ობლიგაციური სესხები, კონსორციული კრედიტები;

4. სესხის ვალუტის მიხედვით: მოვალე ქვეყნის ვალუტით, კრედიტორი ქვეყნის ვალუტით ან მესამე სახელმწიფოს ვალუტით;

5. ვადების მიხედვით: მოკლევადიანი, საშუალო-ვადიანი და გრძელვადიანი კრედიტები;

6. უზრუნველყოფის მიხედვით: უზრუნველყოფილი სესხები და კრედიტები;

კრედიტების კატეგორიების მიხედვით არჩევენ:

ა) კერძო (ფირმის) კრედიტებს;

ბ) საბანკო კრედიტებს;

გ) საბროკერო კრედიტებს;

დ) სამთავრობო კრედიტებს;

ე) შერეულ კრედიტებს;

ვ) საერთაშორისო სავალუტო ინსტიტუტების სახელმწიფოთაშორისო კრედიტებს.

საერთაშორისო სავალუტი ფონდის (სსფ) და ზოგადად საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის განხილვის გარეშე საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობების შესწავლა შეუძლებელია.

სსფ აწარმოებს სესხების გაცემას მის წევრ – ქვეყნებზე საგადასახდლო ბალანსის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. სსფ-ის სესხების დაფინანსება ძირითადად წარმოებს ფონდის ჩვეულებრივი რესურსების ანგარიშზე, გამონაკლის შემთხვევაში – ნასესხები სახსრებით.

ფონდის ძირითადი ფინანსური რესურსები იქმნება წევრი ქვეყნების შენატანებისაგან. სსფ-ის თითოეულ წევრ ქვეყანას გააჩნია ნასესხობის სპეციალურ უფლებებში გამოხატული კვოტა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ამ ქვეყნების ფონდთან ურთიერთობაში. სახელდობრ, კვოტა განსაზღვრავს ფონდის წევრი – ქვეყნის შენატანების სიდიდეს, ხმების რაოდენობას, ფონდის სახსრებით დაკრედიტების უფლებას, ე.ი. ფონდის ფინანსურ რესურსებთან დაშვებას და ნასესხობის სპეციალური უფლებების (SDR) განაწილებაში მის წილს.

სსფ-ის შეთანხმების საფუძველზე კვოტის 75% გადახდილი უნდა იქნეს ფონდის წევრი – ქვეყნის ვალუტით, ხოლო 25% - სარეზერვო აქტივების სახით (SDR - ით ან სარეზერვო ვალუტით). სსფ-ის წევრ – ქვეყნის კვოტის საწყისი სიდიდის განსაზღვრა წარმოებს ამ ქვეყნის მაკროეკონომიკური მონაცემებით, სპეციალურად ამ მიზნისათვის დადგენილი ფორმულების საფუძველზე.

ბრეტონ-ვუდსის ზოგადი ფორმულა:

$$Q = (0,01V + 0,25R + 0,05P + 0,2276V \times (1+C1V))$$

ამ ფორმულის გარდაქმნილი ფორმებია:

$$ა) Q = (0,0065V + 0,205125R + 0,78P + 0,4052vc \times (1 + C/V));$$

$$ბ) Q = (0,0045V + 0,389668R + 0,07P + 0,7697vc \times (1 + C/V));$$

$$გ) Q = 0,005V + 0,04228046R + 0,044 (P+C) + 0,8352vc;$$



$$\text{დ) } Q = 0,045v + 0,05281008R + 0,039(P + C) + 1,0432vc.$$

სადაც: Q – არის ქვოტა;  
V – მთლიანი შიდა პროდუქტი;  
R – რეზერვის საშუალო თვიური დონე;  
P – მიმდინარე გადასახადების საშუალო-წლიური თანხა;  
C – მიმდინარე შემოსულობათა საშუალო-წლიური თანხა;  
VC – მიმდინარე შემოსულობათა ცვლილებები, რომელიც განისაზღვრება როგორც სტანდარტული გადახრა ხუთწლიანი მცოცავი საშუალო სიდიდისაგან.

კვოტის პირველი გაანგარიშებისათვის რამდენიმე ფორმულის გამოყენება გამოწვეულია სხვადასხვა ქვეყნის კვოტების გამოთვლის მანევრირებისათვის. სსფ-ის აპარატი მიღებულ შედეგებს უდარებს ფონდის სხვა წევრი ქვეყნების შესაბამის მონაცემებს (მსგავსი ქვეყნების მონაცემებს) და იძლევა მისაყენებელი კვოტის რეკომენდაციას, რომელსაც იხილავს ფონდის აღმასრულებელი კომიტეტის საბჭო. მომავალ წევრ-ქვეყნებთან შეთანხმების მიღწევის შემდეგ რეკომენდაცია განიხილება აღმასრულებელი საბჭოს სრული შემადგენლობის მიერ და ბოლოს, სსფ-ის მმართველთა საბჭოს ეგზავნება რეზოლუცია განსახილველი ქვეყნის სსფ-ის წევრობის შესახებ. საყურადღებოა, რომ ხუთ წელიწადში ერთხელ წარმოებს კვოტების ყოველმხრივი გადასინჯვა.

სსფ მის წევრ ქვეყნებს ფინანსურ დახმარებას უწევს დაფინანსების პოლიტიკისა და მექანიზმების სხვადასხვა ფორმით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ძირითადად საგადასახდელო ბალანსის პრობლემათა ტიპებით, რომელთა სალიკვიდაციოდ არის ისინი გამიზნული.

სსფ 1962 წლიდან თავის რესურსებს პერიოდულად ავსებს ნასესხები სახსრებით. იმის გამო, რომ კვოტებით შექმნილი საშუალებები ყოველთვის არ შეიძლება იქნეს გამოყენებული, თანაც სსფ-ის წევრი ქვეყნების დაშვება სხვადასხვა საკრედიტო მექანიზმთან სულ უფრო თავისუფალი ხდება. სწორედ ამიტომ სსფ-ის ლიკვიდობა პერიოდულად განიცდის სიძნელეებს, უფრო მეტიც, ფონდს საჭიროდ მიაჩნია ამა თუ იმ ქვეყნის საგადასახდელო

შეწონასწორების დროებით დარღვევისას დამატებითი მოცულობის კრედიტებზე მოთხოვნა განხილული იქნეს, როგორც დროებითი და პრობლემის დაფინანსება მოხდეს დროებითი სესხის ანგარიშზე და არა ფონდის მოცულობის გადიდების გზით.

სსფ-ში სესხების მიღების გაკონტროლება წარმოებს პერიოდული მიმოხილვების გზით, რომლებსაც აღმასრულებელი საბჭო აწარმოებს არსებული წესების შესაბამისად, დაუფარავი სესხებისა და გამოუყენებელმა თანხამ არ უნდა გადაამეტოს სსფ-ის კვოტების საერთო თანხის 50-60 %-ს. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ეს პროცენტი ფაქტობრივად არაერთხელ არ აღემატება 18-20 %-ს, რაც განპირობებულია ამ მიზნით აკუმულირებული თანხის მაღალი ლიკვიდობით, რის გამოც სსფ-ის მიერ დროებით სესხების გაცემის ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ამ თანხების გამოყენების შესაძლებლობა აყვანილია კრედიტორების საერთაშორისო რეზერვების ღონეზე.

სსფ-ის მიერ 1962 წლიდან დაწესებულია სესხების შესახებ საერთო შეთანხმების უნიფიცირებული ფორმა. ფონდის პრაქტიკაში მიღებულია საერთო შეთანხმებების პერიოდული გადასინჯვა (1964, 1984 და 1992 წწ.). ამასთან საერთო შეთანხმებები უცვლელი რჩება გარკვეული (5 წლის) პერიოდის მანძილზე. სხვა საერთო რესურსებისა და სპეციელური ანაზღაურების ანგარიშებიდან ფინანსურ დახმარებას გასცემს წევრ-ქვეყნების საგადასახდელო ბალანსის სფეროში საერთო ამოცანების გადასაწყვეტად; აგრეთვე მუდმივი დაფინანსების მექანიზმების ფარგლებში კონკრეტული მიზნებისათვის (გაუთვალისწინებელი შემთხვევების საკომპენსაციო დაფინანსების მექანიზმები და ბუფერული მარაგებისა და გაფართოებული დაფინანსების მექანიზმები) და დროებითი მექანიზმის სახით. დამატებითი დაფინანსების მექანიზმი შეიქმნა 1979 წლის თებერვალში.

სსფ-ის წევრ-ქვეყნებს თავდაპირველად ეხმარება მხოლოდ ე.წ. ტრანშის პოლიტიკის საფუძველზე. სსფ-ის სხვა სახის დახმარების მოქნილ პილიტიკას მაშინ მიმართავს, როცა წევრ-ქვეყნების ფინანსური მდგომარეობა მოითხოვს გადაუდებელ დახმარებას. სსფ-ის მის წევრ-ქვეყნებზე დახმარების მუდმივი მექანიზმის წყაროა

ფონდის ჩვეულებრივი სახსრები, ხოლო დროებითი დახმარების წყაროს წარმოადგენს ნასესხები ფულადი საშუალებები.

როდესაც სსფ-ის წვერი ქვეყანა იყენებს ფონდის სახსრებს, იგი საკუთარი ვალუტით ყიდულობს სხვა წვერი ქვეყნების ვალუტას ან SDR-ს, რომელიც სსფ-ის საერთო რესურსების ანგარიშზე ირიცხება. სსფ-ის ფონდიდან მიღებული დახმარებით იზრდება წვერი ქვეყნის საავალუტო რეზერვი ფონდში და შესაბამისად მცირდება ფონდის აქტივების მოცულობა სხვა კონცენტრირებად ვალუტასა და ნასესხობის სპეციალურ უფლებებში.

სსფ მისი ძირითადი საკრედიტო პოლიტიკის პრინციპების შესაბამისად წვერ-ქვეყნებს აძლევს სესხებს ოთხი ტრანშის სახით, რომელიც საპროცენტო კეოტის 25 %-ის ტოლია. საკრედიტო ტრანშების შესყიდვა სსფ-ის წვერი ქვეყნის მიერ ხორციელდება ეკონომიკურ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, საგადასახდლო ბალანსის სფეროში ფინანსური სიძნელეების აღმოსაფხვრელად. საყურადღებოა, რომ პირველი და სხვა მომდევნო საკრედიტო ტრანშების მეშვეობით დასაფინანსებელი ღონისძიებები გამოირჩევა პრობლემათა სირთულით, ე.ი. ისინი მიმართულია უფრო სერიოზული პრობლემების გადასაწყვეტად.

სსფ-ის წვერ ქვეყანას შეუძლია ფონდში პირველი საკრედიტო ტრანშის ანგარიშზე დაუყოვნებლივ შესყიდოს კონვერტირებული ვალუტა ან SDR, მაგრამ ჩვეულებრივ მათი შესყიდვა ხორციელდება სარეზერვო ან გაფართოებული კრედიტის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, რომლებიც ატარებენ საკრედიტო ხაზის ხასიათს. როცა წვერ-ქვეყანას ეძლევა იმის გარანტია, რომ მას შეუძლია სსფ-ის კრედიტით სარგებლობა, დაწესებულ საზღვრებში და წინასწარ დათქმულ დროში იმ პირობით, რომ იგი სრულად დაიცავს მიღწეული შეთანხმების დებულებებს. კრედიტის შესახებ ასეთი შეთანხმებას „სტენდ-ბაი“ ეწოდება, რომელიც, როგორც წესი, იდება ერთი წლიდან წელიწადნახევრამდე ვადით, ხოლო გაფართოებულ კრედიტზე შეთანხმება 3 წლით.

ჩვეულებრივ წვერი-ქვეყნების მიერ საკუთარი ვალუტის გამოსყიდვა, რომელიც სსფ-მა შეიძინა კრედიტის

შესახებ „სტენდ-ბაი“ შეთანხმების ფარგლებში, რვა ყოველკვარტალური გადასახდელის სახით ხორციელდება, რომლებიც იწყება სესხის მიღებიდან 3 წლისა და 3 თვის შემდეგ და შესაბამისად მთავრდება კრედიტის მიღების შემდეგ 5 წელიწადში.

სსფ-ის პრაქტიკაში 1974 წლის სექტემბრიდან შემოღებული იქნა მისი წევრი ქვეყნების გაფართოებული დაფინანსების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს მათი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უფრო დიდი მასშტაბებით დაკრედიტებას საგადასახდლო ბალანსის წონასწორობის დარღვევის აღსაკვეთად, თუ ის გამოწვეულია წარმოების სტრუქტურული დაუბალანსებლობით. ხანგრძლივი ვადით კრედიტის მისაღებად საჭიროა წევრ-ქვეყანამ სსფ-ს წარუდგინოს კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა, სადაც პირველი 12 თვისათვის აუცილებელია გათვალისწინებული ღონისძიებების დეტალური პროგრამის წარდგენა.

სსფ 1989 წლიდან განსაკუთრებულ როლს თამაშობს დავალიანებათა შესამცირებლად ღონისძიებათა შემუშავებაში. თავის წევრ-ქვეყნებს სსფ ეკონომიური პოლიტიკის საკითხებში კონსულტაციასთან ერთად ფინანსურ დახმარებასაც უწევს. სსფ-ის მხრივ დავალიანებათა შესამცირებელი ღონისძიებების განხორციელებაში დახმარება განპირობებულია იმით, რომ ქვეყანას გააჩნია გარდაქმნის საშუალოვადიანი პროგრამა, რომელშიც დომინირებს სტრუქტურული რეფორმები, რომელიც მიღებულია საკრედიტო შეთანხმების შესახებ ხელშეკრულებით.

სსფ-ში 1986 წლის მარტში მიღებულ იქნა კრედიტის გაცემის მექანიზმი იმ განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთაც შემოსავლების დაბალი დონე გააჩნიათ. ასეთი შეღავათიანი სესხები გაიცემა საგადასახდლო ბალანსის სფეროში. ამ მექანიზმით სარგებლობის უფლება მოპოვებული აქვს 62 ქვეყანას, რომელთაც გააჩნიათ საგადასახდლო ბალანსის სიძნელეები ხანგრძლივი პერიოდისათვის. ასეთ ქვეყნებს შეუძლიათ 3 წლის მანძილზე მიიღონ სსფ-ში მათი კვოტის 50 %-ის ოდენობით, მეორე წელს – 20 %-მდე და მესამე წელს 15 %-მდე. ამრიგად, სსფ-ის ფულადი საშუალებები – წევრი-ქვეყნების ვალუტებისა და SDR თანხა, რომლებიც იქმნება

საწევროებითა და სესხებით, ფონდის მიერ წევრი-ქვეყნებისათვის გასაცემი სესხების დაფინანსების წყაროდ გამოიყენება.

ასეთი სახსრები თავს იყრის სსფ-ის საერთო რესურსების ანგარიშზე. ამ ანგარიშებიდან წარმოებს ფონდის ფინანსური ოპერაციებიც, რომელთა მიზანია გაუწიოს წევრ-ქვეყნებს დროებითი ფინანსური დახმარება საგადასახდელო ბალანსის სფეროში სიძნელეების გადასალახად. სსფ-ის ოფიციალური ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ წევრი ქვეყნების ოფიციალურ ორგანოებთან – ხაზინასთან, ცენტრალურ ბანკთან, ვალუტის სტაბილიზაციის ფონდთან.

სსფ-ის ფინანსურ რესურსებთან წევრი-ქვეყნების დაშვების რეგულირების წესი ყველასათვის ერთნაირია. წევრი-ქვეყანა, რომელსაც ესაჭიროება უცხოური ვალუტა მიმდინარე ოპერაციების გადასახდელად, მოვალეა სსფ-ს წარუდგინოს მითხოვნა ფინანსურ სახსრებზე და საგადასახადო ბალანსისა და საერთაშორისო ლიკვიდური რეზერვების მიძიმე მდგომარეობის დამადასტურებელი მასალები. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ქვეყანა ღებულობს, ან ყიდულობს მისთვის საჭირო ვალუტას ან SDR-ს საკუთარი ეროვნული ვალუტით. ამ ოპერაციით სსფ ზრდის წევრ-ქვეყნის ეროვნული ვალუტის მარაგს და ამცირებს სარეზერვო ვალუტათა მარაგს.

სსფ-ს საკრედიტო რესურსებთა მისი წევრი-ქვეყნების დაშვება განპირობებულია, ერთის მხრივ, მათი საგადასახდელო ბალანსის გაჯანსაღებისათვის საჭირო აუცილებელი სახსრების მოთხოვნის სიდიდითა და მეორეს მხრივ ამ წევრი-ქვეყნების მზადყოფნით იმისათვის, რომ შეასრულონ სსფ-ის პირობები.

ეს დაშვება შეზღუდულია გარკვეული პირობებით. წესდებაში ისინი თავდაპირველად ასე იყო ჩამოყალიბებული:

1. წევრი-ქვეყნის მიერ მოთხოვნილი თანხა უცხოურ ვალუტაში, რომელიც მიღებული უნდა იქნეს 12 თვის განმავლობაში და არ უნდა აღემატებოდეს ამ სახელმწიფოს კოტის სიდიდის 25 %-ს;

2. ამ ქვეყნის ვალუტის საერთო თანხა საერთაშორისო სავალუტი ფონდის აქტივებში არ უნდა აღემატებოდეს მისი კვოტის მოცულობის 200 %-ს.

70-იან წლებში სსფ-ს შეტანილი ცვლილებებით ფონდიდან 12 თვეში შესასყიდი ვალუტის კვოტის მოცულობის 25 %-ით შეზღუდვა გაუქმდა. დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ წვერი ქვეყანა მოვალეა ფონდიდან უკან შეისყიდოს თავისი ეროვნული ვალუტა SDR-ით ან უცხოური ვალუტით. ადრე აღებული კრედიტის დაფარვა უნდა მოხდეს ვალუტის შესყიდვიდან სამნახევარი წლიდან 5 წლამდე ვადაში. ამასთან, მითითებულია, რომ წვერი ქვეყანა მოვალეა, თუ ამის საშუალებას იძლევა საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა, ვადაზე ადრე მოახდინოს ეროვნული ვალუტის გამოსყიდვა, ხოლო სსფ, თავის მხრივ, უფლებამოსილია მოითხოვოს მისგან ამ ოპერაციის განხორციელება.

კრედიტი მაშინაც ითვლება დაფარულად თუ სსფ-ში არსებული დავალიანების წვერი-ქვეყნების ეროვნული ვალუტა სხვა წვერმა-ქვეყანამ შეისყიდა. სსფ-ის წვერი-ქვეყნების ფონდის საკრედიტო ფინანსურ რესურსებთან სხვადასხვა საკრედიტო მექანიზმის ფარგლებში დაშვება შეზღუდულია ლიმიტებით, რომლებიც თითოეულისათვის დაწესებულია მათი კვოტირების მოცულობის გათვალისწინებით.

სარეზერვო წილი: სსფ-ის წვერი ქვეყნის უცხოური ვალუტის პირველი წილი შეადგენს 25 %-ს, რომელმაც მიიღო „ოქროს წილის“ სახელწოდება. ეს იმით იყო განპირობებული, რომ საწყის პერიოდში სსფ-ში თავისი კვოტა შექონდათ ოქროს ან სარეზერვო ვალუტის სახით. 70-იანი წლების შემდეგ, როცა შეწყდა შეტანა, ეს სახელწოდება შეიცვალა ტერმინით „სარეზერვო წილი.“ ეს წილი განისაზღვრება, როგორც წვერი ქვეყნის მოცულობის გადამეტება სსფ-ის განკარგულებაში არსებული ამ ქვეყნის ეროვნული ვალუტის მარაგებზე. თუ სხვა ეროვნულ ვალუტას სესხად გასცემს სხვა წვერ-ქვეყანაზე, მაშინ ამ ეროვნული ვალუტის წვერ-ქვეყანას ავტომატურად ეზრდება სარეზერვო წილი. წვერმა-ქვეყანამ სარეზერვო წილის ფარგლებში შეიძლება პირველი მოთხოვნისთანავე მიიღოს

სსფ-ის სახსრები. ასეთი სახსრების შესყიდვისას საჭირო არ არის ფონდთან წინასწარ შეთანხმება.

სსფ-ის ფინანსურ დახმარებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სტრუქტურულ გარდაქმნათა გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის შემოღება 1987 წლის დეკემბრისათვის. იგი ეძლევა უღარიბეს ქვეყნებს, რომლებიც ახორციელებენ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის 3-წლიან პროგრამებს. აღნიშნული სესხების მიღების უფლება გააჩნიათ 70 განვითარებად ქვეყანას. კრედიტის მოცულობა დამოკიდებულია საგადასახდელო ბალანსის მოთხოვნით. თანაც მაქსიმალური კრედიტი განსაზღვრულია კოტის 190 %-ის ოდენობით სამწლიანი ხელშეკრულებით. გამონაკლის შემთხვევაში კრედიტის მოცულობამ შეიძლება მიაღწიოს კოტის 255 %-ს.

1963 წლის თებერვლიდან სსფ-ში შეიქმნა სპეცი-ელური დაფინანსების მექანიზმი - სკომპენსაციო დაფინანსების მექანიზმი, რომელმაც 1988 წლის აგვისტოში განიცადა ტრანსფორმაცია და იგი გაერთიანდა გაუთვალისწინებელ საგარეო შემთხვევათა დაფინანსების მექანიზმთან. დახმარება ეძლევა იმ წევრ-ქვეყნებს, რომელთა საგადასახდელო ბალანსის სირთულეები გამოწვეულია იმ ქვეყნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო საექსპორტო ვაჭრობასთან შემოსავლების შემცირებით. ამ დახმარების მექანიზმს 1989 წლის მაისში დაემატა იმ ქვეყნების ფინანსური დახმარება, რომელთა საგადასახდელო ბალანსის სიძნელეები გამოწვეულია მართვის იმპორტთან დაკავშირებული ხარჯები.

1969 წლის ივნისში შეიქმნა ბუფერული მარაგების დაფინანსების მექანიზმი. ამ მექანიზმით დახმარება ეძლევა სსფ-ის იმ წევრ-ქვეყნებს, რომლებსაც საგადასახდელო ბალანსის სიძნელეები შეექმნათ სანედლეულო საქონლის ბუფერული მარაგებისათვის დამტკიცებული საწევრო დაფინანსებით. საერთაშორისო ბუფერული მარაგებისათვის კრედიტის საერთო თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს კოტის 35 %-ს. დღეისათვის სსფ-ს დამტკიცებული აქვს მისი რესურსების გამოყენება კაკოს, ნატურალური კაუჩუკისა და შაქრის ბუფერული მარაგების შესაქმნელად.

1993 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით შეიქმნა სისტემური გარდაქმნების დაფინანსების მექანიზმი,

რომლითაც დახმარება გაეწევა სსფ-ის წევრ ქვეყნებს, რომელთაც საგადასახდელო ბალანსის ფინანსური მდგომარეობა გაუუარესდათ ტრადიციული საგარეო ვაჭრობის კავშირების დარღვევისას და ამის ნიადაგზე საბაზრო ფასების გადიდების შედეგად. აქ შედის ყოფილი ეკონომიკური ურთიერთობების საბჭოს წევრი წევრები და ყოფილი სსრ კავშირის წევრი-სახელმწიფოები.

### 113. ექსპორტ – იმპორტის დაფინანსება

თანამედროვე პირობებში საბანკო კრედიტის გარეშე, როგორც წესი, შეუძლებელია ქვეყნის ექსპორტის და იმპორტის განვითარება. სასესხო კაპიტალის შიდა ბაზარზე საგარეო ვაჭრობის დაკრედიტება ჩვეულებრივი პარამეტრებით მიმდინარეობს. ამასთან, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება სპეციალური საკრედიტო მექანიზმი, რომელიც გამიზნულია საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის. ექსპორტიორები თავიანთ მყიდველებს არა მარტო საქონელსა და მომსახურებას სთავაზობენ, არამედ საქონლის (მომსახურების) ყიდვის დაფინანსებასაც. სესხებს სთავაზობენ უცხოეთის ქვეყნების მყიდველებს და თვით საქონლის მიმწოდებელსაც, რითაც ექსპორტიორებს საშუალებას ეძლევა მოახდინონ გადასახდელთა გადაუადება.

საექსპორტო სესხების საპროცენტო განაკვეთები, როგორც წესი, დაბალია. სწორედ ამის შედეგია ის, რომ თანამედროვე პირობებში ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების ტემპი მაღალია. საერთაშორისო კრედიტი ორივე ქვეყანას (მყიდველს და გამყიდველს) უწყობს ხელს, ასტიმულებს



როგორც სახელმწიფოებრივ, ისე კომერციულ ინტერესებს (მოგების მაქსიმიზაციას).

საგარეო-ეკონომიკური კავშირების საკრედიტო მომსახურების სპეციფილურ ფორმებს წარმოადგენს ოპერაციები: ლიზინგი, ფაქტორინგით და ფორფეიტრებით.

ლიზინგი წარმოადგენს უძრავ-მოძრავი ქონების იჯარის შესახებ შეთანხმების სამიდან თხუთმეტ წლამდე. ლიზინგი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, გამოიყენება ხანგრძლივი გამოყენების საქონელთა იჯარით გაცემის დროს. ლიზინგი ეს არის კრედიტი, რომელიც მანქანა მოწყობილობათა შესაძენად გაიცემა, რომელიც იფარება დათქმულ ვადაში;

ფაქტორინგი წარმოადგენს სპეციელებულ საფინანსო კომპანიის მიერ ექსპორტის უცხოელი იმპორტიორის ყველა ფულადი ვალდებულებების შესყიდვას კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის 70-90 %-ის ფარგლებში მათი ანაზღაურების ვადის დადგომამდე. ფაქტობრივად ფაქტორინგული კომპანია წარმოადგენს სპეციელებულ საფინანსო დაწესებულებას, რომელიც მრავალნაირ მომსახურებას უწევს ექსპორტიორს მისი საქონლის რეალიზაციის საქმეში კრედიტის გამოყენებით.

ფორფეიტინგი არის საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების დაკრედიტება ექსპორტიორისაგან იმპორტიორის მიერ აქცეპტებული თამსუქების შესყიდვის ფორმით.

საყურადღებოა, რომ ფორფეიტინგის საფუძველზე გარიგებებმა გაახანგრძლივეს ექსპორტიორის მიერ მყიდველების დაკრედიტების ვადა სათამასუქო კრედიტის პირობით.

1. მყიდველის ავანსები, რომელსაც იმპორტიორები ამა თუ იმ ქვეყნის უცხოელ მწარმოებლებსა და ექსპორტიორებზე გასცემენ. მაგ, ერთი ქვეყნის ელექტროტექნიკური ფირმა ავანსს იღებს უცხოელი შემკვეთისაგან შეკვეთის ღირებულების ერთი მესამედით ან ერთი მეოთხედის მოცულობით. დიდია მყიდველის ავანსის მნიშვნელობა იმაში, რომ იგი უცხოელი შემკვეთების ვალდებულებათა უზრუნველყოფის ფორმას წარმოადგენს და თანაც ექსპორტიორის კაპიტალის დაგროვების წყაროა;

2. საბანკო დაკრედიტების ფორმით. ა) ექსპორტიორ ქვეყანაში უზრუნველყოფის ფორმით გაიცემა საბანკო კრედიტი, რომელიც ხელს უწყობს ექსპორტიორს მოახდინოს საექსპორტო საქონლის თავმოყრა და მისი საექსპორტოდ მომზადება; ბ) საბანკო სესხები გაიცემა იმ საქონლის ქვეშ, რომელიც გზაში იმყოფება; გ) იმპორტიორ ქვეყანაში სესხების გაიცემა საქონლის ან სასაქონლო დოკუმენტების ქვეშ.

იმპორტის დაკრედიტებს წარმოებს კომერციული და საბანკო კრედიტის ფორმით. კომერციული ან საფირმო კრედიტი ორი სახისაა:

1. კრედიტი ღია ანგარიშით. ასეთი სახის კრედიტი გამოიყენება საქონლის რეგულარული მიწოდების შემთხვევაში დავალიანების პერიოდულად დაფარვის მიზნით;

2. სათამასუქო კრედიტის შემთხვევაში ექსპორტიორი, რომელსაც საქონლისა და მომსახურების მიწოდების გარიგების ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, იმპორტიორს წარუდგენს ტრატას (გადასაყვან თამასუქს). იმპორტიორი, მიიღო რა სასაქონლო დოკუმენტები, ახდენს ტრატას აქცეპტირებას, ე.ი. იღებს ვალდებულებას თამასუქი დაწესებულ გადაში გაანაღდოს.

იმპორტზე გაცემული საბანკო კრედიტი იყოფა:

1. სააქცეპტო კრედიტად – ე.ი. ისეთ კრედიტად, რომელიც გაიცემა ექსპორტიორის ტრატას განაღდების აქცეპტირებისას, ან იმპორტიორი ბანკის შეთანხმებით;

2. აქცეპტურ-რამბურსული კრედიტი, ბანკის მიერ თამასუქის აქცეპტი იმპორტიორის მომსახურე უცხოელი ბანკისაგან გარანტიის მიღების პირობით.

კრედიტორის კატეგორიების გათვალისწინებით განასხვავებენ საერთაშორისო სესხების შემდეგ სახეებს: საფირმო (კერძო) კრედიტი, საბანკო კრედიტი, საბროკერო კრედიტი, სამთავრობო კრედიტი, შერეული კრედიტი, საერთაშორისო-საფინანსო ინსტიტუტების სახელმწიფოთაშორისო კრედიტი.

საფირმო (კერძო) კრედიტი ექსპორტის მიერ გაიცემა უცხოელ იმპორტიორზე საქონლის შესაძენი გადასახდელის გადავადების სახით. იგი ფორმდება თამასუქით ან ღია ანგარიშით;

სათამასუქო კრედიტის შემთხვევაში ექსპორტიორი იმპორტიორს წარუდგენს გადასაცემან თამასუქს (ტრატას), რომლის აქცეპტირებას ეს უკანასკნელი ახდენს კომერციული დოკუმენტების მიღებისას;

კრედიტი ღია ანგარიშით დაფუძნებულია ექსპორტიორის იმპორტიორთან შეთანხმებაზე მყიდველის ანგარიშზე მისი დავალიანების ჩაწერისა და კრედიტის დაწესებულ ვადაში დაფარვის შესახებ;

საბანკო საერთაშორისო სესხი ბანკის მიერ ეძლევა ექსპორტიორებსაც და იმპორტიორებსაც სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გირაოთი;

საბროკერო კრედიტი არის შუალედური ფორმა საფირმო და საბანკო კრედიტებს შორის. ბროკერები ბანკისაგან იღებენ სესხს, რითაც ამ უკანასკნელთა როლი ეცემა;

სახელმწიფოთაშორისი კრედიტი გაიცემა მთავრობათა შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე.

უკანასკნელ პერიოდში მოვლენები რადიკალურად შეიცვალა - ფაქტობრივად ცალკეული ქვეყნების ე.წ. „თვითშემოქმედება“ ექსპორტ-იმპორტის განვითარებისათვის შეღავათიანი საბანკო სესხების გაცემაში, შეიცვალა მათი შემცირების პოზიციით. 80-იანი წლებიდან თანდათანობით მოისპო საეაღუტო საკრედიტო სფეროში საექსპორტო კრედიტის უპირატესად განვითარების ხელშემწყობი პირობები და მიღწეული იქნა საერთაშორისო დონეზე საექსპორტო სესხების განაკვეთების საწესების საქმეში კონსენსუსი და იგი მიუახლოვდა საბაზრო დონეს. აქ საინტერესო ფაქტს აქვს ადგილი. იმ მიზნით, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს თავიდან აეცილებინათ ექსპორტის დაფინანსებისას კონკურენციული ბრძოლა და შეემცირებინათ სახელმწიფო ფინანსების დამატებითი დანახარჯები, რომლებიც თან ახლავს დოტაციურ დაფინანსებას, 1982-1988 წწ. შეამცირეს საექსპორტო კრედიტის სფეროში გავრცელებული შეღავათები.

90-იანი წლებიდან საექსპორტო კრედიტი ჩართული იქნა ბანკებს შორის ჩამოყალიბებული თავისუფალი კონკურენციის ბრუნვაში, სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე - ეხება ეს, როგორც მაღალგანვითარებულ

ქვეყნებზე გაცემულ სესხებს, ასევე განვითარებად ქვეყნებზე შეთავაზებულ საექსპორტო კრედიტს.

ცალკე უნდა აღინიშნოს მოწყობილობების დაფინანსებისათვის გაღებული საბანკო სესხის შესახებ, რომელიც მიეცემა ექსპორტიორ საწარმოს მანამ, სანამ აწარმოებს შეკვეთილ მოწყობილობას. წინასწარი დაფინანსების სესხები გაიცემა მყარი საპროცენტო განაკვეთებით. საპროცენტო განაკვეთებს სტაბილიზაცია უპირატესად მიიღწევა ხაზინის მეშვეობით.

საზღვარგარეთ ქვეყნებისათვის გაცემული ხაზინის სესხები ფართოდ ვითარდება განვითარებად ქვეყნებში გავლენის სფეროების მოპოვებისათვის, რომელიც უპირატესად წარმოდგენილია ექსპორტის მოცულობის გასაზღვრებლად, ე.ი. განვითარებადი ქვეყნის ბაზრის დასაპყრობად.

ეკომომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნები დიდ ყურადღებას აქცევენ საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ხელშემწყობი პოლიტიკის განხორციელებას. საექსპორტო კრედიტების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სისტემა ფართოდ განვითარდა XX ს-ის 50-იანი წლებიდან. დღეისათვის ხუთი მოწინავე ქვეყნის (აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი) მიერ საშუალო და გრძელვადიანი დაკრედიტების დაახლოებით 75 % ხორციელდება, მ.შ. საექსპორტო სესხების 70 % განვითარებად ქვეყნებზე ნაწიდება.

80-იანი წლების შუა პერიოდიდან, მთელ მსოფლიოში სახელმწიფო კრედიტების როლი შესამჩნევად შემცირდა. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ეს ვითარება ცენტრიდანულმა პროცესებმა გამოიწვია, რაც სისტემის სრული დემონტაჟით დამთავრდა.

განვითარებული ქვეყნების მიერ საექსპორტო ოპერაციების დაკრედიტების შემცირება რამდენიმე გარემოებამ განაპირობა, კერძოდ:

1. პოლიტიკური არედან მთავარი მოწინააღმდეგის (სოციალისტური ქვეყნების) გაქრობამ გასაღების ახალი ბაზრები გამოაჩინა და ექსპანსიის პოლიტიკა შედარებით იაფი მეთოდებით გახდა შესაძლებელი;

2. სახელმწიფო დაკრედიტების ტრადიციული სფეროები საბანკო და საფირმო დაკრედიტების არეალში მოექცა;

3. მთლიანი შიდა პროდუქტის დაფინანსებაში მსოფლიო ბანკის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა და სხვ.

მიუხედავად ამისა, ექსპორტის სახელმწიფო დაკრედიტებამ არსებითი მნიშვნელობა მაინც შეინარჩუნა. ამასთან იგი საერთაშორისო ინსტიტუტების ნორმებისა და შეთანხმებების მკაცრი რეგულირების ობიექტი გახდა. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება.

დიდ ბრიტანეთში საექსპორტო კრედიტების მომსახურების სპეციალური სამმართველო ფუნქციონირებს, რომელიც ქვეყნის ექსპორტიორებს კრედიტუნარიანობის გარანტიას თავების გაცემით აძლევს. მისი შუამავლობა საექსპორტო კრედიტების მასშტაბურ რეფინანსირებას (ძველი გრძელვადიანი ვალის დაფარვა ახალი გრძელვადიანი სესხით) უზრუნველყოფს.

აშშ-ში ფუნქციონირებს საექსპორტო-საიმპორტო ბანკი, რომლის ძირითადი ფუნქცია არის გრძელვადიანი საექსპორტო კრედიტების რეფინანსირება და გარანტიები. იგი იძლევა პირდაპირ კრედიტებსაც (საგარეო სავაჭრო გარიგებათა ღირებულების 30-35 %-ის ფარგლებში). ბანკის საწესდებო და სარეზერვო კაპიტალი ქვეყნის ბიუჯეტიდან ივსება. თუმცა მოცემული ბანკი თავის ძირითად საკრედიტო რესურსებს თვითონ ქმნის. ამისათვის კი სახელმწიფო ბანკების გარანტიებით სარგებლობს. ყოველ ხუთ წელიწადში აშშ-ის კონგრესი საექსპორტო-საიმპორტო ბანკის კრედიტებისა და დაზღვევის ზღერულ თანხებს ამტკიცებს.

საფრანგეთში სახელმწიფო მხარს უჭერს მსოლოდ განვითარებად ქვეყნებში გრძელვადიანი (7 წელზე მეტი ხნით) საექსპორტო კრედიტების გაცემისა და მათ რეფინირებას. დანარჩენი ექსპორტი კომერციული ბანკებით ფინანსდება.

გერმანიაში ფირმა-ექსპორტიორები თვითონ ფლობენ მნიშვნელოვან საკუთარ კაპიტალს და ტრადიციულად, კომერციულ ბანკებთან მჭიდრო კონტაქტი აქვთ. ამის გამო, ექსპორტის სახელმწიფო დაკრედიტებამ დიდ განვითარებას ვერ მიაღწია. საექსპორტო კრედიტების საერთო თანხაში სახელმწიფოს ხვედრითი წილი მსოლოდ 20-25 %-ია.

იაპონიაში საექსპორტო-საიმპორტო კრედიტების სპექტრი ძალზე მრავალფეროვანია. კერძოდ: ექსპორტის პირდაპირი დაფინანსება, საფირმო კრედიტების რეფინანსირება, სახელმწიფო კრედიტების გაცემა და სხვ. კრედიტის ოდენობა კონტრაქტის თანხის 70 %-მდეა.

საექსპორტო ოპერაციების დაკრედიტების განვითარებული ქვეყნების გამოცდილება საშუალებას იძლევა დაეასკენათ, რომ:

- ექსპორტის მოკლევადიან დაკრედიტებას, უმთავრესად კომერციული ბანკები ახორციელებენ. თუმცა მათი კრედიტები შეზღუდულია, ხშირად კი არასაკმარისი:

- საშუალო და გრძელვადიან კრედიტებზე მოთხოვნა უფრო იზრდება;

ფირმების საკრედიტო მოთხოვნებში მომხდარმა ცვლილებებმა ახლებური მიდგომები წარმოშვეს, რომლებიც სახელმწიფოს როლს მნიშვნელოვნად აძლიერებს. შედარებით გაერცვლდა განსაკუთრებული, სპეციალიზებული საფინანსო ინსტიტუტების შექმნის პრაქტიკა. ისინი შეიძლება იყოს სახელმწიფოს სტრუქტურები, შერეული საკუთრების ან მთავრობათა უფლებამოსილების სტატუსის მქონენი, რომლებიც, ყველა შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ კონტროლდება. მრავალ ქვეყანაში სწორედ ამგვარი საფინანსო ინსტიტუტები გასცემენ საექსპორტო კრედიტებს (უპიტრატესად, საშუალო და გრძელვადიანს), ეწევიან კომერციული ბანკების საექსპორტო კრედიტების რეფინანსირებას და იმპორტის დაკრედიტებას.

## კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რაში მდგომარეობს საერთაშორისო კრედიტის თავისებურებები?
2. დაახასიათეთ სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზრის ინფრასტრუქტურა.
3. რა ძირითად ფუნქციებს ასრულებს საერთაშორისო კრედიტი?
4. რა ძირითადი ნისნების მიხედვით წარმოებს საერთაშორისო კრედიტის კლასიფიკაცია?
5. რაში მდგომარეობს “ბუფერული მარაგების დაფინანსების მექანიზმის” არსი?
6. როგორ წარმოგვიდგება რეტონ-ეუდსის ზოგადი ფორმულა?
7. რომელი ოპერაციები წარმოადგენს საგარეო-ეკონომიკური კავშირების სპეციფიკურ ფორმებს?
8. რა ტენდენციები შეიმჩნევა განვითარებული ქვეყნების საექსპორტო ოპერაციების დაკრედიტებაში?

## ტესტები

1. სასესხო კაპიტალის მოძრაობა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში, რომელიც დაკავშირებულია სავალუტო და სასაქონლო რესურსების გაცემასთან დაბრუნებადობის, ვადიანობის, უზრუნველყოფისა და პროცენტის გადახდის პირობებში, არის
  - ა) მსოფლიო კრედიტი;
  - ბ) კაპიტალის საერთაშორისო გადინება;
  - გ) კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა;
  - დ) საერთაშორისო კრედიტი.

2. სასესიო კაპიტალის მსოფლიო ბაზრის სტრუქტურა ორგევარია

ა) ინსტიტუციონალური და კონსტიტუციური;

ბ) ფაქტობრივი და ვირტუალური;

გ) მიმდინარე და ოპერატიული;

დ) ინსტიტუციონალური და ოპერატიული.

3. დანიშნულების მიხედვით საერთაშორისო კრედიტის სახეს არ მიეკუთვნება

ა) კომერციული კრედიტი;

ბ) საბანკო კრედიტი;

გ) საფინანსო კრედიტი;

დ) შუალედური კრედიტი.

4. სსფ-ის შეთანხმების საფუძველზე წვერი ქვეყნების ვალუტით გადახდილი უნდა იქნეს კოტის

ა) 75 %;

ბ) 80 %;

გ) 70 %;

დ) 85 %.

5) კრედიტის შესახებ შეთანხმებას, როცა წვერ ქვეყანას ეძლევა იმის გარანტია, რომ მას შეუძლია სსფ-ის კრედიტით სარგებლობა, დაწესებულ საზღვრებში და წინასწარ დათქმულ დროში იმ პირობით, რომ იგი სრულად დაიცავს მიღწეული შეთანხმების დებულებებს, ეწოდება

ა) მიზნობრივი კრედიტი;

ბ) გეგმიური კრედიტი;

გ) სტენდ-ბაი;

დ) დენონსაცია.

6) სსფ-ის ფინანსურ დახმარებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი – სტრუქტურულ გარდაქმნათა გაფართოებული დაფინანსების მექანიზმი შემოღებული იქნა

ა) 1985 წელს;

ბ) 1987 წელს;

გ) 1992 წელს;

დ) 1995 წელს.

7. სსფ-ის მიერ ბუფერული მარაგების დაფინანსების მექანიზმი, რომლითაც დახმარება ეძლევა წვერ-ქვეყნებს, რომლებსაც საგადასახდელო ბალანსის სიძნელეები შეექმნათ სანედლეულო საქონლის ბუფერული მარაგებისათვის დამტკიცებული საწვეროს დაფინანსებით, შეიქმნა

ა) 1960 წელს;

ბ) 1962 წელს;

გ) 1967 წელს;

დ) 1969 წელს.



8. საგარეო-ეკონომიკური კავშირების საკრედიტო მომსახურების სპეციფიკურ ფორმას არ წარმოადგენს შემდეგი ოპერაცია

ა) ნოუ-ჰაუ;

ბ) ლიზინგი;

გ) ფაქტორინგ

დ) ფორფეიტინგი.

9. იმპორტზე გაცემულ საბანკო კრედიტს, რომელიც გაიცემა ექსპორტიორის ტრატას განაღდების აქცეპტირებისას, ან იმპორტიორი ბანკის შეთანხმებით, ეწოდება

ა) აქცეპტურ-რამბურსული კრედიტი;

ბ) აკრედიტივი;

გ) გადასაგზავნი კრედიტი;

დ) სააქცეპტო კრედიტი.

10. საერთაშორისო კრედიტის (სესხის) სახეს, რომელიც ექსპორტიორის მიერ გაიცემა უცხოელ იმპორტიორზე საქონლის შესაძენი გადასახდელის გადავადების სახით, ფორმდება თამასუქით ან ღია ანგარიშით, ეწოდება

ა) სათამასუქო კრედიტი;

ბ) საფირმო (კერძო) კრედიტი;

გ) ფორფეიტინგი;

დ) საბროკერო კრედიტი.

## თემა 12. ფინანსური გლობალიზაცია და ოფორმული საბანკო ცენტრები

*მსოფლიო სიღვიძრე ფულის იმენტური არაა  
... სიღვიძრე ყოველთვის მებითა ფულზე  
კ. შორდი*

### 12.1 გლობალიზაციისა და ფინანსური ეკონომიკის განვითარების დიალექტიკა

ფინანსური ეკონომიკის საფუძველია ის ღრმა ცვლილებები, რაც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს მსოფლიო მეურნეობის წიაღში, კერძოდ: ტრანსფორმაცია ეროვნულ მეურნეობაში, ადამიანებს შორის ურთიერთობებში და მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებში, სადაც საბოლოოდ განმტკიცდა ფინანსური დომინანტი; ფულის მთავარი თვისებრივი მახასიათებლის – ფინანსირებული ფასის დაკარგვა; თანამედროვე ფულის ფასი – მცურავი ფასი – განისაზღვრება ეროვნულ-ფინანსურ ბაზრებზე; შემოსავლის, ლიკვიდურობისა და რისკის მართვის ჩამოყალიბება ეროვნულ-ფინანსურ ბაზრებზე წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის ფუნდამენტურ საფუძველს; ეროვნული ფინანსური ბაზრების ღია სისტემად გარდაქმნა და მათი გაერთიანება ერთიან მსოფლიო-ფინანსურ ბაზრებში; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ფინანსური ბაზრები არის ინტერნაციონალური სავაჭრო მოედნები, სადაც ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში კვაზინაციონალური სუბიექტების მიერ მიმდინარეობს ოპერაციები ვირტუალური ფინანსური ინსტრუმენტებით, მათ შორის ფულით.

თანამედროვე ფინანსური მეურნეობისათვის დამახასიათებელია აგრეთვე შრომის საერთაშორისო დანაწილების ტრანსფორმაცია წარმოებითიდან ეკონომიკური დანაწილები-საკენ; ბიზნესის მთავარი მიზნის ტრანსფორმაცია: კომპანიის ეკონომიკური პოტენციალის განვითარებიდან ფინანსური ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებისაკენ; სამეურნეო გარემოს ვირტუალიზაცია, რომელიც აგებულია

სავალთვალდებულებებზე და რომლის ძირითადი ფორმაა ვადიანი კოტრაქტები; ფინანსური ეკონომიკის აგრესიული ხასიათი, როგორც ალტერნატიულ მაშტაბებში ღირებულებების გლობალური მართვის ატრიბუტი, რომელიც ხორცშესხმულია „მებრძოლი“ მონეტარიზმით.

ოქროს სტანდარტის გაუქმებამ და სოციალისტური სისტემის დაშლამ აშშ-ს ფასების მასშტაბების მანიპულირებას გზა გაუხსნა ეროვნული ვალუტების მცურავი სავალუტო კურსის მეშვეობით, თუმცა მცურავი სავალუტო კურსი წარმოადგენს მხოლოდ აუცილებელ ღონისძიებას, მაგრამ არასაკმარისია იმისათვის, რომ ყველა ქვეყანაში უზრუნველყოფილი იქნას მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია; აქ თავისი გადამწყვეტი სიტყვა თქვა ეროვნული მეურნეობების დოლარიზაციამ.

ცნობილია რომ მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 70 % დოლარის მომსახურების სფეროში იმყოფება. საყურადღებოა ისიც, რომ ეროვნული მეურნეობის არც ერთ სუბიექტს არ შეუძლია საექსპორტო-საიმპორტო გარიგება მოახდინოს სახელმწიფოს ან ბანკის საფინანსო გარანტიის გარეშე. ასეთი გარანტიების ღირებულება წარმოადგენს განვითარებული ქვეყნების ვირტუალური შემოსავლების უდიდეს წყაროს იმდენად, რამდენადაც ეროვნული მეურნეობების სუბიექტებისაგან პირდაპირი გარანტიები არ მიიღება. საჭიროა კონტრგარანტიები, რომლებსაც გასცემენ იგივე განვითარებული ქვეყნები. მოჯადოვებული წრე იხურება და ამით დოლარიზაცია მსოფლიო სისტემის სახით წარმოგვიდგება, სადაც სრულყოფილი კონკურენციისათვის ადგილი აღარ რჩება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს დოლარიზაციის მხოლოდ ერთ-ერთი თავისებურების გამოვლენაა მსოფლიო მაშტაბით. თუმცა ამის ბაზაზე შეიძლება გაკეთდეს ასეთი დასკვნა: ეროვნული მეურნეობების დოლარიზაცია უხილავი ძაფებით შექმნილი ქსელია, რომელშიც მთელი მსოფლიოა გახვეული. მაგრამ ეს გამტარუნარიანი ქსელი ვირტუალური ფინანსური რენტის ეფექტიანი ზეგამტარია. სავსებით ნათელია, რომ სწორედ ამ ქსელის შემქმნელები და მფლობელები წარმოადგენენ დღეს მსოფლიოს ჭეშმარიტ მბრძანებლებს.

ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ლიბ-

ერალიზაციამ თავისი შედეგები გამოიღო. უკანასკნელი პერიოდის მოვლენებმა დაადასტურა ლიბერალური მეურნეობრიობის ისტორიული ხაზის უპირატესობები. სწორედ ლიბერალური ეკონომიკური და ფილოსოფიური აზრის ჩარჩოებში წარმოიშვა და განვითარდა პოსტინდუსტრიული საზოგადოების პირველი თეორიები. სოციალისტური აზრი მთლიანად დარჩა ინდუსტრიული პარადიგმების ფარგლებში და საბჭოთა სისტემის კრიზისის დრამა განთავსებული იქნა ამ კონცეპტუალური დავის არაორაზროვანი აქცენტების ისტორიაში.

ლიბერალური ეკონომიკის სისტემამ შეძლო სოციალისტური რევოლუციებისაგან თავის არიდება, სოციალისტურ სისტემასთან იდეოლოგიური ბრძოლის მოგება. ეკონომიკის ლიბერალური განვითარების მოდელი გულისხმობს შედარებით თანმიმდევრული კაპიტალიზმის ჩამოყალიბებას, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს სულისკვეთებას განასახიერებს. ე.წ. „ლიბერალური“ კაპიტალიზმი ჩამოყალიბდა თანამედროვე ეკონომიკურ სისტემად.

ასეთ სიტუაციაში მსოფლიო ფინანსური მეურნეობა არის პრინციპულად ახალი. იგი არის ლიბერალურ-კაპიტალისტური, უფრო წმინდა ფორმით და ესაა მისი თავისებურება.

გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ფინანსური სისტემა აგებული იყო კვლავწარმოებითი პროცესების ეკვივალენტურ გაცვლაზე. ამის შემდეგ დაიწყო მსოფლიო ფინანსების თვისებრივი ფუნქციების ტრანსფორმაცია. არენაზე გამოდის უახლესი ფინანსური ნაკადები, რომელთა ბუნებაში ერთმანეთში გადაიხლართა ეკვივალენტური გაცვლა კვლავწარმოებითი ციკლის ჩარჩოებში და ახლად შექმნილი კომპონენტი – მსოფლიო ფინანსური რესურსების გიგანტური მასა.

ფინანსები სპეციფიკური სფეროა. ამ სფეროში მუშაობისათვის საჭიროა განსაკუთრებული უნარი და სპეციფიკური მსოფლმხედველობა დღეს მსოფლიოში ეროვნული მეურნეობათა ძალისხმევა კონცენტრირებულია არა ფულად, არამედ ფინანსურ სფეროში. ფაქტობრივად მსოფლიოს მართავს არა ფული, არამედ მისი შემცველი – აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის

ჩათვლით, რის შედეგადაც წარმოიშობა ფასეულობათა შეფასების განსაკუთრებული დარგი. ბირჟაზე სიტუაციის მანიპულირება მძაფრი და ფარული ბატალიების არენა გახდა. მთავარი ის კი არ არის, რა რაოდენობის ფული გვაქვს, არამედ ის, თუ რამდენად ძლიერია ბაზარზე ჩვენი პოზიციები ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების მიმართულებით.

იმის გამო, რომ ფული არის ღირებულების კონცენტრირებული, უნივერსალური გამოხატულება, ეკონომიკაზე ძალაუფლება წარმოგვიდგება ფულის ბატონობის სახით. უფრო მეტიც, ფინანსები არ არის მარტო ფული და მისი შემცველები. იგი არის მეურნეობრიობის პროცესი ფულის მეშვეობით, მათი აღრიცხვა და ანგარიშსწორება, ორგანიზაცია და სტრუქტურისაცია, მათი ნაკადები. ფინანსების გარეშე არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს სრულყოფილი ეკონომიკა. აქედან კეთდება დასკვნა. ეკონომიკა ყოველთვის არის ფინანსური ეკონომიკა.

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში ყალიბდება ახალი ტრანსფორმაცია, რომელშიც მომწიფდა ისეთი ფენომენი, როგორიცაა გეოეკონომიკა და გეოფინანსები. სამეცნიერო-პრაქტიკული ცოდნის სისტემამ ჩამოაყალიბა სამართლებრივი გარემოს გაგება, რომელშიც პრიველეგირებული იყო სამართლის შემდეგი სფეროები (კანონმდებლობის დარგები); სავალუტო, სავადასახადო-საბიუჯეტო, საკრედიტო-საანგარიშგებო, სამოქალაქო, შრომითი, ბუნებრივ-რესურსული, სამართალი და სხვა. სამართლის ასეთი სქემა დღევანდელ მომენტამდე დაღს ასვამს გლობალიზაციის პროცესს და მომავალშიც მოახდენს მასზე გავლენას<sup>8</sup>.

გლობალიზაციის პროცესი ამ ეკონომიკურ-სამართლებრივი სქემის ტირაჟირების მექანიზმია ახალ გლობალიზებულ გეოფინანსურ და გეოეკონომიკური ურთიერთობების ჩარჩოებში. მსოფლიო საზოგადოება უფრო ნაირგვარი, სხვადასხვანაირი ფენომენია, ვიდრე იმის აუცილებლობა, რომ სქემის აქ მოტანილი მოდელი გავრცელდეს ახლად წარმოქმნილ გლობალურ სივრცეზე.

<sup>8</sup> იხ. Финансовая экономика под.ред. Осипова Ю. М. и др. М. «Юность», 2001, с. 48.

სწორედ, ცხოვრებაში დომინირებული სისტემის გარეშე ეკონომიკურ-სამართლებრივი ფაქტორები გლობალიზაციის პირობებში ამ სქემას ბლოკირებას უკეთებენ და მას არაეფექტიანს ხდიან. ეს ფაქტორები წარმოადგენენ სამართლებრივი ცნობიერებისა და მართლწესრიგის მსოფლიო სისტემის ახალ კომპონენტებს.

გლობალიზაციამ საზოგადოების, ეკონომიკის, სახელმწიფოს, და მართლწესრიგის ტრადიციული მოდელი არჩევანის წინაშე დააყენა. მან ან უნდა დააგროვოს მსოფლიო სისტემის რეალური მრავალფეროვნება და მისცეს პოსტინდუსტრიალიზაციას ახალი იმპულსი, ან უნდა მოახდინოს ახალ კონცეპტუალურ ეკონომიკურ სამართლებრივ სქემაზე (მოდელზე) ტრანსფორმაცია, რომლის საფუძველია: სახელმწიფოსა და პიროვნების საერთო და კერძო ინტერესების ახალი სიმბიოზი; სახელმწიფოს ახალი როლი ზენაციონალურ სტრუქტურებთან ურთიერთობაში; კვლავწარმოებით გარემოში აქტიური, არასისტემური ფაქტორების მოთავსება, რომელიც გულისხმობს კვლავწარმოებით პროცესებში ეთნიკურ-ნაციონალური ფაქტორების ამოქმედებას, კანონმდებლობის ეკოლოგიზაციას, სახელმწიფო შემსოავლების როლის გაძლიერებას, ცხოვრების დონის ამალღების უზრუნველყოფაში, საგადასახადო დაბეგვრის, კულტურის, ჯანდაცვის, განათლების სიმბიოზს.

ამრიგად, ფინანსური ნაკადების ახალი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი, ერთის მხრივ მოწყვეტილნი არიან კვლავწარმოებითი ციკლებისაგან, (ვირტუალურ, გეოფინანსური სივრცისაკენ სვლა). ხოლო მეორე მხრივ ავსებენ საცვლელი ღირებულების ახალ შინაარსს. ასეთ სიტუაციაში ეკვივალენტური გაცვლიდან განდგომა და ფინანსური კაპიტალის გადასვლა სპეკულანტურ კაპიტალში იწვევს უახლოესი ისტორიულ-ეკონომიკური სიტუაციის ფორმირებას, როდესაც ფინანსური მენეჯმენტი და ფინანსური სამართალი, როგორც ფინანსური მართვის ნაწილი, იძენს მსოფლიო ფულადი ნაკადების რეგულირების უახლეს ფუნქციას.

ფინანსური დუალიზმი, რომელიც აისახება მის ფინანსურ-სამართლებრივ ნორმებში (რეალური და ვირტუალური), მოწმობს არა მარტო კვაზიფინანსების

სახით ახალი ფენომენის ფორმირება-განვითარებას, არამედ იძლევა დეფორმირებულ მსოფლიო კვლავწარმოებით სისტემაზე გეოფინანსების ზემოქმედების ობიექტური მხარის დახასიათებას.

ფინანსური დუალიზმი ეკონომიკაში და სამართალში ახალი ცივილიზებული ეკონომიკური მოდელის, ნეოეკონომიკის განვითარების პირველი მაუწყებელია.

იმის გამო, რომ ფული, კრედიტი ფიქტიური კაპიტალი უკვე გახდა მსოფლიო მეურნეობის ფუძემდებლური კატეგორიები, ლოგიკურია ვილაპარაკოთ ფინანსურ კაპიტალზე როგორც მსოფლიო მასშტაბით მოვლენაზე.

ფინანსური ეკონომიკა არ შექმნილა ერთბაშად, ახალი საუკუნის კარიბჭესთან. მან XX საუკუნის მანძილზე გაიარა ისეთი ეტაპები, როგორცაა:

1. სამრეწველო და საბანკო კაპიტალის შერწყმა ამ უკანასკნელის დომინირების პირობებში;

2. ოქროს სტანდარტის გაუქმება;

3. საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების შექმნა; 4. ეროვნული ეკონომიკის დოლარიზაცია;

5. მონეტარიზმი;

6. ვაშინგტონის კონსესუსი (1989 წ.) რომელიც ჩამოყალიბდა ნეოლიბერალური პოლიტიკის მანიფესტში.

თანამედროვე ეკონომიკა ფინანსური ეკონომიკაა. იგი განსაზღვრულ მოთხოვნებს უყენებს როგორც ცალკეულ ადამიანებს, ასევე ეროვნულ ეკონომიკას და გლობალურ რეგიონებს. ადამიანებისადმი წაყენებული მოთხოვნები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

მოქალაქეები ყოველდღიურად უნდა ფიქრობდნენ ფულზე, მის გაზრდაზე. ფულის გადიდების ერთ-ერთი წყარო, ვაჭრობასთან ერთად, არის ფინანსები. ვისაც ფულის შექმნა არ შეუძლია, მას სილატაკეში ცხოვრება მოუწევს.

გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარეობს ფულადი ფენომენის ახლებური გააზრება. კლასიკოსებთან ფული წარმოადგენდა გაცვლის უნივერსალურ მასალას, ურთიერთობის უტილიტარულ საშუალებას. კ. მარქსის მიხედვით ფული ოქროა, ხოლო ქაღალდის ფული-მისი შემცველი. ფულადი სისტემის ოქროზე მიბმა მეურნეობრიობის დისციპლინის მაჩვენებელი იყო. ოქროს ეროვნება არ გააჩნია. ოქროს სტანდარტის გარეშე ფულში ჩამარხულია

შინაგანად ინფლაციური მოვლენები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფული თვისებრივად განსხვავდება თავისუფალ კონკურენციის ეპოქის ფულისაგან.

თანამედროვე ფულადი და სავალუტო სისტემები არსებობენ ღირებულების შეფარდებით ფორმაში, საყოველთაო ეკვივალენტის გარეშე, ფული სახელმწიფო-ბრიობის ფაქტორად გეველინება.

ფინანსური მეურნეობა გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს ეროვნულ მეურნეობებს. ისინი მოვალენი არიან მსოფლიო ფინანსურ ცენტრებს გადასცენ ფინანსური რენტა საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო კურსის რეგულირებისა და მსოფლიო ვალუტის შექმნის გზით.

ფინანსური ეკონომიკის მოთხოვნები გლობალურ რეგიონებზე შემოიფარგლება მათი მსოფლიო მეურნეობის მუდმივ პერიფერიად დარჩენაში და უზრუნველყოფს მაღალი ცხოვრებისეული სტანდარტების ფუნქციონირებას დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 10 %-ისათვის.

საბოლოოდ შეიძლება დავასკენათ რომ თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებზე, განსაკუთრებით მის ისეთ სფეროზე, როგორცაა ფინანსები და სრულიად ახალ რაკურსში წარმოადგენს მას.



## 12.2 მსოფლიო ფინანსური ბაზრის არსი და კომპონენტები

მსოფლიო მეურნეობისათვის დამახასიათებელია ფულადი კაპიტალის გამუდმებული მიმოქცევა, რომელიც ფორმირდება ცალკეულ ქვეყნებში კელავწარმოების პროცესში. მსოფლიო ფინანსური ნაკადები ემსახურება საქონლის მომსახურების და კაპიტალების მოძრაობას. ეს ნაკადები განსხვავდებიან ფორმის ერთიანობით, (როგორც წესი, ფულადი ფორმით, საფინანსო-საკრედიტო ინსტრუმენტების სახით) და ადგილით (ბაზარი), საბაზრო ურთიერთობების სპეციფიკური სფერო არის მსოფლიო სავალუტო საკრედიტო და საფინანსო ბაზრები, აგრეთვე ოქროს ბაზრები. საბაზრო ურთიერთობების ეს სისტემა უზრუნველყოფს მსოფლიო ფინანსური ნაკადების აკუმულაციას და გადანაწილებას წარმოების უწყვეტობის და ეფექტიანობის მიღწევის მიზნით. მსოფლიო ფინანსური ნაკადების მოძრაობა ხორციელდება ბანკების, სპეციალიზებულ ფინანსური ინსტიტუტებისა და საფონდო ბირჟების მეშვეობით.

მსოფლიო საფინანსო, სავალუტო, საკრედიტო, ფასიანი ქაღალდების, ოქროს ბაზრებს ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი: დიდი მაშტაბები, გეოგრაფიული საზღვრების არარსებობა, ოპერაციების სადღელამისო ჩატარება, მსოფლიოს მთავარი ვალუტების გამოყენება. ამ ბაზრებში მონაწილეობენ და გარიგებას აწარმოებენ მსოფლიოს წამყვანი ბანკები, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები მაღალი რეიტინგით. ამ ბაზრებზე დაიშვებიან ძირითადად პირველხარისხოვანი სესხის ამღებნი ან სესხის ამღებნი სოლიდური გარანტიით. აქ გამოიყენება სპეციფიკური საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთები (LIBOR-ის ტიპის საპროცენტო განაკვეთი, ფულის მიწოდების ლონდონის განაკვეთი ბანკთა შორისი დეპოზიტების მიხედვით). მსოფლიო ფინანსური ბაზრისათვის დამახასიათებელია ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების უქალაღლო ოპერაციების სტანდარტიზაცია და ინფორმაციული ტექნოლოგიების მაღალი ხარისხი კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების საფუძველზე; ბაზრის სეგმენტებისა და გარიგებათა ინსტრ-

უმენტების დივერსიფიკაცია.

კონკურენციის შედეგად წამყვანი ეროვნული ბაზრების საფუძველზე შეიქმნა 13 მსოფლიო ფინანსური ცენტრი – ნიუ-იორკის, ლონდონის, ტოკიოს, პარიზის, ციურხის, ლუქსენბურგის, ფრანკფურტის, სინგაპურის, ბახრეინის და ა.შ. ეს ცენტრები აერთიანებენ საბანკო და საფინანსო ინსტიტუტებს და ახორციელებენ საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო-საფინანსო, საფონდო ოპერაციებს, გარიგებებს ოქროთი.

მსოფლიო ფინანსური ნაკადების მოძრაობა ხდება შემდეგი ძირითადი ბაზრების მეშვეობით:

სავალუტო ბაზრები – ეს არის ოფიციალური ცენტრები, სადაც ხორციელდება უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა იმ ეროვნული კურსით, რაც ყალიბდება მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე. სავალუტო ბაზრის ინსტიტუციონალური სტრუქტურა მოიცავს ბანკებს, ბროკერებს, საწარმოებს. დასავლეთში სავალუტო გარიგებების 85-95 % ხორციელდება ბანკთაშორის ბაზრებზე. სავალუტო ბირჟები აქ შემორჩა მხოლოდ ცალკეულ ქვეყანაში და მოკრძალებულ როლში გამოდიან.

სავალუტო ბაზრებზე გარიგებათა ინსტრუმენტარია საბანკო ვექსილები, ტრასტები, ჩეკები, საბანკო გადარიცხვები, სატელეგრაფო გადარიცხვები. სავალუტო ოპერაციები უზრუნველყოფენ საერთაშორისო გათვლებს, სავალუტო და საკრედიტო რისკების დაზღვევას, სავალუტო პოლიტიკის გატარებას, ასეთე გამოიყენება სავალუტო სპეკულაციის დროს. ამასთან დაკავშირებით სავალუტო ოპერაციები, როგორც ამას მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, დიდი ხანია გახდა სახელმწიფო და საბანკო დაკვირვების და კონტროლის ობიექტი.

მსოფლიო საკრედიტო ბაზარი – ეს არის ქვეყნებს შორის სასესხო კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის სპეციფიკური სფერო, უკანდაბრუნების და პროცენტის გადახდის პირობით, ამ ბაზარზე ყალიბდება სასესხო კაპიტალზე მოთხოვნა და მიწოდება. ტრადიციულად ერთიმეორეს ემიჯნებოდა მოკლევადიანი სასესხო კაპიტალის (ფულის ბაზარი) და საშუალო და გრძელვადიანი კაპიტალის (კაპიტალის ბაზარი) ბაზრები, მათ შორის ფინანსური ბაზარი. მსოფლიო ფინანსური ბაზარი ეს არის

სასესხო კაპიტალის ბაზრის ნაწილი, სადაც უპირატესად ხორციელდება ფასიანი ქაღალდების ემისია და ყიდვა-გაყიდვა. პრაქტიკაში ეს დაყოფა თანდათანობით კარგავს მნიშვნელობას, ვინაიდან მიმდინარეობს კაპიტალების ურთიერთგადადინების პროცესი, ხოლო ჩვეულებრივი საბანკო კრედიტები ერევა ფასიანი ქაღალდების ემისიას.

50-იანი წლებიდან სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზრის შემადგენელი ნაწილი გახდა ევროვალუტის ბაზარი, სადაც ევრობანკები ახორციელებენ ძირითადად იმ სადეპოზიტო-სასესხო ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში, რომლებიც ეკუთვნის არარეზიდენტ ქვეყანა-ემინანტებს.

ოქროს ბაზარი ეს არის სპეციალური ცენტრები ოქროთ ვაჭრობისათვის, სადაც ხდება მისი რეგულარული ყიდვა-გაყიდვა საბაზრო ფასით. ასე რომ თანამედროვე მსოფლიოში ჩამოყალიბდა მუდმივად ფუნქციონირებადი ინტერნაციონალური საბაზრო მექანიზმი, რომელიც იმართება მსოფლიო ფინანსური ნაკადებით.

მსოფლიო ფინანსური ბაზრები ხუთი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. ესენია: ეროვნული ფინანსური ბაზრები, ტრადიციული საერთაშორისო ფინანსური ბაზრები, საერთაშორისო სავალუტო ბაზრები, ევრობაზრები და ოფშორული საბანკო ცენტრები.

ეროვნული ფინანსური ბაზრები მოიცავს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის ბაზრებს, ეროვნული ვალუტის ბაზრებს და ზოგიერთ მეორად ბაზრებს (ფინანსური ოფციონების და ფიუჩერსების ჩათვლით). ეს ბაზრები ფუნქციონირებენ სამთავრობო ეკონომიკური პოლიტიკის შეზღუდვების ჩარჩოებში.

ტრადიციულ ფინანსურ ბაზრებზე ხორციელდება ორი ქვეყნის რეზიდენტებს შორის სესხები და საინვესტიციო გარიგებები ერთი ვალუტის გამოყენებით. ეს გარიგებები რეგულირდება ამ ორი ქვეყნის მიერ დადგენილი წესების მიხედვით. ასე მაგალითად სამრეწველო განვითარების იაპონიის ბანკი იღებს სესხს ლონდონის ფინანსურ ბაზარზე ფუნტ სტერლინგებში შიგა ეკონომიკური განვითარების დაფინანსებისათვის. ფინანსური განვითარების მექსიკის ეროვნულმა ბანკმა გასული საუკუნის 60-იან წლებში აიღო სესხი ამერიკულ დოლარებში იმპორტის დასაფინანსებლად. 80-იან წლებში ჩინეთის

ბანკმა მიიღო სესხი ტოკიოში იაპონურ იენებში სამრეწველო განვითარებისათვის საჭირო მოწყობილობების შესაძენად.

საერთაშორისო სავალუტო ბაზრები ხელს უწყობენ წამყვან ფინანსურ ცენტრებში სხვადასხვა ვალუტით ერთდროულ ვაჭრობას. ასეთი ცენტრებია ნიუ-იორკის, ლონდონის, ტოკიოს და სხვა. არსებული საერთაშორისო ფულადი სისტემის მიხედვით საერთაშორისო სავალუტო გარიგებები რეგულირდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილი წესების მიხედვით.

ევრობაზრები მოიცავენ ევროვალუტის, ევროობლიგაციების ბაზრებს, ევრო დოლარების ფიუჩერსებს და ოფიონებს, სავალუტო და საპროცენტო სვოპებს. ევროვალუტა – ეს არის სასწრაფო დეპოზიტი, რომელიც არის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მდებარე ბანკში და სადაც გამოდის მოცემული ვალუტა. ასე მაგალითად, ამერიკული დოლარები, რომლებიც განთავსებულია ლონდონის ბანკებში დეპოზიტებზე, ითვლება ევროდოლარებად მიუხედავად იმისა, ეს ბანკები ამერიკული ან ბრიტანული ბანკების ფილიალები არიან თუ არა. ანალოგიურად პარიზის ბანკებში განთავსებული იაპონური იენები ითვლება ევროიენებად.

ოფშორული საბანკო ცენტრები შეიძლება დაიყოს ე.წ. „ფუნქციონალურ“ და „ქალაქის“ ცენტრებად.

„ქალაქის“ ცენტრები ინახავენ დოკუმენტაციას, ხოლო საბანკო ოპერაციებს ატარებენ ან უმნიშვნელო ოდენობით, ან საერთოდ არ აწარმოებენ მას.

„ფუნქციონალური“ ცენტრები, პირიქით, აწარმოებენ სადეპოზიტო ოპერაციებს და სესხების გაცემას.

ორივე სახის ცენტრები ხელს უწყობენ სახსრების გადაადგილებას მსხვილ საერთაშორისო ცენტრებს შორის. ბანკები იყენებენ აგრეთვე ე.წ. „ქალაქების“ ცენტრებს, ისეთებს, როგორიცაა ბაგამის ან კაიმანის კუნძულები, რათა მოახდინონ გადასახადების მინიმიზაცია და თავი აარიდონ თავიანთ საქმიანობაში რეგულირებას.

მსოფლიო ფინანსური ბაზრების ზემოთ აღნიშნული ხუთი მთავარი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტი სხვადასხვა ტიპის ფინანსურ ფუნქციებს ახორციელებენ. ამ თვალსაზრისით სპეციფიკით გამოირჩევა ევრობაზრები. ისინი, როგორც წესი, არ ექვემდებარებიან ეროვნულ ანდა

ქვეყნის შიდა წესებს, ისეთები, როგორცაა სარეზერვო მოთხოვნები, ანდა სადეპოზიტო სადაზღვევო შენატანი. ამ მიზეზით ევრობანკებს შეუძლიათ იმოქმედონ უფრო ეფექტიანად და ნაკლები დანახარჯებით, ვიდრე ქვეყნის შიდა ბანკებს.

ევრობანკები და ქვეყნის შიგა ბანკები წარმოადგენენ კონკურენტებს. ამ კონკურენციის შედეგად ფიქსირდება ურთიერთდამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთებს შორის ევრობაზრებზე და ცალკეულ ქვეყანათა ფულის ბაზრებზე. ასე მაგალითად, თუ კი ქვეყნის შიგნით სადეპოზიტო სერთიფიკატებზე საპროცენტო განაკვეთი აშშ-ში მაღალია, ვიდრე ევროსადეპოზიტო სერთიფიკატებზე, მაშინ ბანკები ეცდებიან სესხები მიიღონ ევრობაზრებზე საზღვარგარეთ არსებული ფილიალების მეშვეობით. ამავდროს არბიტრაჟი ევრობაზრებზე მხარს დაუჭერს ევროდოლარების კრედიტების და დეპოზიტების იმ საპროცენტო განაკვეთებს, რაც ფიქსირდება ქვეყნის შიდა ფინანსურ ბაზრებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულ საერთაშორისო საფინანსო ბაზრებსა და ევრობაზრებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. როცა საერთაშორისო დონეზე სესხის ამღებს სურს აიღოს მსხვილი კრედიტი, რასაც ერთი კრედიტორი ვერ გასცემს, ამ დროს გამოსავალი შეიძლება იყოს ევრობაზრებზე სინდიცირებული სესხები. ასევე მჭიდრო კავშირია ევრობაზრებსა და ოფშორულ ბაზრებს შორის, მათ მომსახურებას უწევს ერთი და იგივე ჯგუფის ბანკები. საფინანსო ბაზრების ორივე სახეობა მობილიზებას უკეთებენ ლიკვიდურ სახსრებს, ასრულებენ საშუამავლო ფუნქციებს და თითქმის არ ექვემდებარებიან შიდა რეგულირებას.

საერთაშორისო სავალუტო ბაზრებს დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო მაშტაბით. ეს ბაზრები სხვა დანარჩენი ბაზრების ცენტრებია. მაშინ როცა ევროსავალუტო ბაზრები არიან სესხებისა და დეპოზიტების ბაზრები, საერთაშორისო სავალუტო ბაზრები უზრუნველყოფენ გადახდის ძირითად საბაზისო სახსრებს.

ევროვალუტის ბაზრების და ოფშორული საბანკო ცენტრებისათვის დამახასიათებელია შემდეგი სპეციფიკური ნიშნები:

1. მინიმალური სამთავრობო რეგულირება და ბაზარზე მოქმედების სტიმულები არარეზიდენტი მონაწილეთათვის;

2. მსხვილი საერთაშორისო კომერციული ბანკების, ფინანსური დაწესებულებებისა და ტრანსნაციონალური კომპანიების მოზიდვისათვის სასსრების არსებობა, რათა ჩქარა იქნას გამოყენებული ეს ბაზრები;

3. ფუნქციონალური საბანკო სისტემა რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო გარიგებებს;

4. დიდი ოდენობით ფინანსური ინსტრუმენტების არსებობა, რაც განაპირობებს სესხის ამღებთა და კრედიტორთა ფართო არჩევანს ინსტრუმენტართან, მოქმედების ვადასთან, საპროცენტო განაკვეთეყთან, ვალუტასთან მიმართებაში;

5. შიდა პოლიტიკური სტაბილურობა ოპერაციების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად;

6. მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის და კომუნიკაციების არსებობა საერთაშორისო საბანკო გაერთიანებებთან ეფექტიანი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად;

7. იმ წესების ერთობლიობა, რომელთა დაცვა აუცილებელია, რათა მიღწეული იქნას მინიმალური ნაციონალური და შინაგანი რეგულირება და ბაზრებზე წესრიგის დარღვევების აღმოფხვრა;

8. ბაზრებზე საერთაშორისო რეგულირების არარსებობა.

ევროვალუტის ბაზარი არის მსოფლიო ფინანსური ბაზრის ნაწილი. ევროვალუტის ბაზართან მჭიდროდაა დაკავშირებული ოფშორული საბანკო ცენტრები. ამავე დროს ოფშორული საბანკო ცენტრები შეიძლება განხილული იქნას როგორც საერთაშორისო საფინანსო ცენტრების ცალკეული კატეგორიები, რომლებიც ასრულებენ საშუაშაველო ფუნქციებს სესხის ამღებებისა და დეპონენტებისათვის. ოფშორული საბანკო ცენტრების უპირატესობათა ძირითადი მიზეზია მინიმალური ოფიციალური რეგულირება, გადასახადებისა და ბანკების ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვაზე კონტროლის პრაქტიკულად არ არსებობა.

ოფშორული საბანკო ცენტრების აღმოცენება იყო გასული საუკუნის 60-იანი წლების მთავარი მოულოდნელობა, მაშინ, როცა მკვეთრად გაიზარდა ევროსავალუტო ბაზრის მაშტაბები და მოცულობა. ბევრი პატარა ქვეყანა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ოფშორული საბანკო ცენტრების შექმნით, რომლებიც ფლობენ რიგ უპირატესობებს უცხოური ბანკების მოსაზიდად, შეძლებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ზრდას. ამავე დროს გაირკვა, რომ ლიცენზიების გაცემით, ბანკების ხარჯებითა და სხვა გადასახდელების ხარჯზე მიღებული შემოსავლებისა და სახსრების დაგროვებით ამ ქვეყნებს შეეძლოთ ავმაღლებინათ ცხოვრების დონე.

ოფშორული საბანკო ცენტრების რაოდენობის ზრდას ევროსავალუტო გარიგებებისათვის ხელი შეუწყო ამ ცენტრების რიგმა თვისებებმა. ჯერ ერთი, აქ ფინანსური სახსრების მოდინება და გადინება საერთოდ არ რეგულირდება. მეორეც, ფინანსურ გარიგებებს ჰქონდა წმინდა საერთაშორისო საფუძველი და საერთოდ არ ეხებოდნენ ქვეყნის შიდა ეკონომიკურ ან ფინანსურ პოლიტიკას. მესამეც, ეს ცენტრები ამ ქვეყნებს სთავაზობდნენ კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მაღალეფექტურ ადგილობრივ და საერთაშორისო საშუალებებს. მეოთხეც, ოფშორულ ცენტრებს ჰქონდათ მაღალგანვითარებული ქვეყნების ფინანსურ მეურნეობასთან და მათ ხელმძღვანელობასთან კარგი ურთიერთობა, მეხუთეც, ეს ცენტ-

რები მუშაობდნენ შიდაპოლიტიკური სტაბილურობის პირობებში და უზრუნველყოფდნენ გარიგებათა საიდუმლოების დაცვას, მეექვსე, ისინი მხარს უჭერდნენ პოლიტიკურ სტაბილურობას და ჰქონდათ ეფექტიანად ფუნქციონირებადი ცენტრალური ბანკები. უპირატესობათა რიცხვს განეკუთვნება ასევე ის ფაქტიც, რომ ოფშორულ საბანკო ცენტრებში ძირითადი ანდა ალტერნატიული ენა არის ინგლისური, ამ ცენტრების ადგილმდებარეობა გეოგრაფიული თვალსაზრისით მოხერხებული იყო მსოფლიოს სხვა ბაზრებისათვის და ბოლოს, ამ ცენტრებს ჰყავდათ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა.

არსებობს ოფშორული საფინანსო ბაზრების სამი ძირითადი ტიპი:

პირველთ აქვთ სპეციალური, ფორმალურად დამყარებული შეთანხმება ისეთ ავტორიტეტულ ფინანსურ ცენტრებთან, როგორცაა ტოკიო, ნიუ-იორკი და სინგაპური. ეს ბაზრები უზრუნველყოფენ კლიენტებს საერთაშორისო საბანკო მომსახურებით, რაც ოფშორულ ცენტრების დამახასიათებელი თავისებურებაა.

ოფშორული ბაზრების მეორე ტიპი ეს არის ე.წ. ლონდონის ტიპი. ლონდონში, ჰონკონგში და სხვა ადგილებში ფინანსური გარიგებები თავისუფალია შეზღუდვებისაგან იმისდა მიუხედავად, ხორციელდება ისინი ბაზრის რეზიდენტი ან არარეზიდენტი მონაწილეობის მიერ. ამ ადგილებში ოფშორული ბაზარი ეს არის უბრალოდ ოფშორული გარიგებები არარეზიდენტებს შორის, რადგანაც აქ შიდა და საერთაშორისო გარიგებები გაერთიანებულია.

ოფშორული ბაზრების მესამე ტიპია ე.წ. „საგადასახადო თავშესაფარი“. მათ ხშირად „საგადასახადო ოაზისებსაც“ უწოდებენ. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ბაჰამის და კაიმანის კუნძულების საბანკო ბაზრები. ამ ბაზრებზე არარეზიდენტების მიერ განხორციელებული საფინანსო გარიგებები საერთოდ არ იბეგრება გადასახადებით.

ოფშორული საბანკო ცენტრები მნიშვნელოვნად გაიზარდა გასული საუკუნის 60-იან 80-იან წლებში ევროსავალუტო ბაზრის ზრდის ხარჯზე. ამ პროცესს ხელი შეუწყო ასევე რიგ ქვეყნებში ოფშორული საბანკო ერთეულების გახსნით მიღებულმა უპირატესობებმა და ზოგიერთი ქვეყნების მისწრაფებამ მიეზიდათ ოფშორული საბანკო ბი-



ზნესი ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნით. 60-იან წლებში ასეთი ოფშორული საბანკო ბაზრები აღმოცენდა სინგაპურში და ბაგამის კუნძულებზე. ამას მოჰყვა ანალოგიური პროცესების განვითარება უკვე 70-იან წლებში მანილას, ბახრეინსა და ნორმანდიის კუნძულებზე. მოგვიანებით, 80-იან წლებში, ოფშორული ბანკები აღმოცენდა ნიუ-იორკში, ტოკიოს, და ტაივანზე. ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია ევროვალუტის და ოფშორული საბანკო ცენტრები ევროპაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკასა და აზიაში. ეს ცენტრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კაპიტალთა მოძრაობის უზრუნველსაყოფად მთელს მსოფლიოში მოგების მიღების მიზნით.

ასეთი განლაგება ჰქონდათ ოფშორული საბანკო ცენტრებს XXI ს. დასაწყისისთვის (იხ. ცხრილი №1).

ოფშორულ საბანკო ცენტრებში გაერთიანებულნი არიან მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მსხვილი ბანკები. ისინი უდიდეს როლს ასრულებენ კაპიტალწაკადების აკუმულაციისა და მათი მიზანმიმართული განაწილების თვალსაზრისით საერთაშორისო დონეზე.

ცხრილი №12.1

ოფშორული ბანკების განლაგება თანამედროვე მსოფლიოში

	ევროპა	დასავლეთი ნახევარ სფერო	აზია
1	ლონდონი	ნიუიორკი მაიაში ლოს ანჯელესი, სან-ფრანცისკო	ტოკიო
2	პარიზი	ტორონტო	სინგაპური
3	შეეიცარია	ნასაუ	ჰონკონგი
4	ლუქსენბურგი	პანამა	ტაიპეი
5	ფრანკფურტი	კაიმანის კუნძულები	მანილა
6	ბრიუსელი	ბერმუდი კუნძულები	ვანუატუ
7	ამსტერდამი	ბარბადოსი	ბახრეინი
8	ნორმანდიის კუნძულები	ანტიგუა	

## 12.4. წამყვანი ოფშორული ბანკები და მათი როლი მსოფლიო მეურნეობაში

მსოფლიო ოფშორული საბანკო ცენტრების მთავარი მონაწილენი არიან ოფშორული ბანკები. ისინი განლაგებული არიან ევროპაში, ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკაში და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, ძირითადად ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში. საინტერესოა გავეცნოთ მათი ფუნქციონირების თავისებურებებს ცალკეულ რეგიონში.

ლონდონი ითვლება მთავარ საერთაშორისო საფინანსო ცენტრად კარგად განვითარებული ფულადი, სავალუტო და გრძელვადიანი სასესხო კაპიტალთა ბაზრებით. ევროპის ევროვალუტის ოფშორული ბაზარი არის ყველაზე მსხვილი საფინანსო ცენტრი მსოფლიოში. ლონდონს აქვს ოფშორული საბანკო ცენტრის ყველა ნიშანი, მათ შორის სავალუტო ბაზრის მოქმედება, რომელიც აწვდის ფინანსურ სახსრებს მსოფლიო ფინანსურ ბაზრებს და ასრულებს შუამავლის როლს საერთაშორისო სესხების განხორციელების საქმეში. ლონდონის, როგორც ოფშორული ბაზრის სტატუსის გამყარებას ხელი შეუწყო ინგლისის ბანკის პოლიტიკამ, რომელიც მიმართული იყო ლონდონის საერთაშორისო როლის განმტკიცებისაკენ. მისმა ლიბერალურმა საერთაშორისო საბანკო პოლიტიკამ უცხოური ბანკებისა და საერთაშორისო მეანაბრებებს ყურადღება მიიქცია, რაზედაც მეტყველებს აქტივების მოცულობა უცხოურ ვალუტაში ინგლისის საბანკო სისტემაში. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს მსოფლიოს მთელი საბანკო აქტივების 54 % და სტერლინგის აქტივების 46 % ლონდონზე მოდიოდა.

უცხოური ბანკები თავიანთი სახსრების მნიშვნელოვან ნაწილს ინახავენ ლონდონში უცხოურ ვალუტაში. იაპონური და ამერიკული ბანკებისათვის ეს წილები შესაბამისად შეადგენს 82 და 76%-ს. ეს უცხოური ბანკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ოფშორულ ბაზრებზე დაფინანსებისა და დაკრედიტების საქმეში.

ინგლისის საბანკო სექტორის მთელი სახსრების 40 % არის უცხოური სესხები, რაც ყველა სტანდარტების

მიხედვით მაღალი მაჩვენებელია. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იაპონური ბანკები. მათგან მიღებული სესხების ხვედრითი წილი შეადგენდა მთელი ბრიტანული აქტივების 40 %-ს. შედარებისათვის, სესხების მოცულობა რომელიც მიღებულია აშშ-ს ბანკებიდან, შეადგენდა იაპონიის ბანკებიდან მიღებული სესხების 1/3-ს.

უკანასკნელ წლებში ლონდონის ოფშორული ბაზრის მდგომარეობა ძლიერ შეირყა ტოკიოს ოფშორული ბაზრის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. მომავალში მოსალოდნელია მისი როლის შემდგომი შემცირება ევროპის კონტინენტალური ოფშორული ბაზრის განვითარების გაძლიერების გამო, რომელსაც გააჩნია მაღალ დონეზე განვითარებული კომუნიკაციები და გარიგებათა დაბალი ღირებულება, რაც კონკურენტულ ბრძოლაში ამ უკანასკნელს უპირატესობას ანიჭებს.

ლუქსენბურგი თავისი ევროპული მეზობლებისაგან განსხვავდება მოსახლეობის რიცხოვნობით, იგი მცირე სახელმწიფოა. მიუხედავად ამისა იგი მსოფლიო საფინანსო არენაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. არის რა ერთ-ერთი მთავარი ოფშორული საბანკო ცენტრი, ამავდროულად ითვლება ევროკავშირის ერთ-ერთ დამაარსებლად. არის ევროობლიგაციების საკლირინგო სისტემის (CEDEL)-ის და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EJB)-ის ხელმძღვანელი.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკის საფუძველია წარმოება, ლუქსენბურგმა დაიწყო საფინანსო სფეროს განვითარება. უჭირავს რა მოხერხებული განლაგება (გეოგრაფიული სივრცე) საფრანგეთს, გერმანიასა და ბელგიას შორის და ფლობს განვითარებულ კომუნიკაციებს, მოსახლეობა ლაპარაკობს სხვადასხვა ენაზე, ლუქსენბურგმა მიიზიდა უცხოური ბანკების დიდი ნაწილი, საინვესტიციო ფონდები და კომპანიები. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა იმ გარემოებებმა, რომ ქვეყანაში შესაძლებელია განხორციელდეს ფინანსური გარიგებები მკაცრად დაცული კონფიდენციალობის პირობებში, ასევე დაბალია საგადასახადო დაბეგვრის დონე. არარეზიდენტების გარიგებები არ იბეგრება საშემსოაელო გადასახადით, არ აიღება მოგების გადასახადი ინვესტიციებიდან და ობლიგაციებიდან, დამატებულ ღირებულების გადასახადისაგან თავისუფალია ოქროსთან დაკავშირებული გარიგებები,

გადასახადებით არ იბეგრება დივიდენდები, არ არის გადასახადი ქონებაზე, არ არსებობს სავალუტო კონტროლი და სხვა შეზღუდვები სახსრების მოძრაობაზე. ევროკავშირის არც ერთი ქვეყანა პოლანდიის გამოკლებით, არ ხასიათდება ასეთი უპირატესობებით. მრავალი პოლდინგური კომპანია, რომლებიც იმართებიან უცხოური ფირმების ფინანსებით, ლუქსენბურგში ხსნიან თავიანთ ფილიალებს. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ლუქსენბურგში მოქმედებდა 150 ბანკი.

ლუქსენბურგის საერთაშორისო ფინანსური ბაზრის ხვედრითი წილი საერთაშორისო სავალუტო დაკრედიტების საერთო მოცულობაში XXI ს. დასაწყისში შეადგენდა 5 %-ს. ბანკები ლუქსენბურგში მოქმედებენ ძირითადად ევროსავალუტო ბაზარზე. აქ განთავსებული 150 ბანკიდან ყველაზე მსხვილია შემნახველი საღარო, რომელიც ახორციელებს თავისი აქტივების უდიდეს ნაწილს არასაბანკო სარეზიდენტო სექტორის მონაწილეობით. თუ კი ევროკავშირი შემოიღებს საგადასახადო განაკვეთების სტანდარტებს, მაშინ ლუქსენბურგი ბევრ თავის უპირატესობას დაკარგავს საფინანსო ბაზრის სფეროში.

საფრანგეთი და შვეიცარია არიან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო საბანკო ცენტრები ევროპაში. XXI ს. დასაწყისში საფრანგეთის ხვედრითი წილი საერთაშორისო დაკრედიტებაში შეადგენდა 6,6 %-ს და შვეიცარიისა კი -6,3 %-ს. პარიზში განლაგებულია ფრანგული და უცხოური ბანკების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთაც თავიანთი აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილი აქვთ უცხოურ ვალუტაში და აქტიურად ახორციელებენ არარეზიდენტების დაკრედიტებას. საფრანგეთში არ არის ხელსაყრელი საგადასახადო გარემო უცხოური ბანკებისათვის.

შვეიცარია არის წამყვანი საერთაშორისო საბანკო ცენტრი ლიბერალური სავალუტო და საგადასახადო რეგულირებით. მისი ობლიგაციების ბაზარი არის ყველაზე მსხვილი მსოფლიოში (მეორე და მესამე ადგილზე არიან აშშ და იაპონია). აქციებისა და ოქროს შვეიცარული ბაზრები ასევე აქტიურები არიან. შვეიცარიის კაპიტალის ბაზარი არის ევროვალუტის მუანაბრებისათვის მომგებიანი ალტერნატივა. შედარებით მნიშვნელოვანი საერთაშორისო საბანკო

ოპერაცია შეეცარიაში არის ნდობის ანგარიშები, რომლებიც დაცულია კანონით ანაბრების ანონიმურობის თვალსაზრისით ნომერირებული საბანკო ანგარიშების გამოყენების მეშვეობით. შეეცარიის საერთაშორისო საბანკო სტატუსს ძირითადად ქმნის კომერციული ბანკების ე.წ. „დიდი სამეული“: შეეცარიის საბანკო კორპორაცია, შეეცარიის საკრედიტო ბანკი და შეეცარიის საბანკო კაეშირი, რომელიც წამყვან როლს ასრულებს საერთაშორისო ფულადი სახსრების მოდინებისა და განთავსების ბალანსის მართვის საქმეში. ამ პირობებში საერთაშორისო საპორტფელო ინვესტიციების მმართველებს ადვილად შეუძლიათ სახსრების ინვესტირება კაპიტალის ბაზარზე ანდა ევროვალუტის ბაზარზე მოახდინონ თავიანთი ლიკვიდური სახსრების დეპონირება.

შეეცარია არის წამყვანი საერთაშორისო საბანკო ცენტრი. მაგრამ მისი, როგორც საბანკო ცენტრის როლი გაცილებით ნელა იზრდებოდა, ვიდრე ლუქსენბურგის როლი. ამის მიზეზი იყო შეეცარიაში ბანკების რეგულირებისა და ლიცენზირების შედარებით მკაცრი წესები. უკანასკნელ პერიოდში შეეცარიის ბანკები ახდენენ სპეციალური სახსრების გადასროლას ლუქსენბურგის ფულის ბაზარზე თავიანთი ოფშორული საბანკო საქმიანობის განმტკიცების მიზნით.

ტოკიოს საფინანსო ცენტრი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიო საფინანსო მეურნეობაში. იაპონიის როლი მსოფლიო საფინანსო სისტემაში გაიზარდა 1970 წლიდან, როცა იენის კურსის სტაბილურობა ამაღლდა, სწრაფად იზრდებოდა ექსპორტი და უცხოური სავალუტო შემოსავლები, ძლიერი იყო კონკურენცია იაპონიის ბანკებს შორის, რათა დაეკავებინათ წამყვანი პოზიციები მსოფლიო საფინანსო სფეროში და ადგილი ჰქონოდა იაპონიის საფინანსო ბაზრის გაფართოებას. XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში იაპონია წამყვან როლს ასრულებს საერთაშორისო საბანკო სფეროში მისი მაღალ დონეზე განვითარებული ეკონომიკის, საგადაამხდელი ბალანსის აქტიური სალდოს დიდი მოცულობის, საერთაშორისო საბანკო აქტივებს უზარმაზარი სიდიდითა და თავისი ბანკების მთელს მსოფლიოში გავრცელების მეშვეობით.

იაპონია ევროსავალუტო ბაზრის წევრია 1960 წლიდან. ამ პერიოდში მან აიღო მნიშვნელოვანი სესხები ევროვალუტაში შიდა ეკონომიკის დასაფინანსებლად და ასევე გარეეკონომიკური საქმიანობისათვის. იაპონური იენის ინტერნაციონალიზაციამ გასული საუკუნის 80-იან წლებში გააძლიერა იაპონიის როლი საერთაშორისო საფინანსო სფეროში. 90-იანი წლების ბოლოს იაპონური იენის ხვედრითი წილი საერთაშორისო დაკრედიტებაში შეადგენდა 14 %-ს და სიდიდით ჩამორჩებოდა მხოლოდ აშშ-ს დოლარს (45 %) და გერმანულ მარკას. (15 %).

იაპონიის ოფშორული ბაზარი შეიქმნა 1986 წლის დეკემბერში. მისი მიზანი იყო იენის ინტერნაციონალიზაციის სტიმულირება, იაპონური საფინანსო ბაზრების ლიბერალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია ნიუიორკის საერთაშორისო საბანკო ზონების სისტემის მსგავსად, საშეღავათო რეჟიმებით.

გასული საუკუნის მიწურულში იაპონიის ოფშორული ბაზრის განვითარებაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტები: მისი წილი საერთაშორისო დაკრედიტებაში შეადგენდა 52,3 %-ს (424 მილიარდი დოლარი), მთლიანმა აქტივებმა ამ პერიოდში შეადგინა 461,8 მილიარდი დოლარი, ამათგან საფინანსო დაკრედიტებაზე მოდიოდა 53 %, ბანკთაშორისო დეპოზიტებისა და ონკოლურ სესხებზე – 44 % სესხის ამღებებიდან არარეზიდენტები შეადგენდნენ 78 %-ს. რეზიდენტები კი 22 %. რაც შეეხება ვალუტას, იაპონიის ოფშორული ბაზრის მთლიან აქტივებში იენის ხვედრითი წილი იყო 46 %, სხვა ვალუტებისა კი 54%.

იაპონიის ბანკები მნიშვნელოვან მოგებას ნახულობენ იაპონიის ოფშორული ბაზრის სწრაფი ზრდის შედეგად. აქ უცხოური ბანკების როლი უმნიშვნელოა, ვინაიდან კაპიტალური სახსრების ღირებულება ჰონკონგისა და სინგაპურის ოფშორულ ბაზრებზე გაცილებით დაბალია. ადგილობრივი გადასახადებისა და საგერბო მოსაკრებლების შემდგომი შემცირება იაპონიის ოფშორულ საფინანსო ბაზარს უფრო მიზიდველს გახდიდა როგორც იაპონური, ასევე უცხოური ბანკებისათვის.

საინტერესოა გავეცნოთ სინგაპურისა და ჰონკონგის საფინანსო ოფშორულ ბაზრებს.

სინგაპური ეს არის პატარა კუნძული 2,7 მილიონი

მოსახლეობით. ბუნებრივი რესურსების უკმარისობის გამო მისი ეკონომიკა სპეციალიზდება საფინანსო და საქმინ მომსახურებაზე, გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაზე. სინგაპურის ექსპორტი რეექსპორტის ჩათვლით დაახლოებით უტოლდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას, რაც ამ ქვეყნის ეკონომიკას ყველაზე უფრო გახსნილად წარმოგიდგენს მსოფლიოში. ქვეყნის ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის მდებარეობას გეოპოლიტიკურ სივრცეში. იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სატრანსპორტო გზების გადაკვეთაზე მდებარეობს.

ქვეყნის მთავრობამ 80-იანი წლების დასაწყისში დიდი როლი შეასრულა მისი ეკონომიკური ექსპანსიის საქმეში. 1985-1986 წლებში ქვეყნის ეკონომიკა კრიზისმა მოიცვა გემთმშენებლობის, ნავთობის გადამამუშავებისა და მშენებლობის დაქვეითების გამო, მაგრამ 1987-1989 წლებში ეკონომიკა აღმავლობის გზას დაადგა. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ყოველწლიური ზრდა შეადგენდა 9%, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა 8020 დოლარის ოდენობით. ყოველივე ამან განაპირობა სინგაპურისათვის ახალი ინდუსტრიული ქვეყნის სტატუსის მინიჭება.

სინგაპურის, როგორც საერთაშორისო ფინანსური ცენტრის სტატუსის გასამყარებლად მისმა მთავრობამ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

1. ამერიკის ბანკის ძალისხმევით სინგაპურმა შექმნა აზიური დოლარების ბაზარი (აზიური დოლარები ეს არის საბანკო დეპოზიტები დოლარებში, რომლებიც გნთავსებულია სინგაპურში და გამოიყენება აშშ-ს ფარგლებს გარეთ). ლიცენზიები გაიცა 170 ადგილობრივ და უცხოურ საბანკო დაწესებულებაზე ოფშორული ბანკების შექმნისა და ფუნქციონირების მიზნით;

2. სინგაპურის ხელმძღვანელი ფულად-საკრედიტო დაწესებულება, რომელიც 1971 წელს შეიქმნა, ახორციელებს ფინანსური ბაზრების სტიმულირებას და ფინანსური ინფრასტრუქტურის გაძლიერებას;

3. სინგაპურის საგადასახადო სისტემა უზრუნველყოფს საბანკო სახსრების დაბალ ღირებულებას;

4. სავალუტო კონტროლი მოიხსნა, რამაც ბანკებსა

და სხვა დაწესებულებებს საშუალება მისცა განეხორციელებინათ ფართო სპექტრით საქმიანობა სესხების აზიური ობლიგაციების გამოშვებისა და არბიტრაჟის ჩათვლით;

სამთავრობო პოლიტიკის შედეგად, რაც მიმართული იყო ფინანსური სფეროს სტიმულირებისაკენ, სინგაპურში მოქმედებს 120 უცხოური ბანკი, რომელთაგან 80 ოფშორულია. უცხოური ბანკების საქმიანობა და მათი მონაწილეობა გადახდის ბანკთაშორის სისტემაში (ამ სისტემას ქვია SHJFT, ბანკთაშორისი გადარიცხვების განმახორციელებელი სისტემა) სტიმულს აძლევს სინგაპურის ოფშორულ საბანკო საქმიანობას.

სინგაპურში ფინანსურ საქმიანობაში დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ხელისუფლება. ფინანსურ ქმედებებში დიდია ბანკთაშორისი აქტივების წილი, ბანკთაშორისი დეპოზიტებისა და დაკრედიტების წილად მოდის აქტივ-პასივების საერთო მოცულობის 75%. ფინანსური სახსრების მოდინება ხდება ლონდონიდან, ახლო აღმოსავლეთიდან, ნიუ-იორკიდან, იაპონიიდან.

სინგაპური სპეციალიზდება საბითუმო ოფშორულ საბანკო ოპერაციებზე, მაშინ როდესაც ჰონკონგი – საცალო დაკრედიტებაზე. უცხოური კაპიტალის მოდინება ხელს უწყობს კრედიტზე ფასების შემცირებას. სინგაპურში არის აგრეთვე პირობები სეოპის არბიტრაჟისათვის.

სინგაპურის ოფშორული საბანკო ბაზარი ფუნქციონირებს წარმატებით, რასაც ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით ხელსაყრელი პირობები და მეზობელი ქვეყნების აღმავლობა. ტოკიოში ოფშორული საბანკო ბაზრის ჩამოყალიბებამ ვერ შეარყია სინგაპურის ოფშორული ბაზრის მდგომარეობა, ვინაიდან იგი ორიენტირებულია მსოფლიო ფინანსური ბაზრის სხვა სეგმენტებზე.

ჰონკონგი არის ყოფილი ბრიტანული კოლონია, რომელიც 1997 წლიდან ჩინეთის შემადგენლობაშია. მოსახლეობა არის 5,5 მილიონი კაცი, აქედან 98 % ჩინელია. იგი არის თავისუფალი მეწარმეობის ქვეყანა, სადაც არ არსებობს გადასახადები იმპორტზე, საშემოსავლო გადასახადი სადემოკრატიულ შემოსავლებზე და სავალუტო კონტროლი, ასევე კონტროლი კაპიტალის მოძრაობაზე. ჰონკონგის ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენას ახდენს ინგლისის ყოფილი მდგომარეობა ქვეყანაში. ჩინეთთან,



სამხრეთ აღმოსავლეთ აზიასთან, ავსტრალიასთან, ტაივანთან და იაპონიასთან სიახლოვე. ჰონკონგს მჭიდრო სავაჭრო კავშირები აქვს აშშ-სთან. იგი არის უნიკალური მოვლენა მსოფლიო ფინანსურ ცენტრებს შორის. თუ 1950-1960 წლებში ჰონკონგის ეკონომიკის ძირითადი დარგი იყო რეექსპორტის ტიპის ვაჭრობა, 1960-70-იან წლებში იგი გადავიდა გადამამუშავებელ წარმოებაზე, ხოლო 1980-1990 წლებიდან ეწევა საფინანსო მომსახურებას. რეალური საშუალოწლიური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ბოლო პერიოდში არის 8 %, ხოლო შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე – 7000 აშშ დოლარი. ქვეყნის ეკონომიკა მოწინავე პოზიციებს ინარჩუნებს ვაჭრობის მაშტაბების ზრდითა და ჩინეთთან ეკონომიკური კავშირების განმტკიცებით.

ჰონკონგის ეკონომიკის აყვავება განაპირობა უძრავი ქონების, გადამამუშავებელი მრეწველობის, საერთაშორისო ვაჭრობის და საფინანსო მომსახურების განვითარებამ. საფინანსო მომსახურებას ახორციელებს საბანკო დეპარტამენტი, იგი ანგარიშვალდებულია ფინანსთა სამინისტროს წინაშე, ახორციელებს მეთვალყურეობას არაოფიციალური ცენტრალურ ბანკზე, ჰონკონგისა და შანხაის საბანკო კორპორაციებზე; 44 ადგილობრივ და უცხოურ ბანკებზე და 339 კომპანიაზე, რომლებიც დებულობენ სესხებს.

საბანკო სამიანობის ლიბერალური რეგულირება, ბრიტანეთის, აშშ-ს, იაპონიის, კანადის, საფრანგეთის და სინგაპურის ბანკების არსებობა ჰონკონგს საშუალებას აძლევს განახორციელოს სხვადასხვა სახის საბანკო მომსახურება. ჰონკონგის ფინანსური ბაზრების საიმედოება დამატებით გაიზარდა აშშ-ს დოლარსა და ჰონკონგის დოლარს შორის მჭიდრო კავშირის მეშვეობით. 1 აშშ-ს დოლარი ტოლია 7,8 ჰონკონგის დოლარისა.

ჰონკონგის ოფშორულ საბანკო ბაზარზე ხორციელდება აქტიური საქმიანობა სინდიცირებული საბანკო სესხების გაცემის, კომერციული ქაღალდების და სადემოზიტო სერთიფიკატებით ოპერაციების სახით. 90-იანი წლების ბოლოს ჰონკონგში ფინანსური ბაზარი მნიშვნელოვნად შეიცვალა, შემცირდა სესხების ქვეყნის შიგნით გამოყენების მაჩვენებელი 57 %-დან 27 %-მდე, ხოლო საგარეო დაკრედიტების მაჩვენებელი 44 %-დან 73 %-მდე გაიზარდა.

უცხოელი მეანბრეებს დაკრედიტების ზრდა ჰონკონგის აქტიური ოფშორული საბანკო საქმიანობის დამადასტურებელია. ოფშორული სესხების უმეტესობა ჰონკონგში ხორციელდება უცხოურ ვალუტაში, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ოფშორული დაკრედიტების საერთო მოცულობის 70 % ხორციელდებოდა უცხოური ვალუტით, ხოლო 30 % ჰონკონგის დოლარებით.

დღეისათვის ჰონკონგს აქვს საერთაშორისო საფინანსო ცენტრის სტატუსი. მსოფლიო თანამეგობრობა გამოთქვამს შეშფოთებას იმის გამო, რომ ჩინეთ-ბრიტანეთის შეთანხმების საფუძველზე ჰონკონგი 1997 წლიდან გადავიდა ჩინეთის განკარგულებაში. ჩინეთის რესპუბლიკა ჰონკონგს, როგორც განსაკუთრებული ადმინისტრაციულ რეგიონს ნებას რთავს შეინარჩუნოს არსებული კაპიტალისტური სისტემა 50 წლის განმავლობაში (1997-2047 წლები).

ჰონკონგის ფინანსური ბაზრის მონაწილეთა უმეტესობა იმედს გამოთქვამს, რომ ჩინეთი ჰონკონგს შეუნარჩუნებს არსებულ სტატუსს. ვინაიდან ეს ქვეყანა სასარგებლო შეიძლება იყოს ჩინეთისათვის ვაჭრობის, საფინანსო სფეროს და სავალუტო შემოსავლების აქტივიზაციის კუთხით.

ოფშორული საფინანსო ცენტრების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნიუ-იორკის საერთაშორისო საბანკო ზონის სისტემას შეღავათიანი რეჟიმებით (JBF). ნიუ-იორკის საერთაშორისო საბანკო ზონის სისტემა ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 60-იან წლებში. ეს მოხდა იმის საპასუხოდ, რომ შემოღებული იქნა ამერიკული ბანკების საგარეო დაკრედიტების შეზღუდვა კაპიტალების მოძრაობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით. ნიუ-იორკის ოფშორული ბანკების სისტემა ეს არის ოფშორული საბანკო ერთეულის აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშების ერთობლიობა. ფედერალური სარეზერვო სისტემა JBF-ის წინააღმდეგ გამოვიდა, ვინაიდან, მისი აზრით, იგი ხელს შეუშლიდა ქვეყანაში შიდა ფულადი პოლიტიკის გატარებას. (არსებობდა ფულადი სახსრების კაპიტალის წრებრუნვიდან გადინების საფრთხე ქვეყნის შიდა და ოფშორულ ბაზრებს შორის).

კონტროლი კაპიტალის მოძრაობაზე აშშ-ში მოიხსნა 1974 წლიდან და გაგრძელდა უცხოური კაპიტალის (ძირითადად ნავთობდოლარები) რეგისტრაცია კარიბის

ოფშორულ საბანკო ცენტრებში. ამასთან მიმართებაში ნიუ-იორკის საკლირინგო პალატის ასოციაციამ მხარი დაუჭირა JBF-ის კონფერენციას. ამის გარდა ნიუ-იორკის საკანონმდებლო ორგანომ JBF გაათავისუფლა შტატების და ადგილობრივი გადასახადებისაგან, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ JBF-ის გამოყენება აღმოჩნდებოდა მომგებიანი და შემოსავლიანი.

ფედერალურმა ცენტრალურმა ბანკმა 1981 წლის დეკემბერში შეიტანა რიგი ცვლილებები კანონმდებლობაში, რათა აშშ-ში საერთაშორისო საბანკო მომსახურება განხორციელებულიყო. პირველი სტრუქტურული ერთეულები საბანკო ზონებისა (JBF) ნიუ-იორკში ამ პერიოდიდან იქმნება. ეს არის. პერიოდი, როცა მთელს მსოფლიოში დაბალია ინფლაციის ტემპები. 90-იანრი წლებიდან აშშ-ს წილი ოფშორული დაკრედიტებაში გაიზარდა 9,4 %-მდე. ამ მაჩვენებლის მიხედვით იგი მხოლოდ დიდ ბრიტანეთსა და იაპონიას ჩამოუვარდებოდა. დემოზიტები, მიღებული უცხოელი რეზიდენტებისაგან, ასევე მათზე გაცემული კრედიტები არ ექვემდებარება სარეზერვო მოთხოვნებს, საპროცენტო განაკვეთის მოთხოვნებს. ფედერალური სარეზერვო სისტემის პირობების მიხედვით ოფშორული საბანკო ზონები აშშ-ში შეიძლება შეიქმნას ამერიკელი დაწესებულება-დემოზიტების, კორპორაციების მიერ სპეციალური კანონის მიხედვით, რომელიც 1919 წელსაა მიღებული აშშ-ს ბანკებს უცხოეთის ქვეყნები ფილიალების შექმნის შესახებ, ასევე შეიძლება აშშ-ში შეიქმნას უცხოური ბანკების ფილიალები და სააგენტოები. ზემოთაღნიშნული კანონის მიხედვით ქვეყანაში შეიძლება შეიქმნას პრივილეგირებული საინვესტიციო საბანკო კორპორაციები. ეს კორპორაციები ახორციელებდნენ საერთო ხასიათის საინვესტიციო, საბანკო აქტივობას და ფლობდნენ უცხოური ბანკებისა და ფინანსური კორპორაციების აქციებს. მართალია ოფშორული საბანკო ზონები არ იბეგრება შტატებისა და ადგილობრივი გადასახადებით, მათგან ამოიღება ფედერალური საშემოსავლო გადასახადი.

ისე როგორც ევრობანკების მომსახურება, ოფშორული საბანკო ზონების საქმიანობაც ემყარება მხოლოდ მოკლევადიანი დემოზიტების შენახვას. არასაბანკო დაწესებულებების მოკლევადიანი დემოზიტების შენახვის

მინიმალური ვადაა 2 სამუშაო დღე და მინიმალური სიდიდე – 100 000 დოლარი. უცხოური ბანკების, უცხოური ცენტრალური ბანკების ოფიციალური დაწესებულებების და სხვა ოფშორული საბანკო დაწესებულებების, ასევე ამერიკული მეთაური ბანკების მოკლევადიანი დეპოზიტების ვადაა 1 დღე და მეტი. JBF-ის ოპერაციები ხორციელდება აშშ-ს დოლარებში და უცხოურ ვალუტაში. აშშ-ს ოფშორული საბანკო ზონები მუშაობენ მხოლოდ იმ დეპოზიტებით, რაც საჭიროა ოპერაციების დასაფინანსებლად ასევე აშშ-ის ფარგლებს გარეთ. ეს იმას ნიშნავს რომ დაუშვებელია რაიმე ფარული ოპერაციები. სახსრები, რომელიც უკან ბრუნდება შიდა საბანკო არხებით, ექვემდებარება ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ დადგენილ წესებს. დეპოზიტების დამზღვევი ფედერალური კორპორაცია JBF-ის დეპოზიტების დაზღვევას არ აწარმოებს.

JBF-ის შექმნიდან აშშ-ში მისი აქტივები 55 მილიარდი დოლარიდან (1981 წ.) გაიზარდა 152 მილიარდ დოლარამდე (1982 წ.). ე.ი. წლიურმა ზრდამ 175% შეადგინა. მოგვიანებით ეს მაჩვენებელი შემცირდა საერთაშორისო დავალიანების პრობლემის გამო. ბოლო პერიოდში ყოველწლიური ზრდის ეს მაჩვენებელი 20 %-ს შეადგენს.

ფედერალური სარეზერვო ბანკის მონაცემებით 90-იანი წლების ბოლოს აშშ-ს ოფშორული ბანკების ზონის მთელი აქტივების 70 % ეკუთვნოდა უცხოური ბანკების ფილიალებსა და სააგენტოებს და 30 % კი აშშ-ს პრივილეგირებულ ბანკებს. ოფშორული საბანკო საქმიანობა აშშ-ში ხელს უწყობს ევროვალუტის ბაზრის განვითარების შემდგომ სტიმულირებას. ამის გარდა ნიუ-იორკის ოფშორული ბანკების დომინირებული მდგომარეობა მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე ზრდის ამერიკული წამყვანი ფულად-საკრედიტო დაწესებულებების გაელენას საერთაშორისო ფინანსურ ურთიერთობებში, მაგალითად, ოფშორული საბანკო ბაზრის რეგულირებაში, ევროვალუტის ბაზრის მეთვალყურეობაში, საერთაშორისო საბანკო საქმიანობის მართვაში. ეს ხდება იმიტომ, რომ ოფშორული საბანკო სახსრების სულ უფრო დიდი და დიდი ნაწილი კონცენტრირდება აშშ-ს ოფშორულ საბანკო ოფისებში.

თანამედროვე პირობებში ნიუ-იორკი, ლონდონი და ტოკიო არის მსოფლიო ოფშორული საბანკო საქმიანობის

სამი მთავარი ცენტრი.

ამერიკული საბანკო ოფშორული ზონების უპირატესობანია ის, რომ მათი და აშშ-ს მეთაური ბანკის ერთი და იგივე ადგილმდებარეობა შესაძლებელს ხდის მათ უკეთ მართვას, ასევე ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა და დოლარის მყარი კურსი ამცირებს იმ უცხოელი დეპონენტების რისკს, რომელთაც სახსრები განათავსეს აშშ-ს ოფშორულ ბაზარზე.

ამერიკულ საბანკო ოფშორულ ზონებს აქვს რიგი ნაკლოვანებებიც, კერძოდ, ლონდონის ზონებისაგან განსხვავებით ისინი არ ღებულობენ დეპოზიტებს და არ აძლევენ კრედიტებს ამერიკულ რეზიდენტებს, ასევე ამერიკული ზონები არ ღებულობენ ანაბრებს მოთხოვნამდე და არ უშეებენ სადეპოზიტო სერთიფიკატებს. ეს ზონები იბეგრება ფედერალური საშემოსავლო გადასახადით, მაშინ როდესაც ოფშორული საბანკო საქმიანობა კაიმანის და ბაგამის კუნძულებზე განთავისუფლებულია ასეთი გადასახადისაგან და ბოლოს ეს ზონები არ ხსნიან საიდუმლო ნდობის ანაბრებს შვეიცარიისაგან განსხვავებით. საინტერესოა გავეცნოთ ასევე კარიბის ოფშორული ბაზრების საქმიანობასაც. კარიბის ოფშორული საბანკო ცენტრები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საერთაშორისო დაკრედიტებაში, კერძოდ ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის, განსაკუთრებით 70-იანი წლების ნავთობის კრიზის დროს. კარიბის ოფშორული ბაზრები მოიცავენ ბაგამის, კაიმანის კუნძულებს, ნიდერლანდებს ანტილიის კუნძულებსა და პანამას. ნიდერლანდების ანტილიის კუნძულების ოფშორული ცენტრები სპეციალიზდებიან ევროობლიგაციების გარიგებებზე. გასული საუკუნის 80-იან წლებში კარიბის ოფშორული ბაზრების საქმიანობაზე დიდი გავლენა მოახდინა რეგიონში მიმდინარე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიტუაციამ. სავალო კრიზისი და ნელი ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად ამცირებენ ოფშორული ბაზრების ზრდის ტემპებს. არსებობდა ასევე პოლიტიკური პრობლემებიც, რაც ძირითადად ნარკობიზნესთან იყო დაკავშირებული.

თანამედროვე პირობებში კაიმანის კუნძულები მთელი მსოფლიოს ბანკირთა ყურადღებას იპყრობს. ეს კუნძულები

ბრიტანეთის იურისდიქციის ქვეშაა და იღებენ პასუხისმგებლობას თავიანთი საკუთარი კანონების გატარებაზეც. კაიმიანის კუნძულები უცხოურ ბანკირებს იზიდავენ რიგი მიზეზების გამო. ესენია რეგიონის პოლიტიკური სტაბილურობა, საგადასახადო დაბეგვრის არარსებობა, საბანკო კონფედენციალობის დაცვა, კუნძულების აშშ-სთან კარგი სატრანსპორტო კავშირები, საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების არსებობა და ა.შ. კარიბის ზონის ოფშერული ბანკების მოქმედებაზე ძირითადად გავლენას ახდენს ამერიკული ბანკები. 90-იანი წლების ბოლოს ბაგამის და კაიმიანის კუნძულების ბანკებში ამერიკული ბანკების ფილიალების აქტივებმა შეადგინა 168 მლრდ დოლარი. ამ მაჩვენებლის ზრდის ტემპები დაბალია იმის გამო, რომ ლათინური ამერიკის დავალიანების მაჩვენებელი დიდია, რაც ანელებს საბანკო საქმიანობის აქტივობას.

### კითხვები თვითკონტროლისათვის

1. რა თავისებურებებით ხასდიათდება თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა?
2. რა ძირითადი ეტაპები გაიარა ფინანსურმა ეკონომიკამ XX საუკუნის მანძილზე?
3. რა უპირატესობით სარგებლობენ ევრობანკები ქვეყნის შიდა ბანკებთან შედარებით?
4. დაახასიათეთ ოფშორული საფინანსო ცენტრების ძირითადი ტიპები.
5. რამ შეუწყო ხელი სინგაპურში ოფშორული საბანკო ცენტრების წარმოშობას?
6. რას წარმოადგენს აზიური დოლარების ბაზარი?
7. რა მიზეზებმა განაპირობა აშშ-ში ოფშორული საბანკო ცენტრების წარმოშობა?
8. თანამედროვე პირობებში რომელი ქალაქები წარმოადგენენ მსოფლიო ოფშორული საბანკო საქმიანობის მთავარ ცენტრებს?

## ტესტები

1. ფინანსურმა ეკონომიკამ XX საუკუნის მანძილზე გაიარა:

- ა) 4 ძირითადი ეტაპი;
- ბ) 5 ძირითადი ეტაპი;
- გ) 6 ძირითადი ეტაპი;
- დ) 7 ძირითადი ეტაპი.

2. თანამედროვე მსოფლიო ფინანსური ბაზრები შედგება:

- ა) ორი ძირითადი ნაწილისაგან;
- ბ) სამი ძირითადი ნაწილისაგან;
- გ) ოთხი ძირითადი ნაწილისაგან;
- დ) ხუთი ძირითადი ნაწილისაგან.

3. ოფშორული საბანკო ცენტრები შეიძლება დაიყოს ე.წ.:

- ა) „ფუნქციონალურ“ და „ქალაქის“ ცენტრებად;
- ბ) „ვალუტის“ და „ობლიგაციების“ ცენტრებად;
- გ) „მმართველურ“ და „პერსპექტიულ“ ცენტრებად;
- დ) „ფუნქციონალურ“ და „მომსახურების“ ცენტრებად.

4. ოფშორული საბანკო ცენტრების აღმოცენება დაიწყო:

- ა) XIX ს. დასასრულიდან;
- ბ) XX ს. 20-იან წლებში;
- გ) მეორე მსოფლიო ომის დასასრულების შემდგომ;
- დ) XX ს. 60-იან წლებში.

5. არსებობს ოფშორული საფინანსო ბაზრების:

- ა) სამი ძირითადი ტიპი;
- ბ) ოთხი ძირითადი ტიპი;
- გ) ხუთი ძირითადი ტიპი;
- დ) ექვსი ძირითადი ტიპი.

6. ოფშორული საბანკო ბაზრები გასული საუკუნის 60-იან წლებში პირველად აღმოცენდა:

- ა) აშშ-სა და კანადაში;
- ბ) შვეიცარიასა და ლუქსემბურგში;
- გ) სინგაპურში და ბაგამის კუნძულებზე;
- დ) იაპონიასა და ჰონკონგში.

7. საბანკო დეპოზიტები აშშ დოლარებში, რომლებიც გნთავსებულია სინგაპურში და გამოიყენება აშშ-ს ფარგლებს გარეთ მოიხსენიება, როგორც:

- ა) სინგაპურის დოლარი;
- ბ) ექსტრადირებული დოლარები;

- გ) აზიური დოლარები;
- დ) ევრაზიული დოლერები.

8. აშშ-ში ოფშორული საბანკო ზონები არ იბეგრება შტატებისა და ადგილობრივი გადასახადებით, მაგრამ მათგან ამოიღება:

- ა) ფედერალური საშემოსავლო გადასახადი;
- ბ) გადასახადი საეალუტო ოპერაციებზე;
- გ) საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადები;
- დ) პირდაპირი გადასახადები.

9. თანამედროვე პირობებში მსოფლიო ოფშორული საბანკო საქმიანობის სამი მთავარი ცენტრია:

- ა) ნიუ-იორკი, ციურიხი და ჰონ-კონგი;
- ბ) ფრანკფურტი, ლუქსემბურგი და ლონდონი;
- გ) პარიზი, ამსტერდამი და ტოკიო;
- დ) ნიუ-იორკი, ლონდონი და ტოკიო.

10) არ ღებულობენ დეპოზიტებს და არ აძლევენ კრედიტებს ამერიკულ რეზიდენტებს, არ ღებულობენ ანაბრებს მოთხოვნამდე და არ უშვებენ სადეპოზიტო სერთიფიკატებს, ასევე არ ხსნიან საიდუმლო ნდობის ანაბრებს:

- ა) აზიის საბანკო ოფშორული ზონები;
- ბ) აშშ-ს საბანკო ოფშორული ზონები;
- გ) ევროპული საბანკო ოფშორული ზონები;
- დ) კარიბის საბანკო ოფშორული ზონები.



## თემა 13. კომერციული ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება

*შემოსავლები შეიძლება და უნდა იყოს  
კიდევ დამოკიდებული შრომის შედეგებასა  
და საკუთრების ოდენობაზე*

*ი.ლიხსიცი*

### 13.1 შემოსავლებისა და ხარჯების არსი და კლასიფიკაცია

საწარმოს- საქმიანობის შედეგის შესაფასებლად აუცილებელია მოგების ოდენობის დადგენა, რისთვისაც საჭიროა ორი ელემენტი: საერთო შემოსავალი და საერთო ხარჯები. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები შემოსავლებსა და ხარჯებს შემდგენაირად განმარტავს:

შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებთან.

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოებიდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრისათვის კაპიტალის განაწილებასთან.

შემოსავლების ცნება მოიცავს ამონაგებსა და შემოსულობას (სხვა შემოსავლებს). ამონაგები წარმოიშობა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში და ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით: მაგალითად, ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან, ამონაგები მომსახურების გაწევიდან, პროცენტი, დივიდენდი, როიალტი და საიჯარო ქირა.

შემოსულობა მოიცავს დანარჩენ შემოსავლებს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, როგორც ჩვეულებრივი, ისე არაორდინალური საქმიანობის პროცესში. ამონაგების

მსგავსად, შემოსულობა გულისხმობს საწარმოს ეკონომიკური სარგებლის გადიდებას. ამ მოსაზრებით, შემოსულობა არ განსხვავდება ამონაგებისაგან. ამიტომ მას სტანდარტები ცალკე არ განიხილავს. შემოსულობის მაგალითია ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული დადებითი შედეგი.

შემოსავლების ცნება გულისხმობს არარეალიზებულ შემოსულობებსაც, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების გადაფასებით ან გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ღირებულების ზრდით. თუ საანგარიშგებო პერიოდში ადგილი ჰქონდა შემოსულობების აღიარებას მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში, საწარმო ვალდებულია ისინი ასახოს ცალკე მუხლად. მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შემოსულობებს უფრო ხშირად ასახავენ მათ მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების გამკლებით.

ხარჯების ცნება მოიცავს ზარალს, ასევე ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობასთან. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, ხელფასი და ცვეთა. როგორც წესი, საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები პრაქტიკაში სხვადასხვა აქტივების (მათ შორის ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის, ძირითადი საშუალებების) შემცირების ან საწარმოდან გადინების ფორმას იღებს.

საწარმოს ზარალი მოიცავს სხვა ელემენტებსაც, რომელიც ასევე თავსებადია ხარჯების ცნებასთან და შეიძლება წარმოიშვას საწარმოს საქმიანობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე არაორდინალურ პირობებში. ზარალი ასახავს საწარმოდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას, და ამდენად, თავისი ბუნებით არ განსხვავდება სხვა ხარჯებისაგან.

ზარალი შეიძლება წარმოიშვას საწარმოს არაორდინალური საქმიანობის პროცესშიც რაიმე სტიქიური უბედურების ან კატასტროფების გამო (წყალდიდობა, ხანძარი და სხვა). ხარჯების ცნება ასევე მოიცავს განუხორციელებლ ზარალს. მაგალითად, იგი შეიძლება წარმოიშვას უცხოური ვალუტის კურსის ეროვნულთან

შედარების ზრდის გამო, თუ საწარმოს ჰქონდა სავალუტო კრედიტორული დავალიანება. მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში, ზარალის აღიარების შემთხვევაში, იგი ცალკეული მუხლის სახით უნდა აისახოს. მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში ზარალი ხშირად აისახება მასთან დაკავშირებული შემოსავლების გარეშე.

შემოსავლებისა და ხარჯების არსის განსაზღვრისას, რამდენჯერმე ვახსენეთ საწარმოს ჩვეულებრივ და ორდინალურ საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები. მათი განმარტება მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რადგან მოგებისა და ზარალის ანგარიშგების და შესაბამისად, შემოსავლებისა და ხარჯების სააღრიცხვო სტრუქტურა სწორედ მათთან არის დაკავშირებული.

ბასს-ის მიხედვით ჩვეულებრივ საქმიანობას უწოდებენ ნებისმიერ საქმიანობას, რომელსაც საწარმო ახორციელებს, როგორც თავისი საქმიანობის ნაწილს, ასევე ისეთ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ძირითად საქმიანობასთან ან გამომდინარეობს მისგან (ბასს 8, პურქტი 6).

არაორდინალურია მოვლენა, რომელიც საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში განსაკუთრებული მუხლების არსებობას განაპირობებს.

განსაკუთრებული მუხლები არის საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობისაგან აშკარად განსხვავებული სამეურნეო მოვალეობებისა და ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც რეგულარულად ან ხშირად არ მეორდება.

აღრიცხვისა და ანგარიშგების მიზნებისათვის ჩვეულებრივი საქმიანობის ხარჯები და შემოსავლები პირობითად შეიძლება დაიყოს საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებად და შემოსავლებად. ბასს ასეთ კლასიფიკაციას პირდაპირ არ გეთავაზობს, მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება ვისარგებლოთ ბასს 7-ის მოთხოვნით, რომელიც საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო მიზნით ფულადი ნაკადების მიმართ ერთიანი მიდგომა მოცემული სტანდარტითაც არ არსებობს. კერძოდ, იგი შეეხება პროცენტებს, დივიდენდებსა და მოგების გადასახადის ხარჯს, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება განხილულ იქნას როგორც საოპერაციო,

საფინანსო ან საინვესტიციო საქმიანობა. შემოსავლებისა და ხარჯების პირობითი დაყოფა აუცილებელია შემოსავლებისა და ხარჯების სახეების მიხედვით, აღრიცხვის გაადვილების თვალსაზრისით.

საოპერაციო ხარჯებისა და შემოსავლების სააღრიცხვო მიზნით დაჯგუფებას, საფუძვლად უდევს მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენის მეთოდი. ხარჯები უნდა დაიყოს ქვეჯგუფებად, ისეთმა კომპონენტებმა, რომლებიც შესაძლოა ერთმანეთისაგან გასხვავდებოდეს სტაბილურობის, ამონაგებისა და ზარალის პროგნოზირების შესაძლებლობების თვალსაზრისით. ასეთი დაყოფის ორი გზა არსებობს. პირველი მოიხსენიება, როგორც ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით დაჯგუფების მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებისას, ხარჯების მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აისახება მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. შესაბამისად, აუცილებელია აღრიცხვა სათანადო ჯგუფების მიხედვით ხდებოდეს. ამიტომ საწარმო ხარჯების აღსარიცხვად იყენებს ისეთ ანგარიშებს, როგორიცაა: ცვეთა, მასალების შექმნა, ტრანსპორტირების დანახარჯები, ხელფასები და გასამრჯელოები, რეკლამის ხარჯები და სხვა ე.ი. არ ხდება ხარჯების დაჯგუფება ფუნქციების მიხედვით. ხარჯების დაჯგუფება ფუნქციების მიხედვით ხდება მეორე მეთოდით. სწორედ ამიტომ, იგი მოიხსენიება, როგორც ხარჯების ფუნქციონალური დანიშნულებით დაჯგუფების მეთოდი. ამ შემთხვევაში ხარჯები აღირიცხება და ანგარიშგების მიზნით ჯგუფდება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების, ადმინისტრაციული და კომერციული ხარჯების სახით.

## 13.2 შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება და აღიარება

შემოსავლის აღიარება. შემოსავლების აღიარება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ეკონომიკური სარგებელი გაიზრდება აქტივების ზრდით, ან ვალდებულებების შემცირებით და შესაძლებელი იქნება მისი საიმედოდ შეფასება ე.ი. შემოსავლის აღიარება უნდა მოხდეს მაშინვე, როდესაც აღიარებული იქნება აქტივების ზრდა ან ვალდებულებების შემცირება. შეზღუდულია ისეთი შემოსავლების აღიარება, რომლის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია. შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს ამონაგები წარმოადგენს. ამიტომ სასურველია შევხვთ ამონაგების აღიარების კრიტერიუმებს.

ამონაგები არის საწარმოში შემოსული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხა, რომელიც მიიღება საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან და გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტიციების გარეშე.

ამონაგები მიიღება საქონლის გაყიდვიდან, მომსახურების გაწევიდან ან სხვა ჩვეულებრივი საქმიანობიდან.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც ჩვეულებრივ ასოცირდება საკუთრების უფლებასთან ან არ ახორციელებს გაყიდულ საქონელზე ფაქტობრივ კონტროლს;
- თუ შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- თუ შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

- თუ მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარეგებალს;
- თუ შესაძლებელია, რომ მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯები განისაზღვროს საიმედოდ.

ოპერაცია გაყიდვად არ ითვლება და შემოსავლის აღიარება არ ხდება, თუ საწარმო ინარჩუნებს მფლობელობის მნიშვნელოვან რისკებს, მაგალითად, შემოსავლის აღიარება არ ხდება მაშინ, როდესაც:

- საწარმო იტოვებს არაღამაკმაყოფილებელ მიწოდებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას, რომელიც არ იფარება სტანდარტული საგარანტიო ვალდებულებით;
- საწარმოში რომელიმე საქონლის რეალიზაციიდან ამონაგების მიღება დამოკიდებულია მყიდველის ამონაგების წყაროზე, რომელიც მან თავისი საქონლის რეალიზაციის შედეგად უნდა მიიღოს;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გაგზავნილი საქონლის დამონტაჟება და ეს პირობა მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულებაა, რომელიც საწარმოს ჯერ არ შეუსრულებია;
- მყიდველს უფლება აქვს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობის თანახმად, უარი თქვას საქონლის შექმნაზე და ამდენად, საწარმოსათვის გაურკვეველია უკუგების მიღების შესაძლებლობა.

თუ საექვოა ამონაგების მიღების შესაძლებლობა, ამონაგებიდან აღმოიფხვრება ოპერაციის შესრულებასთან დაკავშირებული საექვო პირობები.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისათვის მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მითითებით. მომსახურების შედეგების შეფასება საიმედოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმა-

ყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

ბ) მოსალოდნელია მოცემული ოპრეაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა ბალანსის შედგენის თარიღისათვის;

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევის სტადიის გათვალისწინებით, ამონაგების აღიარება ცნობილია პროცენტული შესრულების მეთოდის სახელწოდებით. ამ მეთოდის თანახმად, ამონაგების ასახვა ხდება მომსახურების გაწევის შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში.

ამონაგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, თუ მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება:

ა) თითოეული მხარის მიერ მომსახურებასთან დაკავშირებული უფლებების უზრუნველყოფისა და დაკამყოფილების პირობები;

ბ) ანაზღაურების პირობები;

გ) აგარიშსწორების წესი.

როდესაც მომსახურების გაწევა ხდება მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შემოსავლის აღიარება ხდება თანაბარზომიერად, მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ არ არსებობს იმის საფუძველი, რომ რომელიმე სხვა მეთოდის გამოყენებით უფრო ზუსტად შეიძლება მომსახურების შესრულების სტადიის ასახვა.

თუ შეუძლებელია მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ შემოსავლების ასახვა ხდება მხოლოდ დასაფარავი ხარჯების უკვე აღიარებული თანხის ფარგლებში.

თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში პროცენტების, როილტებისა და დივიდენდების სახით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება, მაშინ მათი აღიარება

უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

- პროცენტების აღიარება-ასახვა უნდა მოხდეს იმ დროის პროპორციულად, რომელშიც გათვალისწინებულია შესაბამისი აქტივიდან ფაქტობრივი საბოლოო შედეგების მიღება;
- როიალტების აღიარება-ასახვა ხდება დარიცხვის მეთოდით შეთანხმების შინაარსის შესაბამისად;
- დივიდენდების აღიარება-ასახვა ხდება მაშინ, როგორც კი ძალაში შევა აქციონერის უფლება დივიდენდების მიღების.

ზოგი ეკონომიკური სარგებელი შეიძლება აკმაყოფილებდეს შემოსავლების კრიტერიუმებს, მაგრამ სხვა სტანდარტების მოთხოვნით შეიძლება არ აღიარდეს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ასეთი შემოსავლების მაგალითია გადაფასების რეზერვი, რომელიც გადატანილია საკუთარი უცხოური სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში საკურსო სხვაობების ცვლილებით მიღებული შემოსავლები.

შემოსავლების აღიარება ცალკეულ შემთხვევაში გარიგების პირობების შესწავლას მოითხოვს. კონკრეტული შემთხვევები ქვემოთ იქნება განხილული.

ამონაგების შეფასება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

რეალური (სამართლიანი) ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც აქტივი შეიძლება გაიცვალოს ან ვალდებულია დაიფაროს დაინტერესებულ და საქმის მცოდნე მხარეებს შორის, რომელთა შორის თითქოს არ არსებობს რაიმე ურთიერთკავშირი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად.

სამეურნეო ოპერაციებიდან გამომდინარე, ამონაგები განისაზღვრება საწარმოსა და აქტივის მყიდველს ან მომხმარებელს შორის სათანადო გარიგების საფუძველზე. მისი შეფასება ხდება საწარმოს მიერ მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში ნებისმიერი სავაჭრო დათმობის თანხისა და ფასდათმობის გათვალისწინებით. რადგანაც ანაზღაურება უფრო ხშირად ფულის ან ფულადი სახსრების ეკვივალენტის სახით ხდება, ამონაგების ოდენობაც მისაღები ან მიღებული თანხის ან



მისი ეკვივალენტის ტოლია.

ამონაგების შეფასებისა და აღიარებისას აუცილებელია ოპერაციის სწორად განსჯა. იგი უნდა გახდეს ოპერაციის შინაარსის დადგენის საფუძველი. არის შემთხვევა, როდესაც გაყიდვის ოპერაცია ფინანსური ოპერაციის შინაარსის მატარებელია. იგი ეხება შემთხვევებს, რომელიც საქონლის უპროცენტო კრედიტით ან საბაზროზე დაბალი განაკვეთით თამასუქით გაყიდვასთანაა დაკავშირებული. ასეთი გაყიდვების პირობებში, ამონაგების სამართლიანად შეფასებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს დისკონტირების პირობითი საპროცენტო განაკვეთი. შემოსავალი აღიარდება გაყიდვიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლის სახით. პირობითი საპროცენტო განაკვეთი არის სიდიდე, რომელსაც უფრო მკვეთრად განსაზღვრავს:

- ანალოგიური კრედიტუნარიანობის რეიტინგის მქონე ემიტენტის ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტის გაბატონებული განაკვეთი;
- საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის ნომინალური ღირებულების დისკონტირებას ახდენს საქონლის ან მოსახურების დაუყოვნებლივი ანგარიშსწორების გასაყიდ ფასამდე (ბასს 18, პუნტი 11).

გარდა იმისა, რომ გაყიდული საქონელი ან გაწეული მომსახურება ნაზღაურდება ფულით ან ფულადი სახსრების ექვივალენტით, საქონელი და მომსახურება შეიძლება გაიცვალოს საქონელსა და მომსახურებაზე. გაცვლითი ოპერაციების დროს შესაძლებელია ადგილი ქონდეს ამონაგების წარმომშობ მოვლენას. ამონაგების წარმომშობ სამეურნეო მოვლენად არ ითვლება საქონლისა და მომსახურების გაცვლა ანალოგიური ბუნებისა და სიდიდის საქონელსა და მომსახურებაზე. თუ საქონელი და მომსახურება იცვლება განსხვავებული სახის საქონელსა და მომსახურებაზე, ასეთი გაცვლა ითვლება ამონაგების წარმომქმნელ ოპერაციად. ამონაგების თანხა განისაზღვრება მიღებული საქონლისა და მომსახურების რეალური ღირებულების მიხედვით, რომელიც კორექტირდება მიღებული ან გადახდილი ფულის ან მისი ექვივალენტის ოდენობით. თუ ძნელია მიღებული საქონლის

ან მომსახურების რეალური ღირებულების საიმედოდ დადგენა, ამონაგების შეფასება ხდება გაცემული საქონლისა და მომსახურების რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება მიღებული ან გაცემული ფულისა და ფულადი სახსრების ექვივალენტის ოდენობით.

ხარჯების აღიარება და შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება მაშინ, თუ საწარმოებიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და თუ შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარებისათვის აუცილებელია არსებობდეს დანახარჯების გაწვევასა და შემოსავლების მიღებას შორის პირდაპირი კავშირი. ეს არის ამონაგებისა და ხარჯების შესაბამისობის პრინციპი. იგი გულისხმობს ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციით, ან მოვლენით გამოწვეული ხარჯებისა და ამონაგების ერთდროულად აღიარება-ასახვას. მაგალითად, პროდუქციის რეალიზაციაზე გაწეული სხვადასხვა სახის ხარჯი აღიარებული იქნება მაშინვე, როგორც კი საწარმო მიიღებს შემოსავალს მოცემული პროდუქციის რეალიზაციიდან.

გაყიდული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულების ხარჯებად აღიარების პროცესს შესაბამისობაში მოჰყავს გაწეული დანახარჯები და ამონაგები. შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობის პრინციპი ზოგჯერ არარეალიზებული ხარჯების აღიარებასაც განაპირობებს. მაგალითად, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების აღიარებასთან მიმართებით ბასს 2 ადგენს, რომ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გაყიდვისას მათი პირვანდელი ღირებულება აღიარებულ უნდა იქნეს იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი შემოსავლები. ნებისმიერი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხა, აგრეთვე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის დანაკარგის თანხები შესაბამისად აღიარებულ უნდა იქნეს იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის აღდგენა ნებისმიერი ცვლილებისთანავე,

რომელიც გამოწვეულია ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით, უნდა ჩაითვალოს იმ პერიოდის ხარჯებად აღიარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემცირებად, რომელშიც მოხდა ეს აღდგენა.

ზოგი აქტივის გამოყენებით საწარმოში ეკონომიკური სარგებელი შემოდის რამოდენიმე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და რთულია დანახარჯების შემოსავალთან კავშირის დადგენა. ამიტომ, აუცილებელია კავშირის ზოგადად ან არაპირდაპირი გზით განსაზღვრა, რისთვისაც პრაქტიკაში გამოიყენება ხარჯების ნორმატიული განაწილებისა და აღიარების პრინციპი. იგი, ძირითადად, შეეხება ისეთი გრძელვადიანი აქტივების ხარჯად აღიარებას, როგორიცაა, ძირითადი საშუალებები, გუდვილი, პატენტები, სავაჭრო ნიშნები და სხვა. ასეთ შემთხვევაში დანახარჯების ხარჯად აღიარება ხდება ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვის გზით.

ზოგჯერ ოპერაციის შინაარსი აკმაყოფილებს ხარჯების განსაზღვრებას, მაგრამ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯად არ აღიარდება, რადგან პირდაპირ აისახება საწარმოს საკუთარ კაპიტალში. ამის მაგალითს წარმოადგენს უცხოური სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული ზარალი, რომელიც საწარმოს საკუთარ კაპიტალს ამცირებს.

### 133 კომერციული ბანკის შემოსავლები და მისი სტრუქტურა

კომერციული ბანკის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ბიზნესის სხვადასხვა სახეობები. საბანკო ბიზნესის ელემენტებად შეიძლება ჩაითვალოს: სასესხო ბიზნესი, დისკონტ ბიზნესი, ბანკის საგარანტიო მოღვაწეობა, ფასიანი ქაღალდების ბიზნესი—დაფუძნებული შენატანებზე და მენაბრის დავალებით განხორციელებულ ოპერაციებზე.

სასესხო ბიზნესი—შედგება ორი ელემენტისაგან: სესხის წარდგენა კლიენტებისათვის (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის) და თავისუფალი რესურსების გადაცემა სხვა კომერციული ბანკებისათვის პროცენტული შემოსავლის მიღების მიზნით. სასესხო ბიზნესის მეორე ნაწილს შეიძლება ჰქონდეს ბანკთაშორისი კრედიტის ფორმა ან სწრაფი დეპოზიტი სხვა ბანკში. სასესხო ბიზნესის განვითარების წინაპირობას — თავისუფალი რესურსების გაყიდვის სახით, წარმოადგენს ოპერატიული კაეშირები საკრედიტო ორგანიზაციებთან. სასესხო ბიზნესის განხორციელებისას ბანკი გამოდის შუამავლის როლში და ახდენს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირებას და მათ სპეციალიზირებულ გადანაწილებას, რომლის დროსაც შემოსავალი გამოდის პროცენტულ ფორმებში.

საბანკო სესხებზე სარგებლის განაკვეთი განსხვავდება ფულის ბაზრის სხვადასხვა ვალდებულებათა განაკვეთისაგან. მაგალითად, ხაზინის თამასუქებისა და კომერციული ქაღალდებისაგან იმ გაგებით, რომ ის განისაზღვრება მსესხებლებსა და ბანკს შორის მოლაპარაკების საფუძველზე და ამიტომაც ის არ არის ერთნაირი სხვადასხვა ბანკში.

დისკონტ ბიზნესი დაფუძნებულია ბანკის მიერ გადაუხდელი ვექსილების შემსყიდველ ოპერაციებზე, ქვითრებზე და განსაზღვრული ფასდაკლების მოთხოვნაზე — დისკონტზე. სხვადასხვა სახის დისკონტ ბიზნესი წარმოადგენს ბანკის ფაქროტივულ ოპერაციებს. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ორი სახის: რეგრესის

უფლებით (ბრუნვით) და რეგრესის უფლების გარეშე (ბრუნვის გარეშე). პირველ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებას გადაახდევინოს დაუფარავი დავალიანება თანხის მიმღებს, ხოლო მეორე შემთხვევაში, ასეთი უფლება ბანკს არ აქვს და მიდის რისკზე, მაგრამ უფრო სოლიდური მოგების მოთხოვნის უფლებით.

ფაქტორინგული ოპერაციების ტექნოლოგია მდგომარეობს იმაში, რომ ბანკი იძენს საკორესპოდენტო ანგარიშიდან შექმნაზე გადახდის მოთხოვნას და შესაბამისად, ბანკის ანგარიშსწორება ფაქტორინგულ ოპერაციებზე აკლებს შემოსავლებს მეანაბრების გაყიდულ პროდუქციაზე. გადამხდელისაგან თანხის საკორესპოდენტო ანგარიშზე მიღებისთანავე, ეს თანახა გადანიწილდება სამი მიმართულებით: დებიტორული დავალიანების დაფარვა, გადასახადის გადახდა დამატებით ღირებულებაზე და ბანკის შემოსავლების ფორმირება.

დაცვის ბიზნესი დაფუძნებულია ნდობისა და სააგენტოს მომსახურებაზე. ეს ბიზნესი ბანკს აძლევს საკომისო შემოსავლებს კლიენტის ქონებაზე ან ამ ქონებაზე შესრულებული ცალკეული კონკრეტული ოპერაციების ჩატარებაზე მოთხოვნის საფუძველით. მაგალითად, ნდობის საფუძველზე მოლაპარაკებით ბანკი იღებს ვალდებულებას კლიენტის თანხების განთავსებაზე, უზრუნველყოს ეს უკანასკნელი განსაზღვრული შემოსავლის დონით.

ფასიანი ქალაქდების ბიზნესი შედგება ისეთი ელემენტებისაგან, როგორცაა ბანკის მიერ ფასიანი ქალაქდების გამოშვება და მათი ბაზარზე რეალიზაცია, ფასიანი ქალაქდების გამოშვება დავალებით, ფასიანი ქალაქდებში სხვა ელემენტების ჩადება მუდმივი შემოსავლის მიღების მიზნით, პრაქტიკული სათვალის გაწეული მომსახურებისათვის.

ბანკის საგარანტიო მომსახურება შემოსავალს იძლევა პირდაპირი ფულადი ფორმით. სხედასხვა ფორმით გარანტიის გაცემით კლიენტებზე, ბანკს შეუძლია მიიღოს დამატებითი საკომისო მოგება ფულად ფორმებში. შესაძლებელია აგრეთვე, უფასო ნდობის გარანტია, როცა კლიენტის იმიჯი საჭიროა ბანკის მომგებიანი გარიგებისათვის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ

გარანტიების გაცემისას, არსებობს გარკვეული ნორმები, რომელიც დაკავშირებულია გარანტიის მოცულობასთან და ბანკის საწესდებო კაპიტალთან. ეს ნორმები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ნორმტივების დარღვევასთან.

საგარანტიო წერილების გაცემით მიღებული შემოსავლები არახშირი, მაგრამ საკმაოდ სოლიდური შემოსავლებია.

ბიზნესი დაკავშირებული შენატანების მოზიდვით და კლიენტების მოთხოვნით განხორციელებულ ოპერაციებთან იძლევა შემოსავლის მიღების შესაძლებლობას შემდეგ ფორმებში:

- ანგარიშის გახსნა;
- ანგარიშის წარმოება;
- ამონაწერის წარდგენა საანგარიშო ოპერაციებზე;
- ანგარიშის დახურვა;
- არქივიდან ინფორმაციის გაცემა;
- საჩეკო წიგნაკის გაცემა;
- ფულადი გადარიცხვების განხორციელება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ სხვადასხვა გზავნილების მეშვეობით;
- ფულადი დარიცხვების გაუქმება;
- ანგარიშზე ნაღდი ფულის განთავსება და გატანა;
- საკონვენტაციო ოპერაციები;
- ინკასაცია;
- პლასტიკური ბარათებით მომსახურება და ა.შ.

საერთოდ, როდესაც კომერციული ბანკის შემოსავლებზე და მის სტრუქტურაზე ვლაპარაკობთ, უნდა აღინიშნოს, რომ ბანკი მაინც საკრედიტო ინსტიტუტია და დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში მოქმედი კომერციული ბანკების უმრავლესობის შემოსავლისა და შესაბამისად, მოგების მიღების დიდი წილი საკრედიტო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის და სწორედ ეს განყოფილებაა კომერციული ბანკის ძირითადი ბირთვი, მიუხედავად სხვა განყოფილებების არანაკლები მნიშვნელობებისა.

სასეხო ბიზნესი შედგება ორი შემადგენელი

ელემენტისაგან:

- სესხების გაცემა კლიენტებზე იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე;
- დროებით თავისუფალი რესურსების გადაცემა სხვა საკრედიტო დაწესებულებებზე, რამაც შეიძლება მიიღოს, როგორც ბანკთაშორისი კრედიტის სახე ან ვადიანი დეპოზიტის სახე. ამ ბიზნესიდან ბანკის შემოსავალი მიიღება, როგორც პროცენტული ჯილდო ანუ პროცენტი.

სასესხო პროცენტი წარმოადგენს დროებითი სარგებლობისათვის გასესხებულ ღირებულების თავისებურ ფასს. სასესხო პროცენტის სახეთა კლასიფიკაცია ემყარება კრედიტის ფორმებს და იყოფა კომერციულ პროცენტად, საბანკო პროცენტად სამომხმარებლო პროცენტად და ა.შ. საკრედიტო დაწესებულებების სახეების მიხედვით პროცენტები იყოფა: სააღრიცხვო პროცენტად ცენტრალურ ბანკში, საბანკო პროცენტად, ლომბარდულ პროცენტად. სესხების სახეების მიხედვით ასხვავებენ პროცენტს საბრუნავ საშუალებებზე ოვერდრაფის მიხედვით. პროცენტებს თამასუქების აღრიცხვის მიხედვით, პროცენტებს მიზნობრივ სესხებზე და ა.შ.

სასესხო პროცენტის სახეების მიუხედავად, ფორმირდება საკრედიტო რესურსების რეალური ფასისა და მარჟის საფუძველზე.

*შემოსავლები საბანკო სესხებიდან და ფასიანი ქაღალდებიდან.* კომერციული ბანკების საერთო შემოსავლები დამოკიდებულია სასესხო და საინვესტიციო ოპერაციების მოგების ნორმაზე, გადასახდელის სიდიდეზე, რომელიც ამოიღება მომსახურებისათვის, აგრეთვე აქტივების სიდიდესა და სტუქტურაზე. ჩვენი ქვეყნის მაჩვენებლების მიხედვით, უკანასკნელი საბანკო აქტივები, ისევე, როგორც მათზე შემოსავლები, არსებითად გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო მომსახურებისაგან მიღებული შენატანები ასევე გაიზარდა და ალბათ შემდგომშიც გაიზარდება, სარგებელი საშემოსავლო აქტივებზე, სასესხო და საინვესტიციო ოპერაციებზე, უზრუნველყოფს მთელი საბანკო შემოსავლების თითქმის 90%-ს.

სესხების გაცემა კომერციული ბანკების ერთობლივი

შემოსავლის მეტად მნიშვნელოვანი წყაროა.

უკანასკნელ წლებში ბანკების საოპერაციო შემოსავლების დაახლოებით 65% სესხის სარგებელს შეადგენდა. ბოლო წლებში სესხის სარგებელი საერთოდ გაიზარდა. ნაწილობრივ ეს დაკავშირებულია სასესხო ოპერაციების მასშტაბების გაზრდასთან. მაგრამ სარგებლის ნორმის გაზრდამ ასევე შეასრულა თავისი როლი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოსავლების კიდევ ერთი მუხლი, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს სესხის სარგებელს, ესაა „შემოსავალი გაყიდული ფედერალური სარეზერვო ფონდებიდან და ფასიანი ქაღალდებიდან უკან გამოსყიდვის უფლების ხელშეკრულებით“. მიუხედავად იმისა, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემისა და ფასიანი ქაღალდების ხელშეორედ გაყიდვაზე ლაპარაკის დროს, ბანკირები იყენებენ ტერმინებს „ყიდვა“ და „გაყიდვა“. სინამდვილეში საქმე ეხება სესხს, როდესაც ბანკი ყიდის თავისი ნამეტის ნაწილს ფედერალურ სარეზერვო ბანკში, ის სარგებელს იღებს აგრეთვე მაშინ, როდესაც ყიდულობს ფასიან ქაღალდებს სხვა ბანკისა და ლიდერისაგან, რომელიც დასპეციალებულია ობლიგაციაზე. ამასთან, გამყიდველი თანახმაა გამოისყიდოს ეს ფასიანი ქაღალდები იმავე ფასში პლუს სარგებელი შესაბამისი პერიოდისათვის და რადგანაც მსგავს გარიგებასთან რისკი არ არის დაკავშირებული, რაც ინვესტიციებს ახასიათებს, პრაქტიკულად, აქ საქმე ეხება სესხებს.

საბანკო საქმეზე სარგებლის განაკვეთი განსხვავდება ფულის ბაზრის სხედასხვა ვალდებულებათა განაკვეთებისაგან, მაგალითად, ხაზინის თამასუქებისა და კომერციული ქაღალდებისაგან, იმ გაგებით, რომ ის განისაზღვრება მსეხებელსა და ბანკს შორის მოლაპარაკების საფუძველზე და არა ბაზრის პირობებით. ამიტომ ის არ არის ერთნაირი სხვადასხვა ბანკში. ამ განაკვეთში აისახება, როგორც თითოეული სესხის სპეციფიკა, ასევე შეფარდება კრედიტის მიწოდებისა და მოთხოვნას შორის სასესხო კაპიტალის ბაზრებზე. განაკვეთები მერყეობს, აგრეთვე რისკზე დამოკიდებულებით, რომელიც მოცემულ სესხთან, მის სიდიდესა და დაფარვის ვადებთან, სესხის გაფორმებისა და მისი დაფარვის



კონტროლის ხარჯებთან, მსესხებლის სადემოკრატიო ანგარიშისა და უზრუნველყოფის მდგომარეობასთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, განაკვეთზე მოქმედებს ჩვევები და ტრადიციები, კონკურენცია ბანკებსა და სახსრების წყაროებს შორის.

ბანკის უნარი სესხის გაცემაში დამოკიდებულია რეზერვების სიჭარბის დონეზე საბანკო სისტემაში. თუ მოთხოვნა ბანკის კრედიტზე შედარებით სტაბილურია, ხოლო ჭარბი რეზერვები იზრდება, სესხის სარგებლის განაკვეთი მცირდება, რადგან ბანკები ცდილობენ მოიზიდონ შემოსავლიანი აქტივები, მაგრამ მაღალია ბანკის კრედიტზე მოთხოვნა, ხოლო ჭარბი რეზერვები არ იცვლება ან უფრო ნელა იზრდება, ვიდრე ეს მოთხოვნა, სარგებლის განაკვეთი იზრდება. განაკვეთზე მოქმედებს აგრეთვე ეკონომიკური სიტუაციის შეფასება. თუ პესიმიზტური განწყობილება ბატონობს, ბანკირები განაკვეთებს არ ამცირებენ იმდენად, რამდენადაც ეს სასესხო კაპიტალის მიწოდებითაა ნაკარნახევი. თუ ოპტიმიზმი ბატონობს, ე.ი. არსებობს აზრი, რომ ცენტრალური ბანკი გაიღებს დამატებით სახსრებს, განაკვეთები შეიძლება არსებითად არ ამალდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ჭარბი რეზერვების დონე შედარებით დაბალია.

კომერციული ბანკების პროცენტული შემოსავლების მეორე მთავარი წყაროა სარგებელი ფასიანი ქაღალდებიდან. ამ წყაროდან შემოსავლის სიდიდე დამოკიდებულია სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდების ინვესტიციებისა და შემოსავლების პორტფელის სიდიდესა და სტრუქტურაზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 60-იანი და 70-იანი წლების ბოლოს, განაკვეთები ფასიანი ქაღალდების ყველა კატეგორიაზე მნიშვნელოვნად ამალდა. მუნიციპალური ფასიანი ქაღალდებიდან შემოსავლებმა, რაც 30 წლის მანძილზე 4%-ს არ აღემატებოდა, 1996 წელს ამ დონეს გადააჭარბა. ხოლო 1974 წლის ბოლოს, საშუალოდ, თითქმის 7%-ის ტოლი იყო. აშშ-ის მთავრობის ფასიანი ქაღალდების განაკვეთებმა სამიდან ხუთ წლამდე ვადით, 1966 წელს 5%-ს გადააჭარბა, ხოლო 1974 წელს ზოგჯერ 8,6%-ს აღემატებოდა. სამთვიანი სახაზინო თამასუქების საბაზრო განაკვეთებმა, რომელიც მეტად მოძრავია, 1929 წელს მისი გამოშვების შემდეგ, პირველად 4,6%-ს

გადააჭარბა 1964 წელს, ხოლო 1974 წელს ის დროდადრო 9%-ს აღემატებოდა. 1974 წლის შემდეგ, ყველა ამ ქალაქის შემოსავლის დონე რამდენადმე შემცირდა, ხოლო შემდეგ 1977 წლის პერიოდში კვლავ გაიზარდა და აგრძელებდა ზრდას 1978 წელსაც.

საქართველოში კი, 1997 წლის 12 აგვისტოს ფინანსთა სამინისტროს დადგენილების საფუძველზე, მიმოქცევაში გაშვებულ იქნა სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებები, რომელთა ვადა თანამედროვე პირობებში განისაზღვრება: 28, 56, 91, 182 დღით. მათზე საშუალო შეწონილი განაკვეთი საკმაოდ მაღალია 30%. ეროვნული ბანკი სისტემატურად აწყობს აუქციონს სახაზინო ვალდებულებების გაყიდვის მიზნით.

### 3.4. საპროცენტო მარჟა და მისი ანალიზი

ბანკის შემოსავლების ფორმირების საქმეში სასესხო პროცენტის მნიშვნელოვანი როლი, ხოლო ხარჯებში რესურსის მოზიდვაზე ხარჯებს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. აქტუალურ მნიშვნელობას იძენს საკითხი საპროცენტო მარჟაზე, ე.ი. სხვაობაზე, რომელიც მიიღება ბანკის აქტიურ და პასიურ ოპერაციებს, პროცენტების სხვაობით.

საპროცენტო მარჟა განისაზღვრება პროცენტების მიხედვით წმინდა მოგების შეფარდებით აქტივების საშუალო მოცულობასთან, რომლებსაც შემოსავალი პროცენტის სახით მოაქვს.

$$M_{\Phi} = \frac{D_{\Pi} - P_{\Pi}}{AD} \times 100,$$

სადაც,  $M_{\Phi}$  – ფაქტიური საპროცენტო მარჟა;  
 $D_{\Pi}$  – პროცენტის შემოსავალი;  
 $P_{\Pi}$  – პროცენტული ხარჯები  
 $AD$  – შემოსავლის მომტანი აქტივები.

საპროცენტო მარჟის ანალიზი ტარდება შემდეგი მიმართულებით:

- ფაქტიური პროცენტული მარჟა შეუდარდება საბაზოს და განისაზღვრება პროცენტული შემოსავლების ზრდის ან შემცირების ტენდენცია;
- საპროცენტო მარჟის შესაბამისობის დაცვა ჩამოყალიბულ სტანდარტებთან და სხვა ბანკების ანალოგიურ მაჩვენებლებთან;
- ანალიზი საპროცენტო მარჟის შემადგენელი კომპონენტია, რათა განსაზღვროს შემოსავლების კატეგორიის რომელი ნაწილი იწვევს მის ზოგად ცვლილებებს;
- განისაზღვროს საზღვრებში, რომელშიც საპროცენტო მარჟის ცვლილება საჭიროებს სამმართველო გადაწყვეტილების მიღებას.

საბაზრო მექანიზმის პირობებში საბანკო საქმიანობის მომგებიანად წარმართვისათვის აუცილებელია გავითვალსინოთ დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებები. ისინი ერთდროულად გამოიყენონ საპროცენტო განაკვეთის, როგორც ფიქსირებული, ისე მცურავი ნაკრების საბაზრო კონსტრუქციის შესაბამისად.

$$M_{\text{მარჟ}} = \frac{P_{\text{ობ}} - D_{\text{მ}}}{AD} * 100\%$$

სადაც –  $P_{\text{ობ}}$  არის ბანკის ფუნქციონირების ხარჯები, მათ შორის

- ა) სხვა ოპერაციული ხარჯები;
- 1) ხარჯები საბანკო დოკუმენტებისა და ფასეულობის გატანაზე;
- 2) ხარჯები გამომთვლელი ცენტრის მომასხურებაზე;
- 3) ხარჯები ბლანკების, ქალაღდების დამზადებაზე;
- 4) საფოსტო და სატელეგრაფო ხარჯები;
- 5) პროცენტები და საკომისიოები გადახდილი წლების ანგარიშზე;
- 6) საამორტიზაციო სამმართველო ხარჯები.

$\Delta_{\text{M}}$  – საკრედიტო დაწესებულების სხვა შემოსავლები, მათ შორის:

- 1) კლიენტების მიერ სატელეგრაფო და სხვა ხარჯების დაფარვა;
- 2) ფირმებსა და საწარმოებზე მომსახურების საზღაური;
- 3) დანარჩენი შემოსავლები.

$A_{\text{D}}$  – საკრედიტო დაწესებულების სხვა შემოსავლები, მათ შორის:

- 1) მოკლევადიანი საკრედიტო დაბანდება;
- 2) გრძელვადიანი დაბანდება;
- 3) სხვა ბანკებში განთავსებული კრედიტები;
- 4) ფასიანი ქაღალდები, პაი, აქტები;
- 5) სხვა საწარმოში წილობრივი მონაწილეობა;
- 6) დარჩენი.

მომავალი პერიოდისათვის ბანკები განსაზღვრავენ საორიენტაციო საპროცენტო მარჯას, რომელიც მოგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა, განისაზღვრება ფორმულით:

$$M = \frac{P_{\text{OE}} - \Delta_{\text{II}} + \Pi_{\text{II}}}{A_{\text{D}}} 100\%$$

სადაც  $P_{\text{OE}}$  – ბანკის ფუნქციონირების ხარჯები გეგმით;

$\Delta_{\text{II}}$  – კომისიები და დანარჩენი შემოსავლები გეგმით;

$A_{\text{D}}$  – შემოსავლის მომენტი აქტივის გეგმიური სიდიდე;

$\Pi_{\text{II}}$  – ბანკის პროგნოზული მოგების სიდიდე.

## კითხვები თვითკონტროლისათვის

1. როგორ განისაზღვრება ბანკის შემოსავლები?
2. როგორ განისაზღვრება ბანკის ხარჯები?
3. როგორ განისაზღვრება ბანკის ამონაგები?
4. როდის ხდება საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება?
5. როგორი სახით წარმოდგება ბანკის შემოსავლების სტრუქტურა?
6. დაახასიათეთ შემოსავლები საბანკო სესხებიდან და ფასიანი ქაღალდებიდან.
7. როგორ განისაზღვრება საპროცენტო მარჟა?
8. რა მიმართულებით ტარდება საპროცენტო მარჟის ანალიზი?

## ტესტები

1. საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებთან არის

ა) მოგება;

ბ) ამონაგები;

გ) შემოსავალი;

დ) სარგებელი.

2. საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოებიდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრისათვის კაპიტალის განაწილებასთან არის

ა) ზარალი;

ბ) ხარჯები;

გ) უკუგება;

დ) რენტაბელობა.

3. საწარმოში შემოსული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხა, რომელიც მიიღება საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან და გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტიციების გარეშე არის

- ა) სარგებელი; ბ) ამონაგები;
- გ) რენტა; დ) მოგება.

4. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს

- ა) მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით;
- ბ) პოტენციური ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით;
- გ) მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით;
- დ) მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით

5. თუ საწარმოებიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და თუ შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება, ხდება

- ა) ხარჯების აღიარება;
- ბ) ხარჯების განაწილება;
- გ) მოგების აღიარება;
- დ) მოგების შეფასება.

6. წმინდა მოგების შეფარდებით აქტივების საშუალო მოცულობასთან, რომლებსაც შემოსავალი პროცენტის სახით მოაქვს განისაზღვრება

- ა) მოგების ნორმა;
- ბ) საპროცენტო ნორმა;
- გ) შემოსავლის მარჟა;
- დ) საპროცენტო მარჟა.

7. ბანკის მიერ გადაუხდელი ვექსილების შემსყიდველ ოპერაციებზე, ქვითრებზე და განსაზღვრული ფასდაკლების მოთხოვნაზე დაფუძნებულია

- ა) დისკონტ ბიზნესი;
- ბ) ფასიანი ქაღალდების ბიზნესი;
- გ) საგარანტიო მოღვაწეობა;
- დ) სასესხო ბიზნესი.

8. დღევანდელ პირობებში, საქართველოში მოქმედი კომერ-

ციული ბანკების უმრავლესობის შემოსავლისა და შესაბამისად, მოგების მიღების დიდი წილი მოდის

- ა) ფასიანი ქაღალდების ბიზნესზე;
- ბ) ბანკის საგარანტიო მომსახურებაზე;
- გ) საკრედიტო საქმიანობიდან შემოსავლებზე;
- დ) დისკონტ ბიზნესზე.

9. თუ მოთხოვნა ბანკის კრედიტზე შედარებით სტაბილურია, ხოლო ჭარბი რეზერვები იზრდება, სესხის სარგებლის განაკვეთი

- ა) იზრდება;
- ბ) მინიმალურია;
- გ) მცირდება;
- დ) მაქსიმალურია.

10. საწარმოს საქმიანობის შედეგის შესაფასებლად აუცილებელია მოგების ოდენობის დადგენა, რისთვისაც საჭიროა ორი ელემენტი

- ა) საერთო და მიმდინარე შემოსავალი;
- ბ) პოტენციური შემოსავალი და პოტენციური ხარჯები;
- გ) საერთო და მიმდინარე ხარჯები;
- დ) საერთო შემოსავალი და საერთო ხარჯები.

# თემა 14. საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება კომერციულ ბანკებში

*მთელი უფრო მეტია, ვიდრე ნაწილების ჯამი  
კლასიკონი*

## 14.1 ბუღალტრული აღრიცხვის თავისებურება და მნიშვნელობა საბანკო საქმეში

საზოგადოების განვითარების ყველა საფეხურზე ყოველი საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია კომერციული ბანკები საქმიანობის შესრულებისათვის ანხორციელებენ შემდეგ ძირითად ფუნქციებს: დაგეგმვას ე.ი. ამოცანების განსაზღვრას, რომლებიც უნდა გადაწყდეს; სახავენ ამ ამოცანების გადაწყვეტის გზებს; ახდენენ მათი რეალიზაციის მიმდინარეობის აღრიცხვას და ანალიზს; კონტროლს უწევენ ხარჯების გაწვევის დონეს ნუსხებთან მიმართებაში; ოპერაციულად ხელმძღვანელობენ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს მათზე დაკისრებული ამოცანების გადაწყვეტაში.

სამმართველო გადაწყვეტილების მიღების და შედეგების შეფასებისათვის წარმოიქმნება სრული ინფორმაციის არსებობაზე მოთხოვნა, ინფორმაცია საჭიროა აგრეთვე გარე მომხმარებლებისათვის. ყოველივე ამისათვის საწარმოები და მათ შორის კომერციული ბანკები უნდა ფლობდეს ინფორმაციის შეგროვების და დამუშავების ეფექტურ სისტემას, რომლის ცენტრალურ ინსტრუმენტსაც ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს.

კომერციული ბანკის ბუღალტრული აღრიცხვა მიმართული უნდა იყოს იმ ხერხების გამოყენებისაკენ, რომლებიც ბუღალტრული ანგარიშგების დროულად შედგენის საშუალებას იძლევა. ბუღალტრული ანგარიშგება ობიექტურ წარმოდგენას უნდა იძლეოდეს ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე, რათა მისი ინფორმაცია ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას ყველა მომხმარებლისათვის მიწოდების დონის შესაბამისად სასარგებლო იყოს.



იტალიელმა მათემატიკოსმა ლუკა პაჩიოლიმ თავის ნაშრომში „ტრაქტატი ანგარიშებზე და ჩანაწერებზე საგაჭრო ოპერაციების აღრიცხვისთვის“ აღწერა ორადი ჩაწერის მეთოდი და დაახასიათა (მოგვცა) ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები რომლებიც ძალა დღეისათვისაც არ დაუკარგავთ. ეს პრინციპებია:

1. ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება მხოლოდ ეს სამეურნეო ოპერაციები რომლებიც გაიზომება ფულად საზომში.

2. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში აისახება ყველა სამეურნეო ოპერაცია.

3. ბუღალტრული აღრიცხვა გამოიყენებს სპეციფიკურ მეთოდებს (ხერხებს) რომლებიც არ გამოიყენებიან აღრიცხვის სხვა სახეების მიერ (ანგარიშები, კალკულაცია, ორადი ჩაწერა, ბალანსი). ბუღალტრული აღრიცხვის განსაკუთრებული როლი მართვაში განისაზღვრება იმით რომ უზრუნველყოფს ბანკების, საწარმოების, ორგანიზაციების საქმიანობის სრულ ინფორმაციას.

საბანკო საქმიანობის ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახული მაჩვენებლები გამოიყენება სამეურნეო საქმიანობის შედეგების ანალიზისათვის არამარტო თვით ბანკების მიერ, არამედ აქციონერების, მენაბრეების, კლიენტების მიერაც. ანგარიშგების მაჩვენებლებს გამოიყენებს საგადასახადო და ფინანსური ორგანოები. აქედან გამომდინარე აღრიცხვიდან მიღებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს იურიდიულ ნორმებს.

საბანკო საქმის ბუღალტრულ აღრიცხვაში ცენტრალური ადგილი სხვა სფეროში აღრიცხვასთან შედარებით უკავია ფულად საზომს. ის წარმოადგენს უნივერსალურ საზომს და იძლევა საშუალებას სხვადასხვა სახის ქონების, მასალების, ფულადი საშუალებების ფასიანი ქაღალდების საერთო ღირებულების განსაზღვრისათვის.

საბანკო საქმე სპეციფიკური სფეროა და ამ სფეროში ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგი ობიექტების ჯგუფი გამოიყოფა:

- ბანკის ქონება (ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, ფინანსური დაბანდებები);

– ბანკის ვალდებულებები მესაკუთრებთან (საწესდებო კაპიტალი, სპეციალური დანიშნულების ფონდები, რეზერვები, დავალიანება დამფუძნებლებთან, მოგება);

– ბანკის ვალდებულებებით გარე საწარმოებთან, დაწესებულებებთან, პირებთან (სესხები, კრედიტები, საკრედიტო დავალიანება);

– სამეურნეო ოპერაციები, რომლებიც იწვევენ ცვლილებებს ქონებრივ შემადგენლობაში და ვალდებულებებში. საბანკო ოპერაციები შეიძლება იყოს ორმხრივი ხორციელდება დამოუკიდებელ პარტნიორებს შორის (ყიდვა-გაყიდვა და სხვ.) და ცალმხრივი როცა შეეხება მხოლოდ ბანკს (დანაკარგები, ძირითადი საშუალებების ცვეთა და სხვ.).

ბუღალტრული აღრიცხვის როლი საბანკო საქმეში ფასდება მისი ისეთი ფუნქციებით როგორცაა: ინფორმაციული, კონტროლის, მართვის და სხვა ფუნქციები.

ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის წინაშე მდგომი ამოცანებია:

1. კონტროლი გაუწიოს კომერციული ბანკების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მაჩვენებლების და კლიენტებთან სახელშეკრულებო ვალდებულებების, ეროვნული ბანკის და სახელმწიფოს წინაშე სხვა ვალდებულებების შესრულებას.

2. კონტროლი გაუწიოს ბანკის განკარგულებაში არსებული ფულადი მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალურ და მიზნობრივად გამოყენებას. ფინანსური დისციპლინის მტკიცედ დაცვას;

3. უზრუნველყოს ბანკის და მის განკარგულებაში არსებული საშუალებების დაცვა ხელყოფისა და დაზიანებისაგან.

4. ხელი შეუწყოს მომჭირნეობის რეჟიმის, მატერიალური წახალისების პრინციპების განხორციელებას და ამის საფუძველზე საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას.

5. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი (მართველობა) უზრუნველყოს დროული, საჭირო და სარწმუნო ინფორმაციით საბანკო საქმის რაციონალურად გაძღოლის მიზნით.

## 14.2 ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები კომერციულ ბანკებში

საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების რეგულირების შესახებ, განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის ზოგად პრინციპებს. იმ სუბიექტების რომლებიც ვალდებული არიან ჰქონდეთ ბუღალტრული აღრიცხვა – ბუღალტრული ანგარიშგების შედგენილობას, შინაარსს, წარდგენის ვადებს, მათ უფლებებს, ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

კომერციული ბანკები რთული საფინანსო-სამეურნეო მექანიზმის ორგანიზაცია, რომლის შემადგენელი ნაწილები დამოუკიდებელ ფუნქციებს ასრულებენ. ეს გარემოება და სახელმწიფოს ინტერესები, კლიენტთა ინტერესის გათვალისწინებით განაპირობებს კომერციულ ბანკში არსებობდეს ბუღალტრული აღრიცხვის სათანადო ორგანიზაცია.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია კომერციულ ბანკებში არის ბუღალტრული აღრიცხვის სამუშაოთა მოწყობა განსაზღვრული პირობებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით. იგი ეყრდნობა ბუღალტრული აღრიცხვის სამუშაოების წესებს, თანმიმდევრობას და ვადებს.

ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკებში რეგულირდება სამეწარმეო, საგადასახადო და სამოქალაქო სამართლით, რომელთაგან განმსაზღვრელ ფუნქციას ასრულებს სამეწარმეო სამართალი, ვინაიდან მასში წარმოდგენილია ზოგადად ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებლობის საწარმოო. სამართლებრივი საფუძველები.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია კომერციულ ბანკებში ითვლება რაციონალურად თუ იგი პასუხობს შემდეგ მოთხოვნებს:

1. კომერციული ბანკის ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს;

2. კომერციულ ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვა უნდა იყოს სწორი, სრულყოფილი, გასაგები და ორადი

ასახვის სისტემაზე აგებული;

3. საბანკო საქმიანობაზე ინფორმაცია არის სრულფასოვანი, დროული და მიიღება ნაკლები ფულად-მატერიალური და შრომითი დანახარჯების პირობებში ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია კომერციულ ბანკებში ემყარება ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის გეგმის შედგენას და მის შესრულებას.

კომერციულ ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის რაციონალურად მოწყობისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ის წინაპირობა რომლებიც განსაზღვრავენ აღრიცხვის სისწორეს, თავისდროულობას, მთლიანობას და ხარისხს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს კომერციული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის შესწავლაზე, სააღრიცხვო განყოფილებებს შორის ურთიერთობათა კოორდინაციაზე, დოკუმენტბრუნვის გეგმაზე და სხვ.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის გეგმა კომერციულ ბანკებში შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

1. დოკუმენტაციის და დოკუმენტბრუნვის გეგმა;
2. ინვენტარიზაციის გეგმა;
3. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა;
4. აღრიცხვის ტექნიკური გაფორმების გეგმა;
5. ანგარიშგების გეგმა;
6. ბუღალტრული აღრიცხვის სამუშაოთა განაწილების გეგმა.

კომერციული ბანკები ერთმანეთისგან განსხვავდებიან საბანკო ოპერაციების ხასიათით და შინაარსით, მათი მიმართულებით, უნივერსალიზაციით; სიდიდით, განშტოებებით, რაც თავისებურ გაელენას ახდენს აღრიცხვის ორგანიზაციაზე ამიტომ კომერციულ ბანკებში აღრიცხვის რაციონალური მოწყობისათვის აუცილებელია წინასწარ იქნეს შესწავლილი მისი ორგანიზაციულ-ოპერაციული სტრუქტურა.

კომერციული ბანკებში დღის, თვის და წლის განმავლობაში სხვადასხვა ხასიათის და მოცულობის ინფორმაცია მიიღება, რაც მრავალი სახის სააღრიცხვო საქმიანობის შესრულებასა და ამ საქმიანობაში მრავალი პირის მონაწილეობასთანაა დაკავშირებული. ამიტომ აღრიცხვის სწორი ორგანიზაცია მოითხოვს

დოკუმენტბრუნვის გეგმის შედგენას, სადაც მოცემული იქნება რომელ ოპერაციაზე რა სახის დოკუმენტები უნდა შედგეს, ვინ და როდის შეადგინოს, ვის და როდის წარედგინოს, ვინ და როდის უნდა დაამუშაოს და სხვა. პირველადი დოკუმენტები როგორც ტიპური ისე დამოუკიდებლად შემუშავებული შევსებული უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების დებულებათა მოთხოვნის დაცვით.

ინვენტარიზაციის გეგმაში განისაზღვრება სალაროების, კლიენტების ანგარიშების ანაბრების, დეპოზიტების, ფასიანი ქაღალდების, საწარმოო და სამეურნეო ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი, ფორმა და ვადები. ინვენტარიზაციის ჩატარების გრაფიკი ხელს არ უნდა უშლიდეს ბანკის ნორმალურ მუშაობას. არაგეგმური ინვენტარიზაციის ჩატარების გრაფიკი არ უნდა იცოდეს მატერიალური ფასეულობის შენახვას მატერიალურად-პასუხისმგებელმა პირებმა.

კომერციული ბანკების ანგარიშგების გეგმაში ნაჩვენებია ანგარიშგების ფორმების ჩამოთვლა; საანგარიშგებო პერიოდი, რომელსაც მოიცავს ანგარიშგების ესა თუ ის ფორმა; ანგარიშგების წარდგენის ვადები; ანგარიშგების მიმღები ორგანიზაციების, დაწესებულებების და თანამდებობრივი პირების დასახელება და მისამართი; ანგარიშგების წარდგენის ფორმები (ფაქსი, ფოსტა და სხვა) და იმ მუშაკების ვინაობა ვინც პასუხისმგებელია ანგარიშგების შედგენაზე.

აღრიცხვის ტექნიკური გაფორმების გეგმაში მოცემულია აღრიცხვის ფორმის დეტალური დახასიათება; მითითებულია აღრიცხვის მექანიზაციის და ავტომატიზაციის რა საშუალებები, მოწყობილობები და ხელსაწყოები გამოიყენება თანამედროვე საბანკო საქმიანობა და მისი ბუღალტრული აღრიცხვა წარმოუდგენელია სააღრიცხვა-გამოთვლითი სამუშაოების სრული ავტომატიზაციის და პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე. რაც გულისხმობს მთელი სააღრიცხვა-გამომთვლელი სამუშაოების დაწყებული საფინანსო-სამეურნეო ოპერაციის დოკუმენტაციიდან დამთავრებული ანგარიშგებათა შედგენითა და ეკონომიკური ანალიზით შესრულდეს შესაბამისი პროგრამებით უზრუნველყოფილი

კომპიუტერული ტექნიკით.

კომერციული ბანკის ბუღალტრული აღრიცხვის აპარატის მუშაკთა შრომის ორგანიზაციის გეგმას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღრიცხვის რაციონალური ორგანიზაციის საკითხში. აღნიშნულ გეგმაში მოცემულია: კომერციული ბანკის ბუღალტერიის საშტატო განაკვეთების სტრუქტურა; თითოეული მუშაკის თანამდებობრივი ვალდებულება, კვალიფიკაციის ამადლების ღონისძიებები, სააღრიცხვო სამუშაოების შესრულების გრაფიკი.

სააღრიცხვო სამუშაოების შესრულების გრაფიკის ძირითადი დანიშნულებაა სააღრიცხვო სამუშაოების განაწილება შემსრულებლებზე, სამუშაოს შესრულების დროის განსაზღვრა და აღრიცხვის მუშაკთა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა. გრაფიკი შეიძლება იყოს ინდივიდუალური, სტრუქტურული და კრებსითი (ნაერთი).

ინდივიდუალურ გრაფიკში სააღრიცხვო სამუშაოები და მათი შესრულება ისაზღვრება აღრიცხვის სამუშაოთა ცალკეული შემსრულებლის მიხედვით. მასში ჩამოთვლილია თუ რა სამუშაო უნდა შეასრულოს თითოეულმა მუშაკმა და შესრულების დრო. ამ გრაფიკით რეგლამენტირდება აღრიცხვის მუშაკის დასაქმება დღის განმავლობაში და მეტი ხანგრძლივი პერიოდისთვისაც (თვე, კვარტალი და ა.შ.).

სტრუქტურული გრაფიკი მოიცავს საბანკო საქმიანობის სააღრიცხვო სამუშაოთა შესრულებას ბუღალტერიის და ბანკის განყოფილებების მიხედვით და მათი შესრულების ვადებს.

კრებსითი გრაფიკით ისაზღვრება კომერციული ბანკის მთელი სააღრიცხვო საქმიანობის შესრულების უზრუნველყოფა. ის განზოგადებული სახით ასახავს კომერციული ბანკის მთელ სააღრიცხვო პროცესს; პასუხისმგებელი კრებსითი გრაფიკის შესრულებაზე არის მთავარი ბუღალტერი. სააღრიცხვო სამუშაოთა გრაფიკები დგება ცხრილების სახით.

კომერციული ბანკის ბუღალტრული აღრიცხვის აპარატის სტრუქტურა დამოკიდებულია სააღრიცხვო სამუშაოების მოცულობაზე, ორგანიზაციის პირობებზე და

აღრიცხვის ტექნიკური საშუალებების არსებობაზე.

თანამედროვე პირობებში ბუღალტრული აღრიცხვის აპარატის სტრუქტურის ორგანიზაციის სამი ძირითადი ტიპია ცნობილი. ხაზობრივი (იერარქიული), ვერტიკალური (ხაზობრივი – საშტაბო) და კომბინირებული (ფუნქციონალური).

ხაზობრივი ორგანიზაციის პირობებში ბუღალტერიის ყველა თანამშრომელი ექვემდებარება უშუალოდ მთავარ ბუღალტერს. ასეთი სტრუქტურა რეკომენდებულია და გამოიყენება მცირე და საშუალო სიდიდის ბანკებში და გულისხმობს აღრიცხვაში 7-9 კაცის დასაქმებას. შედარებით მსხვილ და დიდ ბანკებში აღრიცხვის ორგანიზაცია კომბინირებულია და მოიცავს როგორც ხაზობრივ ისე ფუნქციონალური მართვის და ორგანიზაციის პრინციპებს.

კომერციულ ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის საკითხი მოიცავს აღრიცხვის მუშაკთა შრომის ნორმალური თანამედროვე პერიოდისათვის დამახასიათებელი პირობების შექმნას. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა უშუალოდ გულისხმობს სპეციალურად მოწყობილი სამუშაო ადგილით და ადგილის ინტერიერის (განათლება, ტემპერატურა, საღებავები) უზრუნველყოფას; შრომის ნორმალური ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას; თითოეული სამუშაო ადგილის რაციონალურ ორგანიზაციას.

სამუშაო ადგილი ორგანიზაციის სამი ტიპიდან: არამექანიზირებული, მექანიზირებული და ავტომატიზირებული კომერციულ ბანკებში პრიორიტეტი ენიჭება ავტომატიზირებულ სამუშაო ადგილს. ბუღალტრის ავტომატიზირებული სამუშაო ადგილი ემყარება თანამედროვე გამოთვლით ტექნიკას რომელიც საშუალებას იძლევა ინფორმაციის მიღების, დამუშავების ოპერაციები შესრულდეს ავტომატურად დროის უმოკლეს პერიოდში.

## 14.3 ფინანსური ანგარიშგების არსი და მნიშვნელობა ბანკებში

მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვა შეიცავს ინფორმაციას, რომლებიც აუცილებელია წარმოების ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის და მართვისათვის იმისათვის, რომ განვსაზღვროთ სამეურნეო საქმიანობის შედეგები საანგარიშგებო პერიოდში და შევაფასოთ, საჭიროა განსაზღვრული სისტემით განვაზოგადოთ მიმდინარე აღრიცხვის მონაცემები.

სამეურნეო საქმიანობის მახასიათებელი განზოგადებული მაჩვენებლები მიიღება ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის ერთერთი ძირითად შემადგენელ ნაწილს და სააღრიცხვო სამუშაოების საბოლოო შედეგს.

აღრიცხვის განზოგადებულ მაჩვენებელთა სისტემას, რომელიც ახასიათებს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგების და საწარმოო დავალების შესრულებას საანგარიშგებო პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი) იწოდება ანგარიშგებად.

ბუღალტრული ანგარიშგება ახასიათებს საანგარიშგებო პერიოდის სამეურნეო დავალებების (პროდუქციის წარმოებას, რეალიზაციას მოგებას და ზარალს, საშუალებების გამოყენება) შესრულებას, ის შედგება სინთეზური და ანალიზური ანგარიშების-აღრიცხვის მონაცემებით.

აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, ბუღალტრული ანგარიშგების ერთერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი ინფორმაცია მხოლოდ ფაქტიური მონაცემებით. იგი დამთავრებულ ოპერაციებს ასახავს, ამიტომაცაა ობიექტური.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ინფორმაციის განსაკუთრებულ წყაროს, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორც საწარმოს შიგნით, ისე მის გარეთ. ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს ისეთი ფუნქციების განხორციელებას, როგორიცაა: დაგეგმვა, კონტროლი და შეფასება

დაგეგმვა - გულისხმობს მიზნის დასახვას, მისი მიღწევის გზების მოძიების და საუკეთესო ალტერნატივის



არჩევას. ამ ეტაპზე ფინანსურმა ანგარიშგებამ უნდა უზრუნველყოს ფინანსური მდგომარეობის ნათელი სურათი, რადგან დაგეგმვისათვის აუცილებელია ინფორმაცია შესაძლო მოგების და ფულად საშუალებებზე მოთხოვნების შესახებ.

კონტროლი გეგმის ფაქტიურად შესრულებაზე მეტყველებს და მეთვალყურეობის პროცესია. ამ ეტაპზე ფინანსურმა ანგარიშგებამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაცია, რომელიც მოიცავს გეგმასთან ფაქტიური ხარჯებისა და შემოსავლიანობის შედარებას.

შეფასება - გადაწყვეტილების მიღების მთელი სისტემის შესწავლის პროცესია მისი გაუმჯობესების მიზნით. ამ ეტაპზე აუცილებელია დადგინდეს მიღწეულია თუ არა მიზანი. გაირკვეს რამ შეუშალა ხელი დასახული მიზნის მიღწევას ფინანსურმა ანგარიშგებამ, პერიოდულად უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ფაქტიურ მდგომარეობაზე.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების განმარტებით ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და მის მიერ განხორციელებული ფინანსური სურათი.

ფინანსური ანგარიშგების მიზანია, დაეხმაროს ინფორმაციის მომხრეებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების და ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ საიმედო ინფორმაციის მიწოდება.

ფინანსური ანგარიშგების კომონენტებია:

1. ბალანსი.
2. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.
3. ანგარიშგება, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას: საწარმოს საკუთარ კაპიტალში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების შესახებ, სააღრიცხო პოლიტიკის შესახებ და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილები ურთიერთკავშირშია იმ თვალსაზრისით, რომ ასახავენ ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციების და მოვლენების

სხვადასხვა ასპექტს.

ფინანსური ანგარიშგება შეიძლება შეიცავდეს ცხრილურ დანახარჯებს და სხვა ინფორმაციასაც, რომლებიც ემყარება ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად მთლიანობაში.

ფინანსური ანგარიშგება შეიძლება კლასიფიცირდეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით:

შედგენის პერიოდის მიხედვით;

დანიშნულების მიხედვით;

ინფორმაციის მიხედვით;

- გამოყენებული შეფასების მიხედვით.

შედგენის პერიოდის მიხედვით ანგარიშგება იყოფა წლიურ და შუალედურ ანგარიშგებად. შუალედურ ანგარიშგებას წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან მის დამთავრებამდე პერიოდში შემადგენელი და წარმოდგენილი ანგარიშგებით.

წლიური ანგარიშგება – ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად მოიცავს სხვა ფინანსურ და არაფინანსურ ინფორმაციას. კერძოდ იგი შეიცავს ინფორმაციის ემიტენტის, მისი საქმიანობის მმართველი ორგანოს წევრთა და იმ პირთა შესახებ, რომლებიც აუქციონერთა კრებაზე ფლობენ ან აკონტროლებენ 5%-ზე მეტს, დამოუკიდებელი აუდიტორიის მიერ დადასტურებულად ფინანსურ ანგარიშგებას ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წევრებით განსაზღვრული ფორმით მოცემული სხვა ინფორმაციას.

ნახევარწლიური ანგარიშგება დგება საანგარიშგებო წლის პირველი ექვსი თვის შესახებ. იგი მოიცავს ანგარიშგებადებული საწარმოს ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგებისას; ინფორმაციის საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ნახევარი წლის არსებითი მოვლენების შესახებ და კომისიის წესებით, განსაზღვრული ფორმით მოცემული სხვა ინფორმაციის ნახევარწლიური ანგარიშგება წარედგინება კომისიას ამ პერიოდის დამთავრებიდან 45 დღის განმავლობაში.

მიმდინარე ანგარიშგება წარედგინება კომისიის არსებით მოვლენებთან დაკავშირებით. მისი ფორმა და შინაარსი განისაზღვრება კომისიის მოთხოვნით და წარდგენა ხდება ანგარიშგებაში ასახული არსებითი მოვლენის

მოქმედებიდან 15 დღის განმავლობაში.

დანიშნულების მიხედვით ანგარიშგებები იყოფა შიდა მოხმარების და საერთო დანიშნულების ანგარიშგებად.

შიდა დანიშნულების ანგარიშგება მზადდება საწარმოს სამმართველო მიზნებისათვის და იგი ფინანსურ ანგარიშგებიდან მოიცავს ოპერატიული მართვისათვის აუცილებელი ინფორმაციას. მისი ფორმა შინაარსი და წარდგენის ვადები განისაზღვრება საწარმოს შიდა მიზნებიდან გამომდინარე.

საერთო დანიშნულების ანგარიშგება იყოფა ფინანსურ და შერეული ინფორმაციის მომცველ ანგარიშგებად.

ფინანსური ოპერაციის მომცველია ფინანსური ანგარიშგება, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად მზადდება.

შერეული ინფორმაციის მაჩვენებელია ანგარიშგება, რომელიც ფინანსურთან ერთად მოიცავს არაფინანსურ ინფორმაციასაც. ამის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების კომისიაში წარსადგენი წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგებები.

გამოყენებული შეფასების მიხედვით ანგარიშგებები იყოფა უცვლელი და მიმდინარე ფასებით შედგენილ ანგარიშგებად. უცვლელი ფასებით შედგენილია ანგარიშგება, რომლის შედგენისას გათვალისწინებული არ არის ინფლაცია მიმდინარე ფასებით შედგენილია ანგარიშგება, რომელიც გათვალისწინებულია ინფლაციასთან დაკავშირებული ფასების ინდექსები.

## 14.4 ანგარიშგება ფინანსური შედეგების შესახებ კომერციულ ბანკებში

მეწარმის (საწარმოს) საანგარიშო წლის სამეურნეო საქმიანობის საბოლოო ფინანსური შედეგი შეიძლება იყოს მოგება ან ზარალი. ფინანსური შედეგი გამოითვლება წლის ბოლოს და შესაძლებელია ორი ხერხის გამოყენებით:

1. წლის დასაწყისში და წლის ბოლოს საკუთარი კაპიტალის შედარებით პარტნიორთა შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.
2. ხარჯებისა და შემოსავლების შეპირისპირებით.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებით შედეგის დადგენა ყველაზე მარტივია შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობის არმქონე საწარმოებში. ასეთ შემთხვევაში საკმარისია საკუთარი კაპიტალის საბალანსო მარეწებლების სხვაობას დაემატოს სამეურნეო წლის განმავლობაში ამოღებული საკუთარი კაპიტალი და მოაკლდეს ამავე პერიოდის დამატებითი შენატანები. იგი შეიძლება გამოისახოს ფორმულით.

$$P = (C^1 + O) - (C + J)$$

სადაც P – არის ფინანსური შედეგი

$C^1$  – საკუთარი კაპიტალი სამეურნეო წლის დასაწყისში;

C – საკუთარი კაპიტალი სამეურნეო წლის ბოლოს;

J – საკუთარ კაპიტალში დამატებითი შენატანები;

O – ამოღებული საკუთარი კაპიტალი.

შედეგის ასეთი ხერხით გამოთვლა, მართალია ადვილია, მაგრამ მწირ ინფორმაციას იძლევა შედეგის ფორმირებაში მონაწილე ფაქტორზე. ეს ნაკლოვანება გამოსწორდება, თუ შედეგის გამოთვლას ვაწარმოებთ საწარმოს შემოსავლების და ხარჯების ასალრიცხავად გამოყენებული ანგარიშგების დახმარებით.

მოგება-ზარალის ანგარიშგება განაზოგადებს საწარმოს შემოსავლების და ხარჯების დროს, გარკვეულ მონაკვეთში, რომლის საფუძველზეც ვარკვევთ ბანკის ფინანსურ შედეგს კონკრეტული თარიღისათვის.

შემოსავლი არის ბანკის ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, რაც გამოიხატება აქტივების გაზრდით ან ვალდებულებების მეშვეობით. კომერციული ბანკის შემოსავლები დაჯგუფებულია მუხლების მიხედვით.

ხარჯები კი არის ბანკის ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდში აქტივების შემცირების ან ვალდებულებების გაზრდის ხარჯზე.

მოგება-ზარალის ანგარიშგება გულისხმობს კონკრეტული პერიოდის გაყიდვებთან დაკავშირებული ხარჯების შედარებას. ამავე გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავალთან (ამონაგებთან).

მოგება ინაგარიშგება №62-64, 66, 70-82-86 კლასის ანგარიშებზე რიცხული თანხების №82-86, 90-97 კლასის ანგარიშებზე რიცხული თანხები და აისახება №5501 ანგარიშებზე.

წარმოების პროცესში საწარმოს საკუთარი კაპიტალი იცვლება ყოველთვის წარმოების ხარჯებისა და შემოსავლების მიხედვით. წარმოების ხარჯები ამცირებენ საკუთარ კაპიტალს და წლის განმავლობაში წარმოების ხარჯების დებეტში აისახება. შემოსავლები კი პირიქით, ზრდიან საკუთარ კაპიტალს და შემოსავლების ანგარიშის კრედიტში აისახებიან.

მოგება-ზარალი

ფილიალი:				
თარიღი:				
№	შემოსაფლებლის მუხლები	ლარი	ვალუტა	სულ
1	საპროცენტო შემოსაფლები			
ა)	სესხების პროცენტი			
1	ჟანკთაშორისი სესხებიდან			
2	ვაჭრობა და მომსახურება			
3	ენერგეტიკა და ბუნებრივი რესურსები			
4	სოფლის მეურნეობა			
5	მშენებლობა და უძრავი ქონება			
6	მსუბუქი და მძიმე მრეწველობა			
7	ტრანსპორტი და კომუნიკაციები			
8	ფინიკური პირები			
9	სხვა დანარჩენი სესხებიდან			
10	ბარათების ოვერდრაფტებიდან			
ბ)	პროცენტული შემოსაფლები სეპ-იდან			
გ)	პროცენტული შემოსაფლები „ნოსტრო“ შემოსაფლებიდან			
დ)	სხვა პროცენტული შემოსაფლები კომერციული ბანკებიდან			
ე)	შემოსაფლები დივინდური ფასიანი ქაღალდებიდან (სახაზინო ვალდებულებები)			
ვ)	საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან			
ზ)	შემოსაფლები ფილ. საკრედიტო რესურსებიდან (გარანტიები)			
თ)	შემოსაფლები ფილ. ხელფასებიდან			
ი)	რეგულირებაზე დარიცხული %			
კ)	სხვა (ფილიალებიდან) შემოსაფალი			
ლ)	შემოსაფლები ფილ. საკრედიტო რესურსებიდან (გარანტიები)			
მ)	პროცენტული შემოსაფლები რეპო ოპერაციებით ბანკებზე გაცემული სახსრებიდან			
ნ)	მიღებული დივიდენდები			
2	საკომისიო შემოსაფლები			
ა)	შემოსაფლები გადარიცხვებიდან			
ბ)	შემოსაფლები საბარათე ანგარიშების გახსნის და წარმოების მიხედვით			
გ)	შემოსაფლები სეიფტის სისტემით გადარიცხვებიდან			
დ)	შემოსაფლები ანელიკის სისტემით გადარიცხვებიდან			
ე)	შემოსაფლები მანიგრამის სისტემით			

	გადარიცხვებიდან			
ვ)	შემოსავლები კაეკაზუსის სისტემით გადარიცხვებიდან			
ზ)	შემოსავლები ფილიალებს შორის გადარიცხვებიდან			
თ)	შემოსავლები აკრედიტივიდან			
ი)	შემოსავლები საკასო ოპერაციებიდან			
კ)	შემოსავლები ბანკომატში ბარატების განაღდებად			
ლ)	სეიფტის სისტემით ჩარიცხული თანხების გატანის საკომისიო			
მ)	აელიკის სისტემით ჩარიცხული თანხების გატანის საკომისიო			
ნ)	მანიგრამის სისტემით ჩარიცხული თანხების გატანის საკომისიო			
ო)	კაკაზუსის სისტემით ჩარიცხული თანხების გატანის საკომისიო			
პ)	ფილიალიდან ჩარიცხული თანხების საკომისიო			
ჟ)	შემოსავლები ინკასაციიდან			
რ)	კოვერტაციის საკომისიოები			
ს)	ანკომატის კონვერტაციის მოგება			
ტ)	სხვა ბანკებიდან საკომისიოები			
უ)	შემოსავლები ფილ. გადარიცხვებიდან			
ფ)	შემოსავალი საკასო ოპერაციიდან (სათავო ბანკიდან)			
ქ)	შემოსავალი ფილიალ საკასო ოპერაციებიდან			
ღ)	შემოსავლები ფილ. ინკასაციიდან			
ყ)	შემოსავლები ფილიალ კონვერტაციიდან			
შ)	სხვა საოპერაციო შემოსავლები			
1	სესხის გაფორმების საკომისიო			
2	ანგარიშის გახსნის საკომისიო			
3	ბარათებით მომსახურების			
4	სხვა (მომსახურება)			
5	შემოსავლები ფილიალების მომსახურებიდან (იჯარა)			
6	შემოსავლები ფილიალის მომსახურებიდან (კომუნალური)			
7	შემოსავლები ფილიალის მომსახურებიდან (სამეურნეო-საკანცელარიო)			
8	შემოსავლები ფილიალის მომსახურებიდან (კავშირგაბმულობა)			

3	შემოსავლები ქონების იჯარით გაცემიდან			
4	სხვა არასაპროცენტო შემოსავლებიდან			
ა)	შემოსავლები ბროკერული ოპერაციებიდან			
ბ)	შემოსავლები ფაქტორინგული ოპერაციებიდან			
გ)	შემოსავლები გარანტიის მიხედვით			
დ)	დასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება (ზარალი)			
ე)	ფიქსირებული აქტივები გაყიდვიდან მიღებული წმინდა მოგება (ზარალი)			
5	ჩამოწერილი სესხის დაბრუნება			
6	მოგება საკონვერსაციო ოპერაციებიდან			
7	სხვა შემოსავლები			
1	დუბლიკატები			
2	ფაქსით, ტელექსით მომსახურება			
3	საფულე ჩეკების, ქვითრების, ბარათების			
4	დეპოზიტის დარღვევისაგან			
5	ეროვნული ზედმეტობა			
6	სხვა			
7	შემოსავლები ფილიალის საკ- რესურსებიდან (ცვეთა)			
8	შემოსავლები პენსიიდან			
	სულ შემოსავლები			
	სულ ერთი თვის შემოსავლები			
	მოგება (ზარალი)			

დირექტორატის (გამგეობის) თავმჯდომარე  
მთავარი ბუღალტერი  
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი



## კითხვები თვითკონტროლისათვის

1. ბუღალტრული აღრიცხვის რომელი ობიექტების ჯგუფი გამოიყოფა საბანკო საქმეში?
2. კომერციულ ბანკებში რომელი ელემენტებისაგან შედგება ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის გეგმა?
3. რა სახის ინფორმაციაა მოცემული ბუღალტრული აღრიცხვის ტექნიკური გაფორმების გეგმაში?
4. თანამედროვე პირობებში ბუღალტრული აღრიცხვის აპარატის სტრუქტურის ორგანიზაციის რომელი სამი ძირითადი ტიპია ცნობილი?
5. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების განმარტებით რა არის ფინანსური ანგარიშგება?
6. რომელი ფუნქციების განხორციელებას უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგება?
7. რა ნიშნების მიხედვით ხორციელდება ფინანსური ანგარიშგების კლასიფიკაცია?
8. გაშიფრეთ  $P = (C^I + O) - (C + J)$  ფორმულა და დაახასიათეთ მისი კომპონენტები.

## ტესტები

1. კომერციული ბანკის ბუღალტერიის საშტატო განაკვეთების სტრუქტურა, თითოეული მუშაკის თანამდებობრივი ვალდებულება, კვალიფიკაციის ამადლების ღონისძიებები, სააღრიცხვო სამუშაოების შესრულების გრაფიკი მოცემულია  
ა) ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის გეგმაში;  
ბ) ბუღალტრული აღრიცხვის აპარატის მუშაკთა შრომის ორგანიზაციის გეგმაში;  
გ) ბუღალტრული აღრიცხვის აპარატის მუშაკთა შრომის ანაზღაურების გეგმაში;  
დ) ბუღალტრული აღრიცხვის ტექნიკური გაფორმების გეგმაში.

2. საბანკო საქმიანობის სააღრიცხვო სამუშაოთა შესრულებას ბუღალტერიის და ბანკის განყოფილებების მიხედვით და მათი შესრულების ვადებს მოიცავს
- ა) ორგანიზაციული გრაფიკი;
  - ბ) ტექნიკური გრაფიკი;
  - გ) საორგანიზაციო გრაფიკი;
  - დ) სტრუქტურული გრაფიკი.
3. კომერციული ბანკის სააღრიცხვო პროცესი განზოგადებული სახით აისახება და მთელი სააღრიცხვო საქმიანობის შესრულების უზრუნველყოფა ისაზღვრება
- ა) კრებსითი გრაფიკით;
  - ბ) ტექნიკური გრაფიკით;
  - გ) ინდივიდუალური გრაფიკით;
  - დ) საბალანსო გრაფიკით.
4. თანამედროვე პირობებში ბუღალტრული აღრიცხვის აპარატის სტრუქტურის ორგანიზაციის შემდეგი სამი ძირითადი ტიპია ცნობილი
- ა) ხაზობრივი, ვერტიკალური და კომბინირებული;
  - ბ) ხაზობრივი, პირიზონტარული და კომბინირებული;
  - გ) ხაზობრივი, ვერტიკალური და იერარქიული;
  - დ) ფუნქციონალური, ვერტიკალური და კომბინირებული.
5. სამუშაო ადგილი ორგანიზაციის სამი ტიპიდან: არამექანიზირებული, მექანიზირებული და ავტომატიზირებული კომერციულ ბანკებში პრიორიტეტი ენიჭება
- ა) არამექანიზირებულ სამუშაო ადგილს;
  - ბ) მექანიზირებულ სამუშაო ადგილს;
  - გ) ავტომატიზირებულ სამუშაო ადგილს;
  - დ) არცერთ მათგანს.
5. აღრიცხვის განზოგადებულ მაჩვენებელთა სისტემას, რომელიც ახასიათებს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგების და საწარმოო დავალების შესრულებას საანგარიშგებო პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი) იწოდება
- ა) ანგარიშგებად;
  - ბ) ანგარიშსწორებად;
  - გ) კრებსიდ უწყისად;
  - დ) წლიურ ბალანსად.
6. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების განმარტებით არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და მის მიერ განხორციელებული ფინანსური სურათი არის

- ა) ფინანსური ანალიზი;
- ბ) ფინანსური მდგომარეობა;
- გ) ფინანსური ანგარიშგება;
- დ) ფინანსური აღრიცხვა.

7. ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს ისეთი ფუნქციების განხორციელებას, როგორცაა

- ა) დაგეგმვა, კონტროლი და ანალიზი;
- ბ) დაგეგმვა, შესრულება და შეფასება;
- გ) დაგეგმვა, კონტროლი და შეფასება;
- დ) რევიზია, კონტროლი და შეფასება.

8. შედგენის პერიოდის მიხედვით ანგარიშგება იყოფა

- ა) კვარტალურ და წლიურ ანგარიშგებად;
- ბ) საწყის და საბოლოო ანგარიშგებად;
- გ) საწყის და შუალედურ ანგარიშგებად;
- დ) წლიურ და შუალედურ ანგარიშგებად.

9. ანგარიშგება, რომლისფორმა და შინაარსი განისაზღვრება კომისიის მოთხოვნით და წარდგენა ხდება ანგარიშგებაში ასახული არსებითი მოვლენის მოქმედებიდან 15 დღის განმავლობაში არის

- ა) ოპერატიული ანგარიშგება;
- ბ) მიმდინარე ანგარიშგება;
- დ) მიზნობრივი ანგარიშგება;
- დ) შიდა ანგარიშგება;

10. ანგარიშგებას, რომელიც გულისხმობს კონკრეტული პერიოდის გაყიდვებთან დაკავშირებული ხარჯების შედარებას ამავე გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავალთან (ამონაგებთან), ეწოდება

- ა) მიმდინარე ანგარიშგება;
- ბ) ფინანსური ანგარიშგება;
- ბ) წლიური ანგარიშგება;
- დ) მოგება-ზარალის ანგარიშგება.

ნოზელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში  
(1969-2007 წწ.).

- 1969 – ტინბერგენი იან (ჰოლანდია), ფრიში რაგნარ (ნორვეგია), „დინამიკური მოდელების განვითარებისა და გამოყენებისათვის ეკონომიკური პროცესების ანალიზში“.
- 1970 – სამუელსონი პოლ (აშშ), „მეცნიერული შრომისათვის, რომელმაც განავითარა სტატისტიკური და დინამიკური ეკონომიკური თეორია და შეიტანა წვლილი ანალიზის საერთო დონის ამაღლებაში ეკონომიკურ მეცნიერებაში“.
- 1971 – კუზნეცი საიმონ (აშშ), „ეკონომიკური ზრდის ემპირიულად დასაბუთებული გაგებისათვის, რამაც მიგვიყვანა ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურის, ისე განვითარების პროცესის ახალ, უფრო ღრმა გაგებამდე“.
- 1972 – ჰიკსი ჯონ (გაერთიანებული სამეფო), ეროუ კენეტ (აშშ), „ნოვატორული წვლილისათვის წონასწორობისა და კეთილდღეობის თეორიაში“.
- 1973 – ლეონტიევი ვასილ (აშშ), „სხვადასხვა საწარმოო პროცესებს შორის კაცშირის შესწავლისათვის“.
- 1974 – მიურდალი გუნარ (შვედეთი), ჰაიეკი ფრიდრიხ (ავსტრია), „ინოვაციური შრომებისათვის ფულისა და ეკონომიკური რყევების თეორიაში, აგრეთვე ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციონალური მოვლენის ურთიერთდამოკიდებულების ღრმა ანალიზისათვის“.
- 1975 – კუპმანსი ტაილინგ (აშშ), კანტოროვიჩი ლეონიდ (რუსეთი), „რესურსების ოპტიმალური განაწილების თეორიაში შეტანილი წვლილისათვის“.
- 1976 – ფრიდმენი მილტონ (აშშ), მილწევებისათვის მოხმარების ანალიზის სფეროში, ფულის მიმოქცევის ისტორიისა და მონეტარული თეორიის დამუშავებისათვის, აგრეთვე სტაბილიზაციის პოლიტიკის სირთულის ჩვენებისათვის“.
- 1977 – მიდი ჯეიმს (გაერთიანებული სამეფო), ულინი ბერტილ (შვედეთი), „გზისგამკვლევითი წვლი-

- ლისათვის საერთაშორისო ვაჭრობასა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის თეორიაში“.
- 1978 – საიმონი ჰერბერტ (აშშ), „ეკონომიკურ ორგანიზაციებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესების ნოვატორული გამოკვლევებისათვის“.
- 1979 – შულცი თეოდორ (აშშ) ლუისი არტურ (აშშ), „ეკონომიკური განვითარების ნოვატორული გამოკვლევებისათვის, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მიმართ“.
- 1980 – კლეინი ლორენ (აშშ), „ეკონომიკური მოდელების შექმნისა და მათი გამოყენებისათვის ციკლური რყევებისა და ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზში“.
- 1981 – ტობინი ჯეიმს (აშშ), „ფინანსური ბაზრების მდგომარეობის, ანალიზისა და მათი გავლენისათვის გადაწყვეტილების მიღების პოლიტიკაზე გასაგებების, უმუშევრობის, წარმოებისა და ფასების სფეროში“.
- 1982 – სტიგლერი ჯორჯ (აშშ), „სამრეწველო სტრუქტურების, ბაზრების ფუნქციონირების, სახელმწიფო რეგულირების შედეგების და მიზეზების სფეროში ნოვატორული იდეებისათვის“.
- 1983 – დებრე შერარ (აშშ), „იმ წვლილისათვის, რომელიც მან შეიტანა ეკონომიკაში საერთო წონასწორობის თეორიისა და იმ პირობების განმარტებისათვის, რომლის დროსაც საერთო წონასწორობა არსებობს ზოგიერთ აბსტრაქციულ ეკონომიკაში“.
- 1984 – სტოუნი რიჩარდ (გაერთიანებული სამეფო), „ეროვნული ანგარიშების სისტემების შემუშავებაში შეტანილი ფუნდამენტური წვლილისა და ემპირიული ეკონომიკური ანალიზის საფუძვლების არსებითი სრულყოფისათვის“.
- 1985 – მოდილიანი ფრანკო (აშშ), „დაგროვებისა და ფინანსური ბაზრების დინამიკის პიონერული გამოკვლევებისათვის“.
- 1986 – ბიუკენენი ჯეიმს (აშშ), „საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის განვითარებისათვის და ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდების საკონტრაქტო (სახელშეკრულებო) და კონსტიტუციური საფუძვლების გამოკვლევისათვის“.

- 1987 - სოლოუ რობერტ (აშშ), „ეკონომიკური ზრდის თეორიაში შეტანილი ფუნდამენტური წვლილისა და ეკონომიკის განვითარებაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის როლის ანალიზისათვის“.
- 1988 - ალფე მორის (საფრანგეთი), „ბაზრებისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენების თეორიაში პიონერული წვლილისათვის“.
- 1989 - ჰააველმო ტრიუგვე (ნორვეგია), „წვლილისათვის ზოგადი წონასწორობის თეორიისა და იმ პირობების დამუშავებისათვის, რომელთა დროს ზოგადი წონასწორობა ხორციელდება ზოგიერთ აბსტრაქტულ ეკონომიკაში“.
- 1990 - მარკოვიცი ჰარი (აშშ), შარპი უილიამ (აშშ), მერტონი მილერ (აშშ), „ფინანსური ეკონომიკური თეორიის განვითარებისათვის“.
- 1991 - კოუზი რონალდ (გაერთიანებული სამეფო), „ინსტიტუციური სტრუქტურებისა და ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის საოპერაციო დანახარჯებისა და საკუთრების უფლებების მნიშვნელობის აღმოჩენისა და ახსნისათვის“.
- 1992 - ბეკერი ჰარი (აშშ), „ადამიანური ქცევის და სოციალურ ურთიერთობათა პრობლემების ანალიზისათვის ეკონომიკის პოზიციიდან“.
- 1993 - ნორთი დუგლას (აშშ), ფოგელი რობერტ (აშშ), „ისტორიული პროცესების შესწავლის ახალი ეკონომიკური მეთოდების გამოყენებისათვის“.
- 1994 - ზელტენი რაინჰარდ (გერმანია), ნეში ჯონ (აშშ), ჰარშანი ჯონ (აშშ), „პრიორიტეტული წვლილისათვის არაკოოპერატიული თამაშების ანალიზისათვის“.
- 1995 - ლუკასი რობერტ (აშშ), „რაციონალური მოლოდინის პიპოთეზის განვითარებისა და გამოყენებისათვის, აგრეთვე წვლილისათვის მაკროეკონომიკურ ანალიზში და ეკონომიკური პოლიტიკის გაგების გაღრმავებაში“.
- 1996 - ვიკრი უილიამ (აშშ), მირლისი ჯეიმს (გაერთიანებული სამეფო), „ფუნდამენტური წვლილისათვის სტიმულირების ეკონომიკურ თეორიაში ასიმეტრიული ინფორმაციის დროს“.

- 1997 – მერტონი რობერტ (აშშ), სკოულზი მაირონ (აშშ), „წარმოების ღირებულების განსაზღვრის ახალი მეთოდებისათვის“.
- 1998 – სენი ამარტია (ინდოეთი), „მოსახლეობის კეთილდღეობის შესახებ ეკონომიკური აზრის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“.
- 1999 – მანდელი რობერტ ა. (აშშ), „განსხვავებული გაცვლითი კურსების რეჟიმების პირობებში მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის და ოპტიმალური სავალუტო ზონების ანალიზისათვის“.
- 2000 – ჰეკმანი ჯეიმს (აშშ), „შერჩევითი მოდელების ანალიზის თეორიისა და მეთოდების შემუშავებისათვის“.  
მაკფადენი დენიელ (აშშ), „დისკრეტული არჩევანის თეორიისა და ანალიზის მეთოდების შემუშავებისათვის“.
- 2001 – აკერლოფი ჯორჯ (აშშ), სტიგლიცი ჯოზეფ (აშშ), სპენსი მაიკლ (აშშ), „ასიმეტრიული ინფორმაციის პირობებში ბაზრების ანალიზისათვის“.
- 2002 – კანემანი დანიელ (აშშ), „ეკონომიკურ მეცნიერებაში ფსიქოლოგიური კვლევის კომპლექსური გაგებისათვის, განსაკუთრებით გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტილებების მიღებასთან მიმართებაში“.  
სმიტი ვერნონ (აშშ), „ლაბორატორიული ექსპერიმენტების, როგორც ემპირიული ეკონომიკური ანალიზის ინსტრუმენტის შექმნისათვის, განსაკუთრებით ალტერნატიული საბაზრო მექანიზმების შესწავლისას“.
- 2003 – გრანჯერი კლივ (გაერთიანებული სამეფო), ენგლი რობერტ (აშშ), „ეკონომიკური დინამიკური მწკრივების ანალიზის მეთოდებისათვის ჩვეულებრივი ტრენდების პირობებში“.
- 2004 – კიდლენდი ფინდ (ნორვეგია), ე. პრესკოტი ედუარდ ს. (აშშ), „მაკროეკონომიკურ დინამიკაში შეტანილი წვლილისათვის: ეკონომიკური პოლიტიკის დროში განსაზღვრულობა და წარმოების ციკლის მამოზრავებელი ძალა“.

- 2005 – აუმენი რობერტ (ისრაელი), შელინგი თომას (აშშ), „კომფლიქტებისა და კოოპერაციის გაგების გაღრმავებისათვის თამაშთა თეორიის ანალიზის მეშვეობით“.
- 2006 – ფელქსი ედმუნდ (აშშ), „მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში ინტერტემპორული კომპრომისების ანალიზისათვის“.
- 2007 – მესკინი ერიკ (აშშ), გურვიჩი ლეონიდ (აშშ), მაიერსონი როჯერ (აშშ), „ოპტიმალური მექანიზმების თეორიის შემუშავებისათვის“.
- 2008 – კრუგმანი პოლ (აშშ), „ვაჭრობის სტრუქტურისა და ეკონომიკური აქტივობის განლაგების ანალიზისათვის“.



## ლიტერატურა

1. ასათიანი რ. ფული და ფულადი სისტემები, თბ., 1996.
2. გოგოხია მ. საბანკო საქმე თბ., 2007.
3. ვანიშვილი მ. ფინანსები თბ., 2007.
4. კაკულია რ. ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია თბ., 2004.
5. კომპტონი ერიკ ნ.. კომერციული საბანკო სისტემის ახალი პორიზონტები. თბ. 1993.
6. კოზიანიძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეპოქაზე. თბ., 2001.
7. მოსიაშვილი ე. ეკონომიკა თბ., 2008.
8. მოსიაშვილი ვ. ეკონომიკა: დინამიკა, ზრდა, განვითარება თბ., 2008.
9. მოსიაშვილი ვ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის თეორიები. თბ., 2009.
10. საქართველოს საგადასახო კოდექსი. თბ., 2009
11. საქართველოს საბანკო კანონმდებლობა.
12. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2008.
13. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ. 1998.
14. ცაავა. გ. საბანკო საქმე თბ., 2005.
15. Антонов Н. Пессел М. Денежное обращение, кредит и банки. М., 2005.
16. Банка и банковские операции. под. ред. У.Ф. Жукова. М.2006.
17. Банковское дело: стратегическое руководство. под.ред. В. Платоновии М. Хиггичса. М. 1998.
18. Банковское дело, под ред. проф. О. И. Лавгушина. Ы., 2005.
19. Жуков . Менеджмент и маркетинг в банках. М. 2002.
20. Банка и банковские операции. под. ред. У.Ф. Жукова. М.2003.
21. Финанси, Денежное обращение, Кредит. под ред. проф. Дробозиной А. А. М., 2004
22. Федоров М., Валюта, валютные система и валютные курсы. М., 2005.
23. [WWW.statistics.ge](http://WWW.statistics.ge)
24. [WWW.mof.ge](http://WWW.mof.ge)
25. [WWW.nbg.ge](http://WWW.nbg.ge)
26. [WWW.ekonomika.ge](http://WWW.ekonomika.ge)

27. [WWW.un.org](http://WWW.un.org)
28. [WWW.unsyst.org](http://WWW.unsyst.org)
29. [WWW.worldBank.org](http://WWW.worldBank.org)
30. [WWW.info.org](http://WWW.info.org)
31. [www.economy.gov.ge](http://www.economy.gov.ge) ;
32. [www.euro.who.int](http://www.euro.who.int) ;
33. [www.geplac.org](http://www.geplac.org);
34. [www.gnsf.ge](http://www.gnsf.ge);
35. [www.government.gov.ge](http://www.government.gov.ge) ;
36. [www.iet.ru](http://www.iet.ru);
37. [www.hespa.ge](http://www.hespa.ge);
38. [www.reforms.ge](http://www.reforms.ge);
39. [www.mcs.gov.ge](http://www.mcs.gov.ge);
40. [www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge) ;
41. [www.who.int](http://www.who.int)
42. [www.parliament.gov.ge](http://www.parliament.gov.ge);
43. [www.gks.ru](http://www.gks.ru);
44. [www.ninfin.ru](http://www.ninfin.ru);
45. [www.cbr.ru](http://www.cbr.ru);
46. [www.nelog.ru](http://www.nelog.ru);
47. [www.nbet.org](http://www.nbet.org);
48. [www.cepa.newschool.edu/het](http://www.cepa.newschool.edu/het) ;
49. [www.federalreserv.gov](http://www.federalreserv.gov);
50. [www.inme.ru](http://www.inme.ru);
51. [www.hse.ru](http://www.hse.ru);
52. [www.libertarium.ru](http://www.libertarium.ru);
53. [www.rbc.ru](http://www.rbc.ru);
54. [www.akm.ru](http://www.akm.ru);
55. [www.nber.org](http://www.nber.org)

# შინაარსი

	<b>წინასიტყვაობა</b>	<b>3</b>
<b>თემა 1.</b>	<b>საბანკო საქმის წარმოშობა და განვითარება</b>	<b>5</b>
	1.1 საბანკო საქმის განვითარების რეტროსპექტივა	5
	1.2 საბანკო საქმიანობის წარმოშობა და განვითარება საქართველოში	10
	კითხვები თვითკონტროლისათვის	17
	ტესტები	18
<b>თემა 2.</b>	<b>თანამედროვე საკრედიტო სისტემა</b>	<b>20</b>
	2.1 საკრედიტო სისტემის არსი და სტრუქტურა	20
	2.2 საქართველოს თანამედროვე საკრედიტო სისტემა	28
	კითხვები თვითკონტროლისათვის	32
	ტესტები	32
<b>თემა 3.</b>	<b>განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემები</b>	<b>34</b>
	3.1 იტალიის საბანკო სისტემა	34
	3.2 შვეიცარიის საბანკო სისტემა	39
	3.3 აშშ-ის საბანკო სისტემა	45
	3.4 იაპონიის საბანკო სისტემა	53
	კითხვები თვითკონტროლისათვის	58
	ტესტები	58
<b>თემა 4.</b>	<b>კრედიტის ფუნქციები და ფორმები</b>	<b>61</b>
	4.1 კრედიტის არსი და საკრედიტო ურთიერთობათა განვითარების ძირითადი ეტაპები	61
	4.2 კრედიტის ფუნქციები	64
	4.3 კრედიტის ფორმები	67
	4.4 დაკრედიტების პრინციპები	72
	კითხვები თვითკონტროლისათვის	73
	ტესტები	74
<b>თემა 5.</b>	<b>ცენტრალური ბანკები</b>	<b>76</b>
	5.1 ცენტრალური ბანკების წარმოშობის რეტროსპექტივა	76
	5.2 ცენტრალური ბანკის ფუნქციები	79
	5.3 საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა	93
	კითხვები თვითკონტროლისათვის	94
	ტესტები	94
<b>თემა 6.</b>	<b>კომერციული ბანკები</b>	<b>96</b>

6.1 კომერციული ბანკის ფუნქციები და ორგანიზაციული სტრუქტურა	96
6.2 კომერციული ბანკების ძირითადი ოპერაციები	103
6.3 საბანკო ლიკვიდობა	108
6.4 საბანკო რისკები	110
კითხვები თვითკონტროლისათვის	112
ტესტები	113
<b>თემა 7. საბანკო მარკეტინგი</b>	<b>115</b>
7.1 საბანკო მარკეტინგის ცნება და შემადგენელი ნაწილები	115
7.2 საბანკო ბაზრის მარკეტინგული გამოკვლევა	120
7.3 ბანკის მარკეტინგული სტრატეგიის რეალიზება	124
კითხვები თვითკონტროლისათვის	131
ტესტები	132
<b>თემა 8. საბანკო მენეჯმენტი</b>	<b>134</b>
8.1 საბანკო მენეჯმენტის არსი და ელემენტები	134
8.2 გარემო და ინფორმაცია საბანკო მენეჯმენტში	141
8.3 საბანკო მენეჯმენტის ფინანსური სფეროები	147
კითხვები თვითკონტროლისათვის	151
ტესტები	152
<b>თემა 9. საბანკო სისტემის სახელმწიფო რეგულირება</b>	<b>155</b>
9.1 კომერციული ბანკების რეგულირებისა და თვითრეგულირების არსი და მნიშვნელობა	155
9.2 საბანკო სისტემის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მეთოდების ანალიზი	163
კითხვები თვითკონტროლისათვის	173
ტესტები	173
<b>თემა 10. საერთაშორისო ანგარიშსწორება</b>	<b>176</b>
კითხვები თვითკონტროლისათვის	188
ტესტები	188
<b>თემა 11. საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობები</b>	<b>191</b>
11.1 საერთაშორისო კრედიტის არსი და ფორმები	191
11.2 საერთაშორისო სავალუტო ფონდის საკრედიტო ურთიერთობები წევრ-ქვეყნებთან	194
11.3 ექსპორტ-იმპორტის დაფინანსება	202

	კითხვები თვითკონტროლისათვის	209
	ტესტები	209
თემა 12.	ფინანსური გლობალიზაცია და ოფშორული საბანკო ცენტრები	212
	12.1 გლობალიზაციისა და ფინანსური ეკონომიკის განვითარების დიალექტიკა	212
	12.2 მსოფლიო ფინანსური ბაზრის არსი და კომპონენტები	219
	12.3 მსოფლიო ოფშორული საბანკო ცენტრები	225
	12.4 წამყვანი ოფშორული ბანკები და მათი როლი მსოფლიო მეურნეობაში	228
	კითხვები თვითკონტროლისათვის	240
	ტესტები	241
თემა 13.	კომერციული ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება	243
	13.1 შემოსავლებისა და ხარჯების არსი, კლასიფიკაცია	243
	13.2 შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება და აღიარება	247
	13.3 კომერციული ბანკების შემოსავლები და მისი სტრუქტურა	254
	13.4 საპროცენტო მარჟა და მისი ანალიზი	260
	კითხვები თვითკონტროლისათვის	263
	ტესტები	263
თემა 14.	საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება კომერციულ ბანკებში	266
	14.1 ბუღალტრული აღრიცხვის თავისებურება და მნიშვნელობა საბანკო საქმეში	266
	14.2 ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები კომერციულ ბანკებში	269
	14.3 ფინანსური ანგარიშგების არსი და მნიშვნელობა ბანკებში	274
	14.4 ანგარიშგება ფინანსური შედეგების შესახებ კომერციულ ბანკებში	278
	კითხვები თვითკონტროლისათვის	283
	ტესტები	283
	ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში	286
	ლიტერატურა	291

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
ტექნიკური რედაქტორი  
კორექტირება

ქ. ცაბაძე  
ზ. მოსიაშვილი  
დ. მოსიაშვილი

/

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „დან“ წერეთლის 112.